

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

## ალექსანდრე გიორგიძე

### შეზღუდული შერაცხადობა

(სისხლისსამართლებრივ-კრიმინოლოგიური და ფსიქიატრიული  
ასპექტები)

დისერტაცია სამართლის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი:  
სამართლის დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი  
დავით მუმლაძე



თბილისი 2008

## შინაარსი

<b>შესავალი</b>	<b>5</b>
<b>თავი I. შეზღუდული შერაცხადობის საკითხის ისტორია</b>	<b>11</b>
1.1 შეზღუდული შერაცხადობის წინაისტორია საქართველოში და საზღვარგარეთ	11
1.2 შეზღუდული შერაცხადობის ისტორია რევოლუციამდელი რუსეთის სისხლის სამართალში	19
1.3 შეზღუდული შერაცხადობის საკითხი საბჭოთა პერიოდის სისხლის სამართალში	21
1.4 შეზღუდული შერაცხადობის თანამედროვე მდგომარეობა და საკანონმდებლო ფორმულირებები საზღვარგარეთის ქვეყნებში – 25	
<b>თავი II. შეზღუდული შერაცხადობის მომიჯნავე მდგომარეობანი და     ნებისყოფის თავისებურება</b>	<b>28</b>
2.1 ნებისყოფის თავისუფლების (მოქმედების არჩევანის თავისუფლების) საკითხი შეზღუდულ შერაცხადთა დანაშაულებრივ ქცევაში ----- 28	
2.1.1 ნებისყოფის თავისუფლების ფილოსოფიური ასპექტი ----- 28	
2.1.2 ნებისყოფის თავისუფლების ფსიქოლოგიური ასპექტი ----- 34	
2.1.3 ნებისყოფის თავისუფლების სამართლებრივი ასპექტი ----- 36	
2.1.4 შუალედური დასკვნა ----- 39	
2.2 დირებულების აქსიოლოგიური ცნება და შეზღუდული შერაცხადობა ----- 41	
2.3 დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური ბუნება ----- 44	
2.4 შერაცხადობის საკითხისათვის ----- 51	
2.4.1 შერაცხადობის ზოგადი მიმოხილვა ----- 51	
2.4.2 შერაცხადობის ნიშნები ----- 53	
2.4.3 შუალედური დასკვნა ----- 58	
2.5 შეურაცხაობის საკითხისათვის ----- 59	
2.5.1 შეურაცხაობის ზოგადი მიმოხილვა ----- 59	
2.5.2 შეურაცხაობის გამომწვევი გარემოებები ----- 62	
2.5.3 შეურაცხაობის მოკლე მიმოხილვა ინგლისურენოვან ქვეყნებში ----- 68	
2.5.4 შუალედური დასკვნა ----- 70	

<b>თავი III. შეზღუდული შერაცხადობა სისხლის სამართალსა და კრიმინოლოგიაში</b>	<b>71</b>
<b>3.1 შეზღუდული შერაცხადობის ცნებისა და ბუნების საკითხი -</b>	<b>71</b>
<b>3.1.1 საკითხის მოკლე მიმოხილვა</b>	<b>71</b>
<b>3.1.2 ფსიქიკური ანომალიები როგორც შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევი გარემოება. მათი კლასიფიკაცია და დახასიათება --</b>	<b>72</b>
<b>3.1.3 ხასიათის აქცენტუაცია როგორც შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევი გარემოება</b>	<b>83</b>
<b>3.1.4 აფექტი როგორც შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევი გარემოება</b>	<b>84</b>
<b>3.1.5 ორგანიზმის არაავადმყოფური მდგომარეობა როგორც შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევი გარემოება</b>	<b>87</b>
<b>3.1.6 სომატური დაავადება როგორც შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევი გარემოება</b>	<b>88</b>
<b>3.1.7 მზის აქტივობის გავლენა ადამიანის ფსიქიკურ პროცესებზე</b>	<b>89</b>
<b>3.1.8 არასრულწლოვანება როგორც შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევი გარემიება</b>	<b>90</b>
<b>3.1.9 შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევი სხვა გარემოებები</b>	<b>97</b>
<b>3.1.10 შეზღუდული შერაცხადობის საკითხი საზღვარგარეთის ქვეყნებში</b>	<b>100</b>
<b>3.1.11 შუალედური დასკვნა</b>	<b>104</b>
<b>3.2 შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევ გარემოებათა კრიმინოგენულობა</b>	<b>106</b>
<b>3.2.1 შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევ გარემოებათა დახასიათება კრიმინოგენულობის ხარისხის მიხედვით</b>	<b>106</b>
<b>3.2.2 სოციალურ და ბიოლოგიურ ფაქტორთა თანაფარდობის საკითხი შეზღუდულ შერაცხადთა დანაშაულებრივ ქცევაში</b>	<b>112</b>
<b>3.2.3 შეზღუდული შერაცხადობის კრიტერიუმები</b>	<b>115</b>
<b>3.3 შეზღუდული შერაცხადობა და ბრალეულობა</b>	<b>116</b>
<b>3.3.1 ბრალის ძირითადი თეორიების მოკლე მიმოხილვა</b>	<b>116</b>

<b>3.3.2</b>	<b>შეზღუდული შერაცხადობის და ბრალის ურთიერთკავშირის საკითხი</b>	<b>121</b>
<b>3.3.3</b>	<b>შეზღუდული შერაცხადობის და სისხლისსამართლებრივი უმართლობის დამოკიდებულების საკითხი</b>	<b>123</b>
<b>3.4</b>	<b>შეზღუდულ შერაცხადთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ცალკეული პრობლემები</b>	<b>126</b>
	<b>თავი IV. შეზღუდულ შერაცხადთა პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებული პრობლემების სისხლისსამართლებრივი და კრიმინო- ლოგიური ანალიზი</b>	<b>129</b>
<b>4.1</b>	<b>სასჯელის დანიშვნა შეზღუდულ შერაცხადთათვის</b>	<b>129</b>
<b>4.1.1</b>	<b>ფსიქიკური ანომალიების მქონე პირებისათვის სასჯელის დანიშვნასთან და მოხდასთან დაკავშირებული პრობლემები</b>	<b>129</b>
<b>4.1.2</b>	<b>სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის საკითხი</b>	<b>138</b>
<b>4.1.3</b>	<b>არასრულწლოვნის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობის საკითხი</b>	<b>142</b>
<b>4.1.4</b>	<b>შუალედური დასკვნა</b>	<b>143</b>
<b>4.2</b>	<b>ინფორმაციის შეფასება კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენებით</b>	<b>144</b>
<b>4.2.1</b>	<b>კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდების დახასიათება</b>	<b>144</b>
<b>4.2.2</b>	<b>სტატისტიკური მეთოდი</b>	<b>144</b>
<b>4.2.3</b>	<b>სასამართლო პრაქტიკა და მისი ანალიზი</b>	<b>146</b>
<b>4.2.4</b>	<b>გამოკითხვის მეთოდი</b>	<b>150</b>
<b>4.2.5</b>	<b>შუალედური დასკვნა</b>	<b>151</b>
<b>4.3</b>	<b>შეზღუდულ შერაცხადთა დანაშაულებრივი ქცევის პროფილაქტიკის საკითხი</b>	<b>153</b>
<b>4.3.1</b>	<b>ფსიქოთერაპიული ხასიათის პროფილაქტიკური ღონისძიებები--</b>	<b>153</b>
<b>4.3.2</b>	<b>სოციალური ხასიათის პროფილაქტიკური ღონისძიებები -----</b>	<b>155</b>
	<b>დასკვნა</b>	<b>160</b>
	<b>შემოკლებები</b>	<b>164</b>
	<b>ბიბლიოგრაფია</b>	<b>165</b>

## შესავალი

**კვლევის აქტუალობა.** ქვეყნის დემოკრატიზაციისა და სამართლებრივი რეფორმების განხორციელების პირობებში, აუცილებელი გახდა სისხლის სამართლის სფეროშიც ისეთი ცვლილებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კიდევ უფრო მეტი გარანტიის შექმნას.

არსებული დიქტომიის შერაცხადობა-შეურაცხაობის ფარგლებში, უკვე ვერ ხერხდებოდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის სრულყოფილად დასაბუთება. სამართლიანობის პრინციპი მოითხოვდა ინდივიდუალურ მიღვმას თითოეული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენის მიმართ, მისი ფსიქიკური მდგომარეობის მაქსიმალური გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი გახდებოდა ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის დასაბუთება, რომელიც განუყრელადა დაკავშირებული სამართლიანობის პრინციპთან. ნებისმიერი ფსიქიკური მოშლილობა, გავლენას ახდენს ადამიანის ინტელექტუალურ და ნებელობით სფეროზე და იწვევს მისი აზროვნებისა და ნებისყოფის დეფექტს. ყოველივე ამან, განაპირობა სისხლის სამართლის კოდექსში 35-ე მუხლის „შეზღუდული შერაცხადობის“ შემოღება. ამან, თავის მხრივ, წამოჭრა პრაქტიკისა და თეორიის წინაშე ახალი პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული შერაცხადობის შესახებ სამეცნიერო დისკუსია თითქმის ორ საუკუნეს ითვლის, ერთიანი პოზიცია ამ პრობლემის ირგვლივ დღემდე არ არსებობს. ეს შეიძლება ითქვას, როგორც სისხლის სამართალზე, ასევე სასამართლო ფსიქიატრიაზე, ფსიქოლოგიაზე, ფილოსოფიაზე და ამ პრობლემით დაინტერესებული მეცნიერებების სხვა დარგებზე. არ არსებობს შეთანხმება თვით ტერმინოლოგიაშიც კი. სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომებში განსხვავებულ ტერმინოლოგიას ვხვდებით: შეზღუდული შერაცხადობა, შემცირებული შერაცხადობა, არასრული შერაცხადობა, ნაწილობრივი შერაცხადობა და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას კანონმდებლობაზეც. სხვადასხვა ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები განსხვავებულად მოიხსენიებენ ამ ცნებას.

კვლევის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე, ე.წ. „საყოველთაო ფსიქოზის“ დროს, მნიშვნელოვანდ იზრდება ფსიქიკური გადახრების მქონე პირთა მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ალბათობა. გამოკვლევებით დადგენილია, რომ ძალადობითი დანაშაულის ჩამდენთა ნახევარზე მეტს ადგიშნება სხვადასხვა ხასიათის ფსიქიკური გადახრები. ნაშრომის აქტუალობას ზრდის ისიც, რომ ფსიქიკის ანომალიები განხილული უნდა იქნენ იმ ბიოლოგიურ ფაქტორთა შორის, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ დანაშაულებრივი ქცევის რეალიზაციაზე. ბიოლოგიურ ფაქტორთა უგულებელყოფა, ან მათთვის არასათანადო ყურადღების მიქვევა, იწვევს უხეშ შეცდომებს სამართალწარმოებაში და კანონშემოქმედებაში. საბოლოოდ, ეს აისახება კონკრეტული ადამიანის ბედზე პასუხისმგებლობისა და სასჯელის შეფარდების

დროს. ანომალიების მქონე პირთა დანაშაულობის ზრდა, აქტუალურს ხდის მათი პროფილაქტიკის საკითხესაც. ფსიქოფიზიოლოგიური დეტერმინანტების იგნორირება, ამ მხრივაც სერიოზულ სიძნელეებს იწვევს. სასჯელის მიზანი არის დანაშაულის აცილება, პირის რესოციალიზაცია და მისი ქცევის კორექცია. ეს კი, პიროვნების ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებების ცოდნისა და გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია.

შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევ გარემოებებს მრავალი მეცნიერი იკვლევდა, მათ შორის როგორც იურისტები, ასევე ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, ფიზიოლოგები. ამ პრობლემის ცალკეულ ასპექტებს კვლებით აღ. ვაჩეიმვილის, ო. შავგულიძის, ო. გამყრელიძის, ა. გაბიანის, გ. ნაჭელიას, ნ. თოდუას ნაშრომებში. უცხოელ მკვლევართა შორის შეიძლება გამოვყოთ ო. პოზნიშვილი, ნ. ტაგანცვილი, ვ. ტრახტეროვი, ა. უიუილენკო, ფ. ლისტი, პრინცი, ვ. შელდოვი, ე. ქრეჩმერი, ჰ. ქუეი, ვ. სერბსკი, ვ. კანდინსკი, ე. კრასნუშკინი, დ. დრილი, ო. ფრეიეროვი, ი. ანგონიანი, ს. ბოროდინი, ვ. ემელიანოვი, რ. მიხეევი, გ. უშაკოვი, ო. სიტკოვსკია, ნ. ივანოვი, გ. ნაზარენკო, ი. არგუნოვა. ი. ნოი, და მრავალი სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ამ და სხვა ავტორებმა სერიოზული მეცნიერული კვლევები ჩაატარეს, გააკეთეს მთელი რიგი მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნები, კერძოდ, გამოკვლეული და შესწავლილი იქნა შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევი ფსიქიკური დაავადებები, მოხდა მათი აღწერა და კლასიფიკაცია. ცალკე გამოიყო შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობა, რომელიც გაიმიჯნა შერაცხადობისა და შეურაცხაობისაგან. გამოკვლეული იქნა ფსიქიკური ანომალიების კრიმინოგენულობა, მათი გავლენა დანაშაულებრივ ქცევაზე. გამოითქვა არაერთი წინადადება შეზღუდულ შერაცხადთათვის სასჯელის დანიშნვის და მოხდის პირობების შესახებ, შეზღუდულ შერაცხად პირთა მხრიდან დანაშაულის აცილების და პროგნოზირების შესახებ, რასაც ჩვენი კვლევისას გზადაგზა შევეხებით და განვიხილავთ. ამის მიუხედავად, პრობლემა საბოლოოდ მაინც არ არის შესწავლილი და გამოკვლეული. ჩვენი წინამდებარე ნაშრომის მიზანია შეზღუდული შერაცხადობის საკითხის კომპლექსური გამოკვლევა სხვადასხვა ასპექტების გათვალისწინებით, შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობის მთლიანობაში წარმოჩენა და ჩვენი ახლებური ხედვის ჩამოყალიბება შეზღუდულ შერაცხადობაზე. სისხლის სამართალის კანონმდებლობის ანალიზმა საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ზოგიერთი ხარვეზი, რომელიც მოითხოვს სრულყოფასა და დახვეწას. სადაოა ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი. მაგალითად, ფსიქიკურ გადახრათა როლის შესახებ დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციაში, სამედიცინო ხასიათის იძულებითი დონისძიებების შეფარდების საკითხი შეზღუდულ შერაცხადთა მიმართ, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ პროფილაქტიკური დონისძიებები და სხვ.

ამ პრობლემისადმი ინტერესი უკავშირდება სისხლისსამართლებრივი და სასჯელადსრულებითი

კანონმდებლობის რეფორმასაც. პრობლემის სიახლემ, მისმა დაუმჯუშავებლობამ, თეორიულმა და პრაქტიკულმა აქტუალობამ, განაპირობა ჩვენს მიერ მისი სადისერტაციო თემად არჩევა.

### **კვლევის მიზნები და ამოცანები.**

კვლევის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მეცნიერების თანამედროვე მონაცემებზე დაყრდნობით, ფილოსოფიური, სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური, ფსიქიატრიული, ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური ლიტერატურის შესწავლისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე აგვეხსნა შეზღუდული შერაცხადობის ინსტიტუტის თავისებურებანი, პასუხისმგებლობის საკითხი შეზღუდულ შერაცხადთათვის. ამ კატეგორიის პირთა დანაშაულობის პროფილაქტიკის საკითხი, ფსიქიატრიის, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, პათოფსიქოლოგიის მონაცემების მაქსიმალური გათვალისწინებით. დაგვედგინა შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევი მიზეზების გავლენა დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციაზე.

კვლევის მიზნებმა განაპირობეს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- გამოგვევლინა შეზღუდული შერაცხადობის წარმოშობისა და შესწავლის ისტორიული სპეციფიკა;
- გაგვეხილა ნებისყოფის თავისუფლების ფილოსოფიური პრობლემა, როგორც შერაცხადობის, ისე შეზღუდული შერაცხადობისას პასუხისმგებლობის დასაბუთების საფუძველი;
- ჩამოგვეყალიბებია შეზღუდული შერაცხადობის ცნება, აგვეხსნა მისი ბუნება და გაგვეხილა ამ მდგომარეობის გამომწვევი გარემოებანი;
- მოგვეცა შერაცხაობისა და შეურაცხაობის, როგორც შეზღუდული შერაცხადობის მომიჯნავე მდგომარეობათა ანალიზი;
- დაგვესაბუთებია ბიოლოგიურ და სოციალურ დეტერმინანტთა ერთიანობა დანაშაულებრივ ქცევაში და თითოეულის გავლენა შეზღუდულ შერაცხადთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ახსნისა და თავიდან აცილებისათვის;
- აგვეხსნა შეზღუდული შერაცხადობის და ბრალეულობის შემსუბუქების ურთიერთგანპირობებულობის საკითხი;
- დაგვესაბუთებია შეზღდულ შერაცხადთათვის სასჯელის შემსუბუქების აუცილებლობა. მათ მიმართ სასჯელთან ერთად ფსიქოკორექციული და მედიკამენტოზური მკურნალობის საჭიროება;
- აგვეხსნა პროფილაქტიკურ ღონისძიებათა აუცილებლობა და მათი კომპლექსურობის გარდუგალობა სასურველი შედეგის მისაღებად;
- შეგვემუშავებია რეკომენდაციები და წინადადებები სისხლისსამართლებრივი და სასჯელადსრულებითი კანონმდებლობის სრულყოფისათვის.

**კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს** წარმოადგენს ფილოსოფიური, ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი, ფორმალურ-იურიდიული, სტატისტიკური, ღოკუმენტების ანალიზის მეთოდები.

**კვლევის თეორიულ საფუძველს** წარმოადგენს ნაშრომები

ფილოსოფიაში, სისხლის სამართალში, კრიმინოლოგიაში, ფსიქიატრიაში, ფსიქოლოგიაში, ფიზიოლოგიაში, პათოფსიქოლოგიაში. ამ ნაშრომებში განხილულია ფსიქიკური გადახრების მქონე პირთა ქცევის საკითხები. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ: ი. კანგრის, ვ. პეგელის, ა. შოპენაუერის, ო. ტაბიძის, დ. უზნაძის, შ. ჩხარტიშვილის, ს. რუბინშტეინის, ვ. ვილუნასის, და სხვათა ნაშრომები. აგრეთვე გამოყენებულია საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა, სადაც შეზღუდული შერაცხადობის პრობლემა რაციონალურად არის რეგულირებული. ემპირიულ ბაზას შეადგენს სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მიღებულია სასამართლოების არქივებიდან. ა. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული საექსპერტო გამოკვლევები, პრაქტიკის განზოგადების შედეგები.

### სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე

მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის პირველი კომპლექსური ქართულენოვანი მონოგრაფიული გამოკვლევა შეზღუდულ შერაცხადობაზე. მისი სიახლე აისახა დასაცავად გამოტანილ ძირითად დებულებებშიც:

— შეზღუდული შერაცხადობა მოიცავს ყველა იმ მდგომარეობას, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის უნარს გააცნობიეროს საკუთარი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა ანდა უხელმძღვანელოს მას დანაშაულის ჩადენის დროს. ის არ ამოიწურება მხოლოდ ფსიქიკური ანომალიით;

— შეურაცხაობაც ისევე ფართოდ უნდა იქნეს გაგებული, როგორც შეზღუდული შერაცხაობა. შეურაცხაობის იურიდიული ბუნების სწორი გაგებისათვის სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე, 37-ე, და 38-ე მუხლებისაც უნდა ეწოდოს შეურაცხაობა მისატევებული შეცდოის გამო, შეურაცხაობა ბრძანების ან განკარგულების შესრულების გამო, შეურაცხაობა სხვა არაბრალეული ქმედების გამო, რადგან შეურაცხაობა მოიცავს ყველა ისეთ გარემოებას, როცა პირს ჩადენილი ქმედება ბრალად არ შეერაცხება;

— დანაშაულებრივი ქცევის სოციალურ და ბიოლოგიურ დეტერმინანტებზე საუბრისას არ შეიძლება ცალმხრივად რაიმე ფაქტორისათვის უპირატესობის მინიჭება. შეზღუდულ შერაცხადთა დანაშაულებრივ ქცევაში, მით უფრო ფსიქიკური ანომალიების დროს, თითეულის როლის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული ფაქტიდან გამომდინარე, რადგან ეს ფაქტორები ერთობლივად მოქმედებენ ადამიანზე და მხოლოდ კონკრეტული ფაქტიდან გამომდინარე, შეიძლება დადგინდეს თითეულის როლი დანაშაულის დეტერმინაციაში;

— შეურაცხაობისა და შეზღუდული შერაცხადობის სამედიცინო (ბიოლოგიურ) კრიტერიუმს, უპრიანი იქნება ეწოდოს ფსიქოფიზიოლოგიური, რადგან ეს უკანასკნელი უფრო სრულად ასახავს ამ მდგომარეობათა შინაარსს, რამეთუ იგი არ ამოიწურება მხოლოდ ფსიქიკური დაავადებით და მოიცავს ყველა იმ მდგომარეობას, რომლებიც უსპობენ ადამიანს შერაცხვაუნარიანობას.

— ბრალის შემამსუბუქებელი ყველა გარემოება შეიძლება შეზღუდულ შერაცხადობას მივაკუთვნოთ. შეზღუდული

შერაცხადობა წარმოადგენს პირის მდგომარეობას, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს უკავშირდება. შესაბამისად, თუ დანაშაულის ჩადენის დროს რამე გარემოების გამო პირს არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებია თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის, რაც მის ბრალის ხარისხს ამცირებს, ის შეზღუდულ შერაცხადად უნდა ჩავთვალოთ.

– შეზღუდული შერაცხადობა არის სამართლებრივი და არა ფსიქიატრიული დიაგნოზი, ამიტომ შეზღუდულ შერაცხადს სასამართლომ სასჯელი აუცილებლად უნდა შეუმსუბუქოს. სხვა შემთხვევაში, შეზღუდული შერაცხადობის არსებობა სისხლის სამართლის კოდექსში კარგავს აზრს. სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ ხშირად ხდება ამის უგულვებელყოფა.

– შეზღუდულ შერაცხადთა მკურნალობისათვის, აუცილებელია სასჯელადსრულებითი დაწესებულების ფარგლებში შეიქმნას სპეციალური სამედიცინო პუნქტები, სადაც სასჯელის აღსრულებასთან ერთად მოხდება ამ კატეგორიის პირებზე ფსიქიატრების, ფსიქოლოგების ზედამხედველობა. მათთვის უნდა დაწესდეს ყოფა-ცხოვრების სპეციალური რეჟიმი, რომელიც ხელს შეუწყობს მათ რესოციალიზაციას და დანაშაულის პრევენციას.

– არათავისუფლების აღკვეთით მსჯავრდების შემთხვევაში, საუბარი უნდა იქნეს სპეციალურ სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრებზე, რომლებშიც მკურნალობა ჩატარდება ექიმის რეკომენდაციის საფუძველზე. ამასთანავე, აუცილებელია შეზღუდულ შერაცხადთა მიმართ ფსიქო-მედიკამენტოზური და სოციალური რეაბილიტაციის კურსების ჩატარება.

– შეზღუდულ შერაცხადთა მარლსაწინააღმდეგო ქცევის პროფილაქტიკის საკითხი კომპლექსურ პრობლემას წარმოადგენს. ეს ღონისძიებები შედგება სოციალურ და ფსიქოთერაპიულ ღონისძიებათა სიმბიოზისაგან. ხსენებულ ღონისძიებათა ეფექტურობისათვის საჭიროა მათი ხანგრძლივი და მიზანმიმართული ზემოქმედება ადამიანის ფსიქიკაზე. ეს ღონისძიებები გამოყენებული უნდა იქნეს პირის მდგომარეობის დაწვრილებითი გამოკვლევის შემდგომ და ისინი მკაცრად ინდივიდუალურ ხასიათს უნდა ატარებდნენ.

**კვლევის ობიექტს** წარმოადგენს შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობა და ამ მდგომარეობაში დანაშაულის ჩამდენთა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი. კვლევის საგანს შეადგენს შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობის გავლენა ბრალზე და სასჯელზე, ფსიქოანომალთა ქცევის კორექცია და პრევენცია, ფსიქიკური გადახრების გავლენა დანაშაულთა მოტივაციაზე, სამკურნალო-რეაბილიტაციური ღონისძიების გატარება სასჯელთან ერთად ფსიქიკურ ანომალიათა მქონე დამნაშავეების მიმართ.

**დისერტაციის თეორიული მნიშვნელობა** მდგომარეობს იმაში, რომ მასში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები წარმოადგენენ შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობის ახსნის

მცდელობას, მისი გავლენის დადგენას დამნაშავის პასუხისმგებლობასა და დასჯადობაზე, ფსიქიკური გადახრების ზემოქმედების ხასიათის დადგენას დანაშაულებრივ ქცევაზე, მათი კრიმინოგენურობის შემცირებას. სამედიცინო და ფსიქოთერაპიული ღონისძიებების გატარების მიშვნელობას დამნაშავის რესოციალიზაციისათვის და რეციდივების აცილებისათვის.

დისერტაციის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაშია, რომ მასში ასახული რეკომენდაციები და მასალები შეიძლება გამოყენებული იქნას სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის. აღნიშნული მასალები გამოდგება სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის. ისინი შეიძლება გამოყენებული იქნას სალექციო კურსისათვის სისხლის სამართალში, კრიმინოლოგიაში, სასამართლო ფსიქიატრიაში. დისერტაცია შეიძლება გამოყენებული იქნას მომავალი სამეცნიერო კვლევებისათვის შეზღუდული შერაცხადობის მდგმარეობის და ფსიქიკური ახომალიების მქონე პირთა დანაშაულობასთან ბრძოლის გაუმჯობესებისათვის.

**ნაშრომის შინაარსი და სტრუქტურა.** დისერტაცია შედგება შესავლისაგან, ოთხი თავისაგან, ორმოცდაექვსი პარაგრაფისაგან, დასკვნისაგან, შემოკლებათა ნუსხისაგან და ბიბლიოგრაფიისაგან. პირველი თავი მოიცავს ისტორიულ ექსკურს შეზღუდული შერაცხაობის ინსტიტუტის წარმოშობისა და განვითარების შესახებ. მეორე თავში გაშუქებულია შერაცხადობა-შეურაცხაობის მდგომარეობა, მისი ფილოსოფიური საფუძველი (ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა), საუბარია დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურ ბუნებაზე. მესამე თავში საუბარია უშუალოდ შეზღუდული შერაცხადობის არსის შესახებ, მის კრიმინოგენულობაზე, მის მიმართებაზე ბრალთან. მეოთხე თავი მოიცავს სასჯელის დანიშვნის საკითხებს შეზღუდულ შერაცხადთა მიმართ, ამ პრობლემის კრიმინოლოგიურ ანალიზს და მათი დანაშაულის პროფილაქტიკის თავისებურებებს.

## თ ა ვ ი I

### შეზღუდული შერაცხადობის საკითხის ისტორია

#### 1.1 შეზღუდული შერაცხადობის წინაისტორია საქართველოში და საზღვარგარეთ

ფსიქიკურ დაავადებათა შესახებ მითითებას უძველეს წყაროებში ვხვდებით. ადამიანთა ასეთი მდგომარეობის ძირითად მიზეზად ითვლებოდა დვთის რისხვა, მიაჩნდათ რომ დმერთი სტოვებს ადამიანს და მასში ბინადრდება ეშმაკი. ფსიქიკურად დაავადებულთა ქცევა, ეშმაკისეულ ქცევად ითვლებოდა და ასეთი მოქმედების ჩამდენთა მიმართ გამოყენებული ზომები სხვადასხვაგვარი იყო.

არსებობს მონაცემები, რომ სპარტაში მეფეც კი გათოკეს. უმეტესწილად, ფსიქიკურად დაავადებულები თავისუფლად იმყოფებოდნენ, (თუ ისინი არ უქმნიდნენ საფრთხეს გარშემომყოფთ, არ შმაგობდნენ) მიშვებული იყვნენ თავის ნებაზე და დაეხებებოდნენ ქალაქებსა და სოფლებში. თუ ისინი ურჩობდნენ, ან სჩადიოდნენ სახიფათო მოქმედებებს, მათ მიმართ იყენებდნენ მათი მდგომარეობისადმი სრულიად არააღექვატურ ზომებს: სცემდნენ ჯოხებით, ქვებით, ხოცავდნენ როგორც გარეულ მხეცებს<sup>1</sup>.

ასეთი მოქმედებები ფსიქიკურად დაავადებულთა მიმართ შეიძლება აიხსნას იმით, რომ იმ ეპოქაში, არ არსებობდა არანაირი წარმოდგენა ასეთ მდგომარეობაზე, როგორც ავადმყოფობაზე. ის ადამიანები ითვლებოდნენ ავი სულის, ეშმაკის მაგარებლებად. ფსიქიკურად დაავადებულთა მიმართ დამოკიდებულებას არა თუ ჩვ. წ. აღრიცხვამდე, არამედ ჩვენი წელთაღრიცხვის შუა საუკუნეებამდე მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია. ცნობილია, რომ ევროპაში XVI საუკუნეში იმართებოდა პროცესები ცხოველების, მიცვალებულების, უსულო საგნების მიმართ. ევროპაში უკანასკნელად ცხოველის სიკვდილით დასჯა მოხდა 1572 წელს.<sup>2</sup> სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ინკვიზიციის მიერ ჩატარებული უამრავი სასამართლო პროცესი, სადაც ასამართლებრივი „ჯადოქრობისა და კუდიანობისათვის“, სინამდვილეში კი ასეთ „ჯადოქართა“ უმრავლესობა სწორედ ფსიქიკურად დაავადებული პირები იყვნენ.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი პირველი საკანონმდებლო მითითება სასჯელისაგან ფსიქიკურად დაავადებულთა განთავისუფლების შესახებ, გვხვდება ძვ. რომში იუსტინიანეს დიგესტებში, სადაც ნათქვამია: „ვინც მოკლავს შეშლილობის (სიგიურის) დროს ის არ დაისჯება, საქმარისია, რომ ის დასჯილია თავისი სიგიური“. აგრეთვე, პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებოდნენ მცირეწლოვნები, ან მათ პასუხისმგებლობა უმსუბუქდებოდათ. რომაელი იურისტი პავლე მიუთითებდა, რომ

<sup>1</sup> იხ. Каннабих Ю. История психиатрии, 1929, с. 26-28.

<sup>2</sup> იხ. Сирожидинов Д. В. Ограниченнная вменяемость: проблемы теории и практики.

Диссерт. канд. юрид. наук. Екатеринбург., 1998, с. 9.

თითქმის ყველა სისხლის სამართლის საქმეში, შეწყნარების ღირსია ახალგაზრდულ ასაკში ჩადენილი დანაშაული<sup>1</sup>. უფრო მოგვიანებით ევროპასა და რუსეთშიც ვხვდებით მსგავს საკანონმდებლო მითითებებს. მაგალითად, საფრანგეთში ლანგობარდული სამართლი (643 წ.) იხსენიებს უგნურობას, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელ გარემოებას, ასევე კარლოს დიდის კაპიტიტულარიებში (VIII ს.) გვხვდება მითითება, რომ უგნური არ ისჯება მკვლელობისათვის. მსგავს ნორმას ვხვდებით ფეოდალური პერიოდის ინგლისშიც. 1313 წლით დათარიღებული ნორმა გვაუწევს, რომ: „შეშლილი არ აგებს პასუხს დანაშაულისთვის“.<sup>2</sup> ამ ნორმებით ნათლად ჩანს, რომ შეასუკუნებს არ არსებობდა სწორი წარმოდგენა არა მხოლოდ ფსიქიკურ დაავადებაზე, არამედ დანაშაულზეც. უგნურს და შეშლილს, რომლებიც ფსიქიკურად დაავადებულ პირებად მიიჩნეოდნენ, არც მკვლელობის და არც დანაშაულის ჩადენა არ შეუძლიათ, რადგან მკვლელობის ჩადენა შეიძლება მხოლოდ განზრაას, ხოლო ფსიქიკურად დაავადებული პირი, (ამ შემთხვევაში იგულისხმება შეურაცხი) განზრას ვერ იმოქმედებს, ასევე ვერ ჩაიდგნს დანაშაულს, ანუ ბრალაულ ქმედებას.

რუსეთში, ფსიქიკურად დაავადებულთა დაუსჯელობის შესახებ ნორმას პირველად ვხვდებით 1669 წლით დათარიღებულ „Новоуказных статей о татебных разбойных и убийственных делах“, რომლის 108-ე მუხლი ამბობს :„Аще бесный убietet, неповинен есть смерти“<sup>3</sup> (თუ ეშმაკეული მოკლავს, სიკვდილით არ დაისჯება). აგრეთვე, 1716 წლის სამხედრო არტიკულში 195-ე მუხლის განმარტებაში ვკითხულობთ: „Наказание воровства обыкновенно умаляется, или весьма отставляется, ежели кто в лишении ума воровство учинит“<sup>4</sup>. (სასჯელი ქურდობისათვის მცირდება ან საერთოდ არ გამოიყენება, თუ ვინმე ქურდობას უგნურ მდგრადარებაში ჩაიდგნეს).

<sup>1</sup> об. Перетерский И. С. Всеобщая история государства и права М., 1945, с. 171-172.

<sup>2</sup> Трахтеров В. С. Вмениаемость и невмен в уголовном праве (Исторический очерк) Харьков 1992, с. 72.

<sup>3</sup> Назаренко Г. В. Эволюция понятия невменяемости. Государство и право, 1993, №3 с. 61.

<sup>4</sup> Трахтеров В. С. Вменяемость и невменяемость в уголовном праве. (Исторический очерк) Харьков. 1992, с. 6-7.

წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ XVIII ს.  
ბოლომდე ფსიქიკურად დაავადებულები პრაქტიკულად არ  
თავისუფლდებოდნენ სასჯელისაგან. ისინი ისჯებოდნენ როგორც  
ჯანმრთელი ადამიანები, რადგან სასამართლოს არ აინტერესებდა  
დამნაშავის ფსიქიკური მდგრმარეობა, ხოლო ცალკეულ  
შემთხვევებში, როცა ხდებოდა მათი სასჯელისაგან  
განთავისუფლება, მათ მიმართ გამოიყენებოდა უსასტიკესი ზომები:  
ადებდნენ ბორკილებს, აბამდნენ, სცემდნენ, კეტავდნენ  
შებორკილებს და დაბმულებს ბნელ ოთახებში (ისიც მხოლოდ იმ  
შემთხვევებში, როცა მათ სიკვდილით არ სჯიდნენ).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შეა საუკუნეებში უპავი  
არსებობდა სპეციალური დაწესებულებები ფსიქიკურად  
დაავადებულთათვის. მათ შესახებ წყაროებში წინააღმდეგობრივი  
მონაცემებია. არსებობს მონაცემები, რომ კაიროში, ბაღდადში,  
დამასკოში XII ს. იყო სპეციალური კეთილმოწყობილი  
საავადმყოფოები ფსიქიკურად დაავადებულთათვის. 1305 წ.  
შვედეთში ბერმონაზონთა საძმომ დააარსა „წმინდა სულის“ სახლი,  
სადაც ფსიქიკურად დაავადებულებს ათავსებდნენ. ესპანური  
მედიცინის მემატიანე დონ ერნანტე მორეხონი აღნიშნავს, რომ:  
„ესპანელებს ეპუთვნის პირველი მცდელობა ფსიქოზების  
მკურნალობისა სპეციალურად მოწყობილ საავადმყოფოებში“.  
ესპანეთში XVI ს. არსებობდა მთელი ქსელი ფსიქიატრიულ  
დაწესებულებათა: სარაგოსაში (1425 წ.), ტოლიდოში (1436),  
კალენსიაში (1409), მადრიდში (1540) და ა.შ. 1576 წელს ფსიქიკურად  
დაავადებულებისათვის იხსნებოდა სახლები გერმანიის სხვადასხვა  
ქალაქებში: ნიურბერგში, ფრანკფურტში, ბერლინში, ბრემენში.  
შვეიცარიაში 1570 წელს, ციურიხთან ახლოს აშენდა ორი  
თავშესაფარი შფოთიანი ავადმყოფებისათვის. 1526 წელს  
საფრანგეთშიც იხსნება პირველი სპეციალური დაწესებულებები  
ფსიქიკურად დაავადებულთათვის.<sup>2</sup>

ქართულ წეაროებში არსებული ცნობების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სასჯელის დადების დროს ითვალისწინებდნენ როგორც ასაკს, ასევე დანაშაულის ჩამდენის ფსიქიკურ მდგომარეობას. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „იოანე მმარტველის კანონებში ცოდვა, 30 წლამდე ჩადენილი, პატიების დირსია“. ექთომე მთაწმინდელის აზრით: „ვიდრე 30 წლამდე უმეცრება გონებისა და მხურვალება ხორცთა დიდად მძლავრობს კაცთა და ამისთვის უსუბუქესად განიკანონების“. ივ. ჯავახიშვილს ეს მოსახრება საკვთვე მიაჩნია და ფიქრობს, რომ შეურაცხაობის საზღვარი სქესობრივი სიმწიფის ასაკს (15-16 წწ.), ან უკიდურეს შემთხვევაში სამხედრო ან სამოქალაქო სრულწლოვანებას (21-22წ).

<sup>1</sup> Морозов Г. В. Лунц. Д. Т. Фелинская Н. И. Основные этапы развития отечественной судебной психиатрии. М., 1976, с. 12.

<sup>2</sup> вб. Каннабих Ю. աշխատ. բաժն. 32. 69-72.

არ უნდა გადასცილებოდა<sup>1</sup>. სინანულთა კანონებში აღწერილია ორი ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც პასუხისმგებლობას ხსნის ან ამსუბუქებს. ესაა „უმეცრებაი გონებისაი“, ანუ „შეუგნებლობა, ე.ი. ფსიქიკური მდგომარეობა, როცა ადამიანს არ ესმის თავისი მოქმედების მნიშვნელობა და შედეგები და „ფრიადი უმეცრებაი გონებისაი“, როცა ადგილი აქვს ფსიქიკურ დაავადებას. პირველი გამოხატავს გონებრივ განუვითარებლობას, მეორე - ფსიქიკურ დაავადებას.<sup>2</sup>

შერაცხადობის გამომრიცხავ გარემოებათაგან ვახტანგ VI სამართლის წიგნი იცნობს მხოლოდ ასაკს. 187-ე მუხლი განსაზღვრავს წლოვანებას, საიდანაც დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა: „ათ წლამდის, ყმაწვილის ნაქნარის საქმისა, რასაც ფერის, ავის კაცის ნაქნარის, ავს საქმესთან არ ჩაიგდების, თვის ტოლს უზამს, თუ უფროსს, ყმაწვილობით და უჭკუობით უქნია, საფათერაკოსავით არის; მისგან მშობელმან მისის ყმაწვილობისაგან მკუდარს სამარხი მისცეს და დაჭრილსა დასწეულებულსა საექიმო მისცეს, სხვას ვერას შეუა“<sup>3</sup>. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართული სამართლისათვის, მიუხედავად წყაროებში დაცული მწირი ინფორმაციისა, სრულიად არ იყო უცხო იმ გარემოებების გათვალისწინება პასუხისმგებლობის და სასჯელის შეფარდების დროს, რომელთაც ჩვენი კანონმდებლობა ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებებად აღიარებს (ასაკი, ფსიქიკური დაავადება). ამასვე მოწმობს პროფ. ალ. ვაჩეიშვილის სიტყვები: „ძნელი დასაჯერებელია ვახტანგ VI ხანაში და უფრო ადრეც ცნება შეურაცხველობა სრულიად უცხობი რომ ყოფილიყოს. საეკლესიო სამართალი მას მკაფიოდ განსაზღვრავდა და უნდა ვიფიქროთ, რომ ვახტანგ VI და მართლმსაჯულების პრაქტიკული მოღვაწენი მასვე იცნობდნენ და მით ხელმძღვანელობდნენ. თუ გავითვალისწინებთ ვახტანგ VI ხანას, მის კულტურულ დონეს, არ შეიძლება დავუშვათ, რომ სულით ავადმყოფი ვითომც ბრალეულად ითვლებოდა და მას დაკისრებული ჰქონდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა“<sup>4</sup>.

საქართველოში უძველესი დროიდან იწყება ფსიქიატრიის განვითარება. იგი შეიძლება შემდეგ პერიოდებად დაიყოს: პირველი არის არამეცნიერული პერიოდი, რომელიც იწყება უძველესი დროიდან და გრძელდება ელინისტური მედიცინის გაჩენამდე. ეს არის თეოლოგიური მედიცინის ხანა. ამ პერიოდის დამახასიათებელ თვისებად ითვლებოდა ფსიქიკურად დაავადებულთა მიმართ რაიმე სამედიცინო დახმარების სრული არარსებობა. მეორე პერიოდის დასაწყისად, პირობითად შეიძლება ჩაითვალოს VII-VI საუკუნეები ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ამ დროს, პირველად ჩნდება ფსიქიკურად დაავადებულთა მიმართ სამედიცინო დახმარების მცდელობა. ფსიქიკურად დაავადებულნი განიხილებოდნენ, როგორც ბუნებრივი

<sup>1</sup> იხ. ჯავახიშვილი ივ. ქართული სამართლის ისტორია. ტფილის, 1929, II ნაკვეთი გვ. 268-269.

<sup>2</sup> იხ. ვაჩეიშვილი ალ. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან. თბილისი, 1946, წიგნი I. გვ. 206-207.

<sup>3</sup> დოლიძე ი. სამართალი ვახტანგ მეექვსია. თბ., 1981, გვ. 235.

<sup>4</sup> ვაჩეიშვილი ალ. დასახ. ნაშრ. გვ. 207.

ხასიათის მოვლენა, რომლის მიმართ საჭიროდ თვლიდნენ რომელიმე ბუნებრივი ზომების მიღებას. მესამე პერიოდად, შეიძლება ჩაითვალოს მაზდეიანობასა და ქრისტიანობას შორის ბრძოლის და შემდეგ ქრისტიანობისა და მასთან ერთად ეკლესიებისა და მონასტრების გავრცელების პერიოდი საქართველოში. მეოთხე პერიოდს მიეკუთვნება X-XIII ს. ამ პერიოდში გამოჩნდა სამი უდიდესი მნიშვნელობის ქართული წერილობითი სამედიცინო ძეგლი: „სამკურნალო ტრაქტატი“ „უსწორო კარაბადინი“ და „წიგნი საექიმო“. აღნიშნულ წერილობით ძეგლებში ფსიქიკური დაავადებანი განიხილებოდნენ, როგორც მთელი ორგანიზმის და უმთავრესად თავის ტვინის დაავადებანი. მათში აღწერილი იყო ცალკეული დაავადებები, მოცემული იყო მათი სამკურნალო სამუალებები და მეთოდები. ეს ნაშრომები შეიცავდნენ ფსიქიკურად დაავადებულთა კლასიფიკაციას. მეხუთე პერიოდს ეკუთვნის XIII-XVII საუკუნეები. ეს არის ფსიქიატრიის განვითარების დაცემის პერიოდი საქართველოში. მეექსე პერიოდს შეიძლება მივაკუთვნოთ XVII-XIX სს. ამ პერიოდში ქართველები აგროვებდნენ, იცავდნენ და ამთელებდნენ ძველი სამედიცინო მწერლობის ნაშთებს და ამდიდრებდნენ მათ ევროპული სამედიცინო წყაროებით. მეშვიდე პერიოდი იწყება XIX ს 60-იანი წლებიდან, კერძოდ 1869 წლიდან, როდესაც მიხაილოვის საავადმყოფოში სულით დაავადებულთათვის 24 ადგილიანი განყოფილების შექმნით საფუძველი ჩაეყარა სულით დაავადებულთა სტაციონარულ მკურნალობას საქართველოში. მერვე პერიოდი მოიცავს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდს.<sup>1</sup>

თბილისში პირველი მუდმივმოქმედი სამკურნალო დაწესებულება შეიქმნა მე-19 საუკუნის 20-იან წლებში. თბილისის სამხედო ჰოსპიტალთან არსებობდა ფსიქიკურად ავადმყოფთა განყოფილება, სადაც ფსიქიკური ავადმყოფები მიიღებოდა იშვიათ შემთხვევაში, ისიც პოლიციის, ან სასამართლოს მეშვეობით.<sup>2</sup>

საქართველოში ფსიქიკურ ავადმყოფთა მოვლა-პატრონობა იწყება 1869 წელს. მართალია, თბილისის სამხედრო ჰოსპიტალთან არსებობდა ფსიქიკურ ავადმყოფთა განყოფილება, მაგრამ სამოქალაქო მოსახლეობას იქ არ იღებდნენ. 1881 წელს შეიძინეს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე კერძო ბინა, რომელშიც გაიხსნა ფსიქიატრიული განყოფილება.<sup>3</sup>

როგორც ზემოთ მითითებულ ცნობებშია აღნიშნული, ის არაჟმანური და არაადექვატური დამოკიდებულება, რომელიც არსებობდა ფსიქიკურად დაავადებულთა მიმართ, არ შეიძლებოდა უცვლელად გაგრძელებულიყო. XVIII ს. დამლევი და XIX ს. დასაწყისი, ხასიათდება მნიშვნელოვანი ცვლილებებით ფსიქიკურად

<sup>1</sup> იხ. წოწორია მ. მასალები ფსიქიატრიის ისტორიისათვის საქართველოში. დის-ერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1951, გვ. 11-19.

<sup>2</sup> იხ. აბულაშვილი გ. მასალები ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზაციის შესახებ საქართველოში. დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი 1958 წ. გვ. 91-92.

<sup>3</sup> იხ. აბულაშვილი გ. დასახ. ნაშრ. გვ. 64-66.

დაავადებულ პირთა მიმართ დამოკიდებულების მხრივ. ეს უპირველესად აიხსნება იმით, რომ ამ პერიოდში ხდება მნიშვნელოვანი ძვრები კაცობრიობის პროგრესული განვითარებისათვის. იგივე შეიძლება ითქვას იურისპრუდენციისა და ფსიქიატრიის განვითარებაზე. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ფსიქიატრები, რომლებმაც წარუმლები კვალი დატოვეს მსოფლიო ფსიქიატრიის განვითარების საქმეში. საფრანგეთში – ფ. პინელი, ესკიროლი, კაბანისი; გერმანიაში – შტალი და გოფმანი; ინგლისში არნოლდი, ბრაუნი, ქულენი, უ. ტიუკი; რუსეთში – ი. დიადკოვსკი, ფ. გერცოგი, ზ. კიბალტიცი, ვ. საბლერი.<sup>1</sup> გამოჩენილმა ფრანგმა ფსიქიატრმა ფ. პინელმა, თავისი პრაქტიკული და მეცნიერული მოღვაწეობით დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე და 1794 წელს აიძულა საფრანგეთის ნაციონალური კონვენცი, ნება დაერთოთ ფსიქიკურად დაავადებულთათვის ბორკილების მოხსნაზე. ეს, შეიძლება ითქვას, იყო პირველი ნაბიჯი მათი მდგომარეობისადმი განსხვავებული დამოკიდებულების, მათდამი ახლებურად მიდგომის საქმეში. საბოლოოდ, ასეთი ძალისხმევის შედეგად საფრანგეთის 1810 წ. სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა შეურაცხაობის ფორმულა, რომელიც ითვლება შეურაცხაობის პირველ საკანონმდებლო ფორმულად მსოფლიოში. ამ კოდექსის 64-ე მუხლის მიხედვით: „არ არის არც დანაშაული, არც გადაცდომა, თუ ქმედების ჩადენის დროს ბრალდებული იმყოფებოდა დემენციის მდგომარეობაში“.<sup>2</sup> როგორც ვხედავთ, ეს საკანონმდებლო ფორმულირება შეიცავდა მხოლოდ ფსიქიატრიულ კრიტერიუმს, მაგრამ მიუხედავად ამისა იმ დროისათვის მისი არსებობა უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს. შეურაცხაობის საკანონმდებლო ფორმულირებას, რომელიც შეიცავდა ორივე ფსიქიატრიულ და ფსიქოლოგიურ კრიტერიუმებს, პირველად ვხვდებით რუსულ კანონმდებლობაში. კერძოდ, 1845 წლის „Уложения о наказаниях уголовных и исправительных“. ამ საკანონმდებლო ფორმულირების კრიტერიუმებს ახასიათებდა არასრულყოფილება, ხოლო თვით ფორმულა ფაქტიურად განაწილებული იყო სამ სხვადასხვა მუხლში. 95-ე მუხლი ითვალისწინებდა ქრონიკული ფსიქიკური დაავადებებისა და თანდაყოლილი ჭკუასუსტობის შემთხვევებს. ამ მუხლის მიხედვით, შეურაცხებად ითვლებოდნენ „დაბადებით უგნურები და შეშლილები“ (ფსიქიატრიული კრიტერიუმი), თუ მათ დანაშაულის ჩადენის მომენტში თავიანთი მდგომარეობიდან გამომდინარე არ ჰქონდათ წარმოდგენა მათი ქმედების კანონწინააღმდეგობაზე და თვისებაზე (ფსიქოლოგიური კრიტერიუმი). 96-ე მუხლში საუბარი იყო ფსიქიკური მდგომარეობის დროებით მოშლილობაზე. 97-ე მუხლი მიუთითებდა „დრმად მოხუცებზე და მთვარეულებზე, რომლებიც ნერვიული აშლილობის დროს მოქმედებდნენ

<sup>1</sup> ამ საკითხზე მეცნიერთა მოღვაწეობის და საქმიანობის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: კანაბიქ Ю. История психиатрии. 1929, с. 117, 133, 143, 149, 169, 282.

Морозов Г.В. Лунц Д.Т. Фелинская Н.И. Основные этапы развития отечественной судебной психиатрии. М., 1976, с. 21,50.

<sup>2</sup> Сирожидинов Д.В. დასახ. ნაშრ. გვ. 11.

არასათანადო გონიერებით“.<sup>1</sup>

ამ საკანონმდებლო ფორმულირების არასრულყოფილება, როგორც მიუთითებდნენ ლიტერატურაში, გამოიხატება მის დაქუცმაცებულობაში, რომელსაც სასამართლო პრაქტიკა მიჰყავს ფორმალიზმამდე. ფსიქოლოგიური კრიტერიუმი ხასიათდება არაერთგვაროვნებით, ფსიქიკურ დარღვევათა ბუნდოვანი დახასიათებით. მიუხედავად არასრულყოფილებისა, შეურაცხაობის პირველი საკანონმდებლო ფორმულირებების გაჩენამ, უდიდესი როლი შეასრულა როგორც ფსიქიატრიული, ასევე იურიდიული მეცნიერების განვითარებასა და ფსიქიკურად დაავადებულთა მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. ეს პერიოდი, ითვლება სასამართლო ფსიქიატრიის, როგორც ფსიქიატრიის დამოუკიდებელი დარგის ჩამოყალიბების დასაწყისად. ამ დროს ქვეყნება პირველი სერიოზული ფსიქიატრიული და სასამართლო ფსიქიატრიული ნაშრომები, სადაც აღწერილია სხვადასხვა ფსიქიკური დაავადებები, მოცემულია მათი კლასიფიკაცია. მაგალითად, გამოჩენილი ფრანგი ფსიქიატრის ფ. პინელის მიერ მოცემულია ფსიქიკურ დაავადებათა კლასიფიკაცია, რომლებიც გამორიცხავდნენ შერაცხადობას. მათ მიეკუთვნებოდა: იდიოტია, ჭკუასუსტობა, მანიები და მელანქოლია. ფ. პინელისა და ესკიროლის მიერ აღწერილი იქნა ისეთი მდგომარეობანი, რომლებსაც მოგვიანებით ეწოდა ფსიქოპათია. ფსიქოპათიურ პირვენებათა აღწერა მოცემული აქვს ფრანგ ფსიქიატრს ბ. მორელსაც. ის, მათ (ფსიქოპათებს) მიაკუთვნებდა იმ პირებს, ვისაც პქონდათ მყარი ემოციური ან ინტელექტუალური დეფექტები. ინგლისელი ფსიქიატრის მაუტსლის მიერ 1877 წელს შემოღებული იქნა ცნება „პათოლოგიური განვითარება“. ინგლისელი ფსიქიატრის პრიჩარდის მიერ 1835 წელს ფსიქიკური დაავადებები დაყოფილ იქნა ინტელექტუალურ და მორალურ დაავადებებად.<sup>2</sup>

ამ პერიოდში, რუსეთში გამოიცა პირველი სასამართლო ფსიქიატრიული სახელმძღვანელოები იურისტებისათვის. 1847 წელს გ. ბლოსფელდმა გამოაქვეყნა ნაშრომი „Начертание судебной медицины для правоведов, приспособленное к академическим преподаваниям в российских университетах“ (სასამართლო მედიცინა სამართლმცოდნებისათვის, მორგებული აკადემიური სწავლებისათვის რუსეთის უნივერსიტეტებში). ამ ნაშრომში, იყო გამოყოფილი ფსიქიკურ დაავადებათა სამი სახე, რომლებიც სასამართლო-ფსიქიატრიულ განხილვას ექვემდებარებოდა. ეს იყო: ჭკუასუსტობა, როგორც თანდაყოლილი დაავადება; შეშლილობა (სიგიჯ), რომელიც შეიძლება იყოს ხანმოკლე, პერიოდული ან მუდმივი; და მონომანია. <sup>3</sup> ცოტა მოგვიანებით, 1883 წ. გამოვიდა ვ. კანდინსკის ნაშრომი: „Случай сомнительного душевного состояния перед судом присяжных“ (საქვთ სულიერი მდგომარეობის შემთხვევა მსაჯულთა სასამართლოს წინაშე), რომელშიც განსაზღვრული იყო ფსიქოპათიის ძირითადი ნიშნები. 1885 წელს გამოვიდა ასევე

<sup>1</sup> Морозов Г.В. Лунц Д.Т. Фелинская Н.И. დასახ. ნაშრ. გვ. 27-28.

<sup>2</sup> იხ. Ушаков Г. К. Пограничные нервно-психические расстройства М., 1978, с.18-20.

<sup>3</sup> იხ. Морозов Г. В. Лунц Д. Р. Фелинская Н.И. დასახ. ნაშრ. გვ. 31-33.

გამოჩენილი რუსი ფსიქიატრის ვ. ბეხტერევის მონოგრაფია, რომელიც მიძღვნილი იყო ფსიქოპათიებისა და მათი სასამართლო-ფსიქიატრიული მნიშვნელობისადმი<sup>1</sup>.

ამ და სხვა ნაშრომების და კლინიკური დაკვირვებების შედეგად, რომელსაც აწარმოებდნენ ევროპელი და რუსი ფსიქიატრები, გამოვლინდა ფსიქიკურ დაავადებათა ჯგუფი, რომელიც თანამედროვე ფსიქიატრიაში მიეკუთვნება მოსაზღვრე ნერვულ-ფსიქიკურ გადახრებს. ასეთი გადახრები უმრავლეს შემთხვევაში არ გამორიცხავდნენ შერაცხადობას, ანუ პირები, რომლებიც ასეთი გადახრების დროს ჩადიან დანაშაულს, არიან შერაცხადები, თუმცა აქვთ ფსიქიკური ანომალიები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მათ ქცევაზე.

ყოველივე ზემოთოქმულმა, იურისტებისა და ფსიქიატრების წინაშე ასეთი კითხვები დასვა: როგორ უნდა გადაწყდეს ფსიქიკური ანომალიის მქონე პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, როცა მათ არ მიაკუთვნებენ შეურაცხებს? სამართლიანი და მიზანშეწონილია მათი დასჯა ფსიქიკურად ჯანმრთელ დამნაშავეთა მსგავსად? ამ კითხვების ირგვლივ გაჩნდა უამრავი მოსაზრება, ეს კითხვები იქცა გაუთავებელი დისკუსიების საგნად. თუ შეურაცხაობა ყოველთვის გულისხმობს ფსიქიკურ პათოლოგიას, შერაცხადობა ყოველთვის არ გულისხმობს ფსიქიკურ ნორმას. საბოლოოდ, ყოველივე ამან მიიყვანა იქამდე, რომ კანონმდებლის მიერ შემოღებულ იქნა ნორმა შეზღუდული შერაცხადობის შესახებ<sup>2</sup>.

პირველად შეზღუდული შერაცხადობა მოხსენიებულია გერმანული სახელმწიფოების სისხლის სამართლის კოდექსებში: ბადენის 1845წ. პარაგრაფი 153; ბავარიის 1848წ. პარაგრაფი 106; ბრაუნშვეიგის 1840წ. პარ. 66; ჰამბურგის 1869წ. პარ. 59; ჰანოვერის 1840 წ. პარ. 94; საქსონიის 1841 წ. პარ. 884; საქსენ-ალტენბურგის 1841 წ. პარ. 41; ვიურტენბერგის 1839წ. პარ. 98; ტიურინგენის 1850-1852წ. პარ. 59. ყველა ამ კოდექსში შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევე ფაქტორთა შორის დასახელებულია ჭკუასუსტობა, არასრულყოფილი განვითარება, დრმა მოხუცებულობა, სიმთვრალე, აღზრდის სრული არარსებობა, ბავშვობაში უაღრესად არახელსაყრელი და გახრწნილი გარემო. ყველა შემთხვევაში გათვალისწინებულია სასჯელის შემცირება.

აგრეთვე, შეზღუდულ შერაცხადობა მოხსენებულია სხვა ევროპული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში; დანიის 1866წ. პარ. 39; ფინეთის 1889წ. პარ. 4; საბერძნეთის 1833წ. პარ. 87; შვედეთის 1864წ. პარ.6. ეს კოდექსები აგრეთვე ითვალისწინებდნენ შეზღუდული შერაცხადობისას სასჯელის შემცირებას.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ი. სირჯидინოვ დ.ვ. დასახ. ნაშრ. გვ. 20.

<sup>2</sup> ი. სირჯидინოვ დ.ვ. დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

<sup>3</sup> ი. სირჯидინოვ დ.ვ. დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

## 1.2 შეზღუდული შერაცხადობის ისტორია რევოლუციამდელი რუსეთის სისხლის სამართალში

რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ იცნობდა შეზღუდულ შერაცხადობას, თუმცა 1847 წლის „Уложение о наказаниях уголовных и исправительных“ 146 მუხლის მე-4 პუნქტი ვკითხულობთ: „Если преступление учинено им (вынужденым) по легкомысленному или слабоумию, глупости или крайнему невежеству, которым воспользовались другие для вовлечения его в преступление“ (თუ დანაშაული ჩადენილია ჭიუსუსტობის, უგუნურების ან უკიდურესი უმეცრების გამო, რომლითაც სხვებმა ისარგებლეს მისი დანაშაულში ჩასათრებად). მაგრამ ეს, ფორმულირება, როგორც მართებულად მიუთითებენ ლიტერატურაში, არ შეიძლება ჩაითვალოს შეზღუდული შერაცხადობის ცნების აღიარებად. ასეთი მდგომარეობა წარმოადგენდა მხოლოდ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას. მე-19ს. 80-იანი წლებიდან მოყოლებული, რუსეთის სამეცნიერო წრეებში მიმდინარეობდა მწვავე დისკუსიები ამ საკითხის ირგვლივ. 1883 წელს, სენატის სკეციალური კომისიის მიერ მომზადებული იქნა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ახალი პროექტი. ამ პროექტის განხილვაზე მიწვეულნი იყვნენ ფსიქიატრები, რამეთუ სარედაქციო კომისიას სურდა: „иметь мнение экспертов, господ ученых-психиатров по вопросам вменяемости“<sup>1</sup> (პქონოდა ბატონების ექსპერტ-ფსიქიატრების აზრი შერაცხადობის საკითხებზე). განხილვაში მონაწილეობდნენ გამოჩენილი რუსი ფსიქიატრები ვ. კანდინსკი, ი. მერჟევსკი და სხვები. ვ. კანდინსკიმ მკვეთრად გააკრიტიკა შეზღუდული შერაცხადობის კონცეფცია. მისი აზრით: „ყოველ ცალკეულ შემთხვევაში (სასამართლო პრაქტიკას აქვს საქმე მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებთან), ლოგიკურად შეიძლება ვალიაროთ მხოლოდ ერთ-ერთი: შერაცხვის უნარის ან არსებობა, ან არარსებობა. ჩვენ უნდა გადავწვიოთ, შეეძლო თუ არა ადამიანს კონკრეტულ შემთხვევაში თავი შეეკავებინა კანონსაწინააღმდეგო აქტისაგან, თუ ამას მოისურვებდა, თუ არ შეეძლო. ეს საკითხი უნდა გადაწყდეს, ან დადებითად, ან უარყოფითად, არავითარი საშუალო გადაწყვეტა არ არის შესაძლებელი“. ვ. კანდინსკი ასევე ამბობს: „თუ ადამიანმა ჩაიდინა კანონსაწინააღმდეგო ქმედება ავადმყოფურ მდგომარეობაში, მაშინ ერთნაირად უსამართლოა ვაძეულოთ ის აგოს ამისთვის პასუხი როგორც სრულად, ისე სანახევროდ“<sup>2</sup>.

განხილვისას გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებაც. ი. მერჟევსკის აზრით, ფსიქიკურად ავადმყოფები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული ფსიქოპათოლოგიური სიმპტომების არა უშუალო, პირდაპირი ზეგავლენით, შეიძლება ჩაითვალონ შერაცხადებად და წარდგნენ სასამართლოს წინაშე. ფსიქიკურ მოშლილობათა სხვადასხვა სიმძიმემ უნდა მიგვიყვანოს შეზღუდულ შერაცხადობამდე, რამეთუ არ შეიძლება ზოგიერთი ავადმყოფის მიმართ გაივლოს მკვეთრი ზღვარი მათ შერაცხადობა-

<sup>1</sup> Морозов Г. В. Лунц Д. Р. Фелинская Н.И. დასახ. ნაშრ. გვ.73.

<sup>2</sup> Морозов Г. В. Лунц Д. Р. Фелинская Н.И. დასახ. ნაშრ. გვ.78.

შეურაცხაობაზე.<sup>1</sup> ი. მერუევსკი შეიძლება ითქვას, იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც დადგებითად უყურებდა შეზღუდული შერაცხადობის ცნების შემოღებას, თუმცა მისი პოზიცია საკითხის არასათანადო თეორიული დამუშავების, იმდროინდელი ფსიქიატრიის მდგომარეობის გათვალისწინებით და გაცილებით უფრო მრავალრიცხვან (როგორც იურისტთა, ისე ფსიქიატრთა შორის) ოპონენტთა წყალობით არ იქნა გაზიარებული.

შეზღუდული შერაცხადობის მოწინააღმდეგ იყო გამოჩენილი რუსი ფსიქიატრი ვ. სერბსკი. ის აღნიშნავდა, რომ: „შეზღუდული შერაცხადობის ცნება განუსაზღვრელია და შეუძლებელია რაიმე სწორი საზომის მოძებნა მისი პრაქტიკაში გამოყენებისათვის“. შეზღუდული შერაცხადობის შემოღება ვ. სერბსკის აზრით, ნიშნავდა იმას, რომ ექსპერტები აღარ გაერკვეოდნენ სათანადო ფსიქიკურად დაავადებულის მდგომარეობაში.<sup>2</sup>

რევოლუციამდელ რუს კრიმინალისტთან ანალოგიური პოზიცია ეკავა მათ უმრავლესობას. გამოჩენილი რუსი კრიმინალისტი ნ. ტაგანცევი შეზღუდული შერაცხადობის შემოღების წინააღმდეგი იყო. მას მიაჩნდა, რომ „სისხლის სამართლის კანონში შეზღუდული შერაცხადობის შემოღება, არა მარტო ზედმეტია, არამედ არასასურველი თავისი არაერთმნიშვნელობისა და განუსაზღვრელობის გამო. ერთის მხრივ, სიმთვრალეს, სულიერ გაუწონასწორლობას და მსგავს მდგომარეობას აქვთ მრავალი განსხვავებული ნიშნები, თვით შეზღუდული შერაცხადობის საზღვრები არაა მკვეთრად გამოკვეთილი, მეორე მხრივ ასეთ მდგომარეობაში შეუძლებელია ყოველთვის ვიპოვოთ საფუძველი სასჯელის შესამცირებლად“<sup>3</sup>.

რუსი კრიმინალისტი გ. კოლოკოლოვი შეზღუდული შერაცხადობის შემოღების წინააღმდეგი იყო. ის წერდა: „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება დავუშვათ მხოლოდ ის მდგომარეობა, რომ სუბიექტმა ჩაიდინა დანაშაული შერაცხადობის მდგომარეობაში, ან ის მოქმედებდა დიამეტრალურად საწინააღმდეგო მდგომარეობაში. შეზღუდული შერაცხადობის შესახებ საუბრისას კრიმინალისტებს აქვთ მხედველობაში შემთხვევები, როცა სუბიექტს ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, მაგრამ იმსახურებს უფრო მსუბუქ სასჯელს, აქ საქმე გვაქვს არა შეზღუდულ შერაცხადობასთან, არამედ ბრალის უფრო დაბალ ხარისხთან“. <sup>4</sup>

მსგავსი მოსაზრებაა გამოთქმული ნ. ნეკლიუდოვის მიერ შესრულებულ ა. ბერნერის ნაშრომის თარგმანში. „შერაცხადობას არა აქვს ხარისხები, ის რასაც კოდექსები უწოდებენ არასრულ შერაცხადობას, სინამდვილეში არის არასრული ბრალულობა“. <sup>5</sup>

<sup>1</sup> იხ. Морозов Г. В. Лунц Д. Р. Фелинская Н.И. დასახ. ნაშრ. გვ.77.

<sup>2</sup> Морозов Г. В. Лунц Д. Р. Фелинская Н.И. დასახ. ნაშრ. გვ. 86.

<sup>3</sup> Таганцев Н.С. Русское уголовное право. Часть общая. Том 1. Тула, 2001, с. 340.

<sup>4</sup> Колоколов Г. Е. Уголовное право. Общая Часть. М., Топо-литография Келлер Изд. 1889-1890 с. 165.

<sup>5</sup> Бернер А. Ф. Учебник уголовного права. Часть общая и особенная, С-Петербург . Перевод и издания Н. Неклюдова, 1865 с. 343.

შეზღუდული შერაცხადობის კონცეფციას რევოლუციამდელ რუს კრიმინალისტებში პყავდა მომხრეებიც. ვ. სპაროვიჩის აზრით: „სრულ შერაცხადობასა და სრულ შეურაცხაობას შორის არსებობს განსხვავებული ელფერის მქონე მდგომარეობები. შერაცხადობაში შეიძლება დაგუშვათ სამი საფეხურის არსებობა: 1) სრული შერაცხადობა, 2) სრული შეურაცხაობა; 3) შესუსტებული შერაცხადობა. შესუსტებული შერაცხადობა არ გამორიცხავს ბრალს, არამედ ზეგავლენას ახდენს სასჯელის შემცირებაზე.“<sup>1</sup>

შეზღუდული შერაცხადობის მომხრე იყო ლ. ვლადიმიროვი. მისი აზრით, დანაშაულის ჩამდენი პირის შერაცხადობის დადგენისათვის ექსპერტის წინაშე უნდა დაისვას კითხვა, ფლობდა თუ არა ბრალდებული ფსიქოლოგიური წინააღმდეგობის გაწევის ისეთ ხარისხს, რომელიც თავს შეაპავებინებდა მას დანაშაულის ჩადენისაგან<sup>2</sup>.

მნიშვნელოვანი როლი შეზღუდული შერაცხადობის გარკვევის საქმეში შეასრულა სოციოლოგიურმა სკოლამ. ამ მხრივ, გამოირჩეოდნენ მისი ცნობილი წარმომადგენლები ფ. ლისტი, პრინცი, ვან-ჰამელი, ტარდი და სხვები. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კრიმინალისტთა საერთაშორისო კავშირმა. მისი წევრები იყვნენ ცნობილი მეცნიერები ამერიკისა და ევროპის თითქმის ყველა ქვეყნიდან. ასე მაგალითთად, 1896 წელს ფ. ლისტმა ფსიქიატრთა კონგრესზე მიუწენდი, გააკეთა მოხსენება შეზღუდული შერაცხადობის მდგომარობის შესახებ. ამ მოხსენებამ გამოიწვია ცხარე დისკუსია, რამაც კიდევ უფრო აქტუალური გახადა შეზღუდული შერაცხადობის საკითხი. შემოთავაზებული იყო შეზღუდულ შერაცხადთა მიმართ უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენების მიზანშეწონილობა და ამასთან ერთად სამედიცინო და უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენება. შემდგომში მოწყობილმა არაერთმა კონფერენციამ, სადაც აქტიურად იხილებოდა შეზღუდული შერაცხადობის საკითხი, დადებითი როლი შეასრულა ევროპაში ამ ინსტიტუტის განვითარების საქმეში, ამან კი სერიოზული საფუძველი შექმნა სამომავლო კვლევებისათვის<sup>3</sup>.

### 1.3 შეზღუდული შერაცხადობის საკითხი საბჭოთა პერიოდის სისხლის სამართალში

რაც შეეხება საბჭოთა პერიოდს, აქ თავი იჩინა შეზღუდული შერაცხადობისადმი არაერთგვაროვანმა დამოკიდებულებამ. კანონმდებლის პოზიცია ამ საკითხისადმი იყო უარყოფითი, ფსიქიატრებსა და იურისტებს შორის არ არსებობდა ერთიანი აზრი არა მარტო შეზღუდული შერაცხადობისადმი, არამედ შერაცხადობისა და შეურაცხაობისადმი.

როგორც მიუთითებენ ლიტერატურაში, ამის მიზეზი იყო ის, რომ იმ დროს (იგულისხმება საბჭოთა პერიოდის დასაწყისი)

<sup>1</sup> Спасович В. Учебник уголовного права Т. 1 Санкт-петербург. Типография Иосифа Огризко, 1863, с. 117-118.

<sup>2</sup> იხ. Владимиров Л. Е. Психологические исследования в уголовном суде. М., 1901, с. 278.

<sup>3</sup> იხ. Сирожидинов Д.В. დასახ. ნაშრომი, გვ. 29-30.

ფსიქიატრები და იურისტები სხვადასხვა სკოლების ძლიერ ზეგავლენებს განიცდიდენ, რომლებიც გავრცელებული იყო სისხლის სამართალსა და ფსიქიატრიაში. მიუხედავად ამისა 20-იან წლებში შეზღუდული შერაცხადობის საკითხი აქტიურად განიხილებოდა იურისტებისა და ფსიქიატრების მიერ. ასე მაგალითად, ვ. სერბსკის სახელობის სასამართლო ფსიქიატრის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული საექსპერტო გამოკვლევების დროს 1921 წელს გამოკვლეულთა 22,3%, 1922 წელს 21,3%; 1923 წელს 30%; 1924 წელს 22,2%; 1925 წელს 8,5%; 1926 წელს 2%; 1927 წელს 0,2% მიჩნეული იყვნენ შეზღუდულ შერაცხადებად. მაგრამ, ასეთი პრაქტიკა მცდარად იქნა გამოცხადებული და შეზღუდულ შერაცხადად აღიარება 1928 წლიდან საერთოდ შეწყდა<sup>1</sup>. შეზღუდულ შერაცხადობის ინსტიტუტს ჰყავდა მომხრეები იმდროინდელ ცნობილ იურისტებსა და ფსიქიატრებს შორისაც, მაგალითად, მ. ისავეი, ა. კიულენკო, ვ. ტრახტეროვი, ი. ფარბერი. მათ მოჰყავდათ ბევრი სარწმუნო არგუმენტი შეზღუდული შერაცხადობის ინსტიტუტის სასარგებლოდ<sup>2</sup>. ძირითადი მიზეზი, რის გამოც არ ხდებოდა შეზღუდულ შერაცხადად აღიარება იყო ის, რომ აუცილებელი იყო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტის პრაქტიკაში დაეძლიათ სასამართლო-ფსიქიატრიული შეფასების კრიტერიუმები მათი ბიოლოგიზატორული ტენდენციებით, რომლებიც გამოიყენებოდა დასავლეთ ევროპის მეცნიერებაში.<sup>3</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდული შერაცხადობისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, კიდევ უფრო გაამწვავა ერთმა კერძო შემთხვევაში. ეს შემთხვევა ეხებოდა ექსპერტ-ფსიქიატრის პროფ. გ. სერეჯისკის დასკვნას, მსჯავრდებულ კ-ს მიმართ, რომელსაც ბრალი ედებოდა გაფლანგვაში. დასკვნის მიხედვით, ფსიქოპათ კ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზი იყო დაავადება და ის ჩადენილი იყო შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში. სპეციალური კომისია, რომელმაც განიხილა პროფ. გ. სერეჯისკის დასკვნა, მიიჩნია ის მცდარად და ჩათვალა, რომ ასეთი დასკვნა უკავშირდებოდა ლომბროზიანისტულ და ნეოლომბროზიანისტულ მიმართულებებს ფსიქიატრიაში. ამის შედეგად შეზღუდული შერაცხადობის სსენებაც კი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.<sup>4</sup>

შემდგომში, დაახლოებით 60-იანი წლების ბოლომდე შეზღუდულ შერაცხადობაზე საერთოდ არ იყო მსჯელობა იურიდიულ და ფინანსურულ ლიტერატურაში. შეზღუდულ შერაცხადობაზე საუბარი ითვლებოდა საკითხისადმი არამეცნიერულ მიდგომად.

შეზღუდული შერაცხადობის პრობლემაზე დისკუსიის განახლებას ხელი შეუწყო იურისტებისა და ფსიქიატრების შეხვედრამ, რომელიც ჩატარდა 1965 წელს დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესწავლისა და მათი თავიდან აცილების ზომების

<sup>1</sup> ов. Антонян Ю. М. Бородин С. В. Преступленное поведение и психические аномалии М., 1998, Издательство „Спарт“ с. 145-146.

2 o. 132 33. 146.

<sup>3</sup> об. Фейнберг Ц. М. Судебно-психиатрическая экспертиза и опыт работы института судебной психиатрии им. Сербского за 25 лет. М., 1947, с. 8-10.

<sup>4</sup> об. Антонян Ю.М. Бородин С. В. Հայեան. Եղիշը. 23. 147.

შემმუშავებელ საკავშირო ინსტიტუტში. ამ შეხვედრაზე იურისტების (ბ. ნიკიფოროვის, გ. ზლობინის, ვ. კამინსკაიას, ი. პეტრუხინის და სხვა) მიერ გამოთქმული იქნა მოსაზრება შეზღუდული შერაცხადობის ცნების დაკანონების შესახებ.<sup>1</sup> საკვირველია ის გარემოება, რომ ფსიქიატრები აღიარებდნენ ფსიქიკური ანომალიების არსებობას, რომლებიც არ გამორიცხავდნენ შერაცხადობას, მიუთითებდნენ, რომ უნდა შექმნილიყო ფსიქიატრების და ფსიქოლოგების მონაწილეობით სპეციალური პირობებით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ფსიქიკური ანომალიების მქონე მსჯავრდებულთათვის, და ამავე დროს კატეგორიულად წინააღმდეგი იყვნენ შეზღუდული შერაცხადობის ინსტიტუტის შემოღებისა. (მაგალითად, გ. მოროზოვი, ლ. ფელინსკაია, ბ. შოსტაკოვიჩი და სხვა).<sup>2</sup>

ს. სემიონოვოს მიერ 1966 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში მართებულადაა აღნიშნული, რომ: „შერაცხადობისა და კერძოდ შეზღუდული შერაცხადობის ცნება, ახასიათებს გონების მდგომარეობას, უნარს, უხელმძღვანელო საკუთარ მოქმედებებს და ანგარიში გაუწიო მათ, ე.ო. ადამიანისას ნებელობითი და ინტელექტუალურ თვისებებს. შეზღუდული შერაცხადობა ავადმყოფი ადამიანის შეგნების ხარისხია, რომელიც ახასიათებს შემცირებულ უნარს უხელმძღვანელოს თავის მოქმედებებს და ანგარიში გაუწიოს მათ, ამიტომ არ შეიძლება დაეთანხმო, რომ თვით შეზღუდული შერაცხადობა რეაქციულია“<sup>3</sup>.

70-იანი წლების შუალედიდან დისკუსია შეზღუდული შერაცხადობის ირგვლივ განახლდა ახალი ძალით. გამოითქვა მრავალი მოსაზრება, როგორც ამ ცნების სასარგებლოდ, ისე მის საწინააღმდეგოდ. შეზღუდული შერაცხადობის მომხრეები მიუთითებდნენ, რომ შეზღუდული შერაცხადობის საკანონმდებლო რეგლამენტაცია შესაძლებელს გახდიდა უფრო სამართლიანად მიდგომოდნენ ფსიქიკური ანომალიის მქონე პირისთვის სასჯელის დანიშვნის საკითხს, რამეთუ არ შეიძლება ფსიქიკური ანომალიის მქონე პირი სასჯელის დანიშვნის დროს იყოს ისეთივე მდგომარებაში, როგორც ჯანმრთელი დამნაშავე (მაგალითად, ი. ავერბუხი, ე. გოლუბევა, გ. ჩერელი, გ. ზლობინი, ბ. ნიკიფოროვი და სხვა.) მაგალითად, ი. ავერბუხი და ე. გოლუბევა შეზღუდულ შერაცხადობას განმარტავენ როგორც შემცირებულ უნარს ანგარიში გაუწიო თავს საკუთარ მოქმედებებში და უხელმძღვანელო მას. ი. სუშენკო შეზღუდულ შერაცხადობას განსაზღვრავს, როგორც ადამიანის ფსიქიკის მდგომარეობას, როცა მისი უნარი გააცნობიეროს თავისი მოქმედებანი, უხელმძღვანელოს მათ, არ არის დაკარგული სრულად, მაგრამ ნორმისგან განსხვავებით

<sup>1</sup> ი.ხ.Хомовский А.А. Некоторые пути научного сотрудничества юристов и психиатров // Журнал невропатологии и психиатрии им. С.С. Корсакова 1965, Т. 65 вып.10 с. 1585-1588.

<sup>2</sup> ი. მ. Морозов Г. В. Лунц Д.Р. Фелинскaya Н.И. დასახ. ნამრ. გვ. 197-198.

<sup>3</sup> Семенов С.Ф. К вопросу об ограниченной (уменьшенной) вменяемости //Журнал невропатологии и психиатрии имени С.С. Корсакова, 1966, Вып. 8 с. 1270-1271.

შესუსტებულია, ამა თუ იმ ფსიქიკური ანომალიების შედეგად<sup>1</sup>.

ლ. გლუხარევას აზრით, შეზღუდული შერაცხადობა არის შერაცხადობის ნაირსახეობა, რომლის დროსაც მთელი რიგი მიზეზების გამო პირის უნარი შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა, ან უხელმძღვანელოს მას დანაშაულის ჩადენის დროს, შეზღუდულია.<sup>2</sup> მეცნიერთა შორის აზრთა სხვაობა იყო და არის დღემდე ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით. მაგალითად, ს. სემიონოვი გვთავაზობდა „შეზღუდულ შერაცხადობას“. ი. ანგონიანი, ს. ბოროდინი, ხ. ფელინისკაია „მოსაზღვრე შერაცხადობას“, ს. პოლუბინსკაია „ნაწილობრივ შერაცხადობას“, „შემცირებულ შერაცხადობას“ ა. ჟიულენკო, ვ. ტრახტეროვი<sup>3</sup>. ი. ანგონიანი და ს. ბოროდინი შეზღუდულ შერაცხადობას განმარტავდნენ, როგორც „პირის ფსიქიკურ მდგომარეობას, რომელიც არ გამორიცხავს პასუხისმგებლობას და სასჯელს და რომლის გამო დანაშაულის ჩადენის დროს შეზღუდული იყო პირის უნარი ანგარიში გაეწია საკუთარი მოქმედებისათვის და ეხელმძღვანელა მისთვის, ფსიქიკური მდგომარეობის მოშლილობის გამო“.<sup>4</sup>

რაც შეეხება შეზღუდული შერაცხადობის ოპონენტთა არგუმენტებს, ისინი ძირითადად შემდეგ ში გამოიხატება: ძალიან ძნელია დადგენილი იქნას შეზღუდული შერაცხადობის კრიტერიუმები; შერაცხადობას არა აქვს ხარისხები; შეზღუდული შერაცხადობის შემოღება ზედმეტს გახდის გამოსაკვლევი პირის ფსიქიკური მდგომარეობის დრმა სასამართლო-ფსიქიატრიულ შეფასებას; გამოიწვევს სასჯელის შემცირებას შეზღუდულ შერაცხადად ცნობილ პირთაოვის, მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და დამნაშავის პიროვნებისა.<sup>5</sup>

<sup>1</sup> ი. მ. მიხეევ რ. ი. უголовная ответственность лиц с психофизиологическими особенностями и психогенетическими аномалиями. Хабаровск, 1989, Изд. Хабаровская высшая школа МВД СССР с. 65.

<sup>2</sup> აქვთ. გვ. 65.

<sup>3</sup> ი. სირожидинов დ. ვ. დასახ. ნაშრ. გვ. 49.

<sup>4</sup> ანთიან იუ. მ. ბორინ ს. ვ. პреступность и психические аномалии М., 1987, с. 148.

<sup>5</sup> ი. ხომოვსკი ა. ა. დასახ. სტატია გვ. 1585-1588. მიხეევ რ. ი. უголовная ответственность лиц с психофизиологическими особенностями и психогенетическими аномалиями. Хабаровск, с. 69-72. კარპეц ი. ი. უголовное право и этика М., 1985, с. 154-155. მოროვ გ. ვ. ლუნც დ. რ. ფელინსკა ნ. ი. დასახ. ნაშრ. გვ. 147-148. დუბინინ ნ. პ. კარპეც ი. ი. კუდრავცევ ვ. ნ. გენეтика, поведение, ответственность. М., 1982, с. 278-279.

## 1.4 შეზღუდული შერაცხადობის თანამედროვე მდგომარეობა და საკანონმდებლო ფორმულირებები საზღვარგარეთის ქვეყნებში

უნდა აღვნიშნოთ, რომ დისკუსია შეზღუდული შერაცხადობის ირგვლივ დღესაც მიმდინარეობს. ეს გამოწვეულია უპირველესად თვით საკითხის სირთულით და მრავალმხრივობით. უნდა ითქვას, რომ შეზღუდული შერაცხადობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მოსაზრებებში არის, როგორც მართებული, ასევე მცდარი შეხედულებები. ჩვენ, არ მიგვაჩნია მართებულად შეზღუდული შერაცხადობის მოწინააღმდეგეთა ზემოთმოყვანილი არგუმენტები, რადგანაც თანამედროვე ფსიქიატრიაში კარგადაა შესწავლილი ის ფსიქიკური დაავადებები, რომლებიც ზღუდავენ პირის უნარს სრულად გააცნობიეროს თავისი მოქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და უხელმძღვანელოს მას. შერაცხადობას აქვს ხარისხები, რისი დასტური შეზღუდული შერაცხადობაც არის. ვფიქრობ, შეზღუდული შერაცხადობა ზედმეტს კი არ გახდის პირის ფსიქიკური მდგომარეობის ღრმა ფსიქიატრიულ შეფასებას არამედ პირიქით, ხელ შეუწყობს კონკრეტული დაავადების ხასიათისა და სიმძიმის ზუსტად დადგნას. თუმცა, საკმაოდ პრობლემურია ის საკითხი, ყოველთვის უნდა შეუმსუბუქდეს თუ არა სასჯელი შეზღუდულ შერაცხადს, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულისა და მისი დაავადების ხასიათის და სიმძიმის. ასევე პრობლემურია იძულებითი ხასიათის სამედიცინო ღონისძიების დანიშვნის და მათი შეთავსების საკითხი სასჯელთან. უნდა ითქვას, რომ შეზღუდული შერცხადობის მოწინააღმდეგეთა ეს არგუმენტი ყველაზე სერიოზულია და ის დღევანდებულ ქართულ სინამდვილეშიც საკმაოდ აქტუალურია. შეზღუდული შერაცხადობის მომხრეთა არგუმენტებს შორის, ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმას, რომ შეზღუდული შერაცხადობა მხოლოდ ფსიქიკურ დაავადებას უკავშირდება. ყოველივე ეს, მიუთითებს პრობლემის უფრო ღრმა კვლევასა და შესწავლის აუცილებლობაზე. აგრეთვა, კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით ისეთ მოსაზრებებს, რომ შეზღუდული შერაცხადობის ინსტიტუტი რეაქციულია, არამეცნიერულია, რომ ის გაართულებს და გააუარესებს მდგომარეობას და ა.შ. ვფიქრობთ, საბჭოთა პერიოდში გამოთქმული მსგავსი მოსაზრებანი, უფრო იმდროინდელი წყობილების, იდეოლოგიის გამოძახილი იყო, ვიდრე სადი აზრის.

შეზღუდული შერაცხადობის ინსტიტუტს განსხვავებული ფორმულირებით იცნობს – ფინეთის, შვეიცარიის, იტალიის, გერმანიის, დანიის, იაპონიის, ჩინეთის, ბრაზილიის, პოლონეთის, რუსეთის, სომალის, ლივანის, საფრანგეთის, ინგლისის და სხვა ქვეყნების კანონმდებლობა. მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის § 21 შეზღუდულ შერაცხადობას განმარტავს, როგორც პირის მნიშვნელოვნად შემცირებულ უნარს, ფსიქიკური დაავადების შედეგად შეიგნოს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და ანგარიში გაუწიოს საკუთარ მოქმედებას. ამ დროს სასამართლოს შეუძლია პირს შეუმსუბუქოს სასჯელი.

შეზღუდულ შერაცხადებად თეორია და პრაქტიკა აღიარებს შერაცხად ფსიქოპათებს, ნევროტიკებს, ალკოჰოლურ სიმთვრალეში მყოფ პირებს.<sup>1</sup> შევიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლით შეზღუდული შერაცხადობა სახეზეა, როცა ბრალდებული ფსიქიკური მდგომარეობის, ცნობიერების, ან არასრული ფსიქიკური განვითარების გამო, დანაშაულის ჩადენის დროს არ ფლობდა სრულ უნარს გაეცნობიერებია თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის. ასეთი მდგომარეობა იწვევს სასჯელის შემსუბუქებას. მე-12 მუხ. მიხედვით, შეზღუდულ შერაცხადად არ შეიძლება ცნობილი იქნეს პირი, რომელმაც თვითონ გამოიწვია ცნობიერების მოშლა, რათა შემდეგ ჩაედინა დანაშაული.<sup>2</sup> ბრაზილიის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის §. 1 მიუთითებს, რომ პირს, რომელიც ფსიქიკური მდგომარეობის მოშლილობის გამო მოკლებული იყო უნარს სრულად შეეგნო თავისი ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი, ან მიეღო გადაწყვეტილება ამ შეგნების შესაბამისად, შეიძლება შეუმცირდეს სასჯელი. სომალის სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლი შემდეგნაირად განმარტავს შეზღუდულ შერაცხადობას: “ვინც ქმედების ჩადენის დროს ავადმყოფობის გამო იმყოფებოდა ისეთ ფსიქიკურ მდგომარეობაში, რომელიც არ გამორიცხავდა, თუმცა მნიშვნელოვნად ამცირებდა მის უნარს „გაეგო ან ესურვა“ ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ჩადენილი დანაშაულისთვის, მაგრამ სასჯელი უნდა შეუმცირდეს.<sup>3</sup>”

ინგლისში მოქმედებს შემცირებული პასუხისმგებლობის სახელით ცნობილი კონცეფცია, რომელიც შემოღებულ იქნა 1957 წელს, კანონით მკვლელობის შესახებ (Homicide Act 1957). ინგლისის სასამართლო პრაქტიკა შეზღუდული შერაცხადობის კონცეფციის გამოყენებისათვის, აუცილებლად მიიჩნევს სამი ელემენტის არსებობას: 1) ბრალდებული უნდა იყოს დაავადებული ცნობიერების ისეთი ანომალიით დანაშაულის ჩადენის დროს, რომელსაც ჩვეულებრივი გონიერი ადამიანი, მიიჩნევს არანორმალურად; 2) ცნობიერების ანომალია უნდა მომდინარეობდეს გონებრივი განვითარების ჩამორჩენილობიდან, ან ნებისმიერი თანდაყოლილი მიზეზიდან, რომელიც გამოწვეულია დაავადებით ან დაზიანებით, 3) ცნობიერების ანომალია, არსებითად უნდა ამცირებდეს ბრალდებულის ფსიქიკურ პასუხისმგებლობას, მისი მოქმედების ან უმოქმედობისათვის. სასამართლო პრაქტიკა მიიჩნევს, რომ არსებითი შემცირება გულისხმობს, ბრალდებულის მიერ თავისი მოქმედების და იმპულსების კონტროლირების შეუძლებლობას.

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 89-ე მუხლის შესაბამისად, პირი რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში იმყოფებოდა ისეთ ფსიქიკურ მდგომარეობაში, რომელიც არ გამორიცხავდა, მაგრამ არსებითად ამცირებდა მის უნარს

<sup>1</sup> იხ. Кузнецова Н.Ф. Вельцель Л. Уголовное право ФРГ, Изд. Московского университета, 1980, с. 92.

<sup>2</sup> იხ. Современное уголовное право. Том II. Под редакцией А.А. Пионтковского, М., 1958, с. 321.

<sup>3</sup> Власов И. С. Гуценко К. Ф. Решетников Ф. М. Штромас А. Ю. Уголовное право зарубежных государств, Вып. 2. М., 1972, с. 197, 205.

გაეცნობიერებია და ესურვა, აგებს პასუხს ჩადენილზე, მაგრამ სასჯელი მას უნდა შეუმცირდეს. ამრიგად, იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი შეზღუდული შერაცხადობის შემთხვევაში ითვალისწინებს სასჯელის საგადატულო შემცირებას.

იტალიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით შეზღუდულ შერაცხადად პირი შეიძლება მიჩნეულ იქნას არა მხოლოდ ფსიქიკური დაავადების გამო, არამედ ყრუმუნჯობის, სიმთვრალის (ალკოჰოლური, ნარკოტიკული), თუ მისი უნარი „გააცნობიეროს და ისურვოს“ იყო მნიშვნელოვნად შემცირებული.<sup>1</sup>

ამით, გვინდა დავასრულოთ შეზღუდული შერაცხადობის ისტორიული ასპექტის მიმოხილვა. ვფიქრობთ, ისტორიული ასპექტის მიმოხილვიდანაც ჩანს, თუ რამდენად რთული, მრავალმხრივი და მნიშვნელოვანია შეზღუდული შერაცხადობის პრობლემა. დისერტაციის მომდევნო თავებში, ჩვენ შევეცდებით ამ პრობლემის ცალკეული ასპექტების უფრო დრმად და საფუძვლიანად გაანალიზებას.

---

<sup>1</sup> о.в. Уголовное право зарубежных государств. Общая часть. Под редакцией проф И.Д. Козочкина, М., 2001, с. 40-41, 526-527.

## თავი II

### შეზღუდული შერაცხადობის მომიჯნავე მდგომარეობანი და ნებისყოფის თავისუფლება

#### 2.1 ნებისყოფის თავისუფლების (მოქმედების არჩევანის თავისუფლების) საკითხი შეზღუდული შერაცხადის დანაშაულებრივ ქცევაში.

მრავალი საუკუნეა ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა აზრთა ჭიდილის საგანია კაცობრიობის უდიდეს მოაზროვნეთა შორის. ნების თავისუფლების პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, ფილოსოფიურ-ფიქოლოგიური პრობლემაა. თავისუფლება ხომ ფილოსოფიური კატეგორია, ხოლო ნება (ნებისყოფა) ფიქოლოგის სფეროს მიეკუთვნება. იურისპრუდენციას კი, კერძოდ სისხლის სამართალს, ნებისყოფის თავისუფლების საკითხი აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ის წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელ წინაპირობას, რამეთუ მხოლოდ ნებისყოფის თავისუფლებით (მოქმედების არჩევანის თავისუფლებით) ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის შეიძლება გაიკიცხოს პირი და დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ჩვენ, თავდაპირველად მოკლედ გადმოვცემთ ფილოსოფოსთა, ფიქოლოგთა და იურისტთა შეხედულებებს ხესნებულ საკითხზე. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გადმოცემის ეკონომის მიზნით არ შევუდგებით ცალკეულ მოსაზრებათა განხილვას მათი გადმოცემისთანავე და ჩვენს აზრს, როგორც აღნიშნულ მოსაზრებებზე, ასევე მთლიანად საკითხისადმი გადმოვცემთ ამ პარაგრაფის ბოლოს.

##### 2.1.1 ნებისყოფის თავისუფლების ფილოსოფიური ასპექტი

ფილოსოფიურ ლიტერატურაში განსაკუთრებული სისრულით ეს საკითხი განხილულია ი. კანტის, ვ. პეგელის, ა. შოპენჰაუერის ნაშრომებში. სწორედ მათზე შევაჩერეთ ჩვენი არჩევანი. ი. კანტი „წმინდა გონების კრიტიკაში“ წერს: „ადამიანის ყოველი ქცევა, მოქმედება მოვლენაში განსაზღვრულია ემპირიული ხასიათისაგან და სხვა თანამოქმედი მიზეზებისაგან ბუნების წესრიგის თანახმად. მაშასადამე, ამ ემპირიული ხასიათის მიმართ არ არსებობს არავითარი თავისუფლება“. ერთი შეხედვით ჩანს, თითქოს ი. კანტის ამ დებულებით დგინდება ადამიანის მოქმედების აბსოლუტური დეტერმინირება, რაც შეუძლებელს ხდის შერაცხვის და პასუხისგებლობის დასაბუთებას.

მაგრამ იქვე ი. კანტი აღნიშნავს: „თუ შევადარებთ გონებას პრაქტიკული მიზნით, მაშინ ვიპოვით სულ სხვა წესსა და წესრიგს, ვიდრე ბუნების წესრიგია და ამ შემთხვევაში მოქმედებები შესრულდება არა იმიტომ, რომ განსაზღვრული იყვნენ ემპირიული მიზეზების გამო, არამედ იმიტომ, რომ ისინი განსაზღვრული იყვნენ გონების საფუძვლების მიერ“<sup>1</sup>. ი. კანტის მიხედვით, ნებისყოფის

<sup>1</sup> კანტი ი. წმინდა გონების კრიტიკა. თბ., 1979, გვ. 346.

თავისუფლება არის თვისება ნებისა იყოს თავისთვის კანონი. თავისუფალი ნება და ნება დამორჩილებული ზნეობრივ კანონებს არის ერთი და იგივე. ზნეობრივი კანონი ი. კანტის მიხედვით მოცემულია გონიერი არსებობის ნებისყოფაში და მისი არსებობა წარმოადგენს ნებისყოფის თავისუფლების უტყუარ მტკიცებულებას. მაგრამ არსებობს კი ასეთი თავისუფალი მხოლოდ ზნეობრივ კანონს დამორჩილებული ნება? ამ კითხვაზე პასუხისათვის ი. კანტი გვთავაზობს განვასხვავოთ მიზეზობრიობა ბუნებრივი აუცილებლობასა და მიზეზობრიობა თავისუფლებისა. პირველი ეხება ნივთების არსებობას, რამეთუ ისინი განისაზღვრებიან დროში, ე.ი. ეხება ამ ნივთებს მოვლენების სახით. მეორე ეხება მხოლოდ როგორც ნივთებს თავის თავში, რომელთა მიმართ არ გამოიყენება დროში არსებობა. აქედან გამომდინარე, ი. კანტისათვის ადამიანი „როგორც ნივთი თავის თავში“ თავისუფალია ქცევის არჩევანისას. ყოველი ქცევა, ამბობს კანტი, არის უშუალო ზემოქმედება წმინდა გონების, თვით ეს გონება მოქმედებს თავისუფლად, არ განისაზღვრება არც გარეგანი და არც შინაგანი საფუძვლებით, რომლებიც მას წინ უსწრებენ დროში. ამ მოსაზრებით კანტი ხსნის შერაცხვის შესაძლებლობას<sup>1</sup>.

ის მიუთითებს: „ჩვენ გვესმის, რომ ემპირიული ქცევა განისაზღვრება სხვადასხვა მიზეზებით (შინაგანი, გარეგანი), მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვკიცხავთ დამნაშავეს. ჩვენ ვკიცხავთ მას არა ცუდი ბუნებისათვის (რაშიც ის არაა დამნაშავე), არა გარემოებებისათვის, რომლებიც მასზე ახდენენ ზეგავლენას. ჩვენი გაკიცხვა ეფუძნება გონების კანონს. გონება განისაზღვრება, როგორც ისეთი მიზეზი, რომელსაც შეეძლო და უნდა განესაზღვრა ადამიანის მოქმედება სხვა ქცევისაგან. როცა ადამიანი ჩადის დანაშაულს, ამისათვის მას ედება ბრალი, მიუხედავად ქცევის ყველა ემპირიული პირობისა, რამეთუ გონება ამ დროს არის თავისუფალი<sup>2</sup>.“

ი. კანტი ამტკიცებს, ყოველ გონიერ არსებას, რომელიც ფლობს ნებას, ჩვენ უნდა მივაწეროთ აგრეთვე თავისუფლების იდეა და ის, რომ ის მოქმედებს მხოლოდ ამ იდეით. გონიერი არსების ნება შეიძლება იყოს მისი საკუთარი ნება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ხელმძღვანელობს თავისუფლების იდეით და შესაბამისად პრაქტიკული თვალსაზრისით, ჩვენ უნდა მივაწეროთ ის ყველა გონიერ არსებას<sup>3</sup>.

ზემოთმოყვანილი მოსაზრებიდან დასტურდება, რომ ი. კანტისათვის შერაცხადობის და პასუხისმგებლობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ნებისყოფის თავისუფლება. თავისუფლება კანტისათვის არის გონების იდეა, რომლის ობიექტური რეალობა თავისთავად იწვევს ეჭვს. მაგრამ, აქვე უნდა გავიხსენოთ ი. კანტის მიერ დასმული კითხვა, ეწინააღმდეგება თუ არა თავისუფლება ბუნების აუცილებლობას ერთსა და იმავე საქციელში? ამ კითხვაზე ი. კანტი პასუხობს: „ფილოსოფიამ უნდა ივარაუდოს, რომ არ არსებობს ნამდვილი წინააღმდეგობა ადამიანის

<sup>1</sup> იხ. Кант И. Сочинения в 6-ти томах . Том 4, часть1, М., 1965, с. 25-28.

<sup>2</sup> Кант И. Сочинения в 6-ти томах Том 4, часть 1, М., 1965, с. 35.

<sup>3</sup> იხ. Кант И. დასახ. ნაშრ. გვ.291-292.

ერთსა და იმავე მოქმედებაში თავისუფლებისა და ბუნებრივ აუცილებლობას შორის, რამეთუ მას არ შეუძლია უარი თქვას, როგორც ბუნების, ასევე თავისუფლების ცნებაზე<sup>1</sup>.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ი. კანტი არ უპირისპირებს ერთმანეთს ბუნებრივ აუცილებლობას და თავისუფლებას, რაც შესაძლებლობას იძლევა დასაბუთდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მიუხედავად ქცევის დეტერმინირებისა, არსებობს გონების თავისუფლება, ანუ ადამიანს რჩება მოქმედების არჩევის (სხვაგვარად ქცევის) შესაძლებლობა, რაც შესაძლებელს ხდის ქმედების შერაცხვას და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

გერმანული კლასიკური ფილოსოფიის მეორე უდიდესი წარმომადგენელი გ. ჰეგელიც, პასუხისმგებლობას უკავშირებს ნებისყოფის თავისუფლებას, მაგრამ ი. კანტთან შედარებით განსხვავებულად უდებება ამ საკითხს. ჰეგელის მიერ ნებისყოფის თავისუფლების გაგება უკავშირდება მის აზროვნებისა და ნებისყოფის ერთიანობას. თუ კანტი ყოფდა აზროვნებასა და ნებას, თეორიულ და პრაქტიკულ გონს, ჰეგელი გამოდის ნებისა და აზროვნების ერთიანობიდან. ჰეგელის აზრით, არ შეიძლება ფლობდე ნებისყოფას, თუ ვერ აზროვნებ. ნებელობით მოქმედებაში, პრაქტიკულ დამოკიდებულებაში იმ საგნისადმი, მოცემულია ამ საგნის გააზრება, ე.ი. თეორიული დამოკიდებულება მისადმი. ნება არის აზროვნება, რომელიც გადააქცევს თავის თავს არსებულ ყოფიერებად.<sup>2</sup> ნებას ჰეგელი განიხილავს ორი ელემენტის მეშვეობით. ნების საერთო ელემენტი, ჰეგელის აზრით, მდგომარეობს ადამიანის უნარში მოახდინოს აბსტრაგირება, განყენება ნებისყოფის ყოველგვარი განსაზღვრებიდან, შინაარსიდან. ნებისყოფის თავისუფლების მეორე ელემენტს წარმოადგენს რაღაც განსაზღვრული, განსაკუთრებული, რაზეც მიმართულია ნება. თუ ნებისყოფის თავისუფლების საერთო ელემენტი გამოიხატება გაურკვევლობაში, აბსტრაგირებაში ყოველივე კონკრეტულისაგან, მეორე ელემენტი გულისხმობს რაღაც განსაზღვრულს, იძენს გარკვეულ შინაარსს. მხოლოდ საერთო და კერძო ელემენტების ერთობა იძლევა ჰეგელის აზრით, ჰეშმარიტ განსაზღვრებას ნების თავისუფლებისა.<sup>3</sup>

ჰეგელი ნების განვითარებაში განასხვავებს 3 ეტაპს: 1) ბუნებრივი ნება; 2) თვითნებობა; 3) გონიერი ნება – ნამდვილად თავისუფალი ნება. ბუნებრივი ნება გულისხმობს მხოლოდ თავისუფლების შესაძლებლობას, ის თავისუფალია მხოლოდ თავის თავში. ასეთი ნება გაიგება ჰეგელის მიერ, როგორც არათავისუფალი ფორმითაც და შინაარსითაც. ის არის არათავისუფალი თავისი შინაარსით იმიტომ, რომ მისი შინაარსი განისაზღვრება ბუნებრივი მიწრაფებებით და მიდრეკილებებით. ის არის არათავისუფალი ფორმით იმიტომ, რომ გამოიხატება ბრმა სწრაფვაში ბუნებრივი მიდრეკილების დაკმაყოფილებისაკენ.

<sup>1</sup> Кант И. დასახ. ნაშრ. გვ. 301.

<sup>2</sup> ი. Пионтковский А.А. Учение Гегеля о праве и государстве и его уголовно-правовая теория М., 1963, с. 91-92.

<sup>3</sup> იქვე გვ. 94-95.

მეორე ეტაპს წარმოადგენს თვითნებობა – თავისუფალი ნება, მხოლოდ თავისთვის, თვითნებობა არის მხოლოდ ფორმალური თავისუფლება, თავისუფლება მხოლოდ ფორმით და არა შინაარსით, ადამიანის ნების თვითნებობაში კლინდება ადამიანისათვის დამახასიათებელი პიროვნული თავისებურებანი. აგრეთვე თვითნებობის დროს, ნების შინაარსი განისაზღვრება არა ნების ბუნებით, არამედ რაღაც გარეშეთი, შემთხვევითით და ის არ არის თავისუფალი. რაც შეეხება გონიერ ნებას - ნამდვილად თავისუფალ ნებას, ის განისაზღვრება ჰეგელის მიერ, როგორც მოაზროვნე ინტელექტი. ნამდვილად თავისუფალი ნება ჰეგელისათვის არის ის ნება, რომლის შეგნებულ მიზანს წარმოადგენს გონიერება. ნამდვილი თავისუფლება არის გაცნობიერებული გონიერება, გონიერება რომელიც ნებას აქვს თავის შეგნებულ მიზნად. ჰეგელის მიხედვით, თავისუფლება არის გაცნობიერებული, გახსნილი აუცილებლობა.<sup>1</sup> ჰეგელის აზრით, გონება და ნება ერთიანობაში წარმოადგენენ შერაცხადობის აუცილებელ პირობას, ხოლო შეურაცხაობა ჰეგელისათვის მდგომარეობს როგორც ნების თავისუფლების, ასევე აზროვნების უნარის უქონლობაში.

ა. შოპენჰაუერი მიეკუთვნება იმ ფილოსოფოსთა რიცხვს, რომელთა აზრით ნებისყოფის თავისუფლების პრობლემის გააზრების გარეშე, შეუძლებელია გადაწყვიტო სხვა პრობლემა. ა. შოპენჰაუერის აზრით, სწორედ ნება უდევს საფუძვლად ყველაფერს, რაც ჩვენს გარშემოა, ნებისყოფის გამოვლინებას წარმოადგენს ყოველივე. შოპენჰაუერი ი. კანტის მსგავსად განასხვავებს სამყაროს, რომელიც არ არის დამოკიდებული ადამიანის გრძნობებზე, სადაც ბატონობს ნება და სამყაროს, რომელსაც ხედავს და აღიქვამს ადამიანი. ადამიანს ის განიხილავს უპირველესად, როგორც ნებით არსებას. შოპენჰაუერი თვლის, რომ ნება განისაზღვრავს ადამიანის ცნობიერებას და არა პირიქით. ადამიანის ყოველი მოქმედება, წერს შოპენჰაუერი, განისაზღვრება ორი ფაქტორით – ადამიანის ხასიათით და მოტივებით. ხასიათი არის ემპირიულად შეცნობილი, მუდმივი და უცვლელი ბუნება, მოცემული ინდივიდუალური ნების, თუმცა ნება თავისუფალია, მაგრამ ის თავისუფალია მხოლოდ თავის თავში და მოვლენის გარეთ, ხოლო მოვლენაში ის მოცემულია გარკვეული ხასიათით, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ყველა მისი მოქმედება და ის განისაზღვრება შემომავალი მოტივებით. ორივე ზემოხსენებული ფაქტორი აუცილებელია ყოველი მოქმედებისათვის და ამით აიხსნება შოპენჰაუერის მიერ, რომ ყოველი მოქმედება მომდინარეობს ადამიანისაგან და დამოკიდებულია მასზე. ამდენად ის პასუხისმგებელია ამ მოქმედებისათვის.<sup>2</sup> შემდეგ ის მიუთითებს, თუ ავიღებთ ადამიანის მოქმედებებს Objective ე.ი. გარედან უნდა ვაღიაროთ, რომ ის ექვემდებარება მიზეზიონბრიობის კანონს, როგორც ყველაფერი არსებული სამყაროში, Subjective კი

<sup>1</sup> იქვე, გვ. 96-99.

<sup>2</sup> Шопенгауер А. Свобода воли и нравственность М., 1992, с. 118-120.

ეველა გრძნობას, რომ ის აკეთებს მხოლოდ იმას, რაც უნდა.<sup>1</sup> ეს გულისხმობს, რომ ობიექტურად ადამიანის ქმედებანი წარმოადგენენ ისეთივე აუცილებლობას, როგორც ნებისმიერი სხვა ბუნებაში არსებული მიზეზ-შედეგობრივი მოვლენა. მაგრამ, თუ იმავე მოქმედებებს შევხედავთ შიგნიდან Subjective, მისი წარმომშობი ძალის, ანუ ნების გათვალისწინებით, მაშინ შეიძლება ვისაუბროთ თავისუფლებაზე, რამეთუ ნებას ინტელექტის მეშვეობით შეუძლია აირჩიოს წარმოდგენილი მოტივებიდან მისთვის სასურველი ქცევა. ინტელექტი შოპენჰაუერის მიხედვით არის, შეუამავალი მოტივებისა და თუ ის იმყოფება ნორმალურ მდგომარეობაში და ნებას წარუდგენს მოტივებს მათი ჭეშმარიტი სახით, მაშინ ნება აკეთებს სწორ არჩევანს.<sup>2</sup> ამით შოპენჰაუერი სხნის შერაცხადობას, ანუ ეს ნიშნავს რომ ადამიანი თავისუფალია, რამეთუ მისი მოქმედება წარმოადგენს შედეგს მისი ნების რეაქციისა მოტივებაზე, ის აკეთებს თავის ნების შესაბამის არჩევანს. შეურაცხაობას შოპენჰაუერი უკავშირებს ინტელექტის მუდმივ ან დროებით მოშლას, ან მოტივების არასწორ გაგებას. პირველი, მისი აზრით, შეიძლება გამოწვეული იყოს სიგიურით, ბოდვებით, სიმთვრალით. მეორეს შეიძლება პქონდეს ადგილი სრული, ან უნებლიერ შეცდომის დროს. შოპენჰაუერი წერს: „ადამიანმა ან არ იცოდა რას აკეთებდა, ან არ პქონდა უნარი მიეღო მხედველობაში ის, რასაც უნდა შეეკავებინა იგი მოცემული მოქმედებისაგან“<sup>3</sup>. ასეთია მოკლედ ა. შოპენჰაუერის შეხედულება ნების თავისუფლებასა და შერაცხადობაზე.

ამ მხრივ, საინტერესოა ო. ტაბიძის შემდეგი მსჯელობა, რომ ნების თავისუფლება ადამიანის ცნობიერ თვითაქტივობას გულისხმობს. ადამიანი, მექანიკური ფიზიკური საგნებისაგან განსხვავებით ცნობიერ მიზნებს ისახავს, შეარჩევს თავისი მოქმედების ორიენტირს – მიზანს და მისი განხორციელებისათვის ასევე არჩევით მოქმედებას მიმართავს. იგი, ამ აზრით, თვითონაა მოქმედი და არაა შებოჭილი ფიზიკური (ფიზიოლოგიური) პროცესებით. მაგრამ, მეორე მხრივ, ადამიანი ფიზიკური ორგანიზაციაა, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ მიზეზობრივადაა დეტერმინირებული, მისთვის უცხოა არჩევანი, რომელიც თავისუფალი ნების არსებითი პრედიკატია. გამოდის, რომ ადამიანი თავისუფალიცაა და არცაა თავისუფალი.<sup>4</sup> ო. ტაბიძე აღნიშნული პრობლემის გადაჭრას ფსიქოფიზიკური მთლიანობის საფუძველზე ცდილობს. ის აღნიშნავს: „ჩვენ ვიცით, რომ რეალური მოქმედება მიეწერება ფსიქოფიზიკურ მთლიანობას და არა მის რომელიმე ცალკეულ იზოლირებულ მომენტს. თავისუფლება ფსიქოფიზიკური მთლიანის კუთვნილებაა.“<sup>5</sup> ადამიანი, როგორც ფსიქოფიზიკური მთლიანი არ არღვევს ფიზიკის კანონებს, იგი შეუძლებელია ფიზიკური კანონებით არ იყოს დეტერმინირებული, მაგრამ იგი არა

<sup>1</sup> იქვე, გვ. 120-121.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 121.

<sup>3</sup> Шопенгауер А. დასახ. ნაშრ. გვ. 123.

<sup>4</sup> იხ. ტაბიძე ო. ბიჟევიორისტული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები. თბ., 1968. გვ. 101.

<sup>5</sup> ქვე. გვ. 101.

დეტერმინირებული მხოლოდ ამ ფიზიკურის კანონებით, რომელიც ფსიქოფიზიკური მთელის გარეთ იმყოფება. ფიზიკური ორგანიზაცია, რომელსაც ადამიანი შეიცავს და რომლის კანონებსაც იგი ემორჩილება, ახალ სპეციფიკურ თვისებას ფლობს, რომელიც ამ ორგანიზაციის გარეთ მყოფ ფიზიკურს არ ახასიათებს. ფსიქოფიზიკური მთლიანი ამ ახალი ფიზიკური ორგანიზაციის, ფსიქიკური საზარისის მქონე ფიზიკურის კანონებითაა დეტერმინირებული, მაგრამ ეს დეტერმინირებულობა არ ეწინააღმდეგება თვითრეგულაციის, თვითაქტივობის, არჩევითი მოქმედების შესაძლებლობას.<sup>1</sup>

ო. ტაბიძე თავის ნაშრომში ეხება ადამიანის მთლიანობის პრობლემას და აღნიშნავს, რომ მთლიანი გარკვეული აზრით, გულისხმობს „ნაწილებსაც“, რომელთა გამთლიანებასაც ის წარმოადგენს. მთლიანი შეიცავს ნაწილებს, შემადგენელ მხარეებს, რომელთა გარეშე შეუძლებელია მთლიანის აგება. შემეცნების მიზანს წარმოადგენს როგორც ერთის წვდომა, ისე მთლიანის დამატებითი მომენტის გაგებაც.<sup>2</sup> თუ გვეცოდინება უმაღლესი ფენის თავისებურება და მისი შემადგენელი ნაწილების (ფენების) როლი ამ მთლიანში, მაშინ მთლიანის სრული შემეცნება მიღწეული იქნება. ამაზე მეტი მთლიანის შესახებ ცოდნას არც შეუძლია და არც მოეთხოვება, ამავე დროს ეს ცოდნა საკმარისია მთლიანის გაგებისათვის და პრაქტიკულად განხორციელებისათვისაც.<sup>3</sup>

ჩვენი მომავალი კვლევის საფუძვლად, ჩვენ მთლიანის და ნაწილების ფილოსოფიურ გაგებას გამოვიყენებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ შეზღუდული შერაცხადობა, როგორც ბრალის შემამსუბუქებელი გარემოება არის მთლიანი, ხოლო ფსიქიკური დაავადება, ხასიათის აქცენტუაცია, აფექტი და სხვა არის ნაწილები, რომლებსაც შეიცავს მთელი და რომელთა გარეშე მისი (მთელის) გაგება შეუძლებელია, თუმცა ცალკეულ ნაწილებზე ის არ დაიყვანება და მხოლოდ ცალკეული ნაწილების მეშვეობით ვერ აიხსნება. შეზღუდული შერაცხადობის არსის და ბუნების სწორი გაგებისათვის აუცილებელია მისი მთლიანი გაგება, როგორც მდგომარეობის, რომელიც მოიცავს ყველა იმ გარემოებას, რაც გავლენას ახდენს ქმედების ფაქტორივი ხასიათის და მართლწინააღმდეგობის სრულიად გაცნობიერების ანდა ხელმძღვანელობის უნარზე დანაშაულის ჩადენის დროს. მთლიანის და ნაწილების ანალოგიური გაგება დაედება საფუძვლად შერაცხადობას და შეურაცხაობასაც.

ქართველი ფილოსოფოსი ო. ტაბიძე აღნიშნავს: „ცნობიერება საშუალებას გვაძლევს წინასწარ გავითვალისწინოთ მომავალი შესაძლო ქცევა, შევაფასოთ იგი მისი დირებულების მიხედვით და მოვახდინოთ არჩევა. ეს იმას ნიშნავს, რომ ცნობიერება არის თავისუფლების პირობა.“<sup>4</sup> ადამიანი, როგორც გონიერი არსება არის თავისუფალი, რამდენადაც გვიჩვენებს, თვითაქტივობას, რომელიც გახსნილი სახით შეიცავს და ემყარება ბუნებრივ

<sup>1</sup> იქვე, გვ. 102.

<sup>2</sup> იხ. ტაბიძე ო. ადამიანი, თავისუფლება, შემოქმედება. თბ., 1991, გვ. 9-10.

<sup>3</sup> იხ. ტაბიძე ო. დასახ. ნაშრ. გვ. 50.

<sup>4</sup> ტაბიძე ო. დასახ. ნაშრ. გვ. 153.

დეტერმინირებულობას.<sup>1</sup> როგორც ო. ტაბიძის მსჯელობიდან ჩანს, ცნობიერება არის თავისუფლების აუცილებელი პირობა, ურომლისოდაც ადამიანი თავისუფალი ვერ იქნება. გაცნობიერების გარეშე ადამიანი ვერ შეძლებს თავისი ქცევის შეფასებას, შესაბამისად ვერც სწორი არჩევანის გაკეთებას, ურომლისოდაც საუბარი ნების თავისუფლებაზე და შერაცხადობაზე შეუძლებელი იქნებოდა.

### **2.1.2 ნებისყოფის თავისუფლების ფსიქოლოგიური ასპექტი**

ახლა მოკლედ შევეხებით ფსიქოლოგთა შეხედულებებს ნების (ნებისყოფის) თავისუფლებაზე. ნების თავისუფლებაზე დ. უზნაძე აღნიშნავს; „როდესაც ადამიანი ნებელობას მიმართავს, იგი წინასწარ აქტუალურ სიტუაციის იმპულსს უსხელტება ხელიდან, მისი იძულებისაგან თავისუფლდება: იგი არ აძლევს აქტუალურ სიტუაციას შესაძლებლობას, მასში შესატყვისი მოქმედების განწყობა გამოიწვიოს. მაგრამ ეს უკვე ერთგვარი თავისუფლებაა – თავისუფლება, ასე ვთქვათ ნეგატიური: თავისუფლება უმოქმედობისა. მაგრამ ამავე ნიადაგზე მოქმედების თავისუფლებაც აიგება. სუბიექტი თვითონ ქმნის თავის თავში განსაზღვრული მოქმედების განწყობას და, მაშასადამე, თვითონ იწვევს დამოუკიდებლად ამ მოქმედებას. ეს უკვე მოქმედების თავისუფლებაა.”<sup>2</sup> დ. უზნაძე აღნიშნავს, რომ ნებელობა თავისუფალია რამდენადაც აქტუალური სიტუაციის გავლენას არ ემორჩილება, რამდენადაც აქედან მომდინარე იძულებას არ განიცდის. იგი თავისუფალია, რამდენადაც მასზე მოქმედი სიტუაცია წარმოსახვითია, მაშასადამე სუბიექტის მიერაა გაცნობიერებული, მაგრამ იგი დეტერმინირებულია, არაა თავისუფალი, რამდენადაც თუმცა წარმოსახული, მაგრამ მაინც სიტუაციითაა პირობადებული.<sup>3</sup>

შ. ჩხარტიშვილი მიუთითებს, რომ ნებისყოფის თავისუფლების პრობლემასთან დაკავშირებით აყენებენ შესაძლებლობის, არჩევანისა და ნდომის თავისუფლების საკითხს. პიროვნების შესაძლებლობა მისი საკუთარი ფსიქო-ფიზიკური სტრუქტურითაა განსაზღვრული. პიროვნება ამ სტრუქტურაში მოცემულ შესაძლებლობათა საზღვრებშია თავისუფალი და ისიც, იქ, სადაც ეს შესაძლებლობები გარეგანი იძულებითი არ არიან შევიწროვებული. არჩევანი ერთის მხრივ შესაძლებლობითაა განსაზღვრული, ხოლო მეორეს მხრივ იმით, რასაც ნდომას უწოდებენ. იქ სადაც არჩევანის აქვს ადგილი საკითხი უძლიერესი ნდომის, ანუ მოტივის სასარგებლოდ წყდება და ამდენად, არჩევანი ამ ნდომით თუ მოტივით განისაზღვრება. ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა, არსებითად ნდომის თავისუფლებას ეხება. მოაზროვნები, რომლებიც ამ პრობლემას იხილავენ, მოთხოვნილებასა და ნებისყოფას „მე მინდა“ და „მე უნდა“ განცდებს ერთმანეთისგან არსებითად არ განასხვავებენ, ერთმანეთს არ უპირისპირებენ. ისინი საკითხს ასეთ ფორმაში აყენებენ:

<sup>1</sup> იხ. ტაბიძე ო. დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

<sup>2</sup> უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. შრომები ტ. III-IV. თბ., 1964, გვ. 221.

<sup>3</sup> იხ. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. თბ., 1990. თხუ გამომცემლობა, გვ. 177-178.

ადამიანს შეუძლია აირჩიოს და გააკეთოს ის, რაც მას უნდა. მაგრამ თვითონ ნდომა, არის თუ არა მასზე დამოკიდებული? შეიძლება თუ არა მას ის ნდომა ჰქონდეს, რომელსაც თვითონ მოისურვებს? თავისუფალია, თუ გარედანაა იძულებით განსაზღვრული ნდომაში?<sup>1</sup>

შ. ჩხარტიშვილი აღნიშნავს, რომ აღზრდისა და გარემოებების ზემოქმედების გზით ადამიანს უმუშავდება უნარი აკეთოს არა მარტო ის, რაც მას უნდა, რისი მოთხოვნილებაც აქვს, არამედ ისიც, რასაც თვითონ მისგან მოითხოვს საზოგადოებრივი ცხოვრება, რაც საჭირო თუ სასარგებლო, აუცილებელი და მორალურად თუ იურიდიულად სავალდებულოა. ეს უნარი, ეს თვისება არის ნებისყოფა, რომელიც მოთხოვნილებებზეც ავრცელებს თავის მოქმედებას და საჭიროების შემთხვევაში მათ შეკავებას ახერხებს.<sup>2</sup>

არჩევანის შემთხვევაში, ნებისყოფის სუბიექტი მხედველობაში ღებულობს ობიექტური ღირებულების სიდიდეს, რომელსაც ინტელექტის საშუალებით სწვდება, მაშინ, როცა მოთხოვნილება, ყოველთვის იმ ნიადაგზე, იმ ღირებულებაზე ჩერდება, რომლის თვისებებიც მას აკმაყოფილებს<sup>3</sup>. ამ მდგომარეობის საილუსტრაციოდ მოვიყვანო მაგალითს შ. ჩხარტიშვილის წინაშე შეიძლება ასეთი ალტერნატივა დადგეს: გაკვეთილები ისწავლოს, თუ ამხანაგებთან წავიდეს სათამაშოდ, პირველი ნებელობის სუბიექტის საქმეა, მეორე კი მოთხოვნილების სუბიექტისა. რომელ გზას დაადგება მოსწავლე, ეს იმაზეა დამოკიდებული თუ რა უფრო სჭარბობს მასში: ნებისყოფის ძალა, თუ მოთხოვნილების იმპულსი. შეიძლება იგი კარგად ხედავდეს, რომ მისთვის სახლში დარჩენა და მეცადინეობა სჯობს, მაგრამ ვერ დაძლიოს მოთხოვნილების იმპულსი და მაინც წავიდეს ამხანაგებთან სათამაშოდ. ასეთ შემთხვევაში მის მოქმედებას იძულებითი ხასიათი აქვს, რადგან ის არ წარმოადგენს თავისუფალი არჩევანის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებას, ინდივიდი გრძნობს ამ შინაგან იძულებას და ზოგჯერ სინაულს გამოთქვამს, რომ თავშეკავებას ვერ ახერხებს, ძალა არ ყოფნის<sup>4</sup>.

რუსი ფსიქოლოგი ვ. ივანიკოვი თავის ნაშრომში მიუთითებს, რომ ფსიქოლოგიაში არსებობს სამი მიდგომა, ნების თავისუფლებისადმი: 1) მოტივაციური მიდგომა; 2) თავისუფალი არჩევანის მიდგომა; 3) რეგულაციური მიდგომა<sup>5</sup>. მოტივაციური მიდგომა ხასიათდება იმით, რომ ნება გაიგება, როგორც მოქმედებათა ინიცირების ან მოქმედებისკენ წაქეზების გაძლიერების უნარი. თავისუფალი არჩევანის მიდგომაში ნება ხასიათდება

<sup>1</sup> იხ. ჩხარტიშვილი შ. ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა. თბ., 1958, გვ. 280-282.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 280-282.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 282.

<sup>4</sup> იხ. ჩხარტიშვილი შ. ნებისყოფა და მისი აღზრდა. თბ., 1964, გვ. 62.

<sup>5</sup> იხ. Иванников В.А. Психологические механизмы волевой регуляции. М., 1991, Изд. МГУ, с. 8-9.

უნარით აირჩიოს შემოთავაზებული რეალური შესაძლებლობებიდან. რეგულაციური მიდგომა ხასიათდება იმით, რომ ნება გაიგება როგორც ფსიქიკური მექანიზმი, რომლის მეშვეობით ხდება ფსიქიკური ფუნქციების რეგულირება.<sup>1</sup> მიუხედავად განსხვავებული მიდგომისა, ზოგიერთი ფსიქოლოგი თვლის, რომ ნებისმიერი ქცევა ხასიათდება ერთდროულად ყველა ზემოთდასახელებული ფუნქციით, ანუ ისინი არ უპირისპირებენ ამ მიდგომებს ერთმანეთს და თვლიან, რომ მხოლოდ მათ ერთობლიობას და არა ცალკ-ცალკე აღებულს შეუძლია მოგვცეს ნებისმიერი ქცევა.<sup>2</sup>

### 2.1.3 ნებისყოფის თავისუფლების სამართლებრივი ასპექტი

რაც შეეხება იურიდიულ მეცნიერებას, აქ ნებისყოფის თავისუფლებაზე გამოთქმულია უამრავი მოსაზრება, შექმნილია არაერთი ნაშრომი. ჩვენ, მხოლოდ ზოგიერთ მათგანს შევეხებით, რაც ვფიქრობთ, საშუალებას მოგვცემს ზოგადად წარმოვაჩინოთ ამ პრობლემისადმი დამოკიდებულება. ზოგიერთი მეცნიერი, საერთოდ უარყოფს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის ნებისყოფის თავისუფლების მნიშვნელობას, რადგან მისი აზრით, თუ ნებისყოფის თავისუფლება მდგომარეობს სოციალურ კანონზომიერებათა შეცნობაში და მოქმედების დაქვემდებარებაში საზოგადოებრივი ინტერესებისადმი, მაშინ თავისუფლად მოქმედებენ მხოლოდ კანონმორჩილი ადამიანები, ხოლო დანაშაულის ჩადენა არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნებისყოფის თავისუფლების გამოვლინება, რადგან დამნაშავის მოქმედება წინააღმდეგობაშია ობიექტური სინამდვილის კანონზომიერ განვითარებასთან.<sup>3</sup>

მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს ვ. ნომოკონოვი. მისი აზრით, დანაშაულებრივი ქცევა ეწინააღმდეგება საზოგადოების პროგრესულ სოციალურ კანონზომიერებებს და ამ მხრივ, დეფექტური და არათავისუფალია. ის ასევე მიიჩნევს, რომ დანაშაული ეწინააღმდეგება თვით დამნაშავის ინტერესებს და ხშირად გამოხატავს უშუალო კონფლიქტს, დამნაშავისა თავის თავთან. ვ. ნომოკონოვის აზრით, დამნაშავის ნებისყოფის თავისუფლება უახლოვდება თვითნებობას პირისა, რომელმაც დაუპირისპირა თავისი თავი საზოგადოებას.<sup>4</sup> უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ნებისყოფის თავისუფლებისადმი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან მიმართებაში ე. ედელგაუზს. მას მიაჩნია, რომ ქცევის ამა თუ იმ ვარიანტის არჩევა დამოკიდებულია ადამიანის პიროვნულ სტერეოტიპზე, რომელშიც იგულისხმება ადამიანში ჩამოყალიბებული მუდმივი დომინანტები, ასევე მემკვიდრეობით მიღებული ნერვული სისტემის ტიპი, ტემპერამებზი, ფიზიკური კონსტრუქცია და ა.შ. ადამიანის

<sup>1</sup> უფრო დაწვრილებით ამ მიდგომათა დახასიათება მოცემულია Иванников В.А. დასახ. ნაშრ. გვ. 9-27.

<sup>2</sup> იხ. Ильин Е. П. Психология воли. СПб., 2002, с. 34.

<sup>3</sup> იხ. Тихонов К.Ф. Субъективная сторона преступления. Саратов, 1967, с. 52-53.

<sup>4</sup> იხ. Номоконов В.А. Преступное поведение, детерминизм и ответственность. Владивосток, 1989, с. 37-38.

მოქმედება განისაზღვრება მისი პიროვნული სტერეოტიპით და ჩაიდინება თავისუფლად, რადგან შეესაბამება ამ სტერეოტიპს. ეს სტერეოტიპი თავის მხრივ, განისაზღვრება საზოგადოებრივი და სხვა გარემოებებით, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი, აგრეთვე თანდაყოლილი და ცხოვრების მანძილზე შეძენილი ფაქტორებით. მაგრამ არ შეიძლება ბრალად შევრაცხოთ ადამიანს მისი პიროვნული სტერეოტიპი, ხოლო მოქმედება შეიძლება, რადგან ის არჩეულია თავისუფლად. ეს გაუგებრობა კ. ეგელგაუზის აზრით, შესაძლებელია დაიძლიოს თუ დამნაშავის მიმართ მოხდება არა სასჯელის გამოყენება, არამედ მისი სტერეოტიპის შეცვლა.<sup>1</sup>

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის ნებისყოფის თავისუფლებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად საბჭოთა კრიმინალისტობა უმრავლესობა ნებისყოფის თავისუფლებას განიხილავდა, როგორც აუცილებელ წინაპირობას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. პ. დაგელი და დ. კოტოვი აღნიშნავენ, რომ სისხლის სამართალში ნებისყოფის თავისუფლება გულისხმობს პირის უნარს, ანგარიში გაუწიოს საკუთარ თავს თავის მოქმედებაში, გააცნობიეროს მისი ფაქტობრივი მხარე და საზოგადოებრივი საშიშროება (უნარი მიიღო გადაწყვეტილება საქმის ცოდნით) და უხელმძღვანელოს მას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის გულისხმობს შერაცხადობას<sup>2</sup>. ი. სამოშენკოს მიაჩნია, რომ ნებისყოფის თავისუფლება არის უნარი და შესაძლებელია ადამიანისა იმოქმედოს საქმის ცოდნით. ადამიანის ნება განპირობებულია ობიექტური სინამდვილით (აუცილებლობით), მაგრამ განპირობებულია ცხობიერების ზემოქმედების მეშვეობით. მასზეა დამოკიდებული, თუ როგორ ქცევას აირჩევს ადამიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილების დროს (მატერიალური, სულიერი და ა.შ.). ადამიანს შეუძლია და შესწევს უნარი აირჩიოს ქცევის გარკვეული მიმართულება, ე.ი. იმოქმედოს შედარებით თავისუფლად. ი. სამოშენკო წერს, ნების თავისუფლება ფილოსოფიური თვალსაზრისით, არის გზა და წინაპირობა შედარებითი ნების თავისუფლების, როგორც ნამდვილი ცოდნა, საქმის ყველა გარემოების და ნამდვილად შეგნებული ქცევის არჩევანი. სწორედ შედარებითი ნების თავისუფლება, მოქმედების არჩევის თავისუფლება, ასაბუთებს შესაძლებლობას ბრალად შეერაცხოს პირს მიერ ჩადენილი ქმედება.<sup>3</sup>

კ. მაყაშვილის აზრით, ნებელობითი მოქმედების ცნობიერებით კონტროლირებადი და არჩევითი ხასიათი არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. კ. მაყაშვილი იქვე მიუთითებს, რომ სისხლისსამართლებრივი შერაცხვის წინაპირობას წარმოადგენს ადამიანის შესაძლებლობა იმოქმედოს სხვაგვარად, ვიდრე იგი მოქმედებდა მოცემულ

<sup>1</sup> ი. ედელგაუზ ე. მ. კ ვოპреки о понятии свободы воли в уголовном праве // Правоведение, 1962 №4 с. 140-144

<sup>2</sup> ი. დაგელ პ. ს. კოტოვ დ. პ. სубъективная сторона преступления и её установление.

Воронеж, 1974, с. 9

<sup>3</sup> ი. ს. სамоშენკო ი. ს. სвобода воли и её значение для правового регулирования общественных отношений // Советское государство и право, 1963, №12 с. 35-37.

კონკრეტულ შემთხვევაში.<sup>1</sup>

პროფ. თ. წერეთელი მიუთითებს, რომ ნებელობით აქტში მოქმედებს სუბიექტი, რომელიც შეგნებულად და მიზანმიმართულად არეგულირებს თავის მოქმედებას წინასწარ დასახული მიზნების შესაბამისად. ადამიანს ძალუბს არ დაემორჩილოს ამა თუ იმ მოტივებს და თავისი მოქმედება წარმართოს სხვა მოტივების მიხედვით. მას შეუძლია დათრგუნოს კონკრეტული სურვილები და წარმოშვას სხვა, რომელიც არ უკავშირდება კონკრეტული სიტუაციის უშუალო ზემოქმედებას.<sup>2</sup>

პროფ. გ. ნაჭელია აღნიშნავს, რომ ნებისყოფის თავისუფლება, როგორც თავისუფლებისა და აუცილებლობის დიალექტიკის ინდიდუალური ფორმა, კონკრეტული ქცევის აუცილებლად განხორციელების თავისუფლებაში მდგომარეობს. ეს იმას ნიშნავს, რომ სუბიექტმა ამ კონკრეტულ ქცევაში გამოავლინა მისი შინაგანი არსი.<sup>3</sup>

ნებისყოფის თავისუფლების პრობლემასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ინდეტერმინისტული და დეტერმინისტული მოძღვრებები, რომლებიც განსხვავებულად ასაბუთებენ ნებისყოფის თავისუფლების პრობლემას და მკეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს. თუმცა, როგორც თანამედროვე მეცნიერებაშია აღიარებული, არც დეტერმინიზმის და არც ინდეტერმინიზმის დებულებათა ცალსახა აღიარება, ან უარყოფა არ შეიძლება. ნებისყოფის თავისუფლება ინდეტერმინისტთა აზრით, არაფრით არ არის განპირობებული, ის თვითონ განსაზღვრავს თავის თავს გარეშე სამყაროსაგან დამოუკიდებლად. ინდეტერმინიზმის თვალსაზრისით, შეუძლებელია პასუხისმგებლობის და სასჯელის მიზანშეწონილობის დასაბუთება. არც დეტერმინიზმი ნებისყოფის თავისუფლების სრული უარყოფით იძლევა საშუალებას დასაბუთდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რადგან ადამიანი ცხადდება მასზე მოქმედი ფაქტორების ბრძა იარაღად. ამის საპირისპირო მართებულად მიუთითებს პროფ. თ. წერეთელი: „ადამიანის ნებისყოფის დეტერმინირება, სრულიად არ გულისხმობს ფატალიზმს, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანის ესა თუ ის მოქმედება ულმობელი აუცილებლობით უნდა ყოფილიყო ჩადენილი და არავითარი სხვაგვარი მოქმედების შესაძლებლობა ადამიანს არ ჰქონდა. დეტერმინიზმი არ გამორიცხავს სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობას“<sup>4</sup>. ასევე მართებულად მიგვაჩნია ზე კაკაბაძის მოსაზრება, რომ თავისუფლება არჩევანია, ის ყოფიერებაა არჩევანის საფუძველზე. არჩევანი კი ყოველთვის გულისხმობს არჩევანის საზომს. მაგრამ როგორია ადამიანის არჩევანის საზომი? გარკვეული აზრით, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვირჩევთ ჩვენი ინტერესების

<sup>1</sup> იხ. მაკაშვილი ვ. გ. უголовная ответственность за неосторожность М., 1957, с. 76

<sup>2</sup> იხ. ცერეტელი თ. ვ. Причинная связь в уголовном праве Тб., Изд. Тбилисского Государственного Университета, 1957, с. 8-9

<sup>3</sup> იხ. ნაჭელია გ. ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა სისხლის სამართალში. დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1975, გვ. 128

<sup>4</sup> წერეთელი თ. აუცილებლობისა და თავისუფლების დიალექტიკა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება, „მნათობი“, 1955 №10, გვ. 182

შესაბამისად. .... ჩვენ ჩვენი არჩევანის საზომად ვგულისხმობთ ჩვენს ფუნდამენტურ ინტერესებთან შესაბამისობას.<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, არჩევანის დროსაც ადამიანზე გავლენას ახდენენ გარკვეული ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ მისი მხრიდან არჩევანის გაკეთებას. ამიტომ, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ადამიანი თავისუფლია იმდენად, რამდენადაც მას შეუძლია იტვირთოს ეს თავისუფლება და ამის შესაბამისადაც მოეთხოვება პასუხი..

#### **2.1.4 შუალედური დასკვნა**

ახლა, შევეცდებით გადმოვცეთ ჩვენი შეხედულება ნებისყოფის თავისუფლების მნიშვნელობაზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, და აგრეთვე შევეხებით შეზღუდულ შერაცხადთა დანაშაულებრივ ქცევაში ნებისყოფის თავისუფლების საკითხს. ჩვენ, არ უარვყოფთ ნებისყოფის თავისუფლების მნიშვნელობას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის მიზანშეწონილობის დასაბუთებისათვის, მაგრამ ვერ გავიზიარებთ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებას, რომ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ერთხმად არის აღიარებული დებულება რომლის თანახმად, პირმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება აგოს პასუხი, თუ მას ქმედების ჩადენისას გააჩნდა ნების გამოხატვის სრული თავისუფლება<sup>2</sup>. ისევე, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება შეზღუდულ შერაცხადს და არ არის აუცილებელი სრული შერაცხადობა, ანუ ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ სრულად შერაცხადმა პირმა შეიძლება აგოს პასუხი ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, როგორც შერაცხადობასა და შეზღუდულ შერაცხადობას შორის განსხვავება მდგომარეობს მათ ხარისხში, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ბრალად შერაცხვის ეტაპზე ენიჭება, ასევე, ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნებისყოფის თავისებურების ხარისხს და სწორედ მას ვგულისხმობთ ჩვენ, როცა შეზღუდულ შერაცხადთა ნებისყოფის თავისებურებას ვეხებით და მას გადამწყვეტ მნიშვნელობას ბრალად შერაცხვის ეტაპზე და სასჯელის დანიშვნის დროს ვანიჭებთ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის არ არის აუცილებელი ნებისყოფის სრული თავისუფლება. ამისთვის მთავარია პირს სრულად არ ჰქონდეს დაკარგული ნებისყოფის თავისუფლება. მის გარეშე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, მაგრამ შეზღუდულ შერაცხადთა ნებისყოფის თავისუფლება იგივე არაა, რაც სრულ შერაცხადთა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, შეზღუდულ შერაცხადთა ნებისყოფის თავისუფლებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბრალად შერაცხვის ეტაპზე და სასჯელის დანიშვნის დროს.

<sup>1</sup> იხ. კაკაბაძე ზ. ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა. თბ., 1987, გვ. 23

<sup>2</sup> იხ. სურგულაძე ლ. სისხლის სამართალი. დანაშაული, თბ., 1997, გვ. 184.

შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობა უპირველესად უკავშირდება ფსიქიკური გადახრების (ანომალიების) არსებობას. როგორც ცნობილია ფსიქიკური ანომალიების ღროს, ხდება ადამიანის ინტელექტის და ნებისყოფის ფუნქციონირების შესუსტება, მნიშვნელოვნად მცირდება ცდუნებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი, მოქმედებების კონტროლირების შესაძლებლობა, სიტუაციის ადექვატურად აღქმის, სიტუაციის შესაფერისი მოქმედების არჩევის უნარი და ა.შ. ასეთივე მდგომარეობაში ვარდება პირი აფექტურ, სტრესულ და სხვა მსგავს სიტუაციებში. ყველა ზემოთხსენებულ მდგომარეობაში (ფსიქიკური ანომალიები, აფექტები, სტრესები), პირის მიერ უმართლობის ჩადენისას ადამიანის ნებისყოფის თავისუფლება შეზღუდულია ფსიქოფიზოლოგიური (შინაგანი) თუ სოციალური (გარეგანი) ფაქტორებით. მიუხედავად ამისა პირს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც სავსებით სამართლიანია. ამ მხრივ, მართებულია პ. ფრანკლის მოსაზრება, რომ ადამიანი არ არის თავისუფალი, გარეგანი თუ შინაგანი პირობებისაგან, მაგრამ ის თავისუფალია პოზიციის არჩევაში მათ მიმართ. პირობები არ განაპირობებენ ადამიანის მოქმედებას მოლიანად, სწორედ ადამიანზეა დამოკიდებული, თუ რამდენად დანებდება, დაემორჩილება ის ამ პირობას.<sup>1</sup>

აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქათ, რომ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება იმიტომ, რომ მას ჰქონდა უნარი ემოქმედა სხვაგვარად, ანუ აერჩია მოქმედების ისეთი ვარიანტი, რომელიც არ იქნებოდა გასაკიცხი, მიუხედავად იმისა, რომ ის არ იყო მოლიანად თავისუფალი. თუმცა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის თავისუფლების ასეთი (შეზღუდული, შემცირებული) ხარისხიც საკმარისია. ნებისყოფის თავისუფლება, ჩვენი აზრით, მდგომარეობს ადამიანის უნარსა და შესაძლებლობაში გააკეთოს არჩევანი მოქმედების ამა თუ იმ შესაძლო ვარიანტებიდან და იმოქმედოს ამ არჩევანის შესაბამისად.

ხოლო რაც შეეხება საკითხის გადაწყვეტას ბრალის ეტაპზე და სასჯელის დანიშვნისას, ჩვენი აზრით, სწორედ აქ უნდა გაითვალისწინოს მოსამართლემ (სასამართლო), თუ რამდენად, რა ხარისხით იყო თავისუფალი უმართლობის ჩამდენი პირის ნებისყოფა და ამის შესაბამისად შეუმსუბუქოს ბრალი და შეუმციროს სასჯელი, სწორედ აქ ენიჭება, ჩემი აზრით, ნებისყოფის თავისუფლების პრობლემას გადამწყვეტი მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით.

<sup>1</sup> იხ. Ильин Е. П. Психология воли. СПб., 2002, с. 17.

## 2.2 ღირებულების აქსიოლოგიური ცნება და შეზღუდული შერაცხადობა.

ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ღირებულების აქსიოლოგიურ ცნებაზე, რადგან თავისუფლება წარმოუდგენელია ღირებულებათა შორის არჩევანის გარეშე. პროფ. გ. ნაჭელიძი აღნიშნავს, რომ: „დებულება რომლის მიხედვით ღირებულება, უპირველეს ყოვლისა, იდეალია, რომლის საფუძველზე რაიმე ფასდება, ქართულ ფილოსოფიაში თითქმის გაბატონდა. ამ გაგებით ღირებულება ჯერარსულია, ესე იგი ჯერ არაა განხორციელებული და ამიტომ უნდა განხორციელდეს. ღირებულება არის ორიენტაციისა და შეფასების იდეალური საფუძველი, ის, რაც უნდა იყოს, როგორც იდეალი რომელიც რეალურში ყოფნის დირსია. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ღირებულებად უნდა მივიჩნიოთ, მაგალითად, სიკეთე, მშვენიერება, სამართლიანობა, სიმამაცე და ა.შ. სწორედ მათ საფუძველზე ფასდება რაიმე, ან ადამიანი და მისი საქციელი.”<sup>1</sup> ღირებულება – ეს არის მნიშვნელობა, რომელზეც დამყარებულია შეფასება. ღირებულება არაა შეფასება, არც საგანი (ან მისი თვისება), რომელიც ფასდება; ღირებულება არის სოციალურად ჩამოყალიბებული გარკვეული იდეალური საფუძველი შეფასებისა და ორიენტაციისა. პიროვნება მუდამ ორიენტირებული რაიმე მოქმედებისაკენ, ქცევისაკენ, შეფასებისაკენ, გარკვეული ღირებულებისაკენ. ღირებულებითი ორიენტაცია იმას შეეხება, რომ ინდივიდს არ შეუძლია სხვაგვარად, მას სწორედ ასე შეუძლია მოიქცეს, ასე შეაფასოს, არ შეუძლია, რადგან: 1) იგი გარკვეულ ჩარჩოებშია (ნორმების, წესების, სტანდარტების სახით); 2) მისთვის გარკვეულად სწორედ ესაა მისაღები და არა სხვა, მას სწორედ ამის ამორჩევა ძალუმს, შეუძლია თავის თავთან კონფლიქტის გარეშე.<sup>2</sup>

ღირებულება ადამიანს ეძლევა როგორც მისი მისწრაფების ან მოთხოვნილების საგანი. ეს გარემოება რაიმეს ღირებულებად ყოფნისათვის აუცილებელია, მაგრამ არ არის საკმარისი. იმისათვის, რომ რაიმე ღირებულების რანგში ავიდეს, სუბიექტმა იგი უნდა განიცადოს, როგორც გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება, ან როგორც უმაღლესი მიზანი. ის, რასაც ადამიანი არ განიცდის, მისთვის არ ფასობს, არ წარმოადგენს ღირებულებას.<sup>3</sup> ღირებულება იდეალურია, მაგრამ რეალური სინამდვილისაგან მოწყვეტილი არაა. ღირებულება, როგორი დაშორებულიც არ უნდა იყოს რეალური სინამდვილისაგან, იდეალურის როგორ სინამდვილეზეც უნდა იმყოფებოდეს, იგი მუდამ რეალურ სინამდვილეზეა მიმართული, მასთან მუდმივი, ხშირად არასასიამოვნო „დიალოგი” აქვს. ღირებულება პასიური, ჩუმი და

<sup>1</sup> ნაჭელიძი გ. სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი. თბ., 2006, პოლიგრაფიული ცენტრი “ბარტონი” გვ.66-67.

<sup>2</sup> იხ. ქვემოთ ვ. ნადირაშვილი შ., ბეჭვაია დ., ჭელიძე ვ. ღირებულება და განწყობა. კრებული „სოციოლოგიური ნარკვევები”, თბ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1969, გვ. 57-58.

<sup>3</sup> იხ. შუმანაშვილი გ. ზენობრივი ღირებულების სპეციფიკა. თბ., 1980, გამომცემლობა „მეცნიერება” გვ. 12-13.

მორიდებული რამ კი არ არის, არამედ აქტიურია და მოითხოვს განხორციელებას. ეს მოწოდება (მოთხოვნა) განხორციელებისა ეხება სწორედ რეალურ სინამდვილეს, მიმართულია მისკენ, რადგან რეალიზაციის სხვა სფერო ღირებულებას არ გააჩნია. ღირებულებასა და სინამდვილეს შორის კავშირის ფორმა კი – ტელეოლოგიურია. ღირებულება, თავისი ბუნებით, ისტრაფვის შესაფერის სინამდვილეში განხორციელებისაკენ.<sup>1</sup> მართებულად არის მითითებული თანაავტორობით გამოცემულ ნაშრომში, რომ: „სოციალური განწყობის ერთ-ერთ სპეციფიკურ თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ იგი თავის თავში გარკვეული სოციალური ღირებულების მომენტს შეიცავს. სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში ინდივიდი ზემოქმედი სტიმულების მიმართ განურჩეველ დამოკიდებულებას არ ამჟღავნებს. იმ განწყობის საფუძველზე, რომლითაც ის მოქმედებს სტიმულების სელექციას, შერჩევას ახდენს. ის გამდიზიანებლები, რომლებსაც ინდივიდისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ, აქცენტიზებულია. ინდივიდისადმი ისინი გარკვეული ღირებულებისანი არიან და უსასრულო სინამდვილიდან გამოიყოფიან. რაც უფრო ძლიერი მოთხოვნილებები აქვს სუბიექტს მოცემული სტიმულების მიმართ, რაც უფრო ადეკვატურად შეესატყვისებიან ისინი სუბიექტის მოთხოვნილებებს და რაც უფრო სრულყოფილად შეუძლიათ მათ ინდივიდის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მით უფრო ღირებულად განიცდებიან ისინი ინდივიდის მიერ”.<sup>2</sup> აქედან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანი გარკვეული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სწორედ იმ ქცევას მიმართავს, რომელიც უველაზე უფრო შეესაბამება მის ღირებულებებს და შესაბამისად, მას ასეთი ქცევის განწყობა უწნდება, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანი სწორედ ისეთი ქცევას ირჩევს, რომელსაც ის თავისთვის მისაღებად და შესაფერისად თვლის. ქცევას განწყობა უდევს საფუძვლად, ხოლო განწყობას სუბიექტის მოთხოვნილება და შესაბამისი სიტუაცია, მაგრამ ეს მოთხოვნილება და სიტუაცია სწორედ ისეთ საქციელში ახდენენ რეალიზაციას, რომელიც სუბიექტის ღირებულებით ორიენტაციას, მის ღირებულებებს შეესაბამება. ჩვენი აზრით, ადამიანის ნებისმიერი საქციელის, (მართლზომიერი თუ მართლსაწინააღმდეგო) მიზეზი არის ადამიანის ღირებულებითი ორიენტაცია. შესაბამისად, როგორი ღირებულებების მატარებელიც არის ესე თუ ის ადამიანი, ისეთივე საქციელის ჩადენაა მისგან მოსალოდნელი.

ჩვენი აზრით, მართებულია გ. შუშანაშვილის მსჯელობა, რომ საქციელის შეფასება არის ამავე დროს და უპირატესად პიროვნების შეფასება. ზნეობრივი შეფასება ერთიანი აქტია, იგი აფასებს პიროვნილ ურთიერთობათა სფეროს, რომელიც მისთვის არსებობს როგორც განსაზღვრული საქციელი. პიროვნება უფრო მეტია (ფსიქოლოგიურადაც და ზნეობრივადაც), ვიდრე მისი საქციელი, მაგრამ პიროვნების რთული, მრავალფეროვანი ზნეობრივ ღირებულებითი სამყაროს შედარებით ნათლად გამოვლენის წესი

<sup>1</sup> იხ. შუშანაშვილი გ. დასახ. ნაშრ. გვ. 15-16.

<sup>2</sup> ქვაჩახია ვ., ნადირაშვილი შ., ბეჭვაია დ., ჭელიძე ვ. დასახ. ნაშრ. გვ. 43-44.

არის საქციელი. საქციელის ღირებულების მიხედვით ხდება საქციელის მატარებლის შეფასება. საქციელის მატარებლის მთელი ლირსება-ნაკლოვანება არასოდეს ზუსტად არ გამოვლინდება საქციელში თუნდაც კიდევ იმიტომ, რომ პიროვნების სულიერი სამყაროს სიღრმეებში არის ისეთი ფენები, რომლებიც პიროვნების მთელი ცხოვრების მანძილზე საიდუმლოებით მოცულნი რჩებიან. მიუხედავად ამისა, საქციელის ღირებულება (დადებითობა ან უარყოფითობა) ჯერჯერობით ყველაზე უფრო საიმედო საზომად უნდა ჩაითვალოს პიროვნების ავკარგიანობის გასაგებად.<sup>1</sup>

სამართალიც ხომ სწორედ შეფასებითი ხასიათისაა. დანაშაული ორი შეფასებითი ცნების (მართლწინააღმდეგობის და ბრალის) გარეშე წარმოუდგენელია. მართებულია პროფ. გ. ნაჭყებიას მსჯელობა, რომ სამართალი ადამიანის ქმედებას მისი მართლზომიერების თუ მართლწინააღმდეგობის თვალსაზრისით აფასებს, ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ სამართალი არის ადამიანის ქმედების შეფასების საფუძველი. თუ ღირებულება საზოგადოდ არის შეფასებისა და ორიენტაციის იდეალური საფუძველი, მაშინ ლოგიკურია დასკვნა, რომ არსებობს სამართლებრივი ღირებულებაც, რომელიც სამართლის ნორმის, როგორც ქცევის განსაზღვრული წესის ფორმაში არსებობს. აქედან გამომდინარე, ლაპარაკი უნდა იყოს არა სამართლის, როგორც მოვლენის ღირებულებაზე, არამედ სამართლებრივ ღირებულებაზე, ანალოგიურად „ზეობრივი ღირებულების” ცნებისა.<sup>2</sup>

როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანზე ქცევის არჩევისას ძალზედ დიდ გავლენას ახდენენ ღირებულებები, მისი ღირებულებითი ორიენტაცია. ეს ნათლად ჩანს მიმოხილული ლიტერატურიდანაც. ნებისმიერი ადამიანი არის გარკვეული ღირებულებითი ორიენტაციის მატარებელი და ეს ღირებულებითი ორიენტაცია მის საქციელში ვლინდება. ასეთივე ვითარებაა შეზღუდული შერაცხადობის დროსაც. შეზღუდულ შერაცხადსაც აქვს უნარი არჩევანი გააკეთოს ღირებულებებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი არჩევანის უნარი შეზღუდულია და ღირებულებებიც შეიძლება გარკვეულად ჰიპერტონიულია, მას მაინც შეუძლია მათ შორის არჩევანის გაკეთება, ანუ თავისი საქციელის დადებითობის ან უარყოფითობის (მართლწინააღმდეგობის თუ მართლზომიერობის) შეგნება. წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება შეუძლებელი იქნებოდა.

<sup>1</sup> იხ. შუშანაშვილი გ. ღირებულება და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები. თბ., გამომცემლობა „მეცნიერება“ 1990, გვ. 26.

<sup>2</sup> იხ. ნაჭყებია გ. დასახ. ნაშრ. გვ. 70-71.

## 2.3 დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური ბუნება

ვიდრე შეზღუდული შერაცხადობის საკითხის განხილვას დავიწყებთ და ამ პრობლემის ფსიქიატრიულ, თუ სხვა ასპექტებზე ვისაუბრებთ, უპრიანად მიგვაჩინია შევეხოთ დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური ბუნების საკითხს, და ამის შემდეგ საკითხის ფსიქიატრიულ თუ სხვა ასპექტზე გადავიდეთ.

როგორც ცნობილია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება პირს დაეკისროს მხოლოდ კონკრეტული ქმედების ჩადენისათვის. სისხლის სამართალში ქმედებაში იგულისხმება მოქმედება, ან მოქმედებისაგან თავის შეკავება (უმოქმედობა). მაგრამ, ყოველი მოქმედებისათვის ან უმოქმედობისათვის ეკისრება პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა? ამ კითხვაზე რომ გავცეთ პასუხი, აუცილებელია გავერკვეთ თვითონ მოქმედების და უმოქმედობის ბუნებაში. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია, რომ ადამიანი აცნობიერებდეს ჩადენილ ქმედებას, მის შედეგს, ანუ ის იყოს შეგნებული და მიზანმიმართული ქცევა. დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურ ბუნებაში გარკვევისთვის აუცილებელია ფსიქოლოგიის მონაცემების მოშველიება.

დ. უზნაძის აზრით, ფსიქოლოგიურად ქცევასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როცა იგი გარკვეულ მოძრაობათა კომპლექსი კი არაა, არამედ ეს კომპლექსი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება ქცევად, როცა იგი გარკვეული აზრის, მნიშვნელობის, ღირებულების მატარებლად განიცდება<sup>1</sup>. ამიტომაა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა პირს არ ეკისრება რეფლექტორული მოქმედებისათვის, რომელიც ფიზიოლოგიური გაღიზიანების შედეგია და ადამიანის ცნობიერების კონტროლის გარეშე ხორციელდება, შესაბამისად ის არ წარმოადგენს ნებელობით აქტს. დ. უზნაძე აღნიშნავს, რომ ნებისმიერი ქცევა თავიდან ბოლომდე მოწესრიგებული ქცევაა. მისი ცალკეული ნაწილები, ცალკე მოქმედებები ძირითად მიზანს ემსახურებიან და ამდენად ერთ მთლიან ქცევას შეაღგენერა<sup>2</sup>. ნებისმიერი ქცევის შემთხვევაში სუბიექტი აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით როდი ხელმძღვანელობს, იგი მე-ს მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრავვის; და გასაგებია, რომ აქტუალურ სიტუაციას, რომელშიც ამ მომენტში იმყოფება სუბიექტი, მისთვის მნიშვნელობა არა აქვს: იგი მე-ს მოთხოვნილებათა სიტუაცია კი არ არის, იგი მომენტის მოთხოვნილებათა სიტუაცია, რომელთანაც ნებელობას საქმე არა აქვს.<sup>3</sup>

ამ მხრივ მართებულად მიუთითებს პროფ. თ. წერეთელი, რომ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს არა ადამიანის ყოველგვარ მოქმედებას, არამედ მხოლოდ სპეციფიკურ ადამიანურ მოქმედებას, ე.ი. შეგნებულ, მიზანდასახულ საქციელს, რომლის ჩადენის დროსაც ადამიანი გამოდის როგორც გონიერი

<sup>1</sup> იხ. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. შრომები ტ.III-IV. თბ., 1964, გვ. 210-211.

<sup>2</sup> იხ. უზნაძე დ. დასახ. ნაშრ. გვ. 185.

<sup>3</sup> იხ. უზნაძე დ. დასახ. ნაშრ. გვ. 217.

არსება, რომელსაც უნარი აქვს გაიგოს და შეასრულოს მართლწესრიგის მოთხოვნები.1

დ. უზნაძეზე დაყრდნობით ო. წერეთელი აღნიშნავს, შეგნების მომენტის გამო კავშირი გარეშე სიტუაციის იმპულსებსა და ადამიანის ნებელობით მოქმედებას შორის უშუალო და ერთმნიშვნელოვანი კი არ არის, არამედ გაშუალებულია შეგნების მომენტით. ადამიანში წარმოშობილი აქტუალური მოთხოვნილება ნებელობითი აქტის დროს უშუალოდ როდი გადადის მოძრაობაში. ნებისყოფა მოქმედებისათვის საჭირო ენერგიას სხვა წყაროებში ნახულობს და არა აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების უშუალო იმპულსში. ნებელობითი აქტის ჩადენის დროს, ადამიანი ჯერ შეიგნებს ამ მოთხოვნილებას, განსაზღვრავს თავისი მოქმედების მიზანს, დასახავს სხვადასხვა გზებს მის მისაღწევად, შეაფასებს ამ გზებს და ბოლოს მოქმედებს ამ შეფასების შედეგების შესაბამისად. გარესამყაროს მოვლენები ადამიანზე უშუალოდ კი არ მოქმედებენ, არამედ მოტივად გარდაქმნილ წარმოდგენათა მეშვეობით. ადამიანი აფარებს ამ მოტივებს, შეგნებულად აწონ-დაწონის მათ და ამის შემდეგ იდებს გადაწყვეტილებას იმოქმედოს. ადამიანს შეუძლია დაუსხლოეს ზოგიერთი მოტივის ზეგავლენას და თავისი ქცევა სხვა მოტივს დაუმორჩილოს. მას შეუძლია ჩაიკლას ერთი სურვილი და აღიძრას სხვა, თუნდაც უფრო შორეული და უშუალო იმპულსთან კავშირში არ მყოფი. მაშინ, როდესაც იმპულსურ აქტში მოქმედებს თვით იმპულსი, რომელიც მთელ მოძრაობას იმორჩილებს, ნებელობით აქტში მოქმედებს სუბიექტი, რომელიც შეგნებულად და გეგმაზომიერად არეგულირებს თავის მოქმედებას წინასწარ დასახული მიზნის შესაბამისად2.

როგორც ზემოთმოყვანილი მსჯელობიდან ჩანს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ადამიანის შეგნებულ და მიზანმიმართულ ქცევას უკავშირდება, როგორც ნებელობით აქტს. ი. იმედაძე აღნიშნავს, რომ ნებაზე შეიძლება საუბარი მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანის მოქმედება გაცნობიერებულია, შეგნებულია. ნება არის ქცევითი აქტების სისტემა, რომლებიც ემსახურებიან ძირითად მიზანს და აიგებიან მის ირგვლივ. ნებელობაზე მხოლოდ იქ შეიძლება საუბარი, სადაც ქცევის რეგულაცია ხდება ცნობიერებით.3

ანალოგიურად აღნიშნავს ო. ნათაძე, რომ ნებისმიერი მოქმედება მიზანდასახულ ხასიათს ატარებს, ნებისმიერი მოქმედება გაცნობიერებული, ობიექტიფაციაქმნილი და განზრახული მოქმედებაა, სუბიექტი წინასწარ ისახავს მოქმედების მიზანს, აწონ-დაწონის შესაძლო მოქმედებებს, შეაფასებს მათ დირებულებას, მისი მიზნებისათვის, ამ შეფასების საფუძველზე გადაწყვეტს გარკვეული მოქმედების შესრულებას და გამოტანილი გადაწყვეტილების თანახმად იმოქმედებს.4

<sup>1</sup> იხ. წერეთელი ო. ტყეშელიაძე გ. მოძღვრება დანაშაულზე. თბ., 1969, გვ. 166.

<sup>2</sup> იხ. წერეთელი ო. ტყეშელიაძე გ. მოძღვრება დანაშაულზე. თბ., 1969, გვ. 167.

<sup>3</sup> იხ. Имададзе И. Категория поведения в теории установки. Тб., 1991, с. 204.

<sup>4</sup> იხ. ნათაძე ო. ზოგადი ფსიქოლოგია. თბ., 1986, გვ. 533.

სისხლისსამართლებრივი კასუხისმგებლობისათვის  
აუცილებელია, რომ ადამიანმა ჩაიდინოს გაცნობიერებული,  
მიზანმიმართული, განზრახული მოქმედება, რომელიც ნებელობით  
ხასიათს ატარებს. ნებელობითი ქცევის აუცილებელ ელემენტს  
წარმოადგენს მოტივი და მიზანი. დ. უზნაძე აღნიშნავს, რომ  
ფსიქოლოგიაში ნებისმიერი მოქმედების საბუთს თუ საფუძველს  
მოტივს უწოდებენ. მაშასადამე, სანამ ადამიანი რასმე  
გადაწყვეტდეს, მან სათანადო მიტოვების ძებნა უნდა დაიწყოს.  
გადაწყვეტის აქტს მოტივაციის პროცესი უსწრებს წინ.1 მოტივის  
როლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამა თუ იმ ფიზიკურ ქცევას  
გარკვეულ ფსიქოლოგიურ ქცევად აქცევს. ამას იგი იმით ახერხებს,  
რომ მას პიროვნების ძირითად მოთხოვნილებათა სისტემაში რთავს  
და სუბიექტს მისი შესრულების განწყობას უჩენს.2

ი. იმედაძე აღნიშნავს, რომ მოტივი ხსნის სუბიექტის წინაშე  
დასახული და რეალიზებული ქცევის დირექტულებას, და ამით  
ახდენს ქცევის დასაბუთებას და გამართლებას. მოტივი  
წარმოადგენს სუბიექტის შეფასებითი დამოკიდებულების შედეგს  
ქცევის გარებანი და შინაგანი წინაპირობებისადმი, რომლებიც  
მოხვდნენ მისი ხედვის არეალში და აისახენ მასში.3 მოტივი  
წარმოადგენს ფსიქოლოგიურ წარმონაქმნეს, რომელიც წარმოიქმნება  
და უზნქციონირებს მოტივაციის პროცესში და წარმოადგენს  
ყოველი ქცევის აუცილებელ ელემენტს. მოტივი შინაგანად  
მისადებად ხდის ქცევას ადამიანისათვის. მოტივზე დაყრდნობით  
ადამიანი გადაწყვეტს კონკრეტული ქცევის განხორციელებას.4

დ. კიგნაძის აზრით: „მოტივი – ეს ინდივიდის რაიმე  
მოთხოვნილების დაკმაყოფილების ამა თუ იმ მოქმედების  
სუბიექტურ აუცილებლობად ქცევაა; გადაწყეტილების საფუძველია,  
რომელიც წარმოიშობა მოტივაციის პროცესში მოთხოვნილების  
დაკმაყოფილების მოქმედების სუბიექტური და ობიექტური  
ფაქტორების შეპირისპირებისა და ურთიერთზემოქმედების შედეგად.  
მიზანი – ეს ინდივიდუალურად მოცემული მოქმედების შედეგია,  
რომელიც ადამიანის რაიმე მოთხოვნილებას აკამყოფილებს.“5  
მოტივი მიზნის მიღწევისათვის საჭირო ამა თუ იმ მოქმედების  
სუბიექტურ აუცილებლობად ქცევაა მოცემულ სიტუაციაში. ყოველი  
ნებისმიერი მოქმედება მოტივირებული და მიზნობრივია. მოტივი  
მოცემულ სიტუაციაში მიზნის მისაღწევად სუბიექტისათვის  
ყველაზე მისაღები მოქმედების საფუძველია. მაგალითად, როდესაც  
ადამიანმა მიზნად დაისახა აქტიური დასენება ეს მიზანი  
განაპირობებს ადამიანის მოქმედებას, მაგრამ კინოში წავა თუ  
თეატრში, მხატვრულ ლიტერატურას წაიკითხავს თუ ამხანაგთან  
გაისეირნებს, ეს დამოკიდებულია მოქმედების მოტივზე.6

პროფ. ბ. ხარაზიშვილი ასე წარმოადგენს ნებელობითი ქცევის  
სტრუქტურას: „უპირველეს ყოვლისა აუცილებელია რაიმე მოვლენის

<sup>1</sup> იხ. უზნაძე დ. დასხ. ნაშრ. გვ. 207.

<sup>2</sup> იხ. იმედაძე ი. დასხ. ნაშრ. გვ. 216.

<sup>3</sup> იხ. იმედაძე ი. დასხ. ნაშრ. გვ. 119.

<sup>4</sup> იხ. იმედაძე ი. დასხ. ნაშრ. გვ. 209.

<sup>5</sup> კიგნაძე დ. ადამიანის მოქმედების საკითხისათვის. თბ., 1971, გვ. 152.

<sup>6</sup> იქვე. გვ. 155.

არსებობა, რომელიც შემდგომში შეასრულებს მოტივის ფუნქციას; შემდეგ იქნება შესაბამისი სიტუაცია მოცემული ქცევის განხორციელებისათვის, რომელსაც აქვს აზრი განსაზღვრული მიზნიდან გამომდინარე. ამასთან, ქცევის აუცილებლობის ინტელექტუალური გადაწყვეტისა და მიზნის არჩევის შემდეგ ნებელობითი პირი ემოციურად განიცდის მომავალ ქცევას და ეს განცდა, სანქცირებული და მიმართულია ნებით, ხდება ნებელობითი ქცევის აღმძვრელი.<sup>1</sup> მოტივისთვის დამახასიათებელია ის, რომ ის არის ქცევის საფუძველი, მისი ფსიქოლოგიური შინაარსი, ხოლო მიზნისათვის დამახასიათებელია გარკვეული შედეგის დადგომის სურვილი, მიზანი წარმოადგენს ქცევის მიმართულების მაჩვენებელს.<sup>2</sup>

როგორც ზემოთმოტანილი მსჯელობებიდან ჩანს, ნებელობითი ქცევა შეგნებული, მოტივირებული და მიზანმიმართული ხასიათისაა. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაუკავშირდეს ნებელობით ქცევას. თუმცა, ეს საკითხი სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ცალსახად არ წყდება. პროფ. თ. შავგულიძე და მ. უგრეხელიძე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმპულსურ ქცევასაც უკავშირებენ. მ. უგრეხელიძე თავის ნაშრომში გაუფრთხილებელ ბრალზე აღნიშნავს, რომ გაუფრთხილებელი ქმედება არის იმპულსური განწყობის გამოვლინება.<sup>3</sup> თ. შავგულიძის აზრითაც, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაუკავშირდეს იმპულსურ ქცევას.<sup>4</sup>

ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ იმპულსურ და ნებელობით ქცევას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ იმპულსური ქცევის დროს, იმპულსესა და მოქმედებას შორის ცნობიერი შემფასებელი „შუამავალი“ არ არის. მოქმედების შესრულება არავითარ განზრახვას ან მოქმედების მიზნის წინასწარ დასახვას სუბიექტის მიმართ არ საჭიროებს.<sup>5</sup>

დ. უზნაძე მიუთითებს, რომ იმპულსური ქცევის მიმდინარეობისას პირი არც მე-ს ობიექტივაციას ახდენს და არც ქცევისას, ამიტომ იმპულსური ქცევა არასდროს მე-ს თვითაქტივობის გამოვლინებად არ განიცდება.<sup>6</sup>

ი. იმედაძე აღნიშნავს, რომ იმპულსური ქცევა გამოწვეულია მოცემულ მომენტში მოქმედი აქტუალური მოთხოვნილების იმპულსით, სუბიექტის წინაშე დგას ამოცანა, რაც შეიძლება სწრაფად მოახდინოს საკუთარი აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება, სუბიექტი არ განიხილავს თავისი ქმედების შედეგებს და შორეულ პერსპექტივებს, არ აფასებს, შეესაბამება თუ არა მისი ქცევა სხვა მოტივებს და დირექტულებებს. მას აინტერესებს

<sup>1</sup> Харазишвили Б. В. Вопросы мотива поведения преступника в советском праве. Тб., 1963. с. 29-30.

<sup>2</sup> ი. ი. ხარაზიშვილი ბ. ვ. დასახ. ნაშრ. გვ. 45.

<sup>3</sup> ი. უ. ურეხელიძე მ. გ. Проблема неосторожной вины в уголовном праве. Тб., 1976, с. 53-54.

<sup>4</sup> ი. შავგულიძე თ. Аффект и уголовная ответственность. Тб., 1974, с. 23-24.

<sup>5</sup> ი. ნათაძე რ. დასახ. ნაშრ. გვ. 532-533.

<sup>6</sup> ი. უზნაძე დ. დასახ. ნაშრ. გვ. 217.

გარემოს მხოლოდ ის ფრაგმენტები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდებიან აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.<sup>1</sup> დ. კიკნაძე წერს, რომ იმპულსურ მოქმედებასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მას საგნობრივი მოთხოვნილება იწვევს უშუალოდ მოტივაციის პროცესის გარეშე.<sup>2</sup> მოტივაცია არის სუბიექტის მიერ მისი მოთხოვნილების განსჯა მოცემულ სიტუაციაში, ხოლო მოტივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების განსჯის შედეგად მიღებული, მოცემული სიტუაციის შესაბამისი დასკვნა ამა თუ იმ მოქმედების მიზანშეწონილების შესახებ.<sup>3</sup>

როგორც ცნობილია, მოტივაციის პროცესი მოტივის შემუშავებით და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით სრულდება. იმპულსურ ქცევას მოტივირებულ და მიზანმიმდართული ხასიათი არა აქვს. იმპულსური მოქმედების ფსიქოლოგიური მექანიზმი ეფუძნება „მოკლე ჩართვის“ პრინციპს, როგორც კი წარმოიშვება მოთხოვნილების იმპულსი, მაშინვე ხდება მისი დაკმაყოფილება, ანუ აქ არა აქვს ადგილი ობიექტივაციის აქტს, როგორც ეს ნებელობითი მოქმედების დროს ხდება. იმპულსური მოქმედების დროს, არ ხდება მოქმედების აწონ-დაწონვა, მისი შედეგების გათვალისწინება. იგი ყოველთვის აწმყოში მიმდინარეობს და აწმყოთი შემოიფარგლება. შესაბამისად, იმპულსური მოქმედებისთვის ძალზედ რთულდება სისხლისსამარტლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება, რაღანაც იგი არამოტივირებული და არამიზნობრივი ხასიათის ქცევაა. იმპულსურ ქცევას მოთხოვნილება უდევს საფუძვლად ისევე, როგორც ნებელობით ქცევას, მაგრამ როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს: „მათ შორის განსხვავებაა ისე, რომ იმპულსური და ნებელობითი ქცევის განწყობათა გენეზისი სხვადასხვაგვარადაა პირობადებული: პირველს აქტუალური სიტუაცია უდევს საფუძვლად, მეორეს წარმოსახული, ან აზრითი სიტუაცია.“<sup>4</sup> დ. კიკნაძე მიუთითებს, რომ: „ადამიანის მოთხოვნილება არის ფსიქოფიზიკური მოვლენა, რომლებიც წარმოიშობა გარემოსთან ურთიერთობის პროცესში სუბიექტში მომხდარი ფიზიკური და სულიერი ცვლილებებისაგან. მისი სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოიშობა არა მხოლოდ უშუალოდ, ფიზიკურად მოქმედი გარემოსაგან, არამედ აგრეთვე ადამიანისათვის სოციალურად არსებული გარემოს ზემოქმედებით და ცნობიერ ხასიათს ატარებს.“<sup>5</sup> ამ მხრივ მართებულად მიგვაჩნია ნ. კვარაცხელიას მსჯელობა, რომ ადამიანი, განსხვავებით ცხოველისაგან არა მხოლოდ მოთხოვნილებათა სისტემაა, არამედ ლირებულებათა სისტემაც არის. ადამიანი არა მხოლოთ მოთხოვნილებათა კარნახით და ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით გარდაქმნის სამყაროს, არამედ გარკვეულ ლირებულებათა გათვალისწინებით, იგი ღირებულებებზე

<sup>1</sup> იხ. იმედაძე ი. დასახ. ნაშრ. გვ. 191.

<sup>2</sup> იხ. კიკნაძე დ. დასახ. ნაშრ. გვ. 124.

<sup>3</sup> იხ. კიკნაძე დ. დასახ. ნაშრ. გვ. 121.

<sup>4</sup> დ. უზნაძე ზოგადი ფსიქოლოგია. თბ., 1990, გვ. 148.

<sup>5</sup> კიკნაძე დ. დასახ. ნაშრ. გვ. 30-31.

ორიენტირებულ არსებად გვევლინება.1 ადამიანი ცნობიერების წყალობით ცდილობს ურთიერთობა დაამყაროს ყველაფერთან, რაც კი საერთოდ არსებობს, - იქნებიან ეს რეალური, თუ იდეალური ობიექტები. სწორედ ცნობიერებაა ის, რაც მუდამ გამიყვანს ჩემი თავიდან, ჩემი ბიოსოციალური მოთხოვნილებების სფეროდან და მის გარეთ გამყოფებს.2

ადამიანის აქტივობას მოთხოვნილება უდევს საფუძვლად, მაგრამ როგორც დავინახეთ ადამიანი მხოლოდ მოთხოვნილებით არ ხელმძღვანელობს. იმისათვის, რომ ადამიანი შერაცხვაუნარიანად ჩაითვალოს მას უნდა შეეძლოს მოთხოვნილებებზე ამაღლება, მათი დათრგუნვა, რაც ცნობიერების და ნებელობის მეშვეობით მიიღწევა. ყოველივე ეს კი, იმპულსური ქცევის დროს არ ხდება, ადამიანი პირველადი აქტუალური მოთხოვნილების იმპულსის საფუძველზე იდენს გარკვეულ ქცევას, ამიტომ მისი ქცევა არც ინტელექტით და არც ნებით სანქცირებული არ არის.

გარდა ამისა, იმპულსური ქცევისათვის დიდ სირთულეს წარმოადგენს ბრალის დასაბუთების საკითხი. პროფ. თ. შავგულიძე თვლიდა, რომ იმპულსური ქცევა განზრახიც შეიძლება იყოს და გაუფრთხილებელიც.3 მ. უგრეხელიძეს იმპულსური დანაშაულებრივი ქცევა გაუფრთხილებლად მიაჩნდა.4 დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური ბუნება ქართულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ცხარე დისკუსიების საგანი იყო. პროფ. ბ. ხარაზიშვილი თვლიდა, რომ იმპულსური ქცევა არ შეიძლება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევდეს. უფრო მეტიც, ბ. ხარაზიშვილი დანაშაულს არც ნებელობით ქცევად არ თვლიდა. მან დაასაბუთა, რომ დანაშაული თვითონ კი არა ქცევა ამ ცნების ფსიქოლოგიური გაგებით, არამედ ფსიქოლოგიური ქცევის (მოტივისა და მიზნის) განხორციელების ხერხია.5 ამ მხრივ, მართებულად მიუთითებს პროფ. გ. ნაჭყებია, რომ დანაშაულის ნიშნები მიეწერება არა ქცევას ფსიქოლოგიური გაგებით, არამედ ამ ქცევის განხორციელების ხერხს. ... ნორმატიულად ფასდება არა ქცევა თავისთავად, არამედ ამ ქცევის განხორციელების ხერხი: ის შეიძლება იყოს მართლზომიერი, მაგრამ, შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგოც.6

როგორც ვხედავთ, დანაშაული ფსიქოლოგიურ ქცევაზე არ დაიყვანება, რადგანაც ის ნორმატიულ ელემენტებს შეიცავს, ის შეფასებაა, ხოლო ფსიქოლოგიური ქცევა შეფასებისაგან თავისუფალია. ფსიქოლოგიას ქცევის შეფასება კი არა მისი შინაარსი, მისი აღწერა აინტერესებს, მაშინ როცა სამართლისთვის შეფასებითობაა გადამწყვეტი. დანაშაული ფსიქოლოგიური ქცევა არაა, თუმცა იგი ქცევისაგან მოწყვეტითაც სწორედ ვერ შეფასდება,

<sup>1</sup> იხ. კვარაცხელია ნ. ადამიანის როგორც შემმეცნებელი სუბიექტის პრობლემა. თბ., 1985, გვ. 94-95.

<sup>2</sup> იხ. კვარაცხელია ნ. დასახ. ნაშრ. გვ. 96.

<sup>3</sup> იხ. შავგულიძე თ. დასახ. ნაშრ. გვ. 91, 96.

<sup>4</sup> იხ. უგრეხელიძე მ.გ. დასახ. ნაშრ. გვ. 53-54.

<sup>5</sup> იხ. Хорнабуджели Б.В. Психологическая сторона вины. Тб., 1981, с. 6.

<sup>6</sup> იხ. ნაჭყებია გ. ბრალი, როგორც ხოციალური ფილოსოფიის კატეგორია. თბ., 2001, გვ. 219-220.

რადგანაც მოტივი და მიზანი ქცევის ელემენტებია და სწორედ ქცევაშია შესაძლებელი მათი ზუსტი და სწორი შეფასება.

რაც შეეხება იმპულსური ქცევისათვის ბრალის დასაბუთების საკითხს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ძალზედ რთული საქმეა. ჩვენი აზრით, იმპულსური ქცევა არც განზრახია და არც გაუფრთხილებელი, რადგანაც იმპულსური ქცევის დროს ადამიანი ვერ აცნობიერებს თავის ქმედებას, არ ითვალისწინებს ქმედების შედეგს და არ სურს იგი, ასევე არ ითვალისწინებს მისი განხორციელების გარდაუვალობას, არც შეგნებულად უშვებს მას და არც გულგრილად ეკიდება (განზრახვა). აგრეთვე, იმპულსურობის დროს პირი არ იმედოვნებს, რომ შედეგს თავიდან აიცილებს, და მას არ შეუძლია და არც ევალება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება (გაუფრთხილებლობა). ამის გაკეთება იმპულსურად მოქმედების დროს პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ დასკვნის საშუალებას გვაძლევს იმპულსური ქცევის ფსიქოლოგიური მექანიზმის გათვალისწინება, რაზედაც ზემოთ გვაქვს საუბარი.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, იმპულსურობა ბრალის არც ერთ ფორმას არ შეესაბამება. ამიტომ, იმპულსური ქცევისათვის ბრალის დასაბუთება შეუძლებლად გვეჩვენება, ხოლო იმპულსური ქცევის განზრახად ან გაუფრთხილებლად გამოცხადება, ჩვენი აზრით, იმპულსური ქცევის მექანიკური მისადაგებაა განზრახვის ან გაუფრთხილებლობისადმი, ვიდრე რეალური ვითარების ასახვა.

როგორც ზემოთმოყვანილი მსჯელობები და მათი ანალიზი გვიჩვენებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდ ადამიანის ისეთ ქცევას, რომელიც გაცნობიერებულ (შეგნებულ), მოტივირებულ და მიზანმიმართულ ხასიათს ატარებს, ანუ ადამიანის ცნობიერებისა და ნების გამოვლინების შედეგია.

ჩვენი აზრით, ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე შეზღუდულ შერაცხადთა დანაშაულებრივი ქცევის დროსაც. შეზღუდულ შერაცხადთა დანაშაულებრივი ქცევაც შეგნებულ, მოტივირებულ და მიზანმიმართულ ხასიათს ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ გაცნობიერების სრული უნარი პირს არა აქვს, მოტივაციის პროცესიც გარკვეული სპეციფიურობით ხასიათდება, მთლიანობაში შეზღუდულ შერაცხადთა დანაშაულებრივი ქცევის მოტივაცია არსებითად არ განსხვავდება სრულ შერაცხადთა დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციისაგან, რადგან ისიც ცნობიერი და ნებელობითი ქცევის შესაძლებლობას იძლევა. ხოლო ის ფაქტორები, რომლებიც ქმედების სრულად გაცნობიერებას, ან ხელმძღვანელობას შეუძლებელს ხდიან გადამწყვეტ გავლენას ბრალზე ახდენენ და არა ქმედების მოტივაციაზე. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით მომდევნო თავში გვექმნება საუბარი.

## 2.4 შერაცხადობის საკითხისათვის

### 2.4.1 შერაცხადობის ზოგადი მიმოხილვა

შერაცხადობა სისხლის სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვან და რთულ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება. მიუხედავად ამისა, შერაცხადობა ძალიან სუსტად არის შესწავლილი მეცნიერთა მიერ. ეს შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვნად განპირობებულია იმით, რომ პრაქტიკა, თეორია და კანონმდებლობაც აქცენტს აკეთებს შეურაცხაობაზე, ხდება შეურაცხაობის საგანგებო გამოკვლევა და დადგენა, როგორც ბრალისა და პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებისა. კანონმდებლობის, თეორიის და პრაქტიკის ასეთი პოზიცია სავსებით მართებული და სამართლიანია, როგორც მართლმსაჯულების, ასევე სამართლდამრღვევის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად პოზიცია, თითქოს შერაცხადობა შეურაცხაობის ანგიპოდია. შერაცხადობა, ისევე როგორც შეურაცხაობა მდგომარეობაა პირისა, როცა მას უმართლობის ჩადენისას (შეურაცხაობისაგან განსხვავებით), ეს უმართლობა ერაცხება ბრალად. მაგრამ, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ შერაცხადობა შეურაცხაობის უბრალოდ საპირისპირო მდგომარეობაა, რომელიც შეურაცხაობის ცნებასთან შეპირისპირებით შეიძლება გამოვიყვანოთ. შერაცხადობის ცნებისადმი ასეთი მიდგომა, ჩვენი აზრით, გამარტივებული მიდგომაა.

შერაცხადობა დამოუკიდებელი სამართლებრივი კატეგორია, ის თავისი შინაარსით და მნიშვნელობით ფართო და მრავალმხრივია. მას გააჩნია დამოუკიდებელი ნიშნები და კრიტერიუმები, რომელთა შინაარსის მკვეთრად განსაზღვრა და დადგენა ძალზედ რთულია. შერაცხადობა, როგორც ვიცით, ნებისყოფის თავისუფლების პრობლემას უკავშირდება და სწორედ ნებისყოფის თავისუფლება წარმოადგენს შერაცხადობის ამოსავალ წერტილს.

ჩვენ ახლა არ შევუდგებით ნებისყოფის თავისუფლებაზე მსჯელობას, რადგან ჩვენი აზრი ამ პრობლემაზე, უკვე გადმოვეცით წინა პარაგრაფში. აქ ჩვენ შევვცდებით გავერკვეთ შერაცხადობის მდგომარეობის შინაარსში, კერძოდ, რა ნიშნებს და კრიტერიუმებს მოიცავს ეს მდგომარეობა, აგრეთვე მის იურიდიულ ბუნებაში.

შერაცხადობა წარმოადგენს პირის ისეთ მდგომარეობას უმართლობის ჩადენისას, როცა ეს უმართლობა მის ჩამდენს შეიძლება შეურაცხოს ბრალად. აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ შერაცხადობა არის უმართლობის ბრალად შერაცხვის წინაპირობა. შერაცხადობა საბჭოთა პერიოდის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, ასევე პოსტსაბჭოურ რუსულ და არა მარტო რუსულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ძირითადად განისაზღვრება როგორც პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, როცა პირს შეუძლია გააცნობიეროს თავისი მოქმედების მნიშვნელობა და

უხელმძღვანელოს მას. მაგალითად, ი. შახრიმანიანი აღნიშნავს, რომ შერაცხადობა წარმოადგენს პირის ისეთ მდგომარეობას, როცა ის დანაშაულის ჩადენის დროს ანგარიშს უწევს თავის მოქმედებებს და ხელმძღვანელობს მათ, შედარებითი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე<sup>1</sup>. ვ ტრახტეროვი მიუთითებს, რომ შერაცხადობაში იგულისხმება პირის ფსიქიკური ჯანმრთელობით განპირობებული უნარი გააცნობიეროს თავისი მოქმედების მნიშვნელობა და უხელმძღვანელოს მას.<sup>2</sup>

შერაცხადობის ოდნავ განსხვავებულ ცნებას აყალიბებს რ. მიხეევი. მისი აზრით, შერაცხადობა არის პირის უნარი დანაშაულის ჩადენის დროს გააცნობიეროს თავისი მოქმედების (უმოქმედობის) ფაქტობრივი ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება და უხელმძღვანელოს მას, რომელიც განაპირობებს პირის ბრალეულად ცნობის და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას. ე.ი. არის იურიდიული წინაპირობა ბრალის და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის.<sup>3</sup> ზემომოყვანილ მოსაზრებებთან შედარებით, შერაცხადობის უფრო სრულყოფილ განმარტებას იძლევიან ი. ანტონიანი და ს. ბოროდინი. ამ განმარტებით, შერაცხადობა არის პირის ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც მდგომარეობს მის უნარში სოციალურ-ფსიქოლოგიური განვითარების დონის, სოციალიზაციის, ასაკის, ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით ანგარიში გაუწიოს საკუთარ თავს თავის მოქმედებებში, უმოქმედობაში (გააცნობიეროს ქმედების ფაქტიური მხარე და საზოგადოებრივი საშიშროება) და უხელმძღვანელოს მას დანაშაულის ჩადენის დროს და ამის შესაბამისად იტვირთოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სასჯელი.<sup>4</sup>

ზემოთჩამოთვლილი შერაცხადობის განმარტებებიდან, შეიძლება შეგვექმნას ზოგადი წარმოდგენა, თუ როგორ ესმოდათ შერაცხადობის საკითხი საბჭოურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში. ამ მხრივ, დიდ განსხვავებას ვერც პოსტსაბჭოურ რუსულ ლიტერატურაში ვხვდებით. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, ინგლისურენოვან ლიტერატურაზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ იქაც, აქცენტი კეთდება შეურაცხაობაზე, ხოლო შერაცხადობა ან საერთოდ არ მოიხსენიება, ან მოიხსენიება ზოგადად, როგორც პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი მდგომარეობა, რომელიც ძირითადად უკავშირდება ფსიქიკურ ჯანმრთელობას და ასაკს. შერაცხადობის მდგომარეობა არ წარმოადგენს სპეციალური შესწავლისა და კვლევის საგანს.<sup>5</sup>

<sup>1</sup> ი. შახრიმანიან И.К. Невменяемость по советскому уголовному праву. Автореферат канд. дисс. Л., 1962, с.6.

<sup>2</sup> ი. ტრახტერов В.С. Вменяемость по советскому уголовному праву, Харьков, 1966, с. 5.

<sup>3</sup> ი. მიხეევ Р.И. Проблемы вменяемости и невменяемости в советском уголовном праве, Владивосток, 1983, с. 49. მსგავს მოსაზრებას ვხვდებით მიხეევ სადოქტორო დისერტაციაში, მიხეევ Р.И. Проблемы вменяемости, вины и уголовной ответственности. Диссертация доктор юр. наук в форме научного доклада М., 1995, с. 13

<sup>4</sup> ი. ანთონიან იუ.მ. ბორინ ს.ვ. Преступное поведение и психические аномалии М., 1998, с. 135

<sup>5</sup> ი. C.M.V. Clarkson, H.M. Keating. Criminal law: Text and materials. London 1998; Phillip E. Jonson. Criminal law Cases, materials and text. Fourth Edition. S.T. Paul Minn 1990.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ რაც უფრო მეტად დამუშავება შერაცხადობის პროცესი, მით უფრო სასარგებლო იქნება ეს როგორც თეორიის, ასევე პრაქტიკისათვის. ის ხელს შეუწყობს შერაცხვის, ბრალის, პასუხისმგებლობის პროცესის გააზრებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, შერაცხადობა წარმოადგენს მდგომარეობას, როცა ადამიანს მის მიერ ჩადენილი უმართლობა შეიძლება შეერაცხოს ბრალად. სპეციალურ ლიტერატურაში ასეთ მდგომარეობაში ესმით ფსიქიკური (უფრო ხშირად ფსიქიკური ჯანმრთელობის) მდგომარეობა. რა თქმა უნდა, ადამიანი არ არსებობს ფსიქიკის გარეშე. შერაცხადობა გულისხმობს ფსიქიკურ მდგომარეობას, ის არის შერაცხადობის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი, რაც შეეხება ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას, ეს ძალზედ ზოგადი და პირობითი ცნებაა და ის სულაც არ არის აუცილებელი შერაცხადობისათვის. თუმცა, ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

#### **2.4.2 შერაცხადობის ნიშნები**

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შერაცხადობის შინაარსის გარკვევა უპრიანი იქნება დავიწყოთ ასაკით. ასაკი, შერაცხადობის ერთ-ერთ აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორც ცნობილია გარკვეული ასაკის მიღწევას უკავშირდება, კერძოდ 14 და ზოგიერთი დანაშაულისათვის 12 წელს. სწორედ ამ ასაკიდან არის პირი შერაცხვაუნარიანი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად: „ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი, ხოლო ამ კოდექსის 108-ე, 109-ე, 117-ე, 137-ე, 178-ე, ( გარდა პირველი ნაწილისა), 179-ე და 238<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედება— იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თორმეტი წელი.“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წარსულში, ასევე დღეგანდელ პერიოდში სხვადასხვა ქვეყნებს განსხვავებული მიღგომა აქვთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის საკითხისადმი. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ აზიურ ქვეყნებში და კერძოდ მუსლიმანურ ქვეყნებში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი უფრო დაბალია (ზოგ შემთხვევებში – 7-9 წელი), ვიდრე ევროპულ ქვეყნებში. თუმცა, ევროპის ქვეყნებშიც საკმაოდ მერყევია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი.

მაგალითად, ინგლისში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი ძირითადად 14 წელს უკავშირდება, თუმცა არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როცა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება უფრო მცირეშლოვან პირსაც დაეკისროს. ეს ცვლილება შემოღებული უქნა 1993 წ. Sexual offences act-ით. (სექსუალური ხასიათის დანაშაული)<sup>1</sup>. საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით

<sup>1</sup> იხ. Heaton R. Criminal law textbook. Oxford, 2004, p.153-154.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია 13<sup>წ</sup>. ასაკიდან. აშშ-ის კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკავშირდება 14 წლის ასაკს, თუმცა ზოგიერთი შტატის კანონმდებლობით დაწესებულია პასუხისმგებლობის უფრო დაბალი ასაკი. აშშ-ის სისხლის სამართლის სანიმუშო კოდექსით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია 16 წლის ასაკიდან.<sup>1</sup> რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსით შეინარჩუნა საბჭოთა პერიოდში არსებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის ორმაგი ზღვარი, 16 წ. ზოგადი და 14 წელი – ზოგიერთი დანაშაულისთვის, რომელთა ამომწურავი ჩამონათვალი მოცემულია რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 20-ე მუხლის II ნაწილში. გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით, დაწესებულია პასუხისმგებლობის ერთიანი ასაკი – 14 წელი. ზოგიერთი ევროპული ქვეყანა, მაგალითად, შვედეთი, დანია, ფინეთი, აწესებენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას 15 წლის ასაკიდან.

როგორც დავინახეთ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უკავშირებს 14-16 წელს.

იმისათვის, რომ გავერკვეთ, თუ რატომ უკავშირდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 14-16 წლის ასაკს, აუცილებელია მივმართოთ ფსიქოლოგის, ფიზიოლოგის, სოციოლოგის და სხვა მეცნიერებათა მონაცემებს.

როცა ასაკზე საუბრობენ, განასხვავებენ ქრონოლოგიურ, ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ასაკს.<sup>2</sup> ქრონოლოგიურ ასაკში იგულისხმება ადამიანის მიერ ნაცხოვრები დროის ხანგრძლივობა. ბიოლოგიურ ასაკში გულისხმობენ ორგანიზმის ფუნქციონალურ მდგომარეობას, რომელიც შესაძლოა არ ემთხვეოდეს ქრონოლოგიურ ასაკს, რაღაც ბიოლოგიურად ორგანიზმი შეიძლება გამოიყერებოდეს უფრო ახალგაზრდულად ან უფრო მხცოვნად, ვიდრე მისი ქრონოლოგიური ასაკია. ბიოლოგიურ ასაკს სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს. სოციალური ასაკი, წარმოადგენს სოციალურ და პროფესიულ შესაძლებლობათა მაჩვენებელს. მას ენიჭება მნიშვნელობა ე.წ. სპეციალური ამსრულებლობის დროს. მაგალითად, სამხედრო დანაშაულისთვის, თანამდებობრივი დანაშაულის დროს და ა.შ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის ქრონოლოგიურთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიურ ასაკს. ფსიქოლოგიურ ასაკში ესმით ფსიქიკური განვითარების განსხვავებული ასაკობრივი პერიოდები, რომლებიც თავისი მაჩვენებლებით შეიძლება შეესაბამებოდეს, ან არ შეესაბამებოდეს ქრონოლოგიური ასაკის შესაბამისად ფსიქოლოგიაში მიღებულ

<sup>1</sup> იხ. Павлов В. Г. Субъект преступления в уголовном праве (историко-правовое исследование). М-СПб., 1999, с.84-85.

<sup>2</sup> იხ. Кроник А.А. Головаха Е.И. Психологический возраст личности// Психологический журнал, 1983, Том 4, №5 с. 57.

## ასაკობრივ ჯგუფებს.<sup>1</sup>

როგორც ფსიქოლოგები და ფიზიოლოგები მიუთითებენ, 14-16 წლის ასაკისთვის ადამიანის განვითარებაში ხდება სერიოზული ცვლილებები. ამ ასაკს გარდატეხის ასაკს უწოდებენ, შეიმჩნევა ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის მკვეთრი და აშკარა ცვლილება. კერძოდ, როგორც ფსიქოლოგიაში აღნიშნავენ ხდება ადამიანის ინტელექტუალური სფეროს ისეთი ფუნქციების განვითარება, როგორიცაა აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, რომელთა შესახებ უფრო დაწვრილებით ჩვენ მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

კიდევ ერთი კომპონენტი, რომელიც აუცილებელია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უნარისათვის, არის ნებისყოფა. ადამიანის, ნებისყოფის განვითარებაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, შესწევს თუ არა მას მოქმედებათა ავტოდეტერმინაციის უნარი, თუ მისი მოქმედებები დამოკიდებულია გარეშე ფაქტორთა უხეშ ზემოქმედებაზე. შესწევს თუ არა უნარი დაუქვემდებაროს საკუთარი მოქმედება გარკვეულ მიზნებს და მოთხოვნებს, მიმართოს ძალისხმევა გარკვეულ მოქმედებათა ჩასადენად, ან მათგან თავის შესაკავებლად. აქვე უხდა ითქვას, რომ ნებისყოფის განვითარების დონე კავშირშია აღქმის, მეხსიერების, აზროვნების განვითარებასთან. ფსიქიკის ყვალდა ამ ფუნქციის განვითარება კი წარმოადგენს ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უნარის მქონედ მიჩნევისათვის.<sup>2</sup>

მაშასადამე, 14 წლისათვის ადამიანის ნორმალური განვითარების პირობებში (როცა მის ფსიქიკას არ ახასიათებს რაიმე დეფექტი) მისი ინტელექტუალური, ნებელობითი, ფიზიოლოგიური განვითარების დონე აბსოლუტურად საკმარისია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის.

აქვე გვინდა შევეხოთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზედა ასაკობრივ ზღვარს. ეს საკითხი სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში პრაქტიკულად არ დასმულა. ამის ძირითადი მიზეზი არის ალბათ ის, რომ საკითხი არაა იმდენად აქტუალური, როგორც ქვედა ასაკობრივი ზღვარის პრობლემა. ფაქტიურად, ადამიანი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უნარის მქონედ ივარაუდება სიცოცხლის ბოლომდე. მაგრამ, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ის თავისებურებები, რაც ახასიათებს მოხუცებულობის ასაკს. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში (ფსიქოლოგიურ, ფსიქიატრიულ, პათოფსიქოლოგიურ) აღნიშნავენ, მოხუცებულობის ასაკს ახასიათებს მეხსიერებისა და ყურადღების დარღვევები, ინფორმაციის აღქმისა და დამუშავების შესუსტება, აღგზნებადობისა და თავშეკავების პროცესის ბალანსის დარღვევა ან შესუსტება, მნიშვნელოვნად გართულებულია ისეთ სიტუაციათა ოპტიმალური გადაწყვეტა, რომლებიც საჭიროებენ სწრაფ თრიენტაციას. მათ უძნელდებათ გარკვეულ სიტუაციათა გაცნობიერება მთლიანობაში,

<sup>1</sup> იხ. Назаренко Г. В. Невменяемость. СПб., 2002, с. 112-113.

<sup>2</sup> იხ. Ситковская О.Д. Психология уголовной ответственности М., 1998, с. 91.

საკუთარი ან სხვისი მოქმედებების შედეგების პროგნოზირება და ა.შ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური პროცესები, რომლებიც ახასიათებენ მოხუცებულობის ასაკს, ზღუდავენ ადამიანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უნარს. ზოგადად, ასეთ ასაკად მიიჩნევენ 70-75 წელს. ეს, რა თქმა უნდა, პირობითია. ჩვენ ვემხრობით იმ მოსაზრებას, რომ სრულად უსარგებლო და სახიფათოცაა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთიანი ზედა ზღვრის დაწესება.<sup>1</sup>

არც თუ ისე იშვიათად, მოხუცებულობის ასაკშიც ადამიანები ინარჩუნებენ სად გონებას და ცნობიერებას. ამდენად მოხუცებულობის ასაკში ადამიანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს კონკრეტული სიტუაციისა და კონკრეტული პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე. თუმცა, ზოგადად მოხუცებულობის ასაკი, ისევე, როგორც არასრულწლოვანება უნდა ჩაითვალოს შემამსუბუქებელ გარემოებად.<sup>2</sup>

რაც შეეხება ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას, როგორც შერაცხადობის ერთ-ერთ აუცილებელ ნიშანს, ის პირობით ხასიათს ატარებს, რამეთუ პირის შერაცხადად ცნობისათვის არ არის აუცილებელი აბსოლუტური ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა. მრავალია შემთხვევები, როცა ფსიქიკური გადახრების (ანომალიების) და ფსიქიკური დაავადებების მქონე პირები ცნობილი იყვნენ შერაცხადებად. მაგალითად, რემისიის პერიოდში და ა.შ. მაგრამ, ვინაიდან ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ვსაუბრობთ, გვინდა აღვნიშნოთ თუ როგორაა გაგებული იურიდიულ და არაიურიდიულ ლიტერატურაში ნორმა (მათ შორის ფსიქიკური ნორმა). გ. უშაკოვი თვლის, რომ ფსიქიკური ნორმა შემდეგი ნიშნებით უნდა ხასიათდებოდეს: ადამიანის მოქმედების ადეკვატურობა გარემო ფიზიკურ, ბიოლოგიურ და ფსიქიკურ ზემოქმედებაზე; როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ რეაქციათა შესაბამისობა გარე გამდიზიანებელთა ძალისა და სიხშირისადმი; რეაქციათა ადეკვატურობა საზოგადოებრივი გარემოებებისადმი (სოციალური გარემოსადმი); უნარი შეიცვალოს მოქმედების ხერხი, ცხოვრებისეულ სიტუაციათა ცვალებადობის გათვალისწინებით; უნარი დაგეგმოს თავისი ცხოვრების გზა და ა.შ.<sup>3</sup> ი. ნეპლოხის აზრით, ნორმალურ ადამიანს უნდა ახასიათებდეს მოცემულ გარემოსა და საზოგადოებისადმი ადეკვატური ცხოვრების ხასიათი, მისწრაფებები, ქცევისა და აფექტის თვითკონტროლის უნარი. ის წერს, რომ ფსიქიკურ ნორმაში ივარაუდება ადამიანის თვითგამოხატვის მრავალმხრივობა, მის მიერ თავისუფალი და შეუზღუდავი ძიება ცხოვრების არსისა და ღირებულების.<sup>4</sup>

ვ. კუდრიავცევი მიუთითებს, ნორმალურია ადამიანის ისეთი მოქმედება, რომელიც ასახავს ტიპიურ კავშირებსა და

<sup>1</sup> იხ. Ситковская О.Д. დასახ. ნაშრ. გვ 120-123.

<sup>2</sup> იხ. Ситковская О.Д. დასახ. ნაშრ. გვ 123.

<sup>3</sup> იხ. Ушаков Г.К. Пограничные нервно-психические расстройства. М., 1978, с. 80-81.

<sup>4</sup> იხ. Неплох Я. М. Человек познай себя. Записки психиатра. С-Пб., 1991, с. 39-40.

ურთიერთობებს, რაც დამახასიათებელია მოცემული სოციალური ჯგუფის წევრთა უმრავლესობისათვის, რაც ყველაზე ხშირად გვხვდება და არ იკიცხება.<sup>1</sup>

აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ნორმისათვის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი არის რეაქციათა ადეკვატურობა გამდიზიანებლებზე, რეაქციათა მართვის (კონტროლის) უნარი, აღგზნებადობისა და თავშეკავების ძალთა ბალანსი. ეს არის ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ ფსიქიკურ ნორმას. ზოგადად კი, ნორმალურ ქცევად მიიჩნევა ისეთი მოქმედებები, რომლებიც შეესაბამებიან საზოგადოებრივ მოთხოვნებს, საზოგადოებაში მიღებულ და ჩამოყალიბებულ წესებს, რადაც საშუალო რომელიც არ იხრება რაიმე უკიდურესობისაკენ.

სოციალიზაცია – ასევე შერაცხადობის ერთ-ერთი ნიშანია. სოციალიზაციის პროცესი – წერს ი. კონი – არის მრავალმხრივი პროცესი, რომელსაც ზოგადად ახასიათებს შემდეგი ნიშნები: შრომითი საქმიანობა, მატერიალური დამოუკიდებლობა, პროფესიის შეძენა, პოლიტიკური და სამოქალაქო სრულწლოვანება, ქორწინება.<sup>2</sup> ი. ანტონინს და ს. ბოროდინს თავიანთ ნაშრომში სოციალიზაციის ასეთი განმარტება მოჰყავთ: „სოციალურ სიმწიფეში იგულისხმება, ადამიანის ისეთი მდგომარეობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში, როცა პიროვნება გამოდის სოციალური როლების სრულუფლებიან მატარებლად ეკონომიკის, პოლიტიკის, სამართლის სფეროში, როცა ის აცნობიერებს თავის როლს და პასუხისმგებლობას და ასრულებს აქედან გამომდინარე მოვალეობებსაც.<sup>3</sup>“ ა. იაკოვლევის აზრით, ადამიანის სოციალიზაციაში გაიგება მის მიერ სოციალური გარემოს ნორმათა და ღირებულებათა ათვისების პროცესი, რომელიც მიმდინარეობს როგორც ცნობიერ, ასევე არაცნობიერ დონეზე. სოციალიზაციის პროცესში ადამიანი აღიქვამს საზოგადოებაში არსებულ ურთიერთობათა სტრუქტურის მოთხოვნებს, წესებს, სოციალური ცხოვრების ტაბუს და ა.შ.<sup>4</sup>

როგორც ვხედავთ, სოციალიზაციის დონე განსაზღვრავს ადამიანის ცნობიერებას, განაპირობებს მის სოციალურ გამოცდილებას, რაც პირდაპირ კავშირშია იმასთან, თუ როგორ ქცევას აირჩევს ადამიანი, რამდენად შესწევს მას უნარი მართოს ეს ქცევა და ა.შ. ეს ყველაფერი კი, უთუოდ ზეგავლენას ახდენს შერაცხადობაზე (შერაცხვისუნარიანობაზე).

რაც შეეხება შერაცხადობის კრიტერიუმებს, ტრადიციულად გამოყოფენ ორს: სამედიცინო (ფსიქიატრიული) და ფსიქოლოგიურ (იურიდიულ). შერაცხადობის სამედიცინო კრიტერიუმში იგულისხმება პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც მეტ-ნაკლებად უახლოვდება ნორმას. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მართებული იქნება, თუ ამ კრიტერიუმს ვუწოდებთ არა სამედიცინო (ბიოლოგიურ) არამედ

<sup>1</sup> იხ. Кудрявцев В.Н. Правовое поведение: Норма и патология. М., 1982, с. 15.

<sup>2</sup> იხ. Кон. И.С. Психология старшеклассника М., 1982 с. 34-39.

<sup>3</sup> Антонян Ю. М. Бородин С.В. Преступное поведение и психические аномалии М., 1998, с. 134.

<sup>4</sup> იხ. Яковлев А.М. Социальная психология о преступности М., 1975, с. 13.

ფსიქოფიზიოლოგიურს.<sup>1</sup> ჩვენ ვთვლით, რომ ეს მოსაზრება შეიძლება იქნას გაზიარებული, რადგან შერაცხადობა, ისევე როგორც შეურაცხაობა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, თუ დაავადებაზე არ დაიყვანება. ადამიანის შერაცხადობა-შეურაცხაობაზე ფსიქიკური მდგომარეობის გარდა გავლენას ახდენს უამრავი სხვა მდგომარეობა, მათ შორის ფიზიოლოგიურიც.

ფსიქოლოგიური კრიტერიუმი მოიცავს ორ ნიშანს – ინტელექტუალურს და ნებითს, ინტელექტუალური ნიშანი გულისხმობს პირის სოციალურ-ფსიქოლოგიურ უნარს, თავისი ინტელექტუალური განვითარების დონით გააცნობიეროს ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა. ნებითი ნიშანი გულისხმობს პირის უნარს, უხელმძღვანელოს თავის ქმედებას დანაშაულის ჩადენის დროს, ე.ი. პირის უნარს იმოქმედოს საკუთარი ნების შესაბამისად, უნარს შეიკავოს თავი იმპულსური და სხვა მსგავსი ქმედებებისაგან.

#### 2.4.3 შუალედური დასკვნა

შერაცხადობა, როგორც ვიცით, ხშირ შემთხვევაში სპეციალურად არ დგინდება, ის იგულისხმება, მაგრამ თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ქცევა, ან სხვა გარემოებები ბადებენ ეჭვს მის შერაცხადობაში, ანუ კითხვის ქვეშ აყენებენ ქმედების ბრალად შერაცხვის შესაძლებლობას, ასეთ შემთხვევაში აუცილებელი ხდება მისი შერაცხადობის დადგენა. დაბოლოს, შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ შერაცხადობის ცნება. ჩვენი აზრით, შერაცხადობა შეიძლება განვმარტოთ, როგორც პირის მდგომარეობა, როცა მას ფსიქიკური, ფიზიკური მდგომარეობის, სოციალურ-ფსიქოლოგიური განვითარების, სოციალიზაციის დონის, ასაკის, მიხედვით შესწევს უნარი დანაშაულის ჩადენის დროს გააცნობიეროს თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და უხელმძღვანელოს მას.

<sup>1</sup> о.в. Михеев Р.И. Проблемы вменяемости, вины и уголовной ответственности. Диссертация док. юр. наук. М., 1995, с. 15.

## 2.5 შეურაცხაობის საკითხისათვის

### 2.5.1 შეურაცხაობის ზოგადი მიმოხილვა

შეურაცხაობის საკითხი სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკის როულ და სადისკუსიო საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება, ის პირდაპირ კავშირშია ბრალის და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებთან. შეურაცხაობის საკითხის სირთულე იმითაც აიხსნება, რომ ის კომპლექსური პრობლემაა, რომელიც მეცნიერების ერთი დარგის ფარგლებში ვერ თავსდება. ეს განაპირობებს ამ პრობლემისადმი განსხვავებულ მიდგომას და აზრთა სხვადასხვაობას, რაც უკვე არა ერთი საუკუნეა გრძელდება.

ისტორიულად შეურაცხაობის ცნებამ დიდი ეპოლუციური გზა გაიარა, მრავალჯერ შეიცვალა მისი შინაარსი და ფორმა. ითვლება, რომ შეურაცხაობის ცნება პირველად შემოღებული იქნა 1810 წელს საფრანგეთში, ე.წ. ნაპოლეონის კოდექსში. ამ მხრივ, არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. გ.ნაზარენკო თვლის, რომ შეურაცხაობის ცნება პირველად შემოღებული იქნა რუსეთში 1845 წელს „Уложение о наказания уголовных и исправительных“.<sup>1</sup>

როგორც რევოლუციამდელ რუსულ, ასევე საბჭოთა პერიოდის ლიტერატურაში ფართო დისკუსია მიმდინარეობდა, (თუმცა არც დღეს არის ამ მხრივ ერთსულოვნება) შეურაცხაობის ცნებასა და კრიტერიუმებზე. ამ მხრივ, უურადღების ლირსია ნ. ტაგანცევის მიერ შემოთავაზებული შეურაცხაობის განმარტება, რომელიც მიღებული იყო 1903 წ. პროექტში „Уголовного уложения“, მუხ. 33. ამ მუხლის მიხედვით: „არ შეერაცხება ბრალად ჩადენილი ქმედება იმ პირს, ვისაც არასაკმარისი გონებრივი განვითარების, სულიერი მდგომარეობის მოშლილობის, ან უგონო მდგომარეობის გამო, არ შეეძლო დანაშაულის ჩადენის დროს გაეგო მის მიერ ჩადენილი ქმედების თვისება და მნიშვნელობა, ან ეხელმდგანელა მისთვის“<sup>2</sup>.

ეს იყო იმ დროისათვის შეურაცხაობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სრულყოფილი განმარტება. ამ განმარტებაში იკვეთება შეურაცხაობის კრიტერიუმები. ფსიქიკურ მოშლილობათა მითოთებული ფორმები ქმნიან შეურაცხაობის სამედიცინო კრიტერიუმს, ხოლო მოქმედების გაცნობიერებისა და ხელმძღვანელობის უუნარობა ფსიქოლოგიურ კრიტერიუმს. თუმცა, თავად ტერმინი სამედიცინო კრიტერიუმი (მანამდე მას ეწოდებოდა შეურაცხაობის მიზეზები) და იურიდიული კრიტერიუმი პირველად შემოიღო ა. ვულფერტმა, რომელიც იყო მოსკოვის იურიდიული საზოგადოების წარმომადგენელი. მან ასევე გამოთქვა შეხედულება, რომლის მიხედვით შეურაცხაობა წარმოადგენს სამედიცინო და იურიდიულ კრიტერიუმთა ერთობლიობას. ამ მხრივ, საყურადღებო ე. ნემიროვსკის პოზიცია, მან გამოყო ფსიქოლოგიურ (იურიდიულ) კრიტერიუმში ინტელექტუალური ელემენტი – უუნარობა გააცნობიეროს საკუთარი მოქმედება და ნებელობითი ელემენტი

<sup>1</sup> იხ. Назаренко Г.В. დასახ. ნაშრ. გვ. 81.

<sup>2</sup> Назаренко Г.В. დასახ. ნაშრ. გვ. 84.

(უუნარობა უხელმძღვანელოს საკუთარ მოქმედებებს<sup>1</sup>). მაგრამ, აზრთა სხვადასხვაობა კრიტერიუმების ირგვლივ დღემდე გრძელდება.

აზრთა დიდი სხვადასხვაობით და არათანმიმდევრობით ხასიათდებოდა საბჭოთა პერიოდიც. 1917 წ. რევოლუციის შემდეგ დაახლოებით 30-იანი წლების ბოლომდე საერთოდ არ გამოიყენებოდა ტერმინები – „შერაცხადობა და შეურაცხაობა“. იმდროინდელი საკანონმდებლო აქტები არ მოიხსენიებდნენ ამ ტერმინებს. მათ ნაცვლად გამოიყენებოდა ტერმინი „ფსიქიკურად დაავადებულთა დაუსჯელობა“, „სოციალური დაცვის ღონისძიებები“, ასევე ფართოდ მოიხსენიებოდა „მიზანშეწონილობის პრინციპი“. 1958 წ. მიღებული საბჭოთა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში და შემდეგ მიღებულ მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებში, მოცემული იყო შეურაცხაობის საკანონმდებლო განმარტება. საქართველოს 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 13-ე მუხ. მიხედვით: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ეკისრება პირს, რომელსაც საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენის დროს, არ შეეძლო ანგარიში გაეწია საკუთარი მოქმედებისათვის ან ეხელმძღვანელა ამ მომქედებისათვის ქრონიკული სულიერი დაავადების, სულიერი მდგომარეობის დროებითი მოშლილობის, ჰკუასუსტობის ან სხვა ავადმყოფური მდგომარეობის გამო“. როგორც ვხედავთ, შეურაცხაობის ამგვარმა საკანონმდებლო რეგლამენტაციამ შეურაცხაობა დაიყვანა მხოლოდ ფსიქიკურ დაავადებაზე. საბჭოთა პერიოდში შექმნილია არაერთი ნაშრომი, რომელიც მიძღვნილია შეურაცხაობის პროცედურისადმი. ტრადიციულად, ამ ნაშრომებში (როგორც იურისტების, ასევე არაიურისტების მიერ) შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადებით შემოიფარგლება. ჩვენ შევაცდებით, ყურადღება გავამახვილოთ მათგან ყველაზე უფრო ცნობილ და გავრცელებულ ნაშრომებზე.

რ. მიხეევი მიიჩნევს, რომ შეურაცხაობა არის ისეთი მდგომარეობა, რომელიც გამორიცხავს ბრალს და სიხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და არა პირის უნარს დანაშაულის ჩადენის დროს გააცნობიეროს ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშიროება ანდა უხელმძღვანელოს მას, რაც გამოწვეულია ქრონიკული ფსიქიკური დაავადებით, ფსიქიკური მდგომარეობის დროებითი მოშლილობით, ჰკუასუსტობით ან სხვა ფსიქიკური დაავადებით.<sup>2</sup> რ. მიხეევის მიერ მოცემული შეურაცხაობის განმარტება, ვფიქრობ, გარკვეულ უზუსტობას შეიცავს. პირი შეურაცხი სწორედ იმიტომაა, რომ მას ქმედების ფაქტობრივი ხასიათის და მართლწინააღმდეგობის გაცნიბიერების ანდა ხელმძღვანელობის უნარი არა აქვს, რასაც საბოლოოდ ბრალის გამორიცხავამდე მივყავართ. ამიტომ, შეურაცხაობის ცნებაში აუცილებელია ამ ნიშნებზე მითითება. სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნება ბრალის გამორიცხვაზე, თუ არგამორიცხვაზე მსჯელობა უმართლობის ჩადენის დროს. ი. ანტონიანი და ს.

<sup>1</sup> იხ. Назаренко Г.В. დასახ. ნაშრ. გვ. 84.

<sup>2</sup> იხ. Павлов В. Г. Субъект преступления и уголовная ответственность. СПб., 2000, с.62.

ბოროდინი შეურაცხაობას განმარტავენ როგორც პირის ფსიქიკურ მდგომარეობას, რომელიც მდგომარეობს მის უუნარობაში ანგარიში გაუწიოს საკუთარ თავს თავის მოქმედებებში, უმოქმედობაში (გააცნობიეროს ფაქტობრივი ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება), ან უხელმძღვანელოს მათ, მისი ჩადენის მომენტში.<sup>1</sup> გ. ნაზარენკოს აზრით, შეურაცხაობა წარმოადგენს პირის უუნარობას უხელმძღვანელოს საკუთარ მოქმედებას დანაშაულის ჩადენის დროს ფსიქიკური მდგომარეობის პათოლოგიური მოშლილობის გამო და იწვევს მის გათავისუფლებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან<sup>2</sup>. ბ. პროტჩენკო შეურაცხაობას განმარტავს, როგორც სასამართლოს მიერ ცნობილი პირის არაპასუხისმგებლობას და არაბრალეულობას, რომელსაც სისხლის სამართლის კანონით, გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენის დროს, თავისი ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე არ შეეძლო ანგარიში გაეწია საკუთარი თავისათვის თავის მოქმედებებში და უხელმძღვანელა მისთვის.<sup>3</sup>

ვ. ორლოვი წერს, რომ შეურაცხაობაში უნდა გავიგოთ პირის ისეთი ფსიქიკური მდგომარეობა საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენის მომენტში, როცა ის არ ფლობს უნარს, გააცნობიეროს ობიექტური სინამდვილის მოვლენები და აქედან გამომდინარე, არ ესმის თავისი მოქმედების ხასიათი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ან კარგავს უნარს, თავისუფლად უხელმძღვანელოს მათ. შეურაცხაობა არის ადამიანის ძირითადი ფსიქიური ფუნქციების ავადმყოფური მდგომარეობა, რის გამოც ადამიანი ხდება უუნარო გააცნობიეროს თავისი მოქმედებები და უხელმძღვანელოს მათ.<sup>4</sup> ი. ბოგომიაგოვი გვთავაზობს შეურაცხაობის შემდეგ განმარტებას: „შეურაცხაობა არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული გარემოება, რაც გამორიცხავს დანაშაულის სუბიექტს და გულისხმობს ობიექტურად მართლსაწინააღმდეგო საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენას პირის მიერ, რომელსაც მისი ჩადენის დროს არ შეეძლო გაეცნობიერებინა მისი საზოგადოებრივი საშიშროება და ეხელემდღვანელა მისთვის, ფსიქიკური დაავადებას ან სხვა ავადმყოფური მდგომარეობის გამო“<sup>5</sup>. ვ. პავლოვის აზრით, შეურაცხაობა წარმოადგენს პირის ფსიქიკის ავადმყოფური მოშლილობის სხვადასხვა სახეებს, რომელიც საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენის დროს აყენებს, ან შეუძლია მიაყენოს ზიანი სისხლის სამართლის კანონით დაცულ ურთიერთობებს, ხოლო პირს არ შეუძლია გააცნობიეროს თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშიროება, ან უხელმძღვანელოს მას, რაც გამორიცხავს მის ბრალეულობას,

<sup>1</sup> იხ. Антонян Ю.М., Бородин С.В. დასახ. ნაშრომი გვ. 130.

<sup>2</sup> იხ. Павлов В.Г. დასახ. ნაშრომი გვ. 63.

<sup>3</sup> იხ. Протченко Б.А. Принудительные меры медицинского характера по советскому уголовному праву. Автoreферат дис. канд. юрид. наук М., 1979, с. 11.

<sup>4</sup> იხ. Орлов В.С. Субъект преступления М., 1958, с. 36-37.

<sup>5</sup> Богомягков Ю.С. Уголовно-правовая невменяемость: критерии и признаки// Советское Государство и Право, 1989, №4 с.108.

სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მისთვის სასჯელის დანიშვნას.<sup>1</sup>

როგორც გხედავთ, ზემოთმოყვანილი შეურაცხაობის განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ შეურაცხაობა დაკავშირებულია ფსიქიკურ დაავადებასთან, ანუ შეურაცხაობის საკითხი დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს ახასიათებს ფსიქიკის დეფექტი (ეს ტენდენცია შენარჩუნებულია პოსტსაბჭოურ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში). რა თქმა უნდა, შეურაცხაობა უკავშირდება ფსიქიკურ დაავადებას და ძალიან ხშირად ფსიქიკური დაავადება არის მიზეზი შეურაცხაობისა, მაგრამ შეურაცხაობა არ შეიძლება დავიყვანოთ ფსიქიკურ დაავადებაზე, ანუ ფსიქიკური დაავადება არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი მიზეზი შეურაცხაობისა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პოზიცია, სადაც ფსიქიკურ დაავადებასთან ერთად გამოყოფილია ასაკი, როგორც შეურაცხაობის გამომწვევი გარემოება (33-ე მუხლი), აგრეთვე მისატევებელი შეცდომა (36-ე მუხლი), ბრძანების ან განკარგულების შესრულება (37-ე მუხლი), ნიშანდობლივია აგრეთვე 38-ე მუხლი „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების დროს“, რომელიც იძლევა საშუალებას გათვალისწინებული იქნას ისეთი გარემოებები, რომლებსაც არ მოიხსენიებს კოდექსი. ამან, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს, როგორც მართლმსაჯულების განხორციელებას, ასევე სამოსამართლეო სამართალ შემოქმედებას. ამ მხრივ, მართებულად მიუთითებს პროფ. ო. გამყრელიძე, რომ შეურაცხაობა ნებისმიერ ისეთ გარემოებას უკავშირდება, როცა ადამიანს მის მიერ ჩადენილი უმართლობა ბრალად არ შეერაცხება.<sup>2</sup>

## 2.5.2 შეურაცხაობის გამომწვევი გარემოებები

ერთ-ერთი ასეთი გარემოებათაგანი, ჩვენი კანონმდებლობით არის მცირეწლოვანება, ანუ 14 და ზოგ შემთხვევაში 12 წლის ასაკს მიუღწევლობა. როგორც წინა პარაგრაფში აღინიშნა, ადამიანის ძირითადი ფსიქიკური ფუნქციების (მეხსიერება, ყურადღება, აზროვნება და ა.შ.) განვითარება უკავშირდება გარკვეული ასაკის მიღწევას. ამიტომ, მცირეწლოვანს ეს ფუნქციები არასათანადოდ, ან შეიძლება ითქვას არასაკმარისად აქვს განვითარებული, რაც შეუძლებელს ხდის მის მიერ საკუთარ მოქმედებათა, თუ სიტუაციათა აღქმას, გაცნობიერებას, კონტროლს და ა.შ. როგორც ცნობილია, მცირეწლოვნები გამოირჩევიან ადგილი შთაგონებით, მათ ხშირად უჭირთ ყურადღების კონცენტრაცია, მათ ახასიათებთ ინტერესთა, მოთხოვნილებათა სწრაფი ცვალებადობა, მათი უმაღვე დაკმაყოფილების სურვილი და ა.შ. ყოველივე ეს, გამორიცხავს მათთვის ქმედების ბრალად შერაცხვის შესაძლებლობას. ამიტომ, მცირეწლოვანი შეურაცხია. შეურაცხაობა უკავშირდება ფსიქიკურ

<sup>1</sup> იხ. Павлов В.Г. Субъект преступления и уголовная ответственность. СП-Б., 2000, с. 65-66.

<sup>2</sup> იხ. გამყრელიძე ო. შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა // ადამიანი და კონსტიტუცია, 2002, №3 გვ. 74-75.

დაავადებასაც. როგორც ვიცით, ლიტერატურაში (იურიდიულ და ფსიქიატრიულ ში) გამოყოფენ ფსიქიკურ დაავადებათა ოთხ ჯგუფს: ქრონიკულ ფსიქიკურ ავადმყოფებას, ფსიქიკური მდგომარეობის დროებით მოშლილობას, ჭკუასუსტობას, ან სხვა ფსიქიკურ დაავადებას. აღნიშნულ ფსიქიკურ დაავადებათა თითოეული ჯგუფი საკმაოდ კარგადაა შესწავლილი დღევანდელ ფსიქიატრიაში, მათდამი მიძღვნილია უამრავი ნაშრომი და გამოკვლევა. ამიტომ, ჩვენ მხოლოდ მოკლედ გადმოვცემთ, თუ როგორ მდგომარეობას გულისხმობს აღნიშნულ დაავადებათა თითოეული ჯგუფი.

ქრონიკული ფსიქიკური მოშლილობა მოიცავს ისეთ დაავადებებს, რომლებიც ძნელად განკურნებად, ან საერთოდ განუკურნებად ფსიქიკურ დაავადებებს მიეკუთვნებიან. მათ ახასიათებთ გართულების (პროგრესირების) ტენდენცია, ისინი ატარებენ ხანგრძლივ ხასიათს. ეს დაავადებები, შეიძლება იყოს როგორც ენდოგენური (შინაგანი), ასევე ეგზოგენური (გარეგანი) წარმოშობის. ენდოგენური ხასიათის დაავადებებს მიეკუთვნება შიზოფრენია, მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი, ეპილეფსია და ა.შ. ეგზოგენურ დაავადებებს მიეკუთვნება, მაგალითად, თავის ტვინის ტრამვები, ინტენსიკაციები და სხვა, რომელთა წარმოშობაში ძირითად როლს თამაშობს გარეშე ფაქტორები.

ფსიქიკური მდგომარეობის დროებით მოშლილობაში იგულისხმება ხანგრძლე ხასიათის ფსიქიკური დაავადებები, რომლებიც როგორც წესი გამოჯანმრთელებით სრულდება. ასეთ მდგომარეობებს მიეკუთვნებიან პათოლოგიური სიმთვრალე, პათოლოგიური აფექტი, ალკოჰოლური ფსიქოზები, რეაქტიული მდგომარეობები და ა.შ.

ჭკუასუსტობა წარმოადგენს ფსიქიკურ მოშლილობას, რომელიც გამოიხატება ინტელექტის მკვეთრი დაქვეითებით, ჭკუასუსტობა შეიძლება იყოს თანდაყოლილი, ან შეძენილი. თანდაყოლილ ჭკუასუსტობაში (ოლიგოფრენია) სიმძიმის ხარისხის მიხედვით განასხვავებენ 3 ფორმას: დებილობას (მსუბუქი), იმბეცილობა (საშუალო), იდიოტიას (მძიმე). პირის შეურაცხად ცნობის საფუძველს წარმოადგენს ჭკუასუსტობის საშუალო ხარისხი, ან გამწვავებული სიდებილე. თანდაყოლილ ჭკუასუსტობას აქვს დამოუკიდებელი სასამართლო-ფსიქიატრიული მნიშვნელობა. შეძენილი ჭკუასუსტობა (დემენცია), რომელიც ხასიათდება ინტელექტის დაქვეითებით, ან სრული მოშლით, როგორც წესი, ფასდება მისი გამომწვევი ფსიქიკური დაავადებიდან გამომდინარე.

სხვა ფსიქიკურ დაავადებას მიეკუთვნება როგორც ქრონიკული, ასევე დროებითი ფსიქიკური მოშლილობანი, მათ შორის უველაზე კლასიკურია ფსიქოპათიები, რომლებიც წარმოადგენენ თანდაყოლილი ან შეძენილი ხასიათის სიმახინჯებს. ფსიქიატრიაში ფსიქოპათიებს განმარტავენ, როგორც მოქმედებისა და ხასიათის ანომალიებს, რომლებიც ვლინდება ემოციურ-ნებელობითი სფეროს დისპარმონიაში და თავისებურ უპირატესად აფექტურ აზროვნებაში. სხვა ფსიქიკურ დაავადებებს მიეკუთვნება ასევე ფსიქიკური მოშლილობანი, გამოწვეული ინფექციური დაავადებებით და სხვ. სხვა ფსიქიკური დაავადებები ხასიათდება იმით, რომ ამ დაავადებებს არ აქვთ პროცესუალური საფუძველი და

შეიცავენ ე.წ. თანმდევ ფსიქიკურ მოშლილობებს, ან ფსიქიკურ მოშლილობასთან გათანაბრებულ ფსიქიკის ანომალიებს.<sup>1</sup> პროცესუალური საფუძვლის არქონაში იგულისხმება ის, რომ ამ დაავადებებს მაგალითად, ფსიქოპათიებს არა აქვთ მკვეთრად გამოხატული ეტაპები (დაწყების, მიმდინარეობის და დასრულების), რომლებიც ჩვეულებრივად ახასიათებენ დაავადებულს.

შეურაცხაობის მიზეზი შეიძლება იყოს მისატევებელი შეცდომა. მისატევებელი შეცდომის ჩადენის შემთხვევაში პირს არა აქვს ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება, ანუ მან არ იცის (ვერ აცნობიერებს), რომ ჩადის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა კი, როგორც ვიცით, განზრახვის ან ბრალის გამომრიცხველი გარემოება შეიძლება იყოს. მაგალითად, პირმა არ იცოდა ბლანკეტური ნორმის შინაარსი, რომელიც მან დაარღვია. ამ შემთხვევაში მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა გამორიცხავს განზრახვას და ის შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის, თუ კონკრეტული ქმედების ჩადენა გაუფრთხილებლად დასჯადია. კიდევ მაგალითი, მოწმე არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არ მისცა ჩვენება, რადგან უწყებაში იყო არასწორად მითითებული თარიღი. ამ შემთხვევაში პირს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, რადგანაც გამოირიცხება მისი ბრალი. შეცდომა მისატევებელია მაშინ, თუ პირმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ ჩადიოდა დანაშაულს, ანუ ის ვერ აცნობიერებდა და არც შეეძლო გაეცნობიერებია თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, რაც შეუძლებელს ხდის მისთვის ამ ქმედების ბრალად შერაცხვას, და მას შეურაცხს ხდის.

შეურაცხაობის გამომწვევი გარემოებაა ბრძანების ან განკარგულების შესრულება, რაც ნიშნავს იმას, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ეკისრება იმას, ვინც სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შესრულებისას, წინასწარი შეცნობის გარეშე დააზიანა სამართლებრივი სიკეთე (37-ე მუხლი). როგორც ვხედავთ, აქაც პირს ჩადენილი ქმედება ვერ ერაცხება ბრალად, რამეთუ მას არა აქვს შეცნობილი საკუთარი ქმედების მართლწინააღმდეგობა. მართებულად მიუთითებს დოქტ. გ. ტურავა, რომ ესაა მისატევებელი შეცდომის სპეციალური შემთხვევა.<sup>2</sup> ამ შემთხვევაშიც პირი შეურაცხია. წინააღმდეგ შემთხვევაში თუ შეცდომა მიუტევებელია, პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება გაუფრთხილებლობისათვის და ის არ განთავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ავტორთა კოლექტივის მიერ დაწერილ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პირი უნდა გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაშიც, როცა ის არ ითვალისწინებდა, მაგრამ შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და

<sup>1</sup> იხ. Назаренко Г.В. დასახ. ნაშრ. გვ. 93-94.

<sup>2</sup> იხ. ტურავა გ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბ., 2002, გვ. 90-92.

მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა<sup>1</sup>. ამ შემთხვევაში სახეზეა გაუფრთხილებლობა, რაც მიუტევებელ შეცდომას გულისხმობს. ავტორის აზრით, ამ შემთხვევაშიც პირი უნდა განთავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ჩვენი აზრით, ეს შეხედულება ეწინააღმდეგება გაუფრთხილებლობის ბუნებას, რადგან, როგორც მართებულად აღნიშნავს პროფ. ო. გამყრელიძე, გაუფრთხილებლობა ყოველთვის რაღაცის უარყოფითი შეფასებაა<sup>2</sup>. როცა შეცდომა მიუტევებელია, ეს იმას ნიშნავს, რომ პირი ვალდებული იყო, გაეთვალისწინებია იგი და არ დაეშვა მართლსაწინააღმდეგო შედეგი. ამიტომ, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში მისი გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან გაუმართლებელია.

შეურაცხაობის გამომწვევ ერთ-ერთ გარემოებას წარმოადგენს ტრაგიკული კოლიზია. მ. ტურავა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლი აერთიანებს ბრალის გამომრიცხველ სხვადასხვა საპატიებელ გარემოებებს, რომელთაც პირობითად შეიძლება ეწოდოთ ტრაგიკული კოლიზიის შემთხვევები. ეს ის შემთხვევებია, როცა, როგორც წესი, ადგილი აქვს თანაბარმნიშვნელოვან ინტერესთა კოლიზიას, რომლის დროსაც წარმოიშობა კონფლიქტი, რომელშიც გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ერთი მათგანის სასარგებლოდ მეორე სიკეთის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის ხარჯზე. ასეთ შემთხვევებში პირი, მართალია, ახორციელებს ქმედების შემადგენლობის შესაბამის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას (სისხლის-სამართლებრივი უმართლობა), მაგრამ შექმნილი სიტუაცია იმდენად ექსტრემალურია, რომ მას არ შეუძლია მოეთხოვოს ნორმის შესაბამისი მოქმედების შესრულება, რის გამოც ბრალის გამორიცხვის გზით უარი უნდა ითქვას მის დასჯაზე. ქართული სისხლის სამართლის ბრალის გამომრიცხველი დაუწერელი ზეკანონური გარემოებები შეიძლება გამოვლინდეს საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის სხვადასხვა შემთხვევებში. მ. ტურავა განიხილავს საპატიებელ უკიდურეს აუცილებლობას ვიწრო და ფართო გაგებით. საპატიებელ უკიდურეს აუცილებლობაში ვიწრო გაგებით მოიაზრება ის შემთხვევები, რომლებიც ჩადენილია დამნაშავის ან მისი ახლობლის სიცოცხლის, სხეულებრივი მთლიანობის ან თავისუფლების გადასარჩენად, ხოლო ფართო გაგებით გულისხმობს იმ შემთხვევებს, როდესაც პირი სხვას დააზიანებს იმ უშუალო საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრება არა თვითონ დამზიანებლის ან მისი ახლობლის სამართლებრივ სიკეთეს, არამედ სხვა, მესამე ისეთ პირს, რომელიც ხელმყოფისათვის ასეთ ადამიანთა წრეს არ ეკუთვნის. მაგალითად, ორ მთამსვლელს გარდაუვალი დაღუპვა ემუქრება და ასეთ ვითარებაში მესამე თოკს გადაჭრის იმ მიზნით, რომ ერთ-ერთი

<sup>1</sup> იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. რედ. გ. ტყეშელიაძე, გ. ნაჭყებია. თბ., 2004, გვ.119.

<sup>2</sup> იხ. გამყრელიძე ო. შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა//ადამიანი და კონსტიტუცია, 2002, №4 გვ. 88.

მაინც გადაარჩინოს, მისი მოქმედება ვერ ჩაითვლება ბრალეულად.<sup>1</sup>

შეურაცხად პირი შეიძლება ცნობილ იქნას ყველა შემთხვევაში, როცა მას არა აქვს უნარი და შესაძლებლობა გააცნობიეროს საკუთარი ქმედების მართლწინააღმდეგობა ანდა უხელმძღვანელოს მას. ეს უნარი და შესაძლებლობა ეყრდნობა მის მენტალურ და ფიზიკურ მდგომარეობას. მაგალითად, ა. მუშაობს მშენებლობაზე, ამწეზე, მორიგი სამუშაოს წარმოებისას, როცა მიწაზე ბეტონის ფილები უნდა დაეშვა, მან ვერ შეძლო დამშვები მექანიზმის დამორჩილება, რის გამოც ბეტონის ფილები დიდი სიჩქარით დაეშვა და ქვეშ მოიყოლა ქვემოთ მდგომი პირები. იმის მიზეზი, რომ ამწეს მემანქანემ ვერ შეძლო დამშვები მექანიზმის დამორჩილება, იყო ის, რომ მას უეცრად ძალა გამოეცალა ხელებში. ეს იყო ერთგვარად დამბლის მსგავსი მდგომარეობა. შემდგომ, როგორც სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, ეს გამოწვეული იყო მიასთენით. მიასთენია არის დაავადება, რომელიც ხასიათდება კუნთების სწრაფი დაღლითა და სისუსტით. კუნთების მოძრაობის ხშირი რიტმის დროს სისუსტე მკვეთრად მატულობს და შეიძლება სრული დამბლის მდგომარეობასაც მიაღწიოს. ამდენად, ა. ვერ აგებს პასუხს დამდგარი შედეგისათვის, რადგან იგი მას ბრალად ვერ შეერაცხება, მას არ ჰქონდა ხევაგვარად მოქმედების შესაძლებლობა, ამდენად ის შეურაცხია. ამ შემთხვევაში სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოება.

მართებულად მიგვაჩნია პროფ. ო. გამყრელიძის მოსაზრება, რომ შეურაცხაობისათვის არ არის აუცილებელი, რომ ადამიანი ხანგრძლივი დროით, როგორც ეს ზოგჯერ ფსიქიკური დაავადების დროს ხდება, იყოს გამოთიშული და შერაცხვის უნარს მოკლებული. შეურაცხი შეიძლება იყოს ისიც, ვინც ძალიან საღი გონების და ნებისყოფის პატრონია, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოუვიდა შეცდომა, ან მოხდა ისეთი კონკრეტული ფაქტი, რომლის გამოც ჩადენილი უმართლობა მას ბრალად არ შეერაცხება.<sup>2</sup>

ჩვენი აზრით, მართებული იქნება, თუ სამედიცინო (ფსიქიატრიულ) კრიტერიუმს ვუწოდებთ ფსიქოფიზიოლოგიურს, რამეთუ შეურაცხაობა არ ამოიწურება მხოლოდ ფსიქიკური დაავადებით. ამ კრიტერიუმის შინაარსი გაცილებით უფრო ფართოა, ის უნდა მოიცავდეს არა მარტო ფსიქიკურ დაავადებებს, არამედ ყველა იმ მდგომარეობას, რომელიც გამორიცხავს ქმედების ბრალად შერაცხვას (მაგალითად, უსინათლობა, ფიზიკური დაავადება და სხვ.) ამ მხრივ საინტერესოა ცნობილი რუსი ფსიქიატრის ვ. სერბსკის მოსაზრება. იგი ამბობს: „ადამიანი იმიტომ კი არ ხდება შეურაცხი, რომ ავადაა, არამედ იმიტომ, რომ ავადმყოფობა უსპობს მას აზროვნებისა და მოქმედების არჩევის

<sup>1</sup> იხ. ტურავა მ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბ., 2008, გვ. 261, 263, 269.

<sup>2</sup> იხ. გამყრელიძე ო. დასახ. ნაშრომი გვ. 74.

თავისუფლებას“.<sup>1</sup> აქედან გამომდინარე, შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ, რომ ფსიქიკური დაავადება ერთ-ერთი მიზეზია შეურაცხაობისა. განა სულერთი არაა, რა მოუსპობს ადამიანს მოქმედების გაცნობიერების, თუ თავისუფალი არჩევანის უნარს. ფსიქიკური დაავადება, თუ სხვა რაიმე გარემოება. ყველა ასეთ შემთხვევაში ის შეურაცხად უნდა ვცნოთ.

ფსიქოლოგიური კრიტერიუმი, როგორც ვიცით, შედგება ინტელექტუალური და ნებელობითი ნიშნებისაგან. ინტელექტუალური ნიშანი გულისხმობს უუნარობას პირისა, გააცნობიეროს თავისი მოქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა. საბჭოთა პერიოდის და აგრეთვე პოსტსაბჭოურ რუსულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებები, თითქოს ინტელექტუალური ნიშანი უნდა გულისხმობდეს მხოლოდ პირის უუნარობას გააცნობიეროს თავისი მოქმედებების ფაქტობრივი ხასიათი და მნიშვნელობა. მართლწინააღმდეგობის გაუცნობიერებლობა ზედმეტად და არასაჭიროდ მიაჩნიათ, რადგან მან შეიძლება ამ ნიშნებს შორის წინააღმდეგობა და არევ-დარევა გამოიწვიოს.<sup>2</sup> ეს პოზიცია იმას ემყარება, რომ მართლწინააღმდეგობის გაუცნობიერებლობა შეიძლება არ იყოს ფსიქიკური დაავადების მიზეზი და სულ სხვა გარემოებებს უკავშირდებოდეს, (მაგალითად, მისატევებელ შეცდომას და სხვ), ხოლო რუსულ ლიტერატურაში, როგორც ვიცით, შეურაცხაობას მხოლოდ ფსიქიკურ დაავადებას უკავშირებენ.

ნებელობითი ნიშანი მდგომარეობს პირის უუნარობაში იმოქმედოს სხვაგვარად, უხელმძღვანელოს საკუთარ მოქმედებას თავის ნების შესაბამისად. ამ ნიშანს აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და ის ადასტურებს ფსიქოლოგიური კრიტერიუმის არსებობას ინტელექტუალური ნიშნის მიუხედავად. ამიტომ არის, რომ კანონში ამ ორ ნიშანს შორის არის კავშირი „ან“. ხშირ შემთხვევაში ადამიანს შესაძლოა შენარჩუნებული პქონდეს ცნობიერება და აცნობიერებდეს საკუთარ მოქმედებებს, როგორც ფსიქიკური დაავადების შემთხვევაში, ასევე სხვა დროსაც, (მაგალითად, ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, ბრძანების შესრულება და სხვა), მაგრამ მოკლებული იყოს უნარს, (შესაძლებლობას) იმოქმედოს საკუთარი ნების შესაბამისად. ამ დროს საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევებთან, როცა პირს შეიძლება პქონდეს ნების პათოლოგია, ან შეიქმნას ისეთი კონკრეტული ვითარება, როდესაც მას არ შეუძლია სხვაგვარად მოქმედება, მიუხედავად იმისა, რომ სრულად აცნობიერებს თავის ქმედებას. მაგალითად, ნების პათოლოგიაზე ვსაუბრობთ პირომანიის, კლეიტონმანიის, პომიციდომანიის (მკვლელობის ჩადენის დაუძლეველი სურვილი) დროს, როცა მიუხედავად თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათის და მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებისა, პირს არ შეუძლია სხვაგვარად ქცევა. მსგავსი

<sup>1</sup> Фейиберг Ц.М. Учение о вменяемости в различных школах уголовного права и в судебной психиатрии М., 1946, с. 37.

<sup>2</sup> ი.Б. Бородин С.В. Полубинская С.В. Уголовное право и психиатрия: некоторые области и проблемы взаимодействия // В кн. Уголовное право. новые идеи М., 1994, с. 89.

ვითარებაა ისეთ შემთხვევებშიც, როცა პირი სომატური დაავადების ან სხვა გარემოების გამო, თუმცა სრულად აცნობიერებს თავის ქმედებას, მაგრამ მოკლებულია შესაძლებლობას, იმოქმედოს საკუთარი ნების შესაბამისად (ამწის მემანქანის მაგალითი).

### 2.5.3 შეურაცხაობის მოკლე მიმოხილვა ინგლისურენოვანი ქვეყნების მაგალითზე

აშშ-ის კანონმდებლობა და პრაქტიკა შეურაცხაობას უკავშირებს ფსიქიკურ დაავადებას. სისხლის სამართლის სანიმუშო კოდექსის 4.01 მუხლის I პუნქტში ვკითხულობთ: „პირი არ აგებს პასუხს დანაშაულებრივი მოქმედებისათვის, თუ ასეთი მოქმედების ჩადენის დროს, ფსიქიკური დაავადების ან დეფექტის (არასრულფასოვნების) შედეგად, მას არსებითად დაქვეითებული პქონდა უნარი გაეცნობიერებინა თავისი მოქმედების დანაშაულობა (მართლწინააღმდეგობა, ან შესაბამებინა თავისი მოქმედება კანონის მოთხოვნებისადმი“. ასეთია სანიმუშო კოდექსში შეურაცხაობის განმარტება. დღესდღეობით, აშშ-ში არსებობს შეურაცხაობის ორი ძირითადი ფორმულა. ერთი ეფუძნება მ'ნეითენის წესებს, მეორე სანიმუშო კოდექსს. მ'ნეითენის წესების შესაბამისად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება შესაძლებელია, თუ პირი ფსიქიკური დაავადების გამო, ვერ აცნობიერებს თავისი მოქმედების ხასიათს და არსე, ან აცნობიერებს, მაგრამ არ ესმის, რომ მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ. როგორც ვხედავთ, მ'ნეითენის წესები შეიცავს შეურაცხობის მხოლოდ ინტელექტუალურ (კოგნიტიურ) ნიშანს. ამიტომ, შემოღებული იქნა ე.წ. „დაუძლეველი იმპულსის ტესტი“ (Irresistible impulse test). ამ ტესტის მიხედვით, ადამიანი ჩადის დანაშაულს ფსიქიკური დაავადებით გამოწვეული ისეთი იმპულსის ზემოქმედებით, როცა მას არა აქვს უნარი აკონტროლოს თავისი მოქმედება. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება ნებელობით ნიშანზე. თუმცა, თავისთავად არც მ'ნეითენის წესები და არც დაუძლეველი იმპულსის ტესტი არაა სრულყოფილი. ამ მხრივ, უფრო სრულყოფილად გვეხვება სანიმუშო კოდექსის მიერ შემოთავაზებული შეურაცხაობის განმარტება. დამოკიდებულება ამ წესების მიმართ, როგორც ფედერალურ, ასევე შტატების დონეზე განსხვავებულია.<sup>1</sup>

ჯ. სმიტი და ბ. ჰოგანი აღნიშნავენ, რომ შეურაცხაობისას ფსიქიკური დაავადება არაა აუცილებელი გამოწვეული იყოს თავის ტვინის დაავადებით, არამედ ის შეიძლება უკავშირდებოდეს ისეთ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის ფსიქიკაზე, მაგრამ არ მიეკუთხებიან ფსიქიკურ დაავადებას. კემპის საქმეზე, რომელიც მსჯავრდებული იყო მისი მეუღლის მკვლელობის მცდელობის და სხეულის მძიმე დაზიანებისათვის, დადგენილი იქნა რომ მას პქონდა თავის ტვინის სისხლარღვთა ათეროსკლეროზი, რამაც გამოიწვია მისი ცნობიერების დროებითი დაბინდვა

<sup>1</sup> ი. უголовное право зарубежных государств. Общая часть. Под ред. И. Д. Козочкина. М., 2001. с. 139-142.

დანაშაულის ჩადენის დროს<sup>1</sup>. მათი აზრით, შეურაცხაობისათვის აუცილებელია ერთობლივად რამდენიმე ელემენტის არსებობა, ესენია: ფსიქიკური დაავადება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს შინაგანი ან გარეგანი ფაქტორებით; ფსიქიკური დაავადება კომბინირებული სხვა ფაქტორებთან. არსებობს ფაქტორთა სამი ტიპი, რომლებმაც შეიძლება გამორიცხონ ბრალდებულის მიერ საკუთარი ქმედების ბუნების გაცნობიერება:

1. რომლებიც იწვევენ აბსოლუტურ გამართლებას, როგორიცაა კანტურია, გამოწვეული სამედიცინო პრეპარატების მიღებით და სხვა გარეგანი ფაქტორებით.

2. რომლებიც იწვევენ გამართლებას შეურაცხაობის ნიადაგზე - ფსიქიკური დაავადების გამო;

3. რომლებიც გამოიყენება ისეთ საქმეებზე, რომელიც არ მოითხოვს სპეციალურ განზრახვას. მაგალითად, ინტოქსიკაცია გამოწვეული სასმელის, ან ნარკოტიკის მიღებით. შეურაცხაობისათვის აუცილებელია ბრალდებულს არ შეეძლოს თავისი ქმედების ბუნებისა და ხასიათის გაცნობიერება. აქ იგულისხმება ქმედების ფაქტობრივი და არა მისი იურიდიული, ან მორალური ხასიათი. მაგალითად, ფსიქიკურად დაავადებული ჭრის ქალს ყელს, თვითონ კი ფიქრობს, რომ ჭრის პურის ნაჭერს. ასევე, შეურაცხაობის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს იმის არცოდნა, რომ მისი ქმედება არის არასწორი, ეწინააღმდეგება კანონს<sup>2</sup>.

შეურაცხაობის მსგავს განმარტებას ვხვდებით ს. კლარკსონისა და მ. ქიტინგის ნაშრომში, სადაც განმარტებულია, რომ შეურაცხაობისათვის აუცილებელია დამტკიცებულ იქნეს დანაშაულის ჩადენის დროს პირს ჰქონდა გონების დეფექტი, გამოწვეული ფსიქიკური დაავადებით, რომლის გამო არ შეეძლო გაეგო თავისი ქმედების ხასიათი და ბუნება, ან შეეძლო ამის გაგება, მაგრამ არ იცოდა, რომ მოქმედებდა არასწორად<sup>3</sup>.

ანალოგიური შეხედულება შეურაცხაობაზე მოყვანილია ჯ. დაინის და ჯ. გობერტის ნაშრომში, სადაც ისინი მ ნეითენის წესზე დაყრდნობით მიუთითებენ, რომ შეურაცხაობა წარმოადგენს დაცვას კველა დანაშაულისაგან, მათ შორის მკაცრი პასუხისმგებლობის სახელით ცნობილი (strict liability) დანაშაულისგანაც. შეურაცხაობა აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს ფსიქიკურ დაავადებას, რომელიც ართმევს პირს უნარს გაიგოს თავისი ქმედების ხასიათი და ბუნება და მისი მართლწინააღმდეგობა.<sup>4</sup> დაახლოებით ასევე განმარტავს შეურაცხაობას ე. ეშვორსი. მის ნაშრომშიც, შეურაცხაობა დაკავშირებულია ფსიქიკურ დაავადებასთან და მოიცავს ზემოთდასახელებულ ელემენტებს, რომელთა საფუძველზეც მტკიცდება ბრალდებულის არაბრალეულობა. ამავე დროს ე. ეშვორსი მართებულად მიუთითებს, რომ მ ნეითენის წესზე

<sup>1</sup> იხ. John Smith, Brian Hogan. Criminal law .London ,Edinburg, Dublin. Butterworths eighth edition 1996, p.203.

<sup>2</sup> იხ. John Smith,Brian Hogan. დასახ. ნაშრ. გვ. 203-207.

<sup>3</sup> იხ. C.M.V.Clarkson, H.M.Keating.Criminal law. Text and materials.London, 1998, Fourth Edition p.371.

<sup>4</sup> იხ. Janet Dine, James Gobert. Cases and materials on criminal law.Oxford, University Press.Fourth Edition, 2003, p.415-417,423.

დაფუძნებული შეურაცხაობის ფორმულა გულისხმობს მხოლოდ კონტიურ ელემენტს და არ შეიცავს ფსიქიკური დაავადების ემოციურ და ნებელობით მხარეებს, ანუ შეურაცხაობის ნებელობით კრიტერიუმს.<sup>1</sup>

#### 2.5.4 შუალედური დასკვნა

ჩვენ ვვიქრობთ, შეურაცხაობა შეიძლება განვმარტოთ, როგორც პირის ისეთი მდგმარეობა, როცა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება მას ბრალად არ ერაცხება იმიტომ, რომ ასაკის, ფსიქიკური დაავადების, ფიზიკური დაავადების, სოციალიზაციის დონის, სოციალურ-ფსიქოლოგიური განვითარების, შეცდომის, ან სხვა მდგომარეობის გამო, მას არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, ან შეეძლო მათი გაცნობიერება, მაგრამ არ პქონდა უნარი (შესაძლებლობა) ემოქმედა სხვაგვარად. ჩვენს მიერ შემოთავაზებული შეურაცხაობის ცნება ზოგადთეორიულ ხასიათს ატარებს, რადგანაც ჩვენს ცნებაში მოცემული ცალკეული ნიშნები: ასაკი, ფსიქიკური დაავადება, სხვა მდგომარეობა მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე, 34-ე, 38-ე მუხლებში. ამ ცნებით, ჩვენ არ ვთავაზობთ კანონმდებელს შეურაცხაობის გამომწვევ მდგომარეობათა ერთ მუხლში გაერთიანებას, არამედ ვფიქრობთ, რომ ზოგადთეორიული განმარტება ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში იმ აზრის დამკვიდრებას, რომ შეურაცხაობასთან საქმე გვაქვს ყველა შემთხვევაში, როცა პირს ჩადენილ უმართლობას ბრალად ვერ ვრაცხავთ.

მაგრამ, ჩემი აზრით, ამ მხრივ უპრიანი იქნება, თუ 33-ე, 34-ე მუხლების მსგავსად, სადაც საუბარია შეურაცხაობაზე ასაკის და ფსიქიკური დაავადების გამო, 36-ე, 37-ე და 38-ე მუხლებსაც დაერქმევა შეურაცხაობა მისატევებელი შეცდომის გამო, შეურაცხაობა ბრძანების ან განკარგულების შესრულების გამო, შეურაცხაობა სხვა არაბრალეული ქმედების გამო. ეს უკეთესი იქნება შეურაცხაობის ბუნების სწორად გაგებისათვის, რადგან შეურაცხაობა ბრალად არ შერაცხვას ნიშნავს, ხოლო ყველა ზემოხსენებული მუხლი სწორედ ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს წარმოადგენს. ეს, აგრეთვე, ხელს შეუწყობს სასამართლო პრაქტიკას, გაუადგილებს სასამართლოს ბრალის გამომრიცხველი გარემოების შესაბამისი მუხლის გამოყენებას. ჩვენში დღემდე ძლიერია ძველი ტრადიციის გავლნა, როცა შეურაცხად მხოლოდ ფსიქიკურად დაავადებული პირი ითვლებოდა. ჩვენს მიერ გამოკითხული იქნა 10-მდე პროკურორი და მოსამართლე, რომელთაგან მხოლოდ ორმა გვითხრა, რომ ჩვენი კანონმდებლობა იცნობს შეურაცხაობის გამომწვევ ორ გარემოებას – ასაკს და ფსიქიკურ დაავადებას, დანარჩენებმა შეურაცხად ფსიქიკურად დაავადებული პირი დასახელეს. ეს ფაქტიც ნათლად ადასტურებს სათანადო ცვლილების აუცილებლობას, რითაც საბოლოოდ

<sup>1</sup> იხ. Andrew Ashworth. Principles of criminal law.Oxford,University Press.Fourth Edition.2003,p.209.

დამკვიდრდება ის აზრი, რომ შეურაცხაობასთან საქმე გვაქვს ყოველთვის, როცა პირს ჩადენილ უმართლობას ბრალად ვერ ვრაცხავთ. მითუმეტეს, რომ ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამის შესაძლებლობას იძლევა.

### თავი III

#### შეზღუდული შერაცხადობა სისხლის სამართალსა და კრიმინოლოგიაში

##### 3.1 შეზღუდული შერაცხადობის ცნებისა და ბუნების საკითხი

###### 3.1.1 საკითხის მოკლე მიმოხილვა

შეზღუდული შერაცხადობის პრობლემა მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობისა და დისკუსიის საგანია. ამ დისკუსიების მიზეზი საკითხის შეუსწავლელობით და სირთულით აიხსნება. შეზღუდული შერაცხადობა, ვერ იქნება შესწავლილი მხოლოდ სისხლის სამართლის მეცნიერებაზე დაყრდნობით. ამ საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფილოსოფიის, ფსიქიატრიის, ფსიქოლოგიის, პათოფსიქოლოგიის, და სხვა მეცნიერებათა მონაცემებს. მაგრამ, თავად შეზღუდული შერაცხადობის პრობლემის გადაწყვეტა სისხლის სამართლის მეცნიერების ფარგლებში უნდა მოხდეს, რამეთუ ეს სისხლისსამართლებრივი და არა სხვა მეცნიერების პრობლემა. სხვა მეცნიერებები (ფსიქიატრია, ფსიქოლოგია, ფილოსოფია და ა.შ.), ამ საკითხებში ხელშემწყობი, დახმარე ფუნქციის მატარებლები არიან. შეზღუდული შერაცხადობის პრობლემაზე ყურადღების გამახვილებას, ხელი შეუწყო XVIII-XIX სს. ფსიქიატრიისა და სისხლის სამართლის მძლავრმა განვითარებამ, განსაკუთრებით ევროპის (გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი) ქვეყნებში. შესწავლილი იქნა მრავალი ფსიქიკური დაავადება, რის შედეგადაც დაასკვნეს, რომ არსებობენ ისეთი ფსიქიკური მოშლილობები (ანომალიები), რომლებიც სრულად კი არ უსპობენ ადამიანს გაცნობიერებისა და თავისუფლად მოქმედების უნარს, არამედ მნიშვნელოვნად ამცირებენ მას. სისხლის სამართალშიც, ამ დროს ჩამოყალიბდა სხვადასხვა მიმდინარეობები (სკოლები), რომელთა არაერთგვაროვანმა დამოკიდებულებამ კიდევ უფრო გაამძაფრა შეზღუდული შერაცხადობის საკითხისადმი ინტერესი. ამ საქმეში, განსაკუთრებული როლი შეასრულა სოციოლოგიურმა სკოლამ და მისმა ერთ-ერთმა დამფუძნებელმა პროფ. ფრანც ფონ ლისტმა. როგორც ვიცით, სწორედ გერმანული კოდექსები მოიხსენიებენ ყველაზე ადრე შეზღუდულ შერაცხადობას.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობამ გაითვალისწინა თანამედროვეობის მოხოვნები და საქართველოს ახალ სისხლის სამართლის კოდექსში შემოღებული იქნა 35-ე

მუხლი – „შეზღუდული შერაცხადობა“. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება სრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, ესე იგი ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, ანდა ეხელმძღვანელა მისთვის“. ამ მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, „შეზღუდულ შერაცხადობას სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის დანიშნის დროს. მესამე პუნქტით: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში.“

როგორც ვხედავთ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით შეზღუდული შერაცხადობა უკავშირდება მხოლოდ ფსიქიკურ დაავადებას. ასეთი მდგომარეობაა საზღვარგარეთის ქვეყნების უმრავლესობის კანონმდებლობაშიც. მაგალითად, რუსეთი, აშშ, გერმანია, ინგლისი, შვეიცარია, იტალია და ა.შ.

### **3.1.2 ფსიქიკური ანომალიები, როგორც შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევი გარემოება. მათი კლასიფიკაცია და დახასიათება**

შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობის გარკვევაში, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქიკურ დაავადებებს (ანომალიებს). ამიტომ, თავდაპირველად სწორედ მათ დასასიათებაზე შევჩერდებით. როგორც ცნობილია, თანამედროვე ფსიქიატრიაში არ ყოფენ ადამიანებს ფსიქიკურად ჯანმრთელებად, ან ფსიქიკურად ავადმყოფებად. ამ ორ პოლუსს შორის გამოყოფენ მოსაზღვრე, დაავადების წინმსწრებ და სხვა მდგომარეობებს. ძირითადად, სწორედ ასეთ მდგომარეობაში მყოფ პირებს მიაკუთვნებენ შეზღუდულ შერაცხადთა კატეგორიას. ამ მდგომარეობებს, ფსიქიატრიაში, ფსიქიკურ ანომალიებს უწოდებენ. ანომალია – ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს – ნორმისაგან გადახრას, გადახვევას, გადახრას ზოგადი კანონზომიერებისაგან, არასწორს.<sup>1</sup> სპეციალურ ლიტერატურაში ფსიქიკური ანომალიების სხვადასხვაგვარ განმარტებებს ვხვდებით. ფსიქიკურ ანომალიებს მიაკუთვნებენ ფსიქიკური სფეროს სტრუქტურულ და ფუნქციონალურ გადახრებს, რომლებიც შეიძლება იყოს განპირობებული ემბრიონული განვითარების დარღვევებით, შობადობის პათოლოგიით, თავის ქალას ტრამვებით, ათეროსკლეროზით, თავის ტვინის სისხლძარღვთა დაავადებებით და სხვა ფსიქიკური დარღვევებით, რომლებსაც არ მიუღწევიათ პათოლოგიური დონისათვის და არ გამორიცხავენ შერაცხადობას, მაგრამ იწვევენ პიროვნულ ცვლილებებს და ზემოქმედებენ ადამიანის ქცევაზე, მათ შორის მართლსაწინააღმდეგო ქცევაზე.

<sup>1</sup> ი. გомонов Н. დ. Криминологические аспекты противоправного поведения лиц с психическими аномалиями. Канд. диссертация. Санкт-Петербург, 1999, с. 50.

ფსიქიკური ანომალიების მსგავს განმარტებებს იძლევიან ი. ანგონიანი და ს. ბოროდინი. ფსიქიკურ ანომალიებში მათ ესმით ფსიქიკური სფეროს ყოველგვარი მოშლილობა, რომელსაც არ მიუღწევია ფსიქოტური დონისათვის და არ გამორიცხავს შერაცხადობას, მაგრამ იწვევს პიროვნულ ცვლილებებს და აქედან გადახრილ ქცევას.<sup>1</sup> რ. მიხეევის და ა. მიხეევას აზრით: „ფსიქიკური ანომალიები არის თანდაყოლილი ან შეძენილი, ფუნქციონალური ან ორგანული ცვლილება თავის ტვინის, რომელიც აისახება სუბიექტის ფსიქიკური სფეროს სხვადასხვა მხარეზე, ზემოქმედებს მისი სოციალური ქცევის ხასიათსა და შინაარსზე, მათ შორის საზოგადოებრივად საშიშ ქცევაზე<sup>2</sup> ოდნავ განსხვავებულად განმარტავენ ფსიქიკურ ანომალიას გ. ჟიტარი და ს. შერბა. მათ მიაჩნიათ, რომ ფსიქიკურ ანომალიას მიეკუთვნება ფსიქიკური მდგომარეობის დროებითი მოშლილობა, ქრონიკული ფსიქიკური დაავადება, ჰეტეროსინური ან სხვა ავადმყოფური მდგომარეობა, რომელიც არ გამორიცხავს შერაცხადობას, მაგრამ ასუსტებს, აქვეითებს შემეცნებით უნარს ან იწვევს ემოციურნებელობითი სფეროს პათოლოგიურ თავისებურებებს.<sup>3</sup> როგორც ეხედავთ, მიუხედავად ფსიქიკური ანომალიის საკითხზე გამოოქმული არაერთი მოსაზრებისა, ერთიანი ჩამოყალიბებული პოზიცია არ არსებობს, რადგან როგორც მედიკოსები აღნიშნავენ, ძალზედ რთულია ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისაგან ნორმისა და ანომალიის გამიჯვნა. აქ, ყურადღებას აქცევენ სტიმულსა და რეაქციას. მაგალითად, შფორფა, ეჭვიანობა, დაძაბულობა, თუ ისინი წარმოიშობა შესაბამისი ცხოვრებისეული გარემოებებისას – ნორმალური რეაქციაა, ხოლო როცა არ არსებობს სათანადო გარემოებები (უმიზეზოდ) – ანომალიური ხასიათის მატარებელი არიან. ანალოგიურად, ისტერიული რეაქციები, შიშები, გადიზიანებულობა, დაძაბული კონფლიქტები, კატასტროფულ და სხვა სიტუაციებში – ნორმალური რეაქციაა, ხოლო მსგავსი სიტუაციების არარსებობისას – ავადმყოფური რეაქციებია.<sup>4</sup>

აქვე უნდა ითქვას რომ, ჩვენთვის ხელმისაწვდომ არცერთ ფსიქიატრიულ ტერმინთა ლექსიკონში, ვერ შევხვდით ფსიქიკური ანომალიის განმარტებას<sup>5</sup>.

თანამედროვე ფსიქიატრიაში შემუშავებულია ფსიქიკურ ანომალიათა სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია, აქედან ყველაზე სრულყოფილია ფსიქიკურ ანომალიათა შემდეგნაირი დაჯგუფება:

1. წარმოშობის მიხედვით: а) თანდაყოლილი ან ბიოლოგიური (მაგალითად, ოლიგოფრენია); б) შეძენილი, რომელიც თავის მხრივ შეიძლება იყოს – ფუნქციონალური ხასიათის (მაგალითად,

<sup>1</sup> იხ. Антонян Ю. М. Бородин С.В. Преступное поведение и психические аномалии М. 1998. с.8.

<sup>2</sup> იხ. Сирожидинов Д.В. დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

<sup>3</sup> იხ. Сирожидинов Д.В. დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

<sup>4</sup> იხ. Сирожидинов Д.В. დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

<sup>5</sup> Блейхер В.М. Крук И. В. Толковый словарь психиатрических терминов. Воронеж, 1995. ბ. სვანი, გ. ნაკაშიძე. ფსიქიატრიის განმარტებითი ლექსიკონი. თბ., გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 1977. Гусков В.С. Терминологический словарь психиатра М., 1965. Изд. «Медицина».

ნევროზები და ფსიქოპათიები), ან ორგანული წარმოშობის (მაგალითად, ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ნარკომანია);

2. ფსიქიკურ ცვლილებათა ხასიათის მიხედვით: а) საკუთრივ, ანუ ნამდვილი ანომალიები (მაგალითად, ფსიქოპათია); ბ) ფსევდოანომალიები, ანუ რომლებიც წარმოიშობა ფსიქიკის სხვა ავადმყოფური პროცესების ფონზე (მაგალითად, ფსიქოპათიური ქცევა შიზოფრენიისას რემისიის პერიოდში);

3. ფსიქიკურ მოშლილობათა უპირატესი გამოვლინების მიხედვით: а) ინტელექტუალური (მაგალითად, ოლიგოფრენია); ბ) ნებელობითი (მაგალითად, ფსიქოპათია); გ) ემოციური (მაგალითად, ეპილეფსია)<sup>1</sup>.

ახლა შევეცდებით მოკლედ დავახასიათოდ ჩამოთვლილი ფსიქიკური ანომალიები, რადგან ეს ხელს შეუწყობს, ფსიქიკურ ანომალიათა კრიმინოგენურობის საკითხები უკეთ გარკვევას.

**ფსიქოპათია.** ფსიქიატრიაში არსებობს ფსიქოპათიის სხვადასხვაგვარი გაგება. მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ფსიქოპათია წარმოადგენს თანდაყოლილ სიმახინჯეს, მეორენი თვლიან, რომ ის არის პათოლოგიის შეძენელი ფორმა, ნაწილს მიაჩნია, რომ ფსიქოპათიები აერთიანებენ როგორც შეძენილ, ასევე თანდაყოლილ პათოლოგიას. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ისტორიაში პირველად დიაგნოზი ფსიქოპათია დასმული იქნა ცნობილი რუსი ფსიქიატრის ს. კორსაკოვის მიერ, რომელიც 1881 წელს ექსპერტად მონაწილეობდა ერთ-ერთ საქმეში.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ყველა მეცნიერი თანხმდება იმაზე, რომ ფსიქოპათია წარმოადგენს ფსიქიკის ანომალიას. მას არა აქვს დაავადებისათვის ისეთი დამახასიათებელი ნიშნები, როგორიცაა დაწყების, მიმდინარეობის, ან დასრულების ეტაპები. ფსიქოპათიები ძირითადად ვლინდება ქცევის თავისებურებებში, ადამიანის ურთიერთობებში სოციალურ გარემოსთან. გერმანელ ფსიქიატრს კურტ შნაიდერს ეპუთვნის გამონათქვამი, რომ ფსიქოპათი არის ადამიანი რომლის ხასიათისაგან ზარალდება ის თვითონ და საზოგადოება.<sup>2</sup>

ფსიქიატრიაში მიღებულია ფსიქოპათიათა შემდეგი კლასიფიკაცია: პარანოალური ტიპის ფსიქოპათია, ისტერიული ტიპის ფსიქოპათია, აღგზნებადი ტიპის ფსიქოპათია, შიზოიდური ტიპის ფსიქოპათია, შენელებული ტიპის ფსიქოპათია, არამდგრადი ტიპის ფსიქოპათია.

**პარანოალური** ტიპის ფსიქოპათებისათვის დამახასიათებელია სიჯიუტე, ზედმეტი პირდაპირობა, მაღალი თვითშეფასება, წყენის დამახსოვრება. ისინი არაფერს არ პატიობენ, ყველაფრით არიან უკამაყოფილონი, არა აქვთ კომპრომისის უნარი, ვერ იტანებ კრიტიკას, შენიშვნებს, რაც ხშირად იწვევს გადიზიანებას და კონფლიქტებს. მათ ახასიათებთ რეალობის შეფასების ცალმხრივობა, ფაქტებისა და მოვლენების ცალმხრივი,

<sup>1</sup> Сирожидинов Д.В. Ограниченная вменяемость: Проблемы теории и практики. Диссертация канд. юрид. наук. Екатеринбург, 1998, с. 68.

<sup>2</sup> о. Судебная психиатрия. Учебник для вузов. Под ред. Б.В. Шостаковича М., 1997, с. 292-294.

მხოლოდ საკუთარი პოზიციის დადასტურებისა და გამაგრებისათვის გამოყენება, ახსნა-განმარტება. აღგზნებად ფსიქოპათებს ახასიათებთ მომეტებული ემოციურობა, თავშეუკავებლობა, უმნიშვნელო მიზეზის გამო შეუძლიათ არაადექავატური აგრესიული რეაქცია, შეუძლიათ მოაწყონ სკანდალი საზოგადოებრივი თავშეურის ადგილებში, შეურაცხოფა მიაყენონ უცნობ ადამიანს, ჩაიდინონ მოუფიქრებელი საქციელი (მათ შორის კრიმინალური). ისტერიული ტიპის ფსიქოპათები გამოირჩევიან აღგზნებადობით, ფეთქებადი ხასიათით, კონფლიქტურობით. მათი ქცევები გამოირჩევა თეატრალურობით, დემონსტრაციულობით. მათ ახასიათებთ ყურადღების ცენტრში ყოფნის დაურკებელი სურვილი. ისტერიული ფსიქოპათები გამოირჩევიან მაღალი შთაგონებისა და თვითშთაგონების უნარით. მათ უჭირთ ხანგრძლივად ნებისყოფის კონცენტრაცია ერთ რაიმე საქმეზე. ამიტომ, ისინი ვერ ახერხებენ საკუთარი მიზნების მიღწევას და საკუთარ შესაძლებლობათა რეალიზაციას. რთულ სიტუაციებში მათ ახასიათებთ ისტერინევროტული მოშლილობები, ფსიქოგენური რეაქციები და რეაქტიული ფსიქოზები.<sup>1</sup>

შენელებული ტიპის ფსიქოპათები გამოირჩევიან შეკავების პროცესების სიჭარბით აღგზნების პროცესებზე. მათ შორის გამოყოფენ ფსიქასთენიურ და ასთენიურ ფსიქოპათებს. ფსიქასთენიურ ტიპს ახასიათებს თვითანალიზისა და თვითკონტროლისადმი მუდმივი მიღრეკილება. ისინი არიან ძალიან ეჭვიანები, ყოველივე სიახლე იწვევს მათში შიშა და უნდობლობას. მათ ახასიათებთ არასრულფასოვნების შეგრძნება, სისუსტის და უსუსურობის შეგრძნება, რის გამოც ისინი მუდამ ითხოვენ გარშემომყოფთაგან მათდამი განსაკუთრებულ ყურადღებას, დახმარებას, ზრუნვას. ასთენიური ფსიქოპათები გვანან ზემოთაღწერილ ტიპს. მათ ახასიათებთ გაუბედაობა, ზედმეტი მორიდებულობა, რაც განსაკუთრებით ვლინდება, როცა ისინი იმყოფებიან უცხო პირთა წრეში. მათი სისუსტე ვლინდება როგორც ფსიქიკური, ასევე ფიზიკური დატვირთვების დროს. ისინი მოკლებულნი არიან უნარს მიიღონ ელემენტარული საყოფაცხოვრებო გადაწყვეტილებები სხვა პირთა შეგულიანებისა და სტიმულირების გარეშე. ასეთი პირები იშვიათად ჩადიან დანაშაულს, თუმცა გამწვავებულ ფსიქოპათიურ მდგომარეობაში, განსაკუთრებით თუ მათ ახასიათებთ სექსუალური პერვერსიები (გადახრები), მათ მიერ დანაშაულის ჩადენა სავსებით შესაძლებელია.

არამდგრადი ტიპის ფსიქოპათებს ახასიათებთ ნებელობისა და ხასიათის სისუსტე. მათ არ გააჩნიათ საკუთარი პრინციპები. ისინი არიან ზარმაცნი, უწესრიგონი, ადვილად ხვდებიან სხვათა გავლენის ქვეშ. მათ არა აქვთ გარკვეული ინტერესები, მისწრაფებები. ისინი საკმაოდ ადვილად ეკიდებიან რაიმე საქმეს, მაგრამ ასევე ადვილად ანებებენ მას თავს, ამიტომ მათ არ შეუძლიათ მიიყვანონ რაიმე საქმე ბოლომდე, მითუმეტეს, თუ ის ითხოვს სისტემატურ მუშაობას. ისინი უმიზნოდ იცვლიან

<sup>1</sup> იხ. სურგულაძე ს. შარაშიძე მ. ჩეჩელაშვილი ა. ფსიქოპათია. აკვიატებულ მდგომარეობათა ნებროზი და აკვიატებული შიშები. დეპრესია. ისტერია. თბ., 1993, გამომცემლობა „რუბიკონი“ გვ. 3-6.

საქმიანობის სფეროს, საცხოვრებელ ადგილს, მოგზაურობენ ერთი ადგილიდან მეორეზე, ადგილად ხვდებიან ასოციალურ კამპანიებში. ხშირად, ასეთი პირები ეტანებიან ალკოჰოლს და ნარკოტიკებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთმოყვანილი ტიპების ზუსტად მსგავსი ფსიქოპათიური ტიპები არ არსებობენ. თითოეულ ტიპში შეიმჩნევა შერეული ვარიანტები, ფსიქოპათიის ერთი ტიპიდან მეორეზე გარდამავალი ფორმები. მაგალითად, ადგზნებადი ტიპის ფსიქოპათებში შეიძლება შეგვხვდნენ პირები, რომლებსაც ახასიათებთ აფექტური რეაქციების ადგილი გამოწვევა, მათი დემონსტრაციულობა, რაც გვაგონებს ისტერიულ ტიპს, ან ისინი შეიძლება იყვნენ მძაფრი ფეთქებადი რეაქციების მქონე, პქონდეთ ზეფასეული იდეები, ლიდერობის სურვილი, რაც გვაგონებს პარანოიალურ ტიპს.<sup>1</sup> ფსიქოპათიისას ხასიათის თავისებურებანი მნიშვნელოვნად ზღუდავენ გარემოსადმი პირის ადაპტაციის შესაძლებლობას და ამდენად, აქვთ დიდი კრიმინოგენური მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა გამოკვლევების მიხედვით დანაშაულის ჩამდენ პირთა შორის ფსიქოპათები წარმოადგენენ დაახლოებით 30%. განსაკუთრებით დიდია მათი წილი ძალადობით, სქესობრივი დანაშაულის ჩამდენთა შორის.

**ალკოჰოლიზმი** – პროგრედიუნგზული (მზარდი) დაავადებაა, რომელიც მდგომარეობს სპირტიანი სასმელებისადმი პათოლოგიურ მიდრეკილებაში, იწვევს დისფუნქციონალურ მდგომარეობას, აბსტინენტურ სინდრომს მისი მიღების შეწყვეტისას, ხოლო შორს წასულ შემთხვევებში – მყარ სომატონევროლოგიურ მოშლილობებს და ფსიქიკურ დეგრადაციას.<sup>2</sup> ალკოჰოლური სიმთვრალის უარყოფითი როლი მდგომარეობს იმაში, რომ ის ხელს უწყობს ადამიანის უარყოფითი თვისებების გამოვლინებას, ადგზნებადობას, კონფლიქტურობას, გადიზიანებას, აგრესიას, ეჭვიანობას და ა.შ. ალკოჰოლური სიმთვრალე იწვევს ადამიანის ცნობიერებისა და ნებელობის ნორმალური ფუნქციონირების შესუსტებას. ადამიანს უჭირს თავშეკავება, ზედაპირულად აღიქვამს მოვლენებს, აზვიადებს ან პირიქით, აკნინებს მათ. ალკოჰოლიზმი, აგრეთვე, ხელს უწყობს სხვა ფსიქიკურ ანომალიათა, კერძოდ ფსიქოპათიების და ხასიათის ფსიქოპათიური ნიშნების განვითარებას, რომლებიც თავის მხრივ იწვევენ ასეთ პირთა მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენას.<sup>3</sup>

თავის ტვინის დაზიანებათა ნარჩენ მოვლენებს მიეკუთვნება არაფსიქოტური ხასიათის მოშლილობები, რომლებიც წარმოიშობა თავის ტვინის დაზიანების შედეგად. ტრამვის (დაზიანების) ხასიათის მიხედვით ავადმყოფები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: 1) ავადმყოფები, რომლებმაც მიიღეს დია გამჭოლი ჭრილობა, რის

<sup>1</sup> იხ. Ушаков Г.К. Пограничные нервно-психические расстройства М., 1987, с. 99-101, 145-153, 188-192, 196-199.

<sup>2</sup> იხ. Сирожидинов Д.В. დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

<sup>3</sup> უფრო დაწერილებით ამ საკითხზე იხილეთ: გაბიანი А.А. Уголовная ответственность за преступления совершенные в состоянии опьянения Тб., 1968, с. 44-53. Мендельсон Г.А. Ткачевский Ю.М. Алкоголизм и преступность. М., 1959, с. 29-36.

შედეგადაც დაზიანდა ტვინი; 2) ავადმყოფები, რომლებმაც მიიღეს თავის ტვინის დახურული დაზიანება, ე.ი. არ მოჰყოლია თავის ქალას ძვლის რდვევა<sup>1</sup>. ყველაზე ხშირად ამ შემთხვევებში ვხვდებით ტრაგმატული ასთენის ნიშნებს – გაღიზიანება, დაქანცულობა, გამოფიტულობა, თავბრუხვევები, დაბნეულობა, გულმავიწყობა, ხასიათის მკვეთრი ცვალებადობა, ისტერიული რეაქციები. თავის ტვინის დაზიანების შედეგები ვლინდება სხვადასხვა ნერვულ-ფსიქიკურ მოშლილობებში. ესენია ძირითადად ძირითადათ გონების დაბინდვები, ინტელექტის, ხელელობის, ემოციური დარღვევები. ასეთ პირებს ცუდად გადააჭვთ სომატური დაავადებები, ინფექციები, ინტოქსიკაციები, ფსიქიკური და ფიზიკური დატვირთვები. განსაკუთრებით ამძიმებენ ასეთ ანომალიებს ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ტოქსიკომანია, რა დროსაც განსაკუთრებით იზრდება მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის რისკი.

**ოლიგოფრენია** არის თანდაყოლილი, ან ადრეულ ბავშვობაში შეძენილი (3 წლამდე) ჭკუასუსტობა, რომელიც გამოიხატება ფსიქიკურ განუვითარებლობაში, უპირატესად ინტელექტუალურ სფეროში. არსებობს ოლიგოფრენიის მრავალი კლასიფიკაცია. ერთ-ერთი ამ კლასიფიკაციათაგანია გ. სუხარევას მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია:

1) ენდოგენური ბუნების ოლიგოფრენია (უკავშირდება მშობელთა გენერაციული უჯრედების დაზიანებას) მაგალითად, დაუნის სინდრომი.

2) ოლიგოფრენია განპირობებული დედის მიერ ორსულობის პერიოდში გადატანილი ინფექციური დაავადებებით, ინტოქსიკაციებით, ჰორმონალური დარღვევებით;

3) ოლიგოფრენია გამოწვეული სხვადასხვა უარყოფითი ზემოქმედებით მშობიარობის პერიოდში, ან ადრეულ ბავშვობაში, მაგალითად, მშობიარობისდროინდელი ტრამვა, ასფიქსია, მენინგიტი და ა.შ. ფსიქიკური განუვითარებლობისას სიმძიმისა და სიღრმის მიხედვით, გამოყოფენ ოლიგოფრენიის 3 ფორმას: იდიოტიას, იმბეცილობას და დებილობას. სისხლის სამართლისათვის საინტერესოა ამ შემთხვევაში დებილობა, რადგან დებილობის დროს ადამიანი ინარჩუნებს შესაძლებლობას გააცნობიეროს საკუთარი მოქმედებები და აკონტროლოს ისინი. დებილები მეტნაკლებად ადაპტირებული არიან გარემო პირობებისადმი, მიუხედავად ამისა დებილობას ახასიათებს აზროვნებისა და მეტყველების პრიმიტიულობა და კონკრეტულობა, მათ უჭირთ აბსტრაქტულად, განზოგადებულად აზროვნება.

განასხვავებენ დებილობის 3 ფორმას: მსუბუქი, ზომიერი და ღრმა. ზომიერი და მსუბუქი დებილობისას ასეთი პირები საკმაოდ კარგად არიან ადაპტირებულნი ყოველდღიური მოთხოვნილებებისადმი, თვითონ ახორციელებენ საკუთარი ყოფის მოწყობას, შეუძლიათ იყოლიონ ოჯახი, შეუძლიათ იმუშაონ არართულ, ძირითად ფიზიკურ სამუშაოზე<sup>2</sup>

**ნევროზები** ასევე მიეკუთვნება ანომალიურ მდგომარეობას,

<sup>1</sup> იხ. Зеигарник Б.В. Патология мышления М., 1962, с. 72.

<sup>2</sup> იხ. Судебная психиатрия. Учебник для вузов. Под ред. Б.В. Шостаковича М., с. 339-340.

კლინიკურ ფსიქიატრიაში გამოყოფენ ნევროზების 3 ფორმას: ნევრასთენია, ისტერია, ფსიქოსთენია.

ნევრასთენიის დროს აღინიშნება სწრაფი დაღლილობა, შრომისუნარიანობის დაქვეითება, უძილობა, თავის ტკივილი, გაღიზიანებულობა, აღგზნებადობა, აპათია. ისტერიას ახასიათებს განსაკუთრებული მგრძნობელობა გარე გამდიზიანებლებზე და უველა განცდა მათ მიერ გამოიხატება მკაფიო ემოციურ ფორმაში. უველაზე ნათლად ისტერია ვლინდება ისეთ მოშლილობებში, როგორიცაა ხმის დაკარგვა (აფონია), სმენის, მხედველობის ან მეტყველების დაკარგვა (მუტიზმი), დამოუკიდებლად გადაადგილების ან დგომის შეუძლებლობა და ა.შ. უველა ეს დარღვევა ვითარდება ფსიქიკური ტრამვის შედეგად, მაგრამ ამ დროს პირის ცნობიერება შენარჩუნებულია, თუმცა შეზღუდულია, დაბინდულია.<sup>1</sup>

ფსიქასთენიის დროს ადამიანს ახასიათებს მოქმედებათა გაუბედაობა, უნდობლობა, ეჭვები, არასრულფასოვნების კომპლექსი, შიში.

ფსიქასთენიის (აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზი) დროს ადამიანი ინარჩუნებს ასეთი მდგომარეობისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას, ამიტომ ადამიანი ცდილობს დაფაროს ეს მდგომარეობა. მაგალითად, სახლიდან გასვლისას ადამიანს უჩნდება შიში თითქოს მას არ გამოურთავს გაზტურა, ან არ დაუხურავს კარი, ის რაიმეს მომიზეზებით ბრუნდება და ამოწმებს ამას. აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზის შემთხვევაში, ცნობიერებაში ხდება რაიმე განცდების ხანგრძლივი ფიქსაცია, ამასთან ისინი შეიძლება გამწვავდეს, ან შეივსოს რაიმე სხვა განცდებით. აკვიატებულ მდგომარეობათა ფსიქოგენური ბუნება დასტურდება იმით, რომ ძალიან ხშირად, (თუმცა ეს არ არის ყოველთვის გაცნობიერებული ადამიანის მიერ), შესაძლებელია ფსიქოტრამული განცდის მიზეზის ახსნა. მაგალითად, პირს კლაუსტროფობია (დახურული სივრცის შიში) განუვითარდა მას შემდეგ, რაც ის გახდა ავარიის თვითმხილველი. მაგრამ, ზოგჯერ აკვიატებული მდგომარეობის ნამდვილი მიზეზის დადგენა შეუძლებელია. ამ შემთხვევაში საქმე ეხება ფსიქიკურ ტრამვებს, ადრეულ ბავშვობის ასაკში. აქ საუბარია არაცნობიერ ფსიქიკურზე. მის როლზე ნევროზების გამოწვევაში მითითებულია ზ. ფროიდისა და კ. იუნგის ნაშრომებში, სადაც საკმაოდ დამაჯერებლადაა დასაბუთებული ეს შეხედულება. კ. იუნგი წერს: „თუ საქმე მიდის ნევროზამდე, ჩვენ ვეჯახებით ძალზედ გადიდებულ ჩვენს ჩრდილს, თუ ჩვენ გვინდა განვატუროთ ნევროზი, ჩვენ უნდა ვიპოვოთ თანაარსებობის ხერხი ადამიანის გონიერი არსებისა და მისი ჩრდილის“<sup>2</sup>. აქ მითითებაა იმაზე, თუ როგორ შეიძლება ადამიანის არაცნობიერზე ზემოქმედებით მისი ტრამვატული, ან პოსტრავმატული სიტუაციიდან გამოყვანა, რასაც თავის მხრივ დაავადების გამომწვევი მიზეზის აღმოფხვრამდე მივყავართ.

ნევროზებთან ახლოს დგას რეაქტიული მდგომარეობა, უფრო სწორად ისინი მიეკუთვნებიან ფსიქიკურ მოშლილობათა ერთ

<sup>1</sup> იხ. სურგულაძე ს. შარაშიძე გ. ჩქელაშვილი ა. დასახ. ნაშრ. გვ. 17-21.

<sup>2</sup> Иванов Н. Г. Аномальный субъект преступления. М., 1998, с. 105.

ჯგუფს. რეაქტიული მდგომარეობა არის ისეთი დროებითი ფსიქიკური მოშლილობა, რომელიც წარმოიშობა ფსიქიკური ტრამვის შედეგად. ამ მდგომარეობისათვის დამახასიათებელია მისი განვითარება ფსიქიკური ტრამვის შედეგად, ფსიქიკური ტრავმა უშუალოდ აისახება ავადმყოფურ განცდებში. რეაქტიული მდგომარეობა წყდება ფსიქიკური ტრამვის ლიკვიდაციის შემდეგ. გამოყოფენ რეაქტიულ მდგომარეობათა შემდეგ ფორმებს: აფექტურ-შოკური ფსიქოგენური რეაქციები, რომლებიც გვხვდება კატასტროფების, ავარიების და სხვა მასობრივი უბედურობების დროს, როცა ძალიან დიდი საფრთხეა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის; რეაქტიული დეპრესია უკავშირდება ახლობლის დაკარგვას ან სხვა მძიმე ცხოვრებისეულ წარუმატებლობას; რეაქტიული ბოდვითი ფსიქოზები და ისტერიული რეაქციები, ხშირად შეინიშნება სასამართლო ფსიქიატრიულ და პენიტენციალურ პრაქტიკაში.

**ეპილეფსია.** ეპილეფსია ქრონიკული ენდოგენურ-ორგანული დაავადებაა, რომელიც ვლინდება განმეორებითი პაროქსიზმალური (მოძრაობითი ფუნქციების დამრღვევი) მოშლილობებით (კრუნჩევითი და არაკრუნჩევითი) შეტევებით და აგრეთვე პიროვნული ცვლილებებით, ჭრუასუსტობით, ფსიქოზებით.

ეპილეფსია ძირითადად ვლინდება ბავშვობის, ან მოზარდ ასაკში. ეპილეფსია მიეკუთვნება იმ დაავადებათა რიცხვს, რომელთა გამომწვევი მიზეზი (ეტიოლოგია) უცნობია. მას უკავშირებენ მემკვიდრეობით ფაქტორს, ასევე ტვინის დაზიანებებს. ეპილეფსიის ტიპიურ გამოვლინებად ითვლება დიდი ეპილეპტიკური შეტევა. ამ შემთხვევაში ხდება ცნობიერების გათიშვა. ასეთი შეტევა ვითარდება მოულოდნელად, რაიმე წინაპირობის გარეშე. იგი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე წუთი. მცირე შეტევაც წარმოიშობა ისევე უეცრად, როგორც დიდი, ხასიათდება ისეთვე ნიშნებით, მისი ხანგრძლივობაა 1-2 წუთი. ეპილეფსიას ახასიათებს ე.წ. ეპილეპტიკური ეკვივალენტები – ხანმოკლე ფსიქიკური მოშლილობები, ისინი წარმოიშობა უეცრად და ასევე უეცრად წყდება. მათ ახასიათებთ ადამიანის ხასიათის უეცარი ცვლილება აგრესისაკენ. ამ დროს ასეთი ადამიანები არიან კონფლიქტურები, მოუსვენრები, შეიძლება ზიანი მიაყენონ საკუთარ თავს (დაიკაწრონ, გაიჭრან სახე, ხელები), დაამსხვრიონ ნივთები. ისინი აღნიშნავენ დაუძლეველ სურვილს ჩაიდინონ აგრესიული მოქმედებები. თუ ჭარბობს დეპრესიული ნიშნები, ასეთ დროს ხდება უეცრადდების გაფანტვა, უჭირთ კონცენტრაცია, ინტელექტუალური სფეროს ფუნქციონირება სუსტდება. უველაფერი ეს, გავლენას ახდენს ეპილეპტიკების მართლსაწინააღმდეგო ქცევაზე და ხშირად მისი მიზეზი ხდება.

**თავის ტვინის** სისხლძარღვთა დაავადებით გამოწვეული ფსიქიკური მოშლილობა არის არაფსიქოტური ხასიათის მოშლილობა, რომელიც გამოწვეულია თავის ტვინის სისხლძარღვთა პათოლოგიით (ათეროსკლეროზი, ჰიპერტონია). ათეროსკლეროზი არის ქრონიკული მიმდინარეობის დაავადება, რომელიც ძირითადად გვხვდება ასაკოვან პირებში (55-60 წ). ფსიქიკური დარღვევები

ათეროსკლეროზის დროს ვლინდება გაუბედაობაში, მიღრეკილებაში ფობიებისადმი, დეპრესიულ და იპოქონდრიულ რეაქციებში. ათეროსკლეროზისას განასხვავებენ დაავადების 3 სტადიას. ადრეულ სტადიას ახასიათებს შრომისუნარიანობის დაქვეითება, გაღიზიანებადობა, მეხსიერების დაქვეითება, თავბრუხვევები, დაბძეულობა. მეორე სტადიაზე ხდება ფსიქიკის უფრო მყარი და ღრმა ცვლილება, გამოხატული ასთენით და ინტელექტუალური დარღვევებით. თავის ტვინის ათეროსკლეროზის კლინიკურ სურათს ყოველთვის ახასიათებს ემოციური მოშლილობები. მესამე სტადია ხასიათდება თავის ტვინის სისხლძარღვთა პროგრესული პათოლოგიით. ავადმყოფს უძლიერდება დემენციური მოვლენები, აღქმა ხდება შენელებული და ფრაგმენტული, ქვეითდება თვითკონტროლისა და კრიტიკის უნარი, ახასიათებს გულგრილობა, ეგოცენტრიზმი. ასეთ მდგომარეობაში ხშირია სქესობრივი მოშლილობები, პოტენციის დაქვეითება, სქესობრივი აქტის გაუქუდმართებული ფორმით დაკმაყოფილების სურვილი (პედოფილია, გარყვნილი ქმედება, პომოსექსუალიზმი, ვუაიერიზმი (სხვათა სექსუალური კონტაქტის თვალთვალის დაუოკებელი სურვილი) და ა.შ.).

**მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი** ხასიათდება შეტევითი ცვლილებით, მანიაკალური და დეპრესიული ფაზებით. ამ დაავადებებს არ ახასიათებს პროგრედიენტულობა (პიროვნული დეფექტის ზრდა), რომელიც დამახასიათებელია შიზოფრენიისათვის, თავის ტვინის ორგანული დაავადებისათვის. ეს დაავადება, უფრო ხშირად გვხვდება ქალებში. მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზის ეტიოლოგიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მემკვიდრეობას და ორგანიზმის კონსტიტუციონალურ თავისებურებებს. მანიაკალური ფაზა ხასიათდება ამაღლებული ხასიათით, ფსიქიკურ პროცესთა დაჩქარებით, ფსიქომოტორული აღგზნებით. მანიაკალური მდგომარეობისათვის დამახასიათებელი ფსიქიკური დარღვევები ხელს უწყობენ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენას. ასეთი პირები შეიძლება იყვნენ აგრესიულნი, შეურაცყოფა მიაყენონ გარშემოყოფთ, ჩაიდინონ დამანგრეველი მოქმედებები (მინების მსხვრევაა, დაზიანება). მათ ახასიათებთ სექსუალური აღგზნება, რაც ხშირად ხდება გაუპატიურების მიზეზი, აგრეთვე სქესუალური პერვერსიები. დეპრესიული ფაზა ხასიათდება აზროვნების შენელებით, დათრგუნული ხასიათით, მოძრაობის შენელებით. დეპრესიულ მოშლილობებს თან სდევს თვითგვემის, თავის დადანაშაულების, დამცირების, ცოდვილობის და ა.შ. ბოდვითი აზრები. ავადმყოფმა შეიძლება უარი თქვას საკვებზე, მიაყენოს თავის თავს დაზიანება, შესაძლოა სუიციდური მოქმედებები. მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს ასეთი პირები ძირითადად ჩადიან თავანთი ახლობლების, ან საკუთარი თავის მიმართ.

**ნარკომანიაც** მიეკუთვნება ფსიქიკურ ანომალიებს. ის არის დაავადება, რომელიც მდგომარეობს ნარკოტიკული საშუალებათა მიღების დაუძლეველ ლტოლვაში, რაც განპირობებულია მისდამი ფიზიკური, ან ფსიქიკური დამოკიდებულებით. ნარკოტიკულ ნივთიერებებს მიეკუთვნება ბუნებრივი ან სინთეტიკური წარმოშობის ნივთიერებები, რომლებიც ახდენენ სპეციფიკურ (მასტიმულირებელ,

აღგზნებად, დამთრგუნველ, გალუცინაციურ) ზემოქმედებას ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ნარკოტიკებისადმი ლტოლვის ბიოლოგიურ საფუძველზე არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ ლტოლვა უპირატესად უჩნდება ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანს. სხვები ფიქრობენ, რომ ნარკომანები უფრო ხშირად ხდებიან პირები კონსტიტუციონალური ანომალიებით, ან ხასიათის ფსიქოპათოლოგიური ცვლილებებით. ფსიქიკური ლტოლვა ფორმირდება ადრეულ ეტაპზე და გამოიხატება მუდმივ მისტრაფებაში გამოიწვიოს ამაღლებული განწყობა, ეიფორია, სიმსუბუქის, უდარდელობის, ყოვლისშემძლეობის შეგრძნება. დროთა განმავლობაში ხდება ნარკოტიკული საშუალებების მიღების დოზების გაზრდა, რადგან პირველი დოზები უკვე ვერ იწვევენ სასურველ მდგომარეობას. ფიზიკური ლტოლვა ვლინდება აბსტინენტულ სინდრომში, ეწ. „ლომპაში“ (სისუსტე, ოფლიანობა, ტკივილი კუნთებში და გულის არეში, შესაძლოა კრუნჩხვითი მოვლენები, ფიზიკური დისკომფორტის შეგრძნება). ნარკომანთა მხრიდან დიდია რისკი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისა, რამდენადაც ნარკოტიკული საშუალების მიღებით ხდება ინტელექტუალური (ცნობიერებისა) და ნებელობითი სფეროს მნიშვნელოვანი დეგრადაცია, რასაც მთლიანად პიროვნულ დეგრადაციამდე მივყავართ. აგრეთვე, ნარკოტიკული შიმშილის დროს ასეთი პირები მზად არიან ჩადინონ ნებისმიერი ქმედება, ოღონდ მიიღონ ნარკოტიკის სასურველი დოზა.<sup>1</sup>

**შიზოფრენია.** ენდოგენური პროგრედიენტული ფსიქიკური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ფსიქიკური ფუნქციების დისოციაციით, იწვევს პიროვნულ ცვლილებებს, რომელიც მდგომარეობს ემოციურ გამოფიტვაში, გარემოსაგან გაუცხოებაში, ფსიქიკური აქტივობის დაკვეთებაში. შიზოფრენიით დაავადება ძირითადად ხდება ახალგაზრდა ასაკში 15-25 წელი.

შიზოფრენიით დაავადებულთა აზროვნება, მეტყველება კარგავს მიზანმიმართულობას, თანმიმდევრობას, ლოგიკურობას. მათ ასევე ახასიათებთ ემოციური სიღარიბე, მათი (ემოციების) არააღექვატურობა და პარადოქსულობა. შიზოფრენია იწვევს როგორც ინტელექტუალურ, ასევე ნებელობითი სფეროს დაზიანებას, რაც გამოიხატება ინტელექტუალური და ემოციური სფეროს ფუნქციონირების დისპარმონიაში, შეუთანხმებლობაში. უმრავლეს შემთხვევაში, შიზოფრენიით დაავადებულები მიიჩნევიან შეურაცხებად. მაგრამ, თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩადენილია რემისიის მდგომარეობაში, როცა პირს არ აღენიშნება აშკარა პიროვნული ცვლილებები და შიზოფრენიის დროს პათოლოგიურ სიმპტომატიკას არ მიუღწევია გამოხატულების მაღალი ხარისხისათვის, პირი შეიძლება ცნობილი იქნას შეზღუდულ შერაცხადად, ან სულაც შერაცხადად. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე მოხვედრილ პირთა

<sup>1</sup> იხ. ბეგიაშვილი გ. გაბიანი ა. ნანეიშვილი ბ. ნარკომანია თბ., 1984, გამომცემ-ლობა „საბჭოთა საქართველო“ გვ. 28-45.

უმრავლესობა, სწორედ შიზოფრენიით არიან დაავადებულები. შიზოფრენია ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ფსიქიკური დაავადებაა.<sup>1</sup>

თავის ტვინის ინფექციური დაავადებით გამოწვეულ ფსიქიკურ დაავადებებში, გამოვყოფთ თავის ტვინის სიფილისს და პროგრესულ დამბლას. თავის ტვინის სიფილისი მიეკუთვნება ნეიროსიფილისის ადრეულ ფორმას, ხოლო პროგრესული დამბლა – გვიანს. თავის ტვინის სიფილისი აერთიანებს განსხვავებულ ნერვულ-ფსიქიკურ დარღვევებს, რომელიც დაკავშირებულია თავის ტვინის სისხლძარღვთა სიფილისური დაავადებით. ამ დაავადების მქონე პირები, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, შეიძლება იქნენ ცნობილი, როგორც შერაცხადებად, ასევე შეურაცხებად. მათ აღენიშნებათ გაღიზიანებადობა, მიღრეკილება აფექტური რეაქციებისადმი, ზოგჯერ დათრგუნული განწყობილება, თავის ტკივილები, მეხესიერების დაქვეითება, სხვადასხვაგვარი ნევროლოგიური დარღვევები. ეს დარღვევები თავისი ხასიათით, შეიძლება მიკუთვნებული იქნას ფსიქიკური ანომალიებისადმი, რადგან ისინი არ იწვევენ ინტელექტუალური და ემოციური სფეროს სრულ მოშლას, მაგრამ წარმოადგენენ პიროვნული დეზორიენტაციისათვის არსებით ფაქტორს, ამა თუ იმ სოციალური ფუნქციის შერულებისას. პროგრესული დამბლა წარმოადგენს სიფილიტიკურ მენინგოენცეფალიტს, რომელიც მიმდინარეობს ფსიქიკის სწრაფად პროგრესირებადი მოშლის ნიშნებით, სხვადასხვა ფსიქოტური მდგომარეობით და სომატო-ნევროლოგიური დარღვევებით. პროგრესული დამბლა იწყება ნევრასთენიული სტადიით, ხასიათდება გაღიზიანებადობით, უძილობით, თავის ტკივილებით, სწრაფი დადლილობით. შემდეგ სტადიაზე ხდება კრიტიკულობის დაქვეითება, ავადმყოფი ვერ აფასებს შექმნილ სიტუაციას, აღენიშნება ინტელექტის დაქვეითება, ეიფორია, აღგზნებადობა, განდიდების ბოდვითი იდეები. ბოლო სტადია (მარაზმატიკული), დგება პირის დაავადებიდან 2-5 წლის შემდეგ და ხასიათდება ფსიქიკის სრული დაშლით და ლეტალური (სასიკვდილო) შედეგით. ჩვენთვის საინტერესოა ის ფსიქიკური დარღვევები, რომლებიც დამახასიათებელია დაწყებითი სტადიისათვის. როგორც ლიტერატურაში აღნიშნავენ პროგრესული დამბლით დაავადებულთა შერაცხადობა-შეურაცხაობის საკითხებში სასამართლო-ფსიქიატრიული პრაქტიკა შემდეგი წესით სარგებლობს, თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩადენილია ავადმყოფის მიერ რომელსაც არ უმკურნალია და აქვს ფსიქიკური მოშლილობები, ასეთ პირს შეურაცხად ცნობენ, ხოლო თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩადენილია მკურნალობის შემდეგ, მაშინ საკითხი წყდება რემისიის მდგომარეობის მიმდინარეობის ხასიათიდან გამომდინარე.<sup>2</sup>

<sup>1</sup> იხ. ნანეოშვილი გ. აფექტური აშლილობანი შიზოფრენიის დროს. კლინიკური, ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური და პემისფერთაშორისო ურთიერთქმედების კვლევის მონაცემები. დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1994, გვ. 40-42; 44-45; 78-80; 127-129.

<sup>2</sup> იხ. Судебная психиатрия. Учебник для вузов. Под ред. Б.В. Шостаковича М., стр. 120. ფსიქიკური ანომალიების ჩამონათვალი და მათი დახასიათება მირითადად მო-

ჩვენ შევეცადეთ გადმოგვეცა იმ ფსიქიკურ დაავადებათა ჩამონათვალი და მოკლე დახასიათება, რომლებიც ართულებენ პირის სოციალურ ადაპტაციას და ზღუდავენ მის უნარს გააცნობიეროს საკუთარი ქმედების მართლწინააღმდეგობა და უხელმძღვანელოს მათ. ისინი წარმოადგენენ შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობის გამომწვევ ერთ-ერთ გარემოებას. ახლა, ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ ის გარემოებები, რომლებიც ჩვენი აზრით, ასევე იწვევენ შეზღუდულ შერაცხადობას, თუმცა არ მიეცუთვნებიან ფსიქიკურ დაავადებებს.

### **3.1.3 ხასიათის აქცენტუაციები, როგორც შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევი გარემოება**

ხასიათის აქცენტუაციები არის ნორმის უკიდურესი გარიანტები, რა დროსაც ხასიათის ცალკეული თვისებები გაძლიერებულია, ამავე დროს აღინიშნება სხვა თვისებების სისუსტე სხვადასხვაგვარი ფსიქოგენური ზემოქმედებების დროს. ხასიათის აქცენტუაციის დროს, გარკვეული დარღვევები შეიძლება წარმოიშვას პუბერატული პერიოდის (სქესობრივი მომწიფების) დროს, ფსიქიკური ტრამვის, ან ცხოვრებისეული მძიმე სიტუაციის ზემოქმედებით. ხასიათის აქცენტუაციის ყოველ ტიპს ახასიათებს თავისი სუსტი ადგილი – ე.წ. „აქილევსის ქუსლი“. მაგალითად, ჰიპერტიმული ტიპისათვის ეს შეიძლება იყოს იზოლაცია თანატოლებიდან, იძულებითი უსაქმურობა (პასიურობა), მკაცრად განსაზღვრული დღის რეჟიმი.<sup>1</sup>

ა. ლიჩკო გამოჰყოფს ხასიათის აქცენტუაციის ორ ტიპს: აშკარა და ფარული აქცენტუაცია. ფარული აქცენტუაცია მიეცუთვნება ნორმის ჩვეულებრივ ვარიანტებს, ხოლო აშკარა მის უკიდურეს ვარიანტებს. ხასიათის აშკარა აქცენტუაციის მქონე მოზარდები წარმოადგენენ „მომეტებული რისკის“ ჯგუფს. ფსიქიკური ტრამვის, ან მძიმე ცხოვრებისეული სიტუაციისას, მათი რეაქცია შეიძლება იყოს ძალიან მძაფრი და შესაძლოა მიაღწიოს ფსიქოპათიურ დონეს. ასევე ხშირია ფსიქიკური ტრამვებისა, ან მძიმე სიტუაციების დროს აფექტური რეაქციები, რომლებიც გამოიხატება აგრესიაში გარშემომყოფთა მიმართ. აგრეთვე, ხანგრძლივი ფსიქიკური ტრამვები და მძიმე საყოფაცხოვრებო სიტუაციები ხასიათის აქცენტუაციისას ხდება ნევროზების, რეაქტიული დეპრესიების და სხვა მდგომარეობათა მიზეზი, რაც შემდგომში გამოიხატება დევიანტურ ქცევაში სუიციდალურ მცდელობებში, ასოციალურ ჯგუფებთან კავშირის დამყარებაში და ა.შ.<sup>2</sup>

ხასიათის აქცენტუაციების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან დამნაშავეთა და განსაკუთრებით არასრულწლოვან დამნაშავეთა შორის მათი ხვედრითი წილი საქმაოდ დიდია. აქცენტუაციები წარმოადგენენ მყარი (მრავალი წლის მანძილზე

ტანილია Сирожидинов Д.В. დასახელებული ნაშრომის მიხედვით გვ. 69, 70, 71 და სხვ. აგრეთვე შოსტაკოვიჩ ბ.В. რედაქციით გამოცემული სასამართლო ფსიქიატრიის სახელმძღვანელოს მიხედვით. გვ. 165 და სხვ.

1. იხ. Личко А.Е. Психопатии и акцентуации характера у подростков Л., 1983, с. 9-10.

2 იხ. Личко А.Е. დასახ. ნაშრომი, გვ. 28-29.

შენარჩუნებადი) და გლობალური (სხვადასხვა ცხოვრებისეულ სფეროებში გამოვლინებადი – ოჯახში, სახწავლო, შრომით საქმიანობაში) ხასიათის თვისებების ერთობლიობას, რომლებიც ხელს უშლიან ადამიანის სოცილურ და ფსიქოლოგიურ ადაპტაციას.

აქცენტუირებულ პირთა კლასიფიკაციის ორი სისტემა არსებობს. პირველი შემოთავაზებულია გერმანელი ფსიქიატრის კლეონჰარდის მიერ, მეორე რუსი ფსიქიატრის ა. ლიჩკოს მიერ. ამ კლასიფიკაციებიდან ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ იმ ტიპებზე, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდებიან პრაქტიკაში. ესენია: პიპერტიმული, ციკლოიდური, ლაბილური, სენსიტიური, ფსიქოსოფენიური, ასთენო-ნევროტული, შიზოიდური, ეპილეპტოიდური, ისტერიული, არამდგრადი, კომფორმული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა სახით ჩამოთვლილი ტიპები არც თუ ისე ხშირად გვხვდება და ძალზედ დიდია შერეულ ტიპთა ხვედრითი წილი, ანუ როცა ამა თუ იმ ადამიანს ერთდროულად ახასიათებს ხასიათის აქცენტუაციის სხვადასხვა ტიპის ნიშნები.<sup>1</sup>

როგორც ჩანს, აქცენტუირებული პირები მიეკუთვნებიან იმ კატეგორიას, ვისაც დარღვეული აქვთ აღგზნებისა და შეკავების პროცესის ბალანსი, რაც დიდ გავლენას ახდენს მათ ნებელობით და ემოციურ სფეროზე. ამასთან, როგორც ფსიქიატრები აღნიშნავენ აქცენტუაციები ბევრად ემსგავსებიან ფსიქოპათიურ ნიშნებს და დიდია ალბათობა, რომ ისინი გადაიზრდებიან ფსიქოპათიებში, ამიტომ პრაქტიკაში მათი განსხვავება ხშირად რთულია. აქცენტუაციები არ მიეკუთვნებიან ფსიქიკურ ანომალიებს, თუმცა მათვის დამახასიათებელი ნიშნები გავლენას ახდენენ მოქმედების გაცნობიერებისა და კონტროლის უნარზე, ისინი ზღუდავენ ამ უნარს. ხასიათის აქცენტუაციები არ მიეკუთვნებიან ფსიქიკურ ანომალიებს, რადგანაც ისინი წარმოადგენენ ხასიათის თავისებურებებს, ნორმის უკიდურეს ვარიანტებს და შეიძლება გამოწვეული იყონ მიკროსოციალური ფაქტორებით, აღზრდის თავისებურებებით და ა. შ. გარდა ამისა ისინი არ არიან შეტანილი მსოფლიო დაავადებათა კლასიფიკაციის ნუსხაში. შესაბამისად, აქცენტუაციები წარმოადგენენ ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებას. ამიტომ, ისინი შეიძლება მივაკუთვნოთ შეზღუდული შერაცხადობის სფეროს. გამოკვლევებით ასევე დასტურდება, რომ აქცენტუაციები გამოირჩევიან საკმაოდ მაღალი კრიმინოგენურობით.<sup>2</sup>

### 3.1.4 აფექტი, როგორც შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევი გარემოება

შემდეგი მდგომარეობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს შეზღუდული შერაცხადობა – არის აფექტი. ის, როგორც ვიცით, არის ემოციური განცდა, რომელიც ხასიათდება განსაკუთრებული ინტენსივობით. განასხვავებენ აფექტური მდგომარეობის ორ სახეს: ფიზიოლოგიურ და პათოლოგიურ აფექტს. პათოლოგიურ აფექტს ახასიათებს ცნობიერების სრული დაბინდვა და ნებისყოფის

<sup>1</sup> იხ. ლичко А.Е. დასახ. ნაშრომი, გვ. 92-182.

<sup>2</sup> იხ. Назаренко Г. В. დასახ. ნაშრომი, გვ. 61-62.

პარალიზება. ის, თავისი ხასიათით, უტოლდება ფსიქოტურ მდგომარეობას და ამდენად იწვევს შეურაცხაობას, ამიტომ ჩვენ არ შევუძგებით პათოლოგიური აფექტის დაწვრილებით განხილვას. ჩვენ ინტერესს წარმოადგენს ფიზიოლოგიური აფექტი. აფექტურ მდგომარეობას ადამიანში იწვევს ემოციური განცდა, მაგრამ აქ საუბარია არა ჩვეულებრივ ემოციურ განცდაზე, რომელიც ახასიათებს ნებისმიერ ადამიანს, ნებისმიერ სიტუაციაში და ცოცხალი ადამიანისათვის აბსოლუტურად ნორმალურ მდგომარეობას წარმოადგენს, არამედ ისეთ ემოციურ განცდაზე, რომელიც წარმოადგენს მძაფრ, უეცარ რეაქციას გამღიზიანებელზე, ანუ ამ რეაქციის გამომწვევ ფაქტორზე. როგორც ფსიქოლოგები მიუთითებენ, ემოციები ხასიათდება განსხვავებული ინტენსივობით, რაც უფრო მაღალია ემოციის ინტენსივობა, მით უფრო მოიცავენ ისინი ადამიანის ცნობიერებას და ნებელობას. ს. რუბინშტეინი წერს: „აფექტური მდგომარეობა გამოიხატება ცნობიერების პროცესის შენელებაში. ამიტომ, აფექტურ მოქმედებაში ამა თუ იმ ზომით დარღვეულია მოქმედების არჩევის ცნობიერი კონტროლი. აფექტური მოქმედება სრულად არ რეგულირდება ადამიანის მიერ, რადგან ის წარმოადგენს ფეთქებადი ხასიათის ემოციურ წარმონაქმნს, რომელიც იწვევს ორგანულ ცვლილებებს და მძაფრ რეაქციებს<sup>1</sup>.“

პროფ. თ შავგულიძის აზრით, აფექტი თამაშობს კატალიზატორის როლს, წარმოადგენს შემასუსტებელ ფაქტორის ე.წ. „ხოციალური მუხრუჭების“ და ამით ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას. ამიტომ, აფექტი მიიჩნევა პასუხისმგებლობის შემამსუბურებელ გარემოებად.<sup>2</sup> ბ. სიდოროვის აზრით, აფექტი არის განსაკუთრებით ძლიერი, სწრაფად წარმოშობადი და მძაფრად მიმდინარე ხანმოკლე ემოციური მდგომარეობა, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს ინტელექტუალური და ნებელობითი პროცესების მიმდინარეობას, აღღვევს გარემოს აღქმის მთლიანობას და სუბიექტის მიერ საგანთა ობიექტური მნიშვნელობის სწორ გაგებას. აფექტის დროს ემოციური დაძაბულობა აღწევს ისეთ მაღალ ხარისხს, რომ იწვევს ხარისხობრივ ცვლილებებს ადამიანის ორგანიზმსა და ფსიქიკაში. მაგალითად, მკვეთრად იცვლება ადამიანის გარეგანი იერი, აღენიშნება ხელების, სახის გაწითლება, ან გაფითრება, ხელების ცაცხახი, თვალის გუგების გაფართოება, ან შევიწროება, ხმის ტემბრის ცვლილება და ა.შ. აფექტის დროს ცნობიერების სპეციფიკურ ცვლილებას, ქცევის დეზორგანიზაციას მოჰყვება ის, რომ ადამიანს არ შესწევს უნარი სრულად გაუწიოს ანგარიში საკუთარ მოქმედებებს და აკონტროლს ისინი.<sup>3</sup> მიუხედავად ამისა, ფიზიოლოგიური აფექტის დროს ადამიანი ინარჩუნებს საკუთარი მოქმედებების გააცნობიერების და ხელმძღვანელობის უნარს. აფექტში დანაშაულის ჩადენის დროს სუბიექტის ყურადღება მიმართულია გაღიზიანების წყაროსადმი, რომელმაც გამოიწვია აფექტი, ამიტომ აფექტური დანაშაულისათვის

<sup>1</sup> Рубинштейн С.Л. Основы общей психологии М., 1946, с. 495-496.

<sup>2</sup> ი. შავგულიძე Т. Г. Аффект и уголовная ответственность Тб., 1973, с. 60.

<sup>3</sup> ი. Сидоров Б.В. Аффект. Его уголовно-правовое и криминологическое значение. Казань, 1978, с. 24-29.

მნიშვნელოვანია, რომ აფექტი იყოს გამოწვეული დაზარალებულის არამართლზომიერი, ან ამორალური საქციელით, მძიმე შეურაცხოფით, აგრეთვე არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო და ამორალური ქცევით განპირობებული ფსიქიური ტრამვით. სხვა შემთხვევაში, შეიძლება ვისაუბროთ პირის ანტისოციალურ განწყობილებაზე, ფსიქიკის ანომალიაზე და ა.შ.

აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულის პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ აფექტი თავისი ბუნებით ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს და ის შეიძლება გახდეს შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევი ერთ-ერთი გარემოება. ექსპერიმენტული მონაცემებით დადგენილია, რომ აფექტი იწვევს ინტელექტუალური და ნებელობითი პროცესების დეზორგანიზაციას, რაც გამოიხატება მოქმედების მიზანმიმართულობის, ადეკვატურობის და თანმიმდევრულობის დარღვევის დანაშაულის და მიზანმიმართულობის დარღვევის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდგი მაგალითები:

ბ-მ ჩაიდინა მკვლელობა, რა დროსაც ის თავის მსხვერპლს აგლეჯდა ტანსაცმელს და ფანტავდა აქტი-იქტ. აგრეთვე, მსხვერპლს სიკვდილის შემდეგაც მიაყენა არაერთი დარტყმა. დ. მკვლელობის ჩადენის შემდეგ გადახტა ფანჯრიდან იმის სანაცვლოდ, რომ გასულიყო კარიდან რომელთანაც ის იდგა. ფსიქოლოგიაში გამოყოფენ აფექტისათვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს, რომელთა გამოც ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს არ შესწევს უნარი სრულად გააცნობიეროს საკუთარი მოქმედება, ან უხელმძღვანელოს მას. ეს არის მისი წარმოშობის უეცარი ხასიათი. უეცრობას, როგორც აფექტის ნიშანს ხმარობენ ორი მნიშვნელობით – სუბიექტური და ობიექტური. უეცრობა სუბიექტური გაგებით, ნიშნავს მის უეცარ ხასიათს თვითონ აფექტური დანაშაულის სუბიექტისათვის. ეს ფსიქოლოგიური ნიშანია და ახასიათებს აფექტს შინაგანი (ფსიქოლოგიური) მხრიდან. ობიექტური გაგებით, უეცრობა ნიშნავს მის უეცარ ხასიათს თვით დაზარალებულისათვის და სხვა პირებისათვის. ესენი შეიძლება იყვნენ მესამე პირები, ან შემთხვევითი მოწმეები და ა.შ. მეორე ნიშანია ცნობიერების ცვალებადობა, რაც გამოიხატება ცნობიერების შევიწროებაში, მის კონცენტრაციაში აფექტურ განცდებზე. ამ დროს ადამიანი ჩადის ისეთი მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია უახლეს ობიექტებზე და მიზნებზე და არ ხდება შესაძლო შედეგების გათვალისწინება. მეხსიერების აფექტის შემდგომი დარღვევა არ იწვევს ამნეზიას, პათოლოგიური აფექტისაგან განსხვავებით, მაგრამ ამ დროს ხდება მომხდარის ცალკეული ელემენტების დავიწყება. აფექტს ახასიათებს სპეციფიკური თავისებურებები, რაც გამოიხატება მოძრაობით აღზენებადობაში, მათ ქაოტურობაში, ავტომატიზმში. მაგალითად, მკვლელობისას მრავლობითი ჭრილობები, რომელთა ნაწილი მიყენებულია სიკვდილის შემდეგ. აგრეთვე აფექტის დროს ხდება ადამიანის ფიზიკური ძალის კონცენტრაცია და მას შეუძლია ისეთი მოქმედების ჩადენა, რომელიც ჩვეულებრივ სიტუაციაში მისთვის შეუძლებელია. პოსტაფექტური მდგომარეობა ხასიათდება დაღლით,

დაქანცულობით, აპათიით. ეს გამოწვეულია იმით, რომ აფექტური განმუხტვა იწვევს ფიზიკური და ნერვული ენერგიის სრულ დაძაბგას, რის შემდეგაც ადამიანი გარკვეულ გამოფიტულობას გრძნობს. აფექტი იწვევს ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ და ვეგეტატიურ ცვლილებებს ადამიანში, რაც გამოიხატება ხმის, მიმიკის, გამომეტყველების, წევის, გულისცემის გახშირებაში, სახის კანის გაფითრებაში, ან პირიქით გაწითლებაში და ა.შ. აფექტის მდგომარეობა წარმოიშობა, როგორც საპასუხო რეაქცია მართლსაწინააღმდეგო ძალადობით, შეურაცხყოფით, ამორალური მოქმედებით, ან არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო და ამორალური ქცევით (კუმულაციური აფექტის შემთხვევა) გამოწვეულ გამდიზიანებელზე.<sup>1</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსახრება, რომ აფექტი იმპულსური ქცევაა (თ. შავგულიძე, მ. უგრეხელიძე). ჩვენი აზრით, ეს შეხედულება არ უნდა იყოს მართებული, რადგანაც იმპულსური ქცევა თავისი ფსიქოლოგიური მექანიზმით, არც განზრახია და არც გაუფრთხილებელი. როგორც დ. უზნაძე მიუთითებს, იმპულსური ქცევის მიმდინარეობისას პირი არც მე-ს ობიექტივაციას ახდენს და არც ქცევისას, ამიტომ იმპულსური ქცევა არასდროს მე-ს თვითაქტივობის გამოვლინებად არ განიცდება<sup>2</sup>. იმპულსური ქცევა არაცნობიერია, ხოლო აფექტის დროს სუბიექტი აცნობიერებს თავის მოქმედებას, ითვალისწინებს შედეგს და სურს იგი, მიუხედავად იმისა, რომ ცნობიერება და ნებელობა შეზღუდულია, რაც პასუხისმგებლობის შემსუბუქებას იწვევს. ამიტომ, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ აფექტი იმპულსურია, მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა (მყისივე რეაქცია გამდიზიანებელზე ე.წ. „მოკლე ჩართვის“ პრინციპი), რადგან ის მოტივირებულია, გაცნობიერებულია და მიზანმიმართულია, ანუ განზრახია.

### **3.1.5 ორგანიზმის არაავადმყოფური მდგომარეობები, როგორც შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევი გარემოება**

შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევ გარემოებებად, ჩვენი აზრით, უნდა იქნას მინიჭული აგრეთვე ორგანიზმის ისეთი არაავადმყოფური ფიზიოლოგიური მდგომარეობები, როგორიცაა ორსულობა, კლიმაჯსი, მშობიარობა და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს მდგომარეობი თავისთავად არ წარმოადგენენ შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევ მიზეზებს, მაგრამ ასეთ მდგომარეობებს ახასიათებს ფსიქიკურ პროცესთა ცვალებადობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეზღუდოს ადამიანის მიერ საკუთარ მოქმედებათა მართვის უნარი. როგორც სამედიცინო ლიტერატურაში აღნიშნავენ, კლიმაჯსის დროს აღინიშნება (განსაკუთრებით ქალებში) ემოციური და ნებელობითი სფეროს დისბალანსი, ხასიათის აქცენტუაციებისა და ფსიქოტური მდგომარეობის ნიშნები. მაგალითად, გადიზიანებადობა, დეპრესიულობა, შფოთვა, ფეთქებადი ხასიათის ემოციური რეაქციები და ა.შ. ასეთივე მდგომარეობა აღინიშნება

<sup>1</sup> იხ. Ситковская О.Д. Конышева Л.П. Коченов М.М. Новые направления судебно-психологической экспертизы М., 2000, с. 46-52.

<sup>2</sup> იხ. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. შრომები. ტ. III-IV, თბ., 1964, გვ. 217.

ორსულობის დროს. ორსულობას ახასიათებს მნიშვნელოვანი ფიზიოლოგიური და ფსიქიკური ცვლილებები ადამიანში. იცვლება ნივთიერებათა ცვლის პროცესი ორგანიზმში, აღინიშნება ნევროზულობა, გაღიზიანებადობა, სწრაფი დადლა, ძილის დარღვევა და ა.შ. მშობიარობა ურთულესი ფიზიოლოგიური პროცესია, როდესაც ქალს აღენიშნება ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის მკვეთრი ცვლილება, რაც გამოიხატება აღგზნებადობაში, აუტანელ ტკივილებში, გახშირებულ გულისცემაში და მაღალ არტერიულ წნევაში, სხეულის ცახცახში, ინსტინქტურ, რეფლექტორულ მოძრაობებში, შიშებში და ა.შ. კ. სკრობანსკი აღნიშნავს, რომ მშობიარობის დროს ქალმა შეიძლება ჩაიდინოს ყოვლად წარმოუდგენელი საქციელი, მათ შორის შეიძლება თვითმკვლელობამდეც კი მივიდეს.<sup>1</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლში დაფიქსირებულია ეს მდგომარეობა: „დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა მშობიარობისას ან უმაღვე მშობიარობის შემდეგ“. ეს მდგომარეობა კანონმდებლის მიერ შემამსუბუქებელ გარემოებათაა მიჩნეული, რაც ჩვენი აზრით, სავსებით მართებულია.

როგორც პრაქტიკა მიუთითებს, მშობიარობის ფიზიოლოგიური პროცესის სირთულის გარდა, მშობიარობის დროს ახალშობილის მკვლელობა შეიძლება განპირობებული იყოს ფსიქოტრამვული სიტუაციით, რომელიც ზემოქმედებდა ქალზე მშობიარობისას ან მშობიარობის შემდეგ. ის შეიძლება გამოიხატოს ნათესავების უარყოფით დამოკიდებულებაში ქალის ორსულობისადმი, მძიმე ყოფითი პირობებით, მამის მხრიდან ბავშვის არაღიარებით, ქორწინების გარეშე მშობიარობით და სხვა.

შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ დასახელებული ფაქტორები, მშობიარობის პროცესი და მასთან დაკავშირებული სირთულეები, მითუმეტეს თუ მათ ემატება სხვა ფსიქოტრამვული სიტუაცია, მნიშვნელოვნად ზღუდავენ ქალის უნარს გააცნობიეროს საკუთარი მოქმედებები და უხელძღვანელოს მათ, ანუ მის შერაცხვაუნარიანობას.

### 3.1.6 სომატური დაავადება, როგორც შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევი გარემოება

ადამიანის უნარზე გააცნობიეროს და აკონტროლოს საკუთარი ქმედებები გავლენას ახდენს აგრეთვე სომატური დაავადებები. სომატური დაავადებების ფსიქიკაზე ზემოქმედების ძირითად ფორმას წარმოადგენს ასთენია – ცენტრალური ნერვული სისტემის რეაგირების სპეციფიკური ფორმა ფსიქოგენურ, სომატურ, ტრავმატულ და სხვა მიზეზებზე. ამ დროს ავადმყოფებს ახასიათებს ყურადღების და მეხსიერების დაქვეითება, სწრაფი დაქანცულობა, ძალზედ ხშირად წამოიშობა ხასიათის მყარი მოშლილობანი. ამასთან ერთად ნევროზულ და ფსიქოპათურ მდგომარეობასთან ერთად შეიმჩნევა ფსიქოტური სიმპტომატიკაც.<sup>2</sup>

<sup>1</sup> იხ. Скробанский К.К. Учебник акушерства Л., 1946, с. 216.

<sup>2</sup> იხ. Николаева В. В. Влияние хронической болезни на психику М., 1987, с. 28-30.

### **3.1.7 მზის აქტივობის გავლენა ადამიანის ფსიქიკურ პროცესებზე**

გვინდა, აგრძეთვე, უურადღება მივაქციოთ ჰელიოთერაქსიის თეორიას, ანუ იმას, თუ რა გავლენას ახდენს ადამიანზე ბუნებრივ-კოსმიური პროცესები. ჰელიოთერაქსია – მეცნიერული მიმდინარეობაა, რომელიც სწავლობს მზის აქტივობის პროცესთა ზეგავლენას ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ბუნების და კოსმოსის ზეგავლენას ადამიანზე უსხვოვარი დროიდან ექცევა უურადღება. ამის დასტურია ძვ. ეგვიპტის, ინდოეთის და სხვა უამრავი წყაროები, რომლებიც თანამედროვე მეცნიერებას მოეპოვება. სამწუხაოდ არც საბჭოთა პერიოდში და არც დღეს ეს საკითხი არ წარმოადგენს კრიმინალისტთა ინტერესს, მაშინ როცა ევროპაში და აშშ-ში იგი დიდი უურადღებისა და მეცნიერული კვლევის საგანია იურისტთა მხრიდან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ პრობლემას აქვს კრიმინოლოგიისათვის.<sup>1</sup>

ჩვენთვის, ამ მხრივ, საინტერესოა თუ რა ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღგზნებისა და შეკავების პროცესზე ამ ფაქტორებმა. ა. ჩიუევსკი თავის ნაშრომში წერს, რომ ორგანიზმის შველა გამოვლინება უნდა იქნას განხილული გარემოში მიმდინარე პროცესებთან კავშირში. ფსიქიკის მდგომარეობა განპირობებულია ორგანიზმის მდგომარეობით, შესაბამისად ამა თუ იმ ორგანოს დარღვევები (გულ-სისხლძარღვთა, ენდოკრინული, ნერვული სისტემის) იწვევს შესაბამისი ხასიათის ცვლილებებს ფსიქიკურ სფეროში. ამიტომ, ქცევა არის მთელი ორგანიზმის მოქმედება ფიზიოლოგიური, შინაგანი და ფიზიკური გარეგანი გარემოსადმი. ეს მოქმედება გადაიქცევა ტვინისა და ნერვული აპარატურის მეშვეობით შეგრძნებებში და წარმოდგენებში და აყალიბებს პიროვნებას საერთოდ და მის ქცევას ყოველ კონკრეტულ მომენტში<sup>2</sup>.

სტატისტიკურად დადგენილია, რომ მზის აქტივობის მომატება იწვევს გონებრივი და ფსიქიკური პროცესების დაქვეითებას, სამაგიეროდ ძლიერდება ფსიქომოტორული აქტივობა, მძაფრდება ინსტინქტური რეაქციები, იზრდება აფექტურ მოქმედებათა რიცხვი, მძაფრდება სექსუალური აქტივობა. საინტერესოა ა. ჩიუევსკის მიერ შეგროვილი მასალა, რომლის მიხედვით მზის აქტივობის გააქტიურება 1902 წლიდან იწვევდა ტერორისტული აქტების რიცხვის ზრდას. ეს რიცხვი მაქსიმუმს აღწევდა 1905-1907 წლებში, როდესაც მზის აქტივობა მაქსიმალური იყო. ხოლო მზის აქტივობის შემცირებასთან ერთად ტერორისტული აქტების რიცხვი კლებულობდა. აქედან გამომდინარე, მზის აქტივობის მომატებასთან ან შემცირებასთან ერთად, შესაბამისად მატულობს ან მცირდება იმ აფექტურ, აფექტურ – პათოლოგიურ მდგომარეობათა რიცხვი, რომლებიც განაპირობებენ ტერორისტული აქტების ჩადენას.<sup>3</sup>

<sup>1</sup> იხ. Иванов Н.Г. დასახ. ნაშრომი, გვ. 117-118.

<sup>2</sup> იხ. Иванов Н.Г. დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

<sup>3</sup> იხ. Иванов Н.Г. დასახ. ნაშრომი, გვ. 119-120.

აქ, რა თქმა უნდა, საუბარია ზოგად ტენდენციებზე და ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს მზის აქტივობას ან სხვა კლიმატურ პროცესებს შეუძლიათ გამოიწვიონ შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობა. კლიმატურ-კოსმიური პროცესები უველა ადამიანზე ინდივიდუალურად მოქმედებენ და შეზღუდულ შერაცხადობაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, თუ ამ ზემოქმედებამ ამა თუ იმ სახით გამოიწვია ცნობიერების და ნებისყოფის პროცესების დისბალანსი უმართლობის ჩადენის დროს.

### **3.1.8 არასრულწლოვანება, როგორც შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევი გარემოება**

შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობას უნდა მივაკუთვნოთ არასრულწლოვანება. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს არასრულწლოვანებას, როგორც შემამსუბუქებელ გარემოებას და აწესებს არასრულწლოვანთათვის მთელ რიგ შედავათებს. ცალკე კარია დათმობილი არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის საკითხს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილით: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება განთავისუფლდეს არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში“. როგორც პროფ. ო. გამყრელიძე აღნიშნავს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სრული შერაცხადობის ორმაგი შეზღუდვის მდგომარეობასთან.<sup>1</sup> ამიტომ, ლოგიკურია კანონმდებლობის პოზიცია, რომელიც ასეთ შემთხვევაში უშვებს არასრულწლოვნების სისხლისსამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას. არასრულწლოვანებზე, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებაზე მიუთითებენ ფსიქოლოგები, იურისტები, ფიზიოლოგები.

არასრულწლოვანთა ასაკობრივ მდგომარეობას როცა ვეხებით უნდა გამოიყოს რამოდენიმე საკითხი, რომელთა კომპლექსური გარკვევა პასუხს მოგვცემს არასრულწლოვანთა მდგომარეობასთან დაკავშირებულ ბევრ პრობლემურ საკითხზე. მეცნიერები გამოყოფენ შემდეგ ძირითად საკითხებს, რომელთა თანმიმდევრული განხილვა აუცილებელია არასრულწლოვანთა მდგომარეობის შესახებ სრული სურათის შესაქმნელად. პირველი საკითხი ეხება არასრულწლოვნის ანატომიურ-ფიზიოლოგიურ თავისებურებებს. დაახლოებით 11-12 წლის ასაკიდან მოზარდში იწყება განვითარების ახალი პერიოდი, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზმის კარდინალურ ცვლილებებთან. ამ დროს ხდება ადამიანის სწრაფი ზრდა სიმაღლეში, იზრდება კუნთები და ძვლები, სხეული იცვლის ფორმას, ეს განსაკუთრებით შესამჩნევია გოგოებში. ცვლილებებს განიცდიან შინაგანი ორგანოები. აღსანიშნავია გულ-სისხლძარღვთა სისტემაში მკვეთრი ცვალებადობა. გული მნიშვნელოვნად მატულობს მოცულობაში, იზრდება მისი მუსკულატურა, სისხლძარღვები ვითარდება უფრო ნელა. ამიტომ, გულს უწევს უფრო მეტი მუშაობა, რომ სისხლი მიაწოდოს ორგანოებს. მომეტებული ფიზიკური დატვირთვის დროს,

<sup>1</sup> იხ. გამყრელიძე ო. დასახ. ნაშრომი, 2002, №3, გვ. 76.

ან ნერვული დაძაბულობისას გულისცემა ხშირდება, ტვინის მომარაგება სისხლით სუსტდება. ამიტომაა, რომ არასრულწლოვნები ხშირად ჩივიან თავის ტკივილზე, დაქანცულობაზე, სწრაფ დაღლაზე. ამ პერიოდში მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდიან შინაგანი სეპრეციის ჯირკვლები, განსაკუთრებით ფარისებრი ჯირკვალი, რაც დიდ ცვლილებებს იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირებაში. მოზარდი ხდება აღგზნებადი, აგრესიული, აფექტური, ხშირად და ზოგჯერ უმიზეზოდ ეცვლება გუნება-განწყობა, რაც იწვევს დაუფიქრებელ და ერთი შეხედვით უმოტივო საქციელს.<sup>1</sup>

გარდამავალი ასაკის ცენტრალურ ბიოლოგიურ პროცესს წარმოადგენს სქესობრივი მომწიფება. ფიზიოლოგიაში ამ პროცესს პირობითად ყოფენ სამ ფაზად: 1) პუბერტატულამდელი ან მოსამზადებელი პერიოდი; 2) საკუთრივ პუბერტატული პერიოდი, რომლის დროსაც მიმდინარეობს სქესობრივი მომწიფების ძირითადი პროცესები; 3) პოსტპუბერტატული პერიოდი, როცა ორგანიზმი აღწევს სრულ ბიოლოგიურ სიმწიფეს. თუმცა, როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ, ეს აბსოლუტურად განსხვავებულად მიმდინარეობენ სხვადასხვა ადამიანში. მაგალითად, 14-15 წლის ზოგი ახალგაზრდა შეიძლება პოსტპუბერტატული იყოს, ზოგი პუბერტატული, ზოგიც პუბერტატულამდელი. ეს დამოკიდებულია ადამიანის ინდივიდუალურ ბიოლოგიურ სისტემაზე.<sup>2</sup>

პუბერტატული პერიოდი ერთ-ერთი კრიტიკული სტადიაა ორგანიზმის განვითარების პერიოდში, როცა ხდება ორგანიზმის სისტემური ცვლილება ერთი მდგომარეობიდან მეორეზე, ერთი სისტემიდან ახალ სისტემაზე გადასვლა. ეს იწვევს სერიოზულ ცვლილებებს ადამიანში და ასუსტებს ორგანიზმის რეზისტენტულობას. ამერიკელი ფსიქოლოგი ჯ. კლოზენი აღნიშნავს, რომ ფიზიოლოგიური თვისებები მოზარდის ფსიქიკაზე და ქცევაზე გავლენას ახდენენ სამი მიმართულებით. უპირველესად, დიდი აღნაგობის და ძალის მოზარდი ადვილად ჯაბნის თავის თანატოლებს სპორტულ და სხვა ფიზიკურ აქტივობაში. ამას, აგრეთვე აქვს გარკვეულო სოციალური მნიშვნელობა, რადგან გარშემომყოფებში იწვევს შესაბამის მოლოდინს. მაგალითად, მაღალი მოზარდის მიმართ შეიძლება იყოს მოლოდინი, რომ ის კარგი კალათბურთელი გახდება, თუმცა სიმაღლე ზოგჯერ იწვევს მოძრაობის ზუსტი კოორდინაციის დარღვევას, რაც საპირისპირო შედეგის მომტანია. მესამე მიმართულება გულისხმობებს „მე“-ს კონცეფციის ჩამოყალიბებას, სადაც ხდება საკუთარი შესაძლებლობების და გარშემომყოფთა მიერ მათი აღქმის და შეფასების გარდატეხა.<sup>3</sup>

მეორე საკითხი ეხება სოციალიზაციის პროცესს. მოზარდის ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებების მოკლე მიმოხილვის

<sup>1</sup> იხ. Волков Б. С. Психологические особенности подростка. Возрастная и педагогическая психология. Учебное пособие. М., 1975, с. 66-67.

<sup>2</sup> იხ. Кон И. С. Психология юношеского возраста. М., Издательство „Просвещение“, 1979, с. 35.

<sup>3</sup> იხ. Кон И. С. Психология ранней юности. М., Издательство „Просвещение“, 1989, с. 53-54. ამ საკითხზე აგრეთვე იხილეთ უზნაძე დ. ბაგშვის ფსიქოლოგია. სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია. თბ., 2003, გვ. 453-474.

შემდეგ, აუცილებელია ყურადღება შევაჩეროთ სოციალური განვითარების ფაქტორზე, რადგან არასრულწლოვნის განვითარებაში ამ საკითხს ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს. არასრულწლოვნანების ასაკი სოციალური კუთხით არის პირველადი სოციალიზაციის გაგრძელების პერიოდი. ამ პერიოდში იგი სწავლობს და იმყოფება მშობელთა ან სახელმწიფოს კმაყოფაზე, ამდენად მისი სოციალური სტატუსი დიდად არ განსხვავდება ბავშვის სტატუსისაგან. სიჭაბუქა - 14-15-დან 18 წლამდე წარმოადგენს პირველადი სოციალიზაციის დასრულების ეტაპს, თუმცა ამ პერიოდშიც სოციალური სტატუსი არსებითად არ განსხვავდება მოზარდისაგან, მაგრამ ხდება სერიოზული ცვლილებები ახალგაზრდის სოციალურ სტატუსში. ამ პერიოდის უმნიშვნელოვანები სოციალური ამოცანაა პროფესიის არჩევა, სწავლის გაგრძელება და გარკვეული პროფესიის დაუფლება, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის მომავალ სოციალურ სტატუს და მთლიანად სოციალიზაციის პროცესს ამ ეტაპზე. ამ პერიოდში ახალგაზრდა მოიპოვებს მეტ ავტონომიას, ზოგ შემთხვევაში კი დამოუკიდებლობას უფროსებისაგან, რაც ხელს უწყობს მის მიერ საკუთარი ადგილის დამკვიდრებას ცხოვრებაში. ზოგადად უნდა ითქვას, რომ სოციალიზაციის პროცესი რთული და მრავალმხრივი პროცესია, რომელსაც რამდენიმე კრიტერიუმი აქვს. მათ შორის უმნიშვნელოვანებია განათლების მიღება და პროფესიის შეძენა, სამუშაოს დაწყება, მატერიალური დამოუკიდებლობა, ქორწინება, სამოქალაქო და პოლიტიკური სრულწლოვანება, შვილების აღზრდა.<sup>1</sup>

ე. საპოგოვა აღნიშნავს, რომ სოციალიზაციის პროცესში ადამიანი იძენს მისი გარემოსათვის დამახასიათებელ დირებულებებს, ნორმებს, რის შედეგად მას უყალიბდება გარკვეული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ქცევის ფორმები და განცდები. სოციალიზაციის ცნებაში გამოყოფენ ორ მხარეს. პირველი არის ადამიანის სპონტანური შეზრდის პროცესი მის სოციალურ გარემოში. მეორე არის არსებული დირებულებებისადმი, ნორმებისადმი, იდეალებისადმი მიზანმიმართული ადაპტაციის პროცესი.<sup>2</sup>

როგორც ე. საპოგოვა აღნიშნავს, გარდამავალ ასაკში გამოყოფენ განვითარების შემდეგ ძირითად ზონებს: 1) პუბერტატული განვითარება, როცა ხდება სქესობრივი მომწიფება და სქესობრივი იდენტიფიკაცია; 2) კოგნიტიური განვითარება, რაც გამოიხატება აბსტრაქტული აზოვნების განვითარებით; 3) სოციალიზაციის პროცესი, რა დროსაც მოზარდი ცდილობს განთავისუფლდეს მშობლების მზრუნველობისაგან და მოიპოვოს გარკვეული სტატუსი თანაზოლთა შორის; 4) იდენტურობის განცდის ჩამოყალიბება, როცა მოზარდს უყალიბდება რეალობის ახლებური სუბიექტური განცდა და „მე“- კონცეფცია.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ი. ი. კონ დასახ. ნაშრ. გვ. 59, 66-67.

<sup>2</sup> ი. კონ დასახ. ნაშრ. გვ. 59, 66-67.

<sup>3</sup> ი. კონ დასახ. ნაშრ. გვ. 59, 66-67.

მესამე მიმართულება, რომელზედაც ჩვენ გვინდა შევაჩეროთ უურადღება არის ადამიანის ფსიქიკური პროცესების განვითარების საკითხი. ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ გარდატეხის ასაკში ხდება ადამიანის ინტელექტუალური სფეროს ისეთი ფუნქციების განვითარება, როგორიცაა აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება. აღქმისა და ყურადღების განვითარება გულისხმობს, რომ სუბიექტს უყალიბდება უნარი ადეკვატურად აღიქვას როგორც გარესამყაროს მოვლენები და საგნები, ასევე ამ საგნების და მოვლენების არსებითი ნიშნები იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია მისი ქმედების და ამ ქმედების შედეგის მნიშვნელობის და მართლწინააღმდეგობის გარკვევისათვის. აქ, ცხადია იგულისხმება არა მარტო ფიზიკური საგნები და მოვლენები, არამედ ადამიანები და მათი ურთიერთობებიც.<sup>1</sup>

იმისათვის, რომ პირი ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უნარის მქონედ, მისი მეხსიერება უნდა ხასიათდებოდეს შემდეგი პარამეტრებით: მეხსიერების ხანგრძლივობით, რათა აღიბეჭდოს და შეინახოს ქცევისა და მორალის საბაზო ნორმათა კომპლექსი; მყარი აღბეჭდვის უნარით; უნარით აღადგინოს შესაბამისი ინფორმაცია ზუსტი შინაარსითა და მოცულობით არსებითი შეზღუდვების გარეშე; მეხსიერებიდან ინფორმაციის ამოღების საკმარისი ტემპით, რათა გამოიყენოს იგი შეცნობითი და მოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტისათვის; ინფორმაციის აღბეჭდვის, შენახვის და აღდგენის არჩევითობით.<sup>2</sup>

რაც შეეხება აზროვნებას, მას უნდა ახასიათებდეს შემდეგი ნიშნები: აზროვნების გასაგებობა და მასთან დაკავშირებული განზოგადების საკმარისი უნარი მომავალი მოქმედებების გაცნობიერებისა და პროგნოზირებისათვის; გაცნობიერებული აღქმის უნარი; მოქმედების, სიტუაციების, ნორმების შეფასებისა და ანალიზის კატეგორიალური ხასიათი; კრიტიკულობა როგორც ფაქტობრივ, ისე მოდელირებად მოქმედებებში, შეცდომათა აღმოფხვრის და გაცნობიერების უნარი.<sup>3</sup>

ჩვენი აზრით, ზემოთმოყვანილი ფსიქიკური პროცესების ნიშნები გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებენ, რადგან ვფიქრობთ, იმ სახით, როგორც ისინი ზემოთაა მოყვანილი, შესაძლოა ზრდასრულ ადამიანსაც არ ქონდეს განვითარებული, რომ არაფერი ვთქვათ არასრულწლოვანზე. მაგალითად, მეხსიერების ერთ-ერთ პარამეტრად დასახელებულია უნარი აღადგინოს ინფორმაცია ზუსტი შინაარსითა და მოცულობით არსებითი შეზღუდვების გარეშე, ან აზროვნების ერთ-ერთ ნიშნად დასახელებულია კრიტიკულობა და შეცდომათა აღმოფხვრის და გაცნობიერების უნარი. ვფიქრობ, ადამიანს შესაძლოა არ შეეძლოს ინფორმაციის ზუსტი შინაარსითა და მოცულობით აღდგენა მეხსიერებაში, ან არ გააჩნდეს კრიტიკულობის საკმარისი უნარი, მაგრამ მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მაინც დაეკისროს. ჩემი აზრით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის არაა

<sup>1</sup> იხ. Ситковская О.Д. Психология уголовной ответственности. М., 1998, с. 75-76.

<sup>2</sup> იხ. Ситковская О.Д. დასახ. ნაშრ. გვ. 79-80.

<sup>3</sup> იხ. Ситковская О.Д. დასახ. ნაშრ. გვ. 81-82.

აუცილებელი ფსიქიკური პროცესების სრულფასოვანი განვითარება და ყველა იმ პარამეტრის სრულად დაკმაყოფილება, რაც ზემოთაა მოცემული. ამიტომაც არის არასრულწლოვანი შეზღუდული შერაცხადი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ადამიანის ფსიქიკური პროცესები ყველა ამ პარამეტრს აკმაყოფილებს, ის სრულ შერაცხადად უნდა ვცნოთ.

მ. ბაბაევი აღნიშნავს: „14-18 წლის ასაკში მოზარდში მიმდინარეობს ინტელექტუალური განვითარების, ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესი, ამიტომ ამ ასაკისათვის დამახასიათებელი ეს მდგომარეობა შეიძლება შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაითვალოს სასჯელის შეფარდების დროს. ამ ასაკს ახასიათებს ემოციურ-ნებელობითი სფეროს თავისებურებანი, ადგილი აღგზნებადობა, ფსიქიკური გაუწონასწორებლობა, ხასიათის ცვალებადობა, იმპულსურობა და ა.შ“.<sup>1</sup>

ზ. ასტემიროვი მიუთითებს, რომ ამ პერიოდში არასრულწლოვანში მიმდინარეობს ინტენსიური ფიზიკური და ფსიქიკური განვითარება, რაც ვლინდება აშკარა წინააღმდეგობებში ინდივიდის ფსიქოლოგიურ, ფიზიოლოგიურ და სოციალურ სფეროებში, აისახება ცნობიერებაზე და იწვევს ინტელექტუალური, ემოციური, ნებელობითი სფეროს დისპროპორციას. ამ დროს ორგანიზმი განიცდის დატვირთვას, რაც ზემოქმედებს განწყობაზე, იწვევს გაღიზიანებულობას, დაქანცულობას, აღგზნებულობას. ყველაფერი ეს, როგორც წესი, უარყოფითად აისახება არასრულწლოვანის ქცევაზე. ამ პერიოდში არ არის დასრულებული ადამიანის ჩამოყალიბება, ის არ არის მომწიფებული სრულად არც ფიზიოლოგიურად, არც ფსიქოლოგიურად და არც სოციალურად. ეს უმჭველად გასათვალისწინებელია ამ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის და სასჯელის საკითხთა გადაწყვეტისას.<sup>2</sup>

როგორც ზემოთმოყვანილი მიმოხილვიდან დავინახეთ, გარდატეხის ასაკში ხდება ორგანიზმის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური გარდაქმნა, რასაც თან ხდება აღგზნებულობა, ემოციონალური არამდგრადობა, ხასიათის ხშირი ცვალებადობა, შფოთვა, საკუთარი თავით უკმაყოფილება, ან პირიქით ზედმეტი თვითკმაყოფილება. ასევე ამ ასაკს ახასიათებს ემანსიპაციის რეაქცია, რაც გულისხმობს იმას, რომ არასრულწლოვანი ცდილობს უფროსთა მზრუნველობისაგან, კონტროლისაგან განთავისუფლებას. მას ეუფლება ისეთი განცდა, თითქოს ის უკვე საკმაოდ დიდია, თვითონ შესწევს უნარი იზრუნოს საკუთარ თავზე, უწნდება თავისუფლების მოთხოვნილება. ის ხდება დაუჯერებელი, ჯიუტი, არ ასრულებს უფროსთა მითითებებს, ხშირად არღვევს საზოგადოებაში დადგენილი ქცევის წესებს, მას უწნდება სიახლის, განახლების, არსებული სტანდარტების შეცვლის მოთხოვნილება. ამით, ის

<sup>1</sup> Бабаев М.М. Индивидуализация наказания несовершеннолетних М., 1968, с. 13-15. Изд. «Юридическая литература»

<sup>2</sup> ი. ასტემირ ვ.ა. Уголовная ответственность и наказание несовершеннолетних М., 1970, с. 31-32. ამ საკითხზე აგრეთვე იხილეთ: Кон И.С. Психология юношеского возраста М., 1979, Изд. «Просвещение» с. 44-46, 47-78; Кон И.С. Психология старшеклассника М., 1982, Изд. «Просвещение» с. 45-74.

ცდილობს თავისი თავის, თავისი „მე”-ს დამკვიდრებას, თანატოლებში ავტორიტეტის და აღიარების მოპოვებას. თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილება ამ პერიოდში განსაკუთრებით იჩენს თავს. ეს გამოწვეულია იმით, რომ თანატოლების ჯგუფში არასრულწლოვანი უფრო ადვილად მოიპოვებს აღიარებას, ავტორიტეტს. მას უფრო ადვილად უგებენ, უწონებენ ამა თუ იმ საქციელს, რომლისთვისაც უფროსებმა შეიძლება გაკიცხონ, გააკრიტიკონ. თანატოლებთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის თვითშეფასების ჩამოყალიბებისათვის, რადგან თვითშეფასებით რეგულირდება არასრულწლოვნის საქციელი. თუმცა, აქ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ წრეში იმყოფება არასრულწლოვანი, რა ინტერესები, იდეალები, ქცევის სტერეოტიპები არის დომინანტური მათოვის.

ახალგაზრდული აგრესია, უხეშობა, გადიზიანებადობა გამოწვეულია ნერგული იმპულსების გადაცემის განხილებით თავის ტვინში. პუბერტატულ პერიოდში (სქესობრივი მომწიფება) თავის ტვინში მიმდინარე პროცესები იწვევენ ინფორმაციის გადამუშავების და სოციალური სიტუაციის სწორი შეფასების დარღვევას, აგრეთვე მათ უსუსტდებათ საკუთარი ემოციების და მოქმედებების კონტროლის უნარი.

ამდენად, არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური, ემოციური მდგომარეობა არ იძლევა შესაძლებლობას მათი ბრალეულობის და სასჯელის საკითხი ზრდასრულ დამნაშავეებთან გათანაბრებულად გადაწყდეს. სასამართლო ითვალისწინებს ამ გარემოებებს და მათ შემსუბუქებულად, შეზღუდულად რაცხავს ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

აქვე, გვინდა ყურადღება გაგამახვილოთ ზოგიერთი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის 12 წლამდე შემცირების საკითხზე. 2007 წლის 23 მაისის კანონით 108-ე, 109-ე, 117-ე, 137-ე, 178-ე (გარდა პირველი ნაწილისა), 179-ე და 238-ე პრიმა მუხლებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკმა დაიწია 12 წლამდე. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, ეს გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის არაერთ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან, რომლებიც ბავშვთა უფლებებს ეხება. კერძოდ, გაეროს ბავშვთა უფლებების 1989 წლის კონვენცია არ ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს, თუმცა გაეროს კომიტეტი უარყოფით შეფასებას აძლევს იმ ქვეყნებს, რომლებსაც მინიმალურ ასაკად დადგენილი აქვთ 12 წელი ან უფრო ნაკლები. არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის გაეროს სტანდარტული მინიმალური წესების („პეკინის წესები“) მე-4 ნაწილის 4.1. მუხლის თანახმად: „სამართლებრივ სისტემებში, რომლებშიც მიღებულია არასრულწლოვანთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის ცნება, ამ ასაკის ქვედა ზღვარი არ უნდა იქნეს დადგენილი ძალზედ ადრეულ ასაკზე, ემოციური, სულიერი და ინტელექტუალური განვითარებიდან გამომდინარე.“

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი დაკავშირებული უნდა იყოს ბავშვის შემეცნებით, ემოციურ და სოციალურ განვითარებასთან. გაეროს 1990 წლის არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის პროფილაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპების „ერ-რიადის წესები”-ს თანახმად, პრევენციული პოლიტიკის გატარება გულისხმობს კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას, რაც სახელმწიფოს პრიორიტეტად უნდა გამოცხადდეს. ასეთი პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაში ჩართული უნდა იყოს სახელმწიფო სამსახურები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოების ფართო ფენები. ამ მხრივ, ვფიქრობ, მართებულია შემდეგი მსჯელობა: „შეიძლება თუ არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის დაწევამ გამოიწვიოს დამნაშავეობის შემცირება? გამოკვლევების შედეგები აჩვენებს, რომ პოლიციასთან ხშირი კონტაქტი ნებატიურ გავლენას ახდენს ბავშვებზე, მათ განათლებაზე, ოჯახურ ცხოვრებასა და ფსიქიურ ჯანმრთელობაზე. ციხიდან გამოსვლის შემდეგ არასრულწლოვანთა დაახლოებით 80% მეორედ სჩადის დანაშაულს. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის დაწევა იწვევს დანაშაულთა რიცხვის გაზრდას, ვიდრე მის შემცირებას.”<sup>1</sup>

დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ იმ არასრულწლოვნებს, რომელთაც სასჯელის ზომად შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა, გააჩნიათ რეციდივების ყველაზე დიდი მაჩვენებელი. თითქმის 80 პროცენტი სელმერედ ჩადის დანაშაულს ორი წლის განმავლობაში. გენერალური პროკურატურის სტატისტიკით 2006 წლის 9 თვის მონაცემებით გამოიება შეწყდა 184 საქმეზე, მათ შორის 121 საქმეზე სწორედ იმის გამო, რომ პირი არ იყო მიღწეული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს (14 წელი). აღნიშნული ციფრი დაახლოებით 70 პროცენტით გაიზარდა 2005 წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით. ამასთან, 14 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულთა უმეტესობა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება.<sup>2</sup>

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით 2007 წლის 9 თვის განმავლობაში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 79 შემთხვევა ყოფილა 2007 წლის იანვარში, ხოლო აპრილში ეს მაჩვენებელი 42 ერთეულამდე შემცირდა. 2007 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, არასრულწლოვანთა დანაშაული 2006 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 22,8 პროცენტით შემცირდა. პროფ. ო. გამყრელიძის აზრით, თორმეტი წლის ასაკში ადამიანის დასჯა უფრო მეტ უარყოფით შედეგებს გამოიდებს, ვიდრე დადებითს. დასჯას ამ ასაკში არ ექნება ის ეფექტი, რაც უნდა ჰქონდეს, რადგან ამ ასაკში ბავშვი ვერ აცნობის გერებებს

<sup>1</sup> კვაჭაძე მ. მანჯავიძე ი. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკთან დაკავშირებული სამართლებრივი და სამედიცინო ასპექტები.

<sup>2</sup> [www.gruni.edu.ge](http://www.gruni.edu.ge) კრიმინოლოგი, №1 (2) 2008, გვ. 26-29.

<sup>2</sup> იხ. კვაჭაძე მ. მანჯავიძე ი. დასახ. ნაშრ. გვ. 35-36.

ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივ მნიშვნელობას, ის არ არის სრულად მომწიფებული ასაკობრივი განუვითარებლობის გამო. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება უკიდურესი ზომაა და სახელმწიფო ამ ზომას მხოლოდ მაშინ მიმართავს, როცა სხვა გამოსავალი აღარ რჩება.<sup>1</sup>

როგორც ზემოთ გაკეთებული მიმოხილვიდან დავინახეთ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის შემცირება 12 წლამდე მნიშვნელოვან სირთულეებს გამოიწვევს და მას განსაკუთრებული სიფრთხისილით მიდგომა სჭირდება. უპირველეს ყოვლისა, ამ ასაკში მოზარდი თავისი ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური, სოციალური განვითარების დონით (ამაზე ზემოთ გვაძლევს საუბარი) არ არის მზად იტვირთოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მნიშვნელოვნად გაართულებს მოზარდის ნორმალური ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური და სოციალური განვითარების პროცესს, რადგან ამ ასაკში ადამიანს უყალიბდება მსოფლმხედველობა, ღირებულებები, მორალი, ამ პერიოდში გარემო განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მოზარდის განვითარებაზე. ამიტომ, ძალზედ მნიშვნელოვანია მოზარდი იმყოფებოდეს ისეთ პირობებში, რომლებიც ხელს შეუწყობს მის ნორმალურ განვითარებას, რაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში ძალზედ რთული იქნება. სასჯელის შეფარდების შემთხვევაში დიდია იმის ალბათობა, რომ არასრულწლოვანთა დიდი ნაწილი განმეორებით ჩაიდენს ახალ დანაშაულს, რასაც ზემოთმოყვანილი მონაცემებიც ადასტურებენ, რადგან სასჯელადსრულების დაწესებულებები საუკეთესო ადგილია კრიმინალური უნარ-ჩვევების კულტივირების და განმტკიცებისათვის.

ამდენად, ვფიქრობ, 12 წლამდე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის დაწევა ვერ იქნება ის ეფექტური საშუალება, რომელიც სასიკეთო შედეგებს გამოიდებს. გაცილებით უფრო ხანგრძლივვადიანი ეფექტის მომტანი იქნება ყურადღების კონცენტრაცია სოციალური რიგის ღონისძიებებზე: არასრულწლოვანთა სამართლებრივი განათლება, ოჯახებთან მუშაობა, ფსიქოლოგიური, საგანმანათლებლო პროგრამების გააქტიურება, სასულიერო პირების აქტიური ჩართვა იმ არასრულწლოვნებთან ურთიერთობაში, რომლებიც ასოციალური ქცევებისკენ არიან მიღრეკილნი. ეს, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს ამ ასაკის პირთა მხრიდან კრიმინალური ქცევის პრევენციას და გაცილებით უფრო ხანგრძლივვადიანი და სასიკეთო შედეგი ექნება.

### 3.1.9 შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევი სხვა გარემოებები და შეზღუდული შერაცხადობის ცნება

ჩვენს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გვხვდება შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევი სხვა გარემოებებიც, 113-ე მუხლი მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების

<sup>1</sup> იხ. გამყრელი თ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის გამო. www.gruni.edu.ge კრიმინოლოგი 1(2), 2008, გვ. 17.

გადაცილებით, 114-ე მუხლი – მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, აგრეთვე 121-ე – 123-ე მუხლები. ამ შემთხვევებშიც პირი შეზღუდული შერაცხადია, რადგან მას ჩადენილი ქმედება შემსუბუქებულად ერაცხება მიუხედავად იმისა, რომ ჩადენილია ერთი და იმავე ტიპის უმართლობები. მაგალითად, 108-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა და 111-ე ან 113-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობები ერთი და იმავე ხარისხის უმართლობებია, მაგრამ განსხვავებულ სანქციებს იწვევენ, რადგანაც ბოლო შემთხვევებში ბრალის ხარისხი ნაკლებია, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ შეზღუდულ შერაცხადობაზე ვისაუბროთ. ზემოთაღნიშნული უმართლობების ჩადენისას, პირს უსუსტდება თავისი მოქმედების გაცნობიერების და კონტროლის უნარი. ეს გამოწვეულია ძალადობით, მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით, ვითარების განსაკუთრებულობით, რა დროსაც განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მდგომარეობა არსებობს, რის გამოც ასეთ ვითარებაში დანაშაულის ჩამდენი არ შეიძლება იმგვარადვე დაისაჯოს, როგორც ჩვეულებრივ მდგომარეობაში ასეთივე დანაშაულის ჩამდენი პირი.

ქართულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში პროფ. ო. გამყრელიძემ გამოთქვა საინტერესო თვალსაზრისი, რომ მთელი გაუფრთხილებლობის სფერო შეზღუდულ შერაცხადობას უნდა მივაკუთვნოთ, რადგან გაუფრთხილებლობის დროს პასუხისმგებლობა პირს სრულად კი არა, შეზღუდულად ეკისრება. გაუფრთხილებლობის სფერო არის შეზღუდული შერაცხადობის ნაირსახეობა<sup>1</sup>. ჩვენი მსჯელობის ლოგიკიდან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება გავიზიაროთ ეს შეხედულება, რადგანაც გაუფრთხილებლად ქმედების ჩადენა ყოველთვის უფრო მსუბუქად იკიცხება, ვიდრე განზრას ჩადენილი ქმედება, თუმცა, ვფიქრობთ, აქ ერთი დათქმაა გასაკეთებელი, რადგან სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს გაუფრთხილებელი დელიქტები, რომლებიც უფრო მკაცრ სასჯელს იწვევენ, ვიდრე ზოგიერთი განზრას დელიქტი. მაგალითად, 120-ე, 125-ე მუხლები განზრას დანაშაულია, თუმცა უფრო მსუბუქ სანქციებს იწვევენ, ვიდრე 240-ე, 241-ე, 275-ე და სხვა მუხლები, რომლებიც გაუფრთხილებელი დანაშაულია. ამიტომ, აქ უნდა ვიგულისხმოდ ის, რომ ზოგადად ქმედების გაუფრთხილებლად ჩადენა ყოველთვის უფრო ნაკლებად იკიცხება, ვიდრე იგივე ქმედების განზრას ჩადენა და სწორედ ასეთ შემთხვევებში შეიძლება შეზღუდულ შერაცხადობაზე საუბარი.

ზემოთაღნიშნულთან დაკავშირებით, შეიძლება ასეთი კითხვა დაიბადოს: საჭიროა თუ არა სამართლომ, ზემოთაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ქმედების ბრალად შერაცხვის და სასჯელის დანიშვნის დროს კიდევ მიუთითოს 35-ე მუხლზე? ჩემი აზრით, ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილი მიუთითებს: „თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ან მუხლის ნაწილი

<sup>1</sup> იხ. გამყრელიძე ო. დასახ. ნაშრ. 2002. №3, გვ. 76.

დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებას, იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღება“. ამიტომ, დამატებით მითითება 35-ე მუხლზე ამ შემთხვევაში საჭირო არ არის. ის, რომ შეზღუდული შერაცხადობის კონკრეტული შემთხვევები მოცემულია კერძო ნაწილში, კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს აზრს იმაზე, რომ ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში სწორედ შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ამის აღნიშვნა მნიშვნელოვანია ოვითონ შეზღუდული შერაცხადობის ბუნების სწორი გაგებისათვის, როგორც ბრალის შემამსუბუქებელი გარემოების და სწორი იურიდიული აზროვნების განვითარებისათვის. ჩემი აზრით, ზოგად ნაწილში 35-ე მუხლის არსებობის მთავარი აზრი ისაა, რომ ის ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებებზე აკეთებს მითითებას, ხოლო ამ გარემოებების მიზეზები შეიძლება მრავალი იყოს (ფსიქიკური დაავადება, სომატური დაავადება, ხასიათის აქცენტუაცია და ა. შ.). ამიტომ, ვფიქრობ, 35-ე მუხლის I ნაწილი შემდეგი რედაქციით უნდა ჩამოყალიბდეს: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება სრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, ე.ი. ფსიქიკური დაავადების, არაავადმყოფური ფსიქიკური, ფიზიოლოგიური, ან სხვა მდგომარეობის გამო არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, ანდა სრულად ეხელმდღვანელა მისთვის“. შეზღუდულ შერაცხადობასთან საქმე გვაქვს ყველა შემთხვევაში, როცა პირს მის მიერ ჩადენილი უმართლობა შემსუბუქებულად ერაცხება. ამ დებულებას აქვს დიდი მნიშვნელობა შეზღუდული შერაცხადობის არსის და იურიდიული ბუნების სწორი გაგებისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა სისხლის სამრთლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, რომელიც შეზღუდული შერაცხადობის სფეროს განეკუთვნება და ამავე დროს სახეზეა ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული გარემოება (ფსიქიკური დაავადება, არაავადმყოფური ფსიქიკური მდგომარეობა და სხვა), ამ შემთხვევაში უნდა იქნეს მითითება ორივე მუხლზე და სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ორმაგი შეზღუდული შერაცხადობა, რამაც სასჯელი მინიმუმადე უნდა დაიყვანოს, ან გამოიყენოს ყველაზე მსუბუქი სასაჯელის სახე.

ამით, გვინდა დავასრულოთ შეზღუდული შერაცხდობის გამომწვევ გარემოებათა განხილვა. ეს, რა თქმა უნდა, არ არის ამ მდგომარეობის გამომწვევ გარემოებათა ამომწურავი ჩამონათვალი. აქ მთავარი ისაა, რომ კანონმდებელმაც და სასამართლო პრაქტიკამაც მიიღოს მხედველობაში მსგავსი მდგომარეობები, და გაითვალისწინოს ისინი ბრალეულობის და პასუხისმგებლობის საკითხების გადაწყვეტისას.

### 3.1.10 შეზღუდული შერაცხადობის საკითხი საზღვარგარეთის ქვეყნებში

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის საკითხი, თუ როგორაა გადაწყვეტილი შეზღუდული შერაცხადობის პრობლემა საზღვარგარეთის ქვეყნებში. მოკლედ შევეხებით ამ საკითხს. რუსეთის ფადერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის პირველ პუნქტში ვკითხულობთ: „შერაცხად პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენის დროს ფსიქიკური მოშლილობის გამო არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი მოქმედების (უმოქმედობის) ფაქტობრივი ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება, ან ეხელმძღვანელა მისთვის ეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა“; მეორე პუნქტის მიხედვით: „ფსიქიკური მოშლილობა, რომელიც არ გამორიცხავს შერაცხადობას გაითვალისწინება სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნისას და შეიძლება გახდეს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების დანიშვნის საფუძველი“. როგორც ვხედავთ, რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსი შეზღუდულ შერაცხადობას მხოლოდ ფსიქიკურ მოშლილობას უკავშირებს. ამ პოზიციაზე დგას პრაქტიკაც და თეორიაც ი. კოზაჩენკოს, ე. სუხარევის, ე. გუსევის ნაშრომში მითითებულია, რომ შეზღუდული შერაცხადობა არის სისხლის სამართლის კატეგორია, რომელიც ახასიათებს ფსიქიკური ანომალიების მქონე დანაშაულის ჩამდენ პირთა ფსიქიკურ მდგომარეობას.<sup>1</sup> ი. ანტონიანი და ს. ბოროდინი აღნიშნავენ, რომ შეზღუდულ შერაცხადობად უნდა გავიგოთ ფსიქიკური მდგომარეობა, როდესაც დანაშაულის ჩამდენ პირს შეზღუდული ჰქონდა უნარი გაეცნობიერებინა თავისი მოქმედების (უმოქმედობის) ფაქტობრივი ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება, ან ეხელმძღვანელა მისთვის ფსიქიკური მდგომარეობის მოშლილობის ან სხვა ფსიქიკური ანომალიის გამო.<sup>2</sup> ვ. კუდრიავცევისა და ს. კელინას რედაქციით გამოცემულ სანიმუშო კოდექსში შეზღუდული შერაცხადობა ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით: „თუ დანაშაულის ჩადენის დროს ფსიქიკური ანომალიის გამო პირს შეეძლო მხოლოდ ნაწილობრივად გაეცნობიერებია ფაქტობრივი ხასიათი ან საზოგადოებრივი საშიშროება თავისი მოქმედების (უმოქმედობის), ან ნაწილობრივად ეხელმძღვანელა მისთვის, მას ეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა“.<sup>3</sup>

ი. კუვანოვას აზრით, შეზღუდულ (შემცირებულ) შერაცხადობაში უნდა გავიგოთ პირის ფსიქიკის ისეთი მდგომარეობა, როცა მისი უნარი გააცნობიეროს საკუთარი მოქმედებები ან უხელმძღვანელოს მათ დანაშაულის ჩადენის მომენტში არ არის სრულად დაკარგული, მაგრამ ნორმისაგან განსხვავებით დაქვეითებულია (შესუსტებულია) ამა თუ იმ

<sup>1</sup> ი. კозаченко И.Я. Сухарев Е.А. Гусев Е.А. Проблема уменьшенной вменяемости. Екатеринбург, 1993, с. 24.

<sup>2</sup> ი. აntonian იუ.მ. ბородин ს.ვ. მოსახლეობის დანაშაულის ჩამდენის მოქმედებები ან უხელმძღვანელოს მათ დანაშაულის ჩადენის მომენტში არ არის სრულად დაკარგული, მაგრამ ნორმისაგან განსხვავებით დაქვეითებულია (შესუსტებულია)

<sup>3</sup> Уголовный кодекс : Опыт теоретического моделирования Под. ред Келиной С.Т. Кудрявцева В.Н. М., 1987, с.74.

ფსიქიკური ანომალიის (მოშლილობის) შედეგად.<sup>1</sup>

გერმანიის ფედერაციული ოქსპედიკის სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე პარაგრაფის მიხედვთ, იმას ვისაც ქმედების ჩადენის დროს მე-20 პარაგრაფში აღნიშნული საფუძვლით მნიშვნელოვნად აქვს შეზღუდული უნარი, გააცნობიეროს უმართლობა ან იმოქმედოს ამ გაცნობიერების მიხედვით, სასჯელი შეიძლება შეუმსუბუქდეს 49-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მიხედვით. 20-ე პარაგრაფში აღნიშნულ საფუძველს ფსიქიკური დაავადება წარმოადგენს.<sup>2</sup>

გერმანული კანონმდებლობაც შეზღუდულ შერაცხადობას ფსიქიკურ დაავადებას უკავშირებს.

ინგლისურენოვან ქვეყნებში არსებობს შეზღუდული შერაცხადობის 3 ძირითადი ვერსია: 1) „diminished responsibility“, რომელიც გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, 2) „diminished capacity“, რომელიც გამოიყენებოდ შტატ კალიფორნიაში 3) „diminished capacity“, რომელიც გამოიყენება აშშ-ში მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლოების მიერ, უმრავლეს შემთხვევებში დღესდღობით. ის ცნობილია ე.წ. მტკიცებულების წესის სახელწოდებით (Rule of evidence). სამივე ამ ვერსიის მიხედვით სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა პირს უმსუბუქდება იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის ჩადენის დროს მას ჰქონდა ფსიქიკის ანომალია (დეფექტი). შეზღუდული შერაცხადობის წესი გამოიყენება ძირითადად მკვლელობის საქმეებზე. მხოლოდ აქ შეიძლება პირი დაეყრდნოს შეზღუდულ შერაცხადობას და შეიმსუბუქოს პასუხისმგებლობა. ინგლისში ეს წესი შემოღებულ იქნა The Homicide Act-ით 1957 წ. (კანონი მკვლელობის შესახებ). ამ კანონის მიხედვით, თუ პირი დაამტკიცებს, რომ დანაშაულის ჩადენის დროს მას ჰქონდა ცნობიერების ანომალია (mental retardation or mental illness), რომელმაც მნიშვნელოვნად შეასუსტა მისი ფსიქიკური პასუხისმგებლობა (substantially impaired the defendant's mental responsibility) იგი არ აგებს პასუხს მკვლელობისათვის დამამიმებელ გარემოებებში (first and second degree murder), არამედ მას შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა (დამამიმებელი გარემოების გარეშე) მკვლელობისათვის (manslaughter).

დაახლოებით ასეთივე წესით წყდებოდა შეზღუდული შერაცხადობის საკითხი კალიფორნიის ვერსიის მიხედვით. აქაც თუ პირს დანაშაულის ჩადენის დროს ჰქონდა ფსიქიკური დაავადება, რომლის გამო არ შეეძლო ჩაედინა დანაშაული, რომელიც მოითხოვდა სპეციალურ განზრებას (specific intent) ან ბოროტ განზრახვას (malice aforethought) დანაშაული კვალიფირდებოდა, როგორც ნაკლებად საშიში, (voluntary manslaughter). ეს ვერსია გაუქმდა 1982წ. საზოგადოებრივი ინიციატივით, რადგან პრაქტიკაში მომხდარმა ბევრმა ფაქტმა საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება გამოიწვია. ერთ-ერთი ასეთი ფაქტი მოხდა 1978 წელს. სან-ფრანცისკოს სამეთვალყურეო

<sup>1</sup> იხ. Куванова Ю.А. Психическое расстройство, не исключающее вменяемости: История, теория и практика. Диссертация канд. юрид. наук. М., 2001, с. 124.

<sup>2</sup> იხ. Жалинский А. Э. Современное немецкое уголовное право. М., 2004, с. 222.

საბჭოს ყოფილმა წევრმა დენ უაითმა მოკლა ქალაქის მერი ჯორჯ მოსქოუნი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი პარვი მიღები. როგორც სასამართლომ დაადგინა, ეს იყო კარგად დაგეგმილი და გათვლილი მკვლელობა შერისძიების მოტივით. ის ბრალდებული იყო პირველი ხარისხის მკვლელობაში. მსაჯულთა ვერდიქტით გამოყენებული იქნა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობა, რაც ახსნილი იყო საკმაოდ უცნაური გარემოებებით. ამან გამოიწვია მკვეთრად უარყოფითი გამოხმაურება საზოგადოებაში. ამ და სხვა ფაქტებმა ბიძგი მისცეს საკანონმდებლო ცვლილებას.

The rule of evidence – ის არსი იმაში მდგომარებს, რომ ბრალდებულს საექსპერტო-ფსიქიატრიული დასკვნის წარდგინებით, რომელიც ადასტურებს მის ფსიქიკურ დაავადებას ან დეფექტს, სასამართლო პროცესებზე ეძლევა შესაძლებლობა შეიმსუბუქოს პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისათვის. ამ წესის მიხედვით, რომელზე დაყრდნობით დღესდღეობით მოქმედებს სასამართლოები, პირს შეუძლია ამტკიცოს, რომ მას არ პქონდა ჩადენილ დანაშაულში ბრალდებისათვის საჭირო ფსიქიკური მდგომარეობა (mens rea), მისი ფსიქიკური მდგომარეობა არ იძლევა შესაძლებლობას, რათა მას სრულად შეერაცხოს მის მიერ ჩადენილი ქმედება. ამაზე მიუთითებს სანიმუშო კოდექსიც, რომლის 4.02. (1) მუხლის მიხედვით: „მტკიცებულება რომლითაც დასტურდება, რომ ბრალდებულს აქვს ფსიქიკური დაავადება, ან დეფექტი დასაშვებია ყველა შემთხვევაში, როცა ის ამტკიცებს, რომ ბრალდებული იმყოფებოდა, ან არ იმყოფებოდა ფსიქიკურ მდგომარეობაში, რომელიც წარმოადგენს დანაშაულის ელემენტს.“<sup>1</sup>

რ. პიტონი აღნიშნავს, რომ შეზრუდული შერაცხადობა ინგლისში შემოღებული იქნა 1957 წელს კანონით მკვლელობის შესახებ (Homicide Act). ამ კანონის მე-2 მუხლში ვკითხულობთ:

„პირი, რომელიც იდენტს მკვლელობას ან მონაწილეობს მკვლელობაში, არ შეიძლება მსჯავრდებულ იქნეს მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, თუ მას აქვს ცნობიერების ისეთი დაავადება (მიუხედავად იმისა, წარმოშობილია ის გონიერივი განვითარების ჩამორჩენილობით ან სხვა თანდაყოლილი მიზეზით თუ გამოწვეულია დაავადებით ან დაზიანებით, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს მის ფსიქიკურ პასუხისმგებლობას მოქმედებისათვის, ან უმოქმედობისათვის მკვლელობის ჩადენის, ან მასში მონაწილეობის დროს.“

ეს წესი გამოიყენება მხოლოდ მკვლელობის საქმეებზე და მის შესაბამისად, თუ პირს აქვს ჩადენილი განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში მას შეუმსუბუქდება ბრალი და ის პასუხს აგებს მარტივი მკვლელობისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდული შერაცხადობა არ გამოიყენება მკვლელობის

<sup>1</sup> Richard G. Singer, John Q LaFond. Criminal law. Caithersburg, New York, 2001, p. 466-470. აქვე უნდა აღვხიშნო, რომ აქ იგულისხმება ისეთი ფსიქიკური მდგომარეობა, რომელსაც ამერიკულ სისხლის სამართალში mens rea-ს უწოდებენ. ამერიკული სისხლის სამართალი არ იცნობს დანაშაულის შემადგენლობის ზოგად ცნებას, იქ საუბრია დანაშაულის ელემენტებზე „actus reus“ და „mens rea“. მხოლოდ ამ ორი ელემენტის ერთობლივად არსებობა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს.

მცდელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, ანუ თუ პირმა ჩაიდინა მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში და მას აქვს ფსიქიკური დაავადება, რომელიც აღწერილია მკვლელობის შესახებ კანონის მე-2 ნაწილში, მას არ შეუმსუბუქდება ბრალი და ის არ მიეცემა პასუხისმგებლობაში მარტივი მკვლელობის მცდელობისათვის. ამის შესახებ განმარტება მოცემულია საპატიო სასამართლოს მიერ კემპბელის საქმეზე 1997 წელს.

როგორც მკვლელობის კანონის მე-2 ნაწილიდან ჩანს, შეზღუდული შერაცხადობის არსებობისათვის აუცილებელია სამი ელემენტის ერთობლიობა. მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს ცნობიერების ისეთი დაავადება, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანი განსაზღვრავს, როგორც არანორმალურს. ცნობიერების ასეთი დაავადება მოიცავს ფსიქიკის აქტივობის სხვადასხვა ფორმებს: შეცნობის უნარს, ნებელობას, თავშეკავებას, აგრეთვე ისეთ იმპულსებს, რომელთა დაძლევა ადამიანს არ შეუძლია. მეორე ელემენტს მიეკუთვნება ის საეციფიკური მიზეზები, რომლებიც მდგომერეობს გონებრივი განვითარების შეფერხებაში, ან ჩამორჩენილობაში, ან სხვა თანდაყოლილ მიზეზში, რომელიც გამომდინარეობს დაავადებიდან ან დაზიანებიდან. მათ მიეკუთვნება როგორც გენეტიკური დეფექტები, ასევე ტვინის დაზიანების ან დაავადების შედეგად წარმოქმნილი გადახრები, დეპრესია, ეჭვიანობა, დისსოციაცია და სხვა, როგორც ეს განმარტა სასამართლომ სანდერსისა და პრაისის საქმეებზე. მესამე ელემენტის მიხედვით, ფსიქიკის დაავადება მნიშვნელოვნად უნდა ზღუდავდეს ბრალდებულის ფსიქიკურ პასუხისმგებლობას მის მიერ ჩადენილ ქმედებისათვის. იყო თუ არა ბრალდებულის ფსიქიკური პასუხისმგებლობა მნიშვნელოვნად შეზღუდული, ეს ფაქტის საკითხია. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს, შეეძლო თუ არა ბრალდებულს ეკონტროლებინა თავისი ქმედება და იმპულსები. მაგალითად, ლოიდის საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი შეზღუდვა გულისხმობს, რომ ის არის სრულად შეზღუდული, მაგრამ უფრო მეტია, ვიდრე უმნიშვნელო ან მინიმალური<sup>1</sup>.

აშშ-ში დამოკიდებულება შეზღუდული შერაცხადობისადმი არ არის ერთგვაროვანი. ზოგიერთ შტატში კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ადიარებს მას, ზოგ ში კი უარყოფს. ისევე, როგორც ინგლისში, ამერიკაშიც შეზღუდული შერაცხადობა წარმოადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას მკვლელობის საქმეზე, როცა ფსიქიკური ანომალიის ქონე პირის მიერ ჩადენილი ქმედება არ შეიცავს სპეციალურ განზრახვას (specific intent) და მისი ქმედება კვალიფიცირდება მარტივ მკვლელობად, ნაცვლად პირველი ხარისხის მკვლელობისა (first - degree murder). მაგალითად, დასავლეთ ვირჯინიის უზენაესმა სასამართლომ ჯოზეფის საქმეზე (state v. Joseph) მიუთითა, რომ შეზღუდული შერაცხადობის შემთხვევაში ბრალდებული შეიძლება დამნაშავედ ვცნოთ მხოლოდ ისეთ დანაშაულში, რომელიც

<sup>1</sup> ob. Heaton R. Criminal law textbook.Oxford ,University Press, 2004, p.128-131.

მოითხოვს საერთო განზრახვას (which requiers only general intent)<sup>1</sup>. მიჩიგანის, ოპაიოს, მერილენდის შტატებში არ იყენებენ შეზღუდულ შერაცხადობას. მაგალითად, მიჩიგანის სასამართლომ აღნიშნა, რომ მხოლოდ ფსიქიურ დავადებას, რომელიც იწვევს შეურაცხაობას შეუძლია გამორიცხოს სპეციალური განზრახვა, ხოლო ფსიქიური დავადება ან გონებრივი განუვითარებლობა, რომელსაც არ მიუღწევია შეურაცხაობის დონისათვის არ წარმოადგენს დანაშაულისაგან დაცვას<sup>2</sup>.

კ. რუბინის მიხედვით, ჩრდილოეთ კაროლინაში შეზღუდული შერაცხადობა პირველად გამოყენებულ იქნა უზენაესი სასამართლოს მიერ შენკის საქმეზე 1988 წელს. ბრალდებულის მიერ დადასტურებული იქნა სასამართლო პროცესზე, რომ მას ჰქონდა ისეთი ფსიქიური დავადება, რომ არ შეეძლო ჩაედინა პირველი ხარისხის მკვლელობა, რომელიც გულისხმობს წინასწარ მოფიქრებულ ბოროტ განზრახვას (deliberate and premeditate). კ. რუბინი აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთ კაროლინას სისხლის სამართლის საქმეების სანიმუშო ინსტრუქციის თანახმად, თუ ბრალდებული იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ინტენსივაციის მდგომარეობაში, ჰქონდა ფსიქიკის დაზიანება. მსაჯულებმა უნდა განიხილონ, ახდენდა თუ არა ეს მდგომარეობა გავლენას მის უნარზე გამოევლინა სპეციალური განზრახვა, რომელიც საჭიროა პირველი ხარისხის მკვლელობისათვის, რომელიც იყო წინასწარ მოფიქრებული და განზრახული. თუ ეს გარემოებები დადგინდა, მას არ დაედება ბრალი პირველი ხარისხის მკვლელობისათვის<sup>3</sup>.

ასეთია მოკლედ ინგლისურენოვან ქვეყნებში შეზღუდული შერაცხადობის საკითხი. როგორც ვხედავთ, ეს მდგომარეობა ფსიქიური დავადებას (დეფექტს) უკავშირდება და აძლევს ასეთი დავადების, ან დეფექტის მქონე ბრალდებულს საშუალებას შეიმსუბუქოს ბრალი და პასუხისმგებლობა.

### 3.1.11 შუალედური დასკვნა

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ შევეცადეთ გადმოგვეცა შეზღუდულ შერაცხადობაზე ჩვენი შეხედულება და ყურადღება გაგვემახვილებია იმ მდგომარეობებზე, რომლებიც ჩვენი აზრით, შეიძლება შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევ მდგომარეობებად მოვიაზროთ. ჩვენი აზრით, შეზღუდული შერაცხადობა წარმოადგენს პირის ისეთ მდგომარეობას, როცა მას დანაშაულის ჩადენის დროს ფსიქიური დავადების (ანომალიის), არაავადმყოფური ფსიქიური, ფიზიოლოგიური, ან რაიმე სხვა მგომარეობის გამო, არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, ანდა

<sup>1</sup> იხ. [www.myweb.wvnet.edu/jelkins/crimlaw/diminished.p.1](http://www.myweb.wvnet.edu/jelkins/crimlaw/diminished.p.1), 28.12.2004.

<sup>2</sup> იქვე გვ. 2.

<sup>3</sup> იხ. [www.diminishedcapacity.com/Rubin John. The diminished capacity defense. September 1992, №92/01, p. 8](http://www.diminishedcapacity.com/Rubin John. The diminished capacity defense. September 1992, №92/01, p. 8).

სრულად ეხელმძღვანელა მისთვის. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, არ იქნება ურიგო, თუ კანონმდებლობაშიც მოხდება შესაბამისი ცვლილების გათვალისწინება.

ჩვენ ვფიქრობთ, შეზღუდულ შერაცხადობაში შეიძლება მოვიაზროთ ნებისმიერი მდგომარეობა, რომელიც უზღუდავს პირს უნარს, უმართლობის ჩადენის დროს სრულად გააცნობიეროს თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა, უხელმძღვანელოს მას. შეზღუდულ შერაცხადობასთან საქმე გვაქვს ყველა შემთხვევაში, როცა უმართლობის ჩამდენ პირს, მისი უმართლობა შემსუბუქებულად ერაცხება. შეზღუდული შერაცხადობა არის პირის მდგომარეობა, რომელიც უკავშირდება დანაშაულის ჩადენის დროს. თუ დანაშაულის ჩადენის დროს არსებობდა რაიმე გარემოება, რომელიც უზღუდავდა პირს უმართლობის სრულად გაცნობიერების და ხელმძღვანელობის უნარს, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ შეზღუდულ შერაცხადობაზე.

## 3.2 შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევ გარემოებათა კრიმინოგენულობა

### 3.2.1 შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევ გარემოებათა დახასიათება კრიმინოგენულობის ხარისხის მიხედვით

შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევ გარემოებათა კრიმინოგენულობის საკითხის განხილვას, დავიწყებთ ფსიქიკური ანომალიებით. ფსიქიკური ანომალიების კრიმინოგენულობაზე საკმაოდ ძევრია დაწერილი. ეს საკითხი ყოველთვის ცხარე დისკუსიების საგანი იყო, რასაც განაპირობებდა დანაშაულებრივი ქცევის წარმოშობაში სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორების როლისა და მნიშვნელობის არაერთგვაროვანი გაგება. ავტორთა უმრავლესობის მიერ ხდებოდა ცალმხრივად სოციალურ ფაქტორებზე ყურადღების შეჩერება, დანაშაულის მიზეზებად სოციალური გარემოს და სოციალური ფაქტორების აღიარება. ბიოლოგიური ფაქტორების ხსენები საკითხისადმი „არამეცნიერულ“ მიდგომად ითვლებოდა და უსამართლო კრიტიკის ქარცეცხლს იწვევდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მეცნიერთა ასეთი დამოკიდებულება უმთავრესად იდეოლოგიური მდგომარეობით იყო განპირობებული. მიუხედავად ასეთი ფონისა, იყო განსხვავებული მოსაზრებებიც. ერთი-ერთი პირველი საბჭოთა კრიმინოლოგთაგან, ვინც დანაშაულებრივი ქცევის ბიოლოგიურ ფაქტორებზე გაამახვილა ყურადღება, იყო ი. ნოი. თავის ნაშრომში, ის წერს: „სოციალური გარემო არ შეიძლება იყოს ის ფაქტორი, რომელიც თავისთავად, განაპირობებს დანაშაულებრივ ქცევას.“<sup>1</sup> მისი აზრით, ინდივიდუალური დანაშაულის მიზეზებს წარმოშობს გარემოს უარყოფითი ფაქტორებისა და ადამიანის უარყოფითი თვისებების შეჯახება.<sup>2</sup> ასეთ შეხედულებას კატეგორიულად არ ეთანხმებოდა ა. გერცენზონი. ის უარყოფა ფსიქიატრიული და ფსიქოპათოლოგიური გამოკვლევების მნიშვნელობას კრიმინოლოგისათვის, აგრეთვე წინააღმდეგი იყო იმ პირების გამოკვლევისა, რომლებსაც დაუზიანდათ თავის ტვინი და შემდეგ ჩაიდინეს დანაშაული. მისი აზრით, ასეთ გამოკვლევებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა კრიმინოლოგისათვის, რადგან ისინი ვერ მოჰყენდნენ ნათელს დანაშაულის, როგორც სოციალური მოვლენის ნამდვილ მიზეზებს.<sup>3</sup> ანალოგიური პოზიცია ასახულია ი. კარპეცის ნაშრომებში. ერთ-ერთ თავის ბოლო ნაშრომშიც ი. კარპეცი იცავს სოციალურ ფაქტორთა ცალსახა უპირატესობას, რის საილუსტრაციოდაც მიუთითებს ე.წ. „თეთრ საყელოიანთა“ დანაშაულობაზე. „თეთრ საყელოთა“ დანაშაულობაც ერთგვარი ეკონომიკური ფენომენია, ამბობს ი. კარპეცი. დამნაშავეთა ეს

<sup>1</sup> Ной И.С. Методологические проблемы советской криминологии. Саратов, 1975, с. 136.

<sup>2</sup> ი. ნой И.С. Организационные основы изучения личности преступника в условиях лишения свободы. Биологическое и социальное в личности преступника и проблемы её ресоциализации. Материалы межвузовской конференции. Уфа: УВШ МВД РФ 1994, с. 11.

<sup>3</sup> ი. გерцензон А.А. Против биологических теорий причин преступности «Вопросы борьбы с преступностью» М., 1967, (очерк II) выпуск 5. стр. 49.

კატეგორია ჩადის დანაშაულს, გაუმაძღვობის, გამდიდრების, ქონების მოხვეჭის დაუოკებელი სურვილის გამო<sup>1</sup>. მაგრამ, აქ ი. კარპეცი ხომ სწორედ ადამიანის ბიოლოგიურ (ფსიქოლოგიურ) თვისებებს უსვამს ხაზს. საქმე ისაა, რომ გაუმაძღვობა, სიხარბე, ადამიანის ფსიქიკის თვისებების, მის შინაგან ბუნებას ახასიათებენ და ისინი არ შეიძლება მივაკუთვნოთ სოციალურ ფაქტორებს, მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი ისინი გენეტიკურად იყოს გადასული ადამიანზე. ისინი ფსიქიკის ინდივიდუალურ მახასიათებლებს მიეკუთვნებიან. როგორც ვხედავთ, ი. კარპეცი ეწინააღმდეგება თავის თავს. მის მიერ მოყვანილი თავისთავად სწორი დებულება, არ გამოდგება მისი პოზიციის არგუმენტირებისათვის. გაცილებით უფრო კონსტრუქციული პოზიცია უჭირავთ ამ მხრივ ი. ანტონიანს და ს. ბოროდინს. როგორც ისინი წერენ, ფსიქიკური ანომალიები ახდენენ გადიზიანების, სისასტიკის, აგრესიულობის პროვოკირებას, რაც ხელს უწყობს ძალადობითი დანაშაულის ჩადენას. ანომალიები აქვეითებენ ნებელობით პროცესებს, ზრდიან შთაგონებას, აფერხებენ ადამიანის ნორმალური სოციალიზაციის პროცესს, რაც ზრდის მართლსწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის ალბათობას.<sup>2</sup> ნ. კუზნეცოვას აზრით, ნერვულ-ფსიქოლოგიური დაავადებები შეიძლება გახდნენ კრიმინოგენულნი, გარემოს უარყოფით ზემოქმედებასთან ურთიერთქმედების შედეგად. ფსიქიკური ანომალიები წარმოადგენენ დანაშაულის პირობებს და არა მიზეზებს – ასკვის ნ. კუზნეცოვა.<sup>3</sup> ასეთივე მოსაზრებას ვხვდებით ავტორთა კოლექტივის მიერ შექმნილ ნაშრომში, სადაც ავტორები გამოდიან იმ პოზიციიდან, რომ ფსიქიკური ანომალიები წარმოადგენენ დანაშაულის პირობებს და არა მიზეზებს.<sup>4</sup> ა. მეგრაბიანი მიუთითებს, რომ ფსიქოპათოლოგიურ ფაქტორებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ სათანადო პირობებში ანგისაზოგადოებრივი ქცევის წარმოშობას, ხოლო თუ ეს პათოლოგიური პირობები წარმოადგენენ გადამწყვეტ მიზეზებს, ფაქტორებს პირვენების ანტისოციალური ნიშნების ჩამოყალებებისათვის, მაშინ დგება აუცილებლობა საკითხის განხილვისა, არა სოციალურ-სამართლებრივი, არამედ სამედიცინო, ფსიქიატრიული თვალსაზრისით.<sup>5</sup> ჩვენ, ვერ ვიზიარებთ ბოლომდე ასეთ პოზიციას, თუმცა ამის შესახებ ქვემოთ გვაქნება მსჯელობა.

ჩვენ, უფრო ლოგიკურად მიგვაჩნია ვ. ემელიანოვის პოზიცია, რომ დამნაშავეობა წარმოადგენს სოციალურ და ბიოლოგიურ ფაქტორთა სინთეზს. ის მიუთითებს, რომ პრაქტიკაში ბიოლოგიურ ფაქტორთა გაუთვალისწინებლობას მივყავართ აღმზრდელობით ღონისძიებათა უსარგებლობამდე ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა მიმართ, რადგან ცდილობენ შაბლონური მეთოდებით იმის გამოსწორებას, ვისაც უპირველესად ესაჭიროება სამედიცინო

<sup>1</sup> ი. კარპეც ი. ი. მეცნიერებლივი ინტელექტუალური ინიციატივის განვითარების აღმასრულებელი კომისიის მიერ 1992 წ. 173.

<sup>2</sup> ი. ა. ანტონიან ი. მ. ბორინ ც. ვ. მეცნიერებლივი ინტელექტუალური ინიციატივის განვითარების აღმასრულებელი კომისიის მიერ 1987 წ. 9.

<sup>3</sup> ი. კუზნეცოვა ნ. ფ. მეცნიერებლივი ინტელექტუალური ინიციატივის განვითარების აღმასრულებელი კომისიის მიერ 1984 წ. 13.

<sup>4</sup> ი. დუბინინ ნ. პ. კარპეც ი. ი. კუდრავცევ ვ. ნ. გენეტიკა, პოვოდები და მართვა. მეცნიერებლივი ინტელექტუალური ინიციატივის განვითარების აღმასრულებელი კომისიის მიერ 1982 წ. 248.

<sup>5</sup> ი. ა. მეგრაბიან ა. ა. ლინიარული და ერთგული ინტელექტუალური ინიციატივის განვითარების აღმასრულებელი კომისიის მიერ 1978 წ. 159.

ზემოქმედება და ვისი მოქმედება მნიშვნელოვანწილად დეტერმინირებულია ფსიქიკური ანომალიით.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, მიუხედავად არსებული მდგომარეობისა და იდეოლოგიური წნევისა, მაინც არსებობდნენ მეცნიერები, რომლებიც ცდილობდნენ უფრო ობიეტურად მიდგომოდნენ პრობლემას და დაეფიქსირებინათ თავიანთი განსხვავებული ხედვა. როგორც ლიტერატურაში მიუთითებენ, ფსიქიკურ ანომალიებში განსაკუთრებული კრიმინოგენულობით გამოირჩევა ფსიქოპათიები. რუსი ფსიქიატრი პ. განუშკინი აღნიშნავდა, რომ დანაშაული არის იმ სახის საქმიანობა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათი (ფსიქოპათების) მიღრეკილებებს. ამ დამნაშავეებისათვის დამახასიათებელია სრული გამოუსწორებლობა და ამის შედეგად მიღრეკილება რეციდივებისაკენ. ხშირად მათგან გამოდიან ნამდვილი „საზოგადოების მტრები“, რომლებიც შურს იძიებენ მათთვის დაწესებული შეზღუდვებისათვის. დანაშაული იზიდავს მათ, როგორც საყვარელი საქმე.<sup>2</sup>

ფსიქიატრიულ და იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხებე შემდეგი მოსაზრებები გვხვდება: ითვლება, რომ ფსიქოპათები ზოგადად მიღრეკილნი არიან დანაშაულებრივი ქმედებებისაკენ მომეტებული აგრესიულობის, რაიმე მოთხვნილების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უზნარობის გამო და ა.შ. მეორეს მხრივ, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა მოტივები ფასდება როგორც ყოფითი, მიკროსოციალური ფაქტორებით გამოწვეული. დანაშაულის მოტივის ფორმირებას ფსიქოპათიურ პირებში აქვს თავისი სპეციფიკური თავისებურებები, რომელიც განპირობებულია მათი ხასიათის პათოლოგიური სტრუქტურით.<sup>3</sup>

ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ კრიმინოგენულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა ალკოჰოლიზმი, ის ხელს უწყობს სხვა სპეციფიკური ანომალიების განვითარებას, ამავე დროს თვითონაც წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ხელშეწყობ (გამააღვილებელ) გარემოებას. ქრონიკული ალკოჰოლიზმის დროს, ადამიანში მძაფრდება ისეთი უარყოფითი თვისებები, როგორიცაა ეჭვიანობა, უნდობლობა, შურისძიება, უმიზეზო გაღიზიანებადობა და ა.შ. ეს ხელს უწყობს დანაშაულებრივი აქტის რეალიზაციას. ალკოჰოლიკთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა უმრავლესობა ძალადობით ხასიათს ატარებს. ძირითადად, ეს არის ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.<sup>4</sup>

მნიშვნელოვანი ადგილი ფსიქიკურ ანომალიებში კრიმინოგენურობის მიხედვით, უჭირავს ოლიგოფრენიას. გონებრივი ჩამორჩენილობა განაპირობებს სოციალურ დეზადაპტაციას. ოლიგოფრენები, როგორც ცნობილია ხასიათდებიან აზროვნების

<sup>1</sup> ი. ემელიანოვ ვ.П.. Преступность несовершеннолетних с психическими аномалиями. Саратов, 1980, с. 52.

<sup>2</sup> ი. ნазаренко Г.В. დასახ. ნაშრ. გვ. 40-41.

<sup>3</sup> ი. ფრეиеров О.Е. «Мотивация» общественно опасных действий психически неполнознанных лиц// Советское государство и право, 1969, №4. с. 96-101.

<sup>4</sup> ი. ნазаренко Г.В. დასახ. ნაშრ. გვ. 45.

კონკრეტულობით, პრიმიტიულობით. ისინი ცალმხრივად გებულობენ სოციალური, სამართლებრივი, ზნეობრივი ნორმების შინაარსს. ფსიქოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ ოლიგოფრენებს ახასიათებთ ემოციურ-ნებელობითი სფეროს დარღვევები, მიდრეკილება აფექტური რეაქციებისადმი, იმპულსურობა, გადიზიანებადობა, რაც ხელს უწყობს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას. ძირითადად, ოლიგოფრენები ჩადიან ქურდობებს, სხეულის დაზიანებებს, ხულიგნობას, სექსუალურ დანაშაულს.<sup>1</sup>

კრიმინოლოგენულობის მაღალი ხარისხით ხასიათდება თავის ტვინის დაზიანებით გამოწვეული ფსიქიკური გადახრები. სტატისტიკური მონაცემებით, ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა შორის მათი რაოდენობა დაახლოებით 10%. ამ პირებს აღენიშნებათ ინტელექტის, მეხსიერების, ემოციურ-ნებელობითი სფეროს დარღვევები. ისინი განსაკუთრებით არიან მიდრეკილნი დემორალიზაციისაკენ, რაც ხშირად მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის მიზეზი ხდება.<sup>2</sup>

ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა შორის კრიმინოლოგენურობის შედარებით ნაკლები ხარისხით ხასიათდება შიზოფრენია, ეპილეფსია, თავის ტვინის სისხლძარღვთა დაავადება. შიზოფრენიის დაბალი კრიმინოლოგენურობა იმით აიხსნება, რომ რემისის მდგომარეობაში ასეთ პირთა მიერ დანაშაულის ჩადენა საკმაოდ იშვიათად გვხვდება. თავის ტვინის სისხლძარღვთა დაავადება, ძირითადად, მოხუცებულობის ასაკში წარმოიშობა და როგორც ვიცით, ადამიანთა ეს კატეგორია არ ხასიათდება კრიმინალური აქტივობით.

სპეციალურ ლიტერატურაში, აგრეთვე მიუთითებენ გარკვეულ კანონზომიერებაზე, კონკრეტულ ფსიქიკურ ანომალიებსა და კონკრეტულ დანაშაულებს შორის. ასე, ითვლება რომ, ფსიქოპათები მიდრეკილნი არიან ძალადობითი დანაშაულის ჩადენისაკენ – მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ხულიგნობა, ძარცა, ყაჩაღობა, გაუპატიურება და ა.შ. ამასთან, ისინი ხშირად იდენტური პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. ასევე მაღალია ძალადობითი დანაშაულის ჩამდენთა რიცხვი, თავის ტვინის დაზიანებით გამოწვეული ფსიქიკური გადახრების მქონე პირთა შორის. ისინი ხშირად ჩადიან მკვლელობას, ხულიგნობას, ყაჩაღობას. ოლიგოფრენითა შორის, ხშირად გვხვდებიან საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენი პირები. ცნობილია მათი მიდრეკილება ქურდობისაკენ. ასევე, ხშირად ისინი ჩადიან სექსუალური ხასიათის დანაშაულებს, ხულიგნობას. შედარებით იშვიათად ხდება მათ მიერ მკვლელობის, ყაჩაღობის, ჯანმრთელობის დაზიანების ჩადენა. ეპილეფსიით, შიზოფრენიით (რემისიის მდგომარეობაში) დაავადებულთა შორის უფრო ხშირად გვხვდებით მკვლელობებს, ჯანმრთელობის დაზიანებას, ხულოგნობას.<sup>3</sup>

ასეთია ზოგადი ტენდენცია და როგორც თავად

<sup>1</sup> იხ. Назаренко Г.В. დასახ. ნაშრ. გვ. 47.

<sup>2</sup> იხ. Назаренко Г.В. დასახ. ნაშრ. გვ. 46.

<sup>3</sup> იხ. Антонян Ю.М. Бородин С.В. Преступное поведение и психические аномалии. М., 1998, с. 64-65.

მკვლევარები აღნიშნავენ, არ არსებობს მყარი კავშირი კონკრეტულ ფსიქიკურ ანომალიას და კონკრეტულ დანაშაულს შორის, ანუ დანამდვილებით არ შეიძლება იმის თქმა, თუ რომელი ფსიქიკური ანომალია რა სახის დანაშაულის ჩადენას განაპირობებს. ეს კონკრეტულ ანომალიასთან ერთად, სხვა დამატებითი ფაქტორებითაც არის გამოწვეული.

შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევ მდგომარეობათა კრიმინოგენულობის თვალსაზრისით, საყურადღებოა ხასიათის აქცენტუაციების საკითხი. აქცენტუაციაში, როგორც ვიცით, იგულისხმება ფსიქიკის გარკვეული თვისებების უპირატესი განვითარება სხვა თვისებების საზიანოდ, რაც იწვევს პიროვნულ სირთულეებს გარშემო მყოფებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. როგორც ფსიქიატრები აღნიშნავენ, ხასიათის აქცენტუაციები, წარმოადგენენ შუალედურ მდგომარეობას ნორმასა და პათოლოგიას შორის და არახელსაყრელ პირობებში ადვილად შეიძლება გამოიწვიონ სხვდასხვა ფსიქიკური აშლილობები (ნევროზები, ფსიქოპათიები და სხვა პიროვნული აშლილობები).

o. ანტონიანი და ვ. იუსტიციკი ასევე მიუთითებენ, რომ აქცენტუაციები კრიმინოგენულობის მაღალი პოტენციალით ხასიათდებიან, ხოლო აქცენტუირებულ პირთა ხვედრითი წილი დამნაშავეთა შორის საქმაოდ მაღალია.<sup>1</sup> ისინი აღნიშნავენ, რომ ბევრ შემთხვევაში აქცენტუირებულ პირთა მიერ მოქმედების არჩევის თავისუფლება შეზღუდულია. ასეთ შეზღუდვებს იწვევს ინტელექტუალური და ნებელობითი სირთულეები (სიტუაციის გააზრების არასაკმარისი უნარი, აგრესიული, სექსუალური და სხვა ლტოლვის დათრგუნვის არასაკმარისი უნარი), ფიზიკური სირთულეები.<sup>2</sup> როგორც ვხედავთ, ხასიათის აქცენტუაციები ზღუდავენ ადამიანის ინტელექტუალურ და ნებელობით სფეროს, რითაც ხელს უწყობენ კრიმინოგენული მოტივაციის გაძლიერებას და დანაშაულებრივი ზრახვების რეალიზაციას. ნიშანდობლივია აგრეთვე ისიც, რომ ხასიათის აქცენტუაციების მქონე პირთა ქცევა არ ხასიათდება მოტივთა ბრძოლით, რამეთუ ისინი ყოველთვის იორჩევენ ხელმისაწვდომ (ადვილ) გზას მოთხოვნათა და კამაყოფილებისათვის და თავიანთი ქმედების სოციალური, თუ სამართლებრივი შედეგების იგნორირებას ახდენენ. აქცენტუაციების მაღალი კრიმინოგენულობა იმითაც დასტურდება, რომ ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით დამნაშავეთა დაახლოებით 80%-ს აღენიშნება ხასიათის აქცენტუაციის ესა თუ ის ტიპი.

აფექტური დანაშაულის კრიმინოგენულობასთან დაკავშირებით მართებულად აღნიშნავენ, რომ ეს დანაშაული ხასიათდება კრიმინოგენულობის ძალიან მაღალი ხარისხით. აფექტი ფერქებადი ხასიათის ემოციური პროცესია, რომელიც მოლიანად მოიცავს ადამიანს და მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მის ქცევაზე. აფექტისათვის დამახასიათებელია ის, რომ აფექტი ზღუდავს ადამიანის უნარს სრულად გააცნობიეროს თავისი ქმედების მნიშვნელობა და მართლწინააღმდეგობა და

<sup>1</sup> იხ. Назаренко Г.В. დასახ. ნაშრ. გვ. 57-58.

<sup>2</sup> იხ. Назаренко Г.В. დასახ. ნაშრ. გვ. 63.

უხელმძღვანელოს მას. ეს გამოიხატება მოქმედების ადეკვატურობის, მიზანმიმართულობის, თანმიმდევრობის დარღვევაში. აფექტური მდგომარეობა განიცდება ადამიანის მიერ, როგორც თავსმოხვეული, მისი ნებისაგან დამოუკიდებელი ემოციური განცდა. ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ აფექტის დროს ცნობიერების შეზღუდვას განაპირობებს მისი კონცენტრაცია მხოლოდ აფექტურ განცდებზე, რაც იწვევს ადამიანის ქცევის სიტუაციურობას, მის უხეშობას, ავტომატიზმს. ასეთი ქცევა წინააღმდეგობაში მოდის მის პიროვნულ თვისებებთან და ხასიათთან.<sup>1</sup> როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ, აფექტი გადის სამ სტადიას: მოსამზადებელი, სადაც ხდება ძალზედ მძაფრი გამღიზიანებლის აღქმა. აფექტური აფეთქების სტადია, რომელსაც ახასიათებს ცნობიერების შეზღუდვა, მისი ფიქსაცია აფექტოგენურ ფაქტორზე; ფსიქიკური და ფიზიკური გამოფიტვის სტადია, რომელიც აფექტურ აფეთქებას მოჰყვება და ხასიათდება მოდუნებით, დაბნეულობით.<sup>2</sup> განასხავებენ აგრეთვე კუმულაციურ აფექტს, რომლის მოსამზადებელი სტადია ხასიათდება დიდი ხანგრძლივობით და შეიძლება შეადგინოს რამდენიმე თვე ან წელი, რა დროსაც ხდება ფსიქოტრამული ფაქტორების აკუმულირება ადამიანში. მეორე სტადიაზე ხდება აფექტური აფეთქება, რაც შეიძლება გამოიწვიოს უმნიშვნელო მიზეზმაც კი, ამიტომ ფსიქოლოგიაში ითვლება, რომ აფექტური მდგომარეობა (თუ მას წინ უძლოდა მძიმე ფსიქოტრამული სიტუაცია) შეიძლება გამოიწვიოს ერთი შეხედვით უმნიშვნელო გამდიზიანებელმაც. (მცირე შენიშვნა, უმნიშვნელო შეურაცხყოფა და ა.შ.). ფსიქოლოგები მიუთითებენ, რომ კუმულაციური აფექტის მდგომარეობაში გაცილებით უფრო სასტიკი და მძიმე დანაშაულის ჩადენა ხდება, ვიდრე კლასიკური აფექტის დროს, რადგან ფსიქოტრამული ემოციების ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაგროვება უფრო მძაფრ და უკიდურეს აგრესიას იწვევს ადამიანში. აფექტური დანაშაულის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა აფექტური განმუხტვა. სწორედ აფექტური განმუხტვის ხარჯზე, ეს დანაშაული განსაკუთრებული კრიმინოგენულობით გამოირჩევა. ასეთი განმუხტვა, თავის მხრივ, დამოკიდებულია ადამიანის პიროვნულ თვისებებზე და მაპროვოცირებელ ფაქტორებზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფსიქოლოგები მაპროვოცირებელ ფაქტორებზე საუბრისას ყურადღებას ამახვილებენ არა მარტო დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ან ამორალურ ქმედებაზე, არამედ დამნაშავის ფსიქოფიზიკურ მდგომარეობაზეც, ანუ იმ შინაგან ემოციურ ფონზე, რომელმაც ხელი შეუწყო აფექტურ მოქმედებას. აფექტურ დანაშაულში, განსაკუთრებული კრიმინოგენულობით გამოირჩევა კუმულაციური აფექტი. კრიმინოგენულობის ხარისხით ის ბევრად უსწრებს ფიზიოლოგიურ აფექტს, რადგან ხანგრძლივი დროის მანძილზე დაგროვილი ფსიქოტრამული სიტუაციით გამოწვეული მდგომარეობა მაღალი კრიმინალური პოტენციალით ხასიათდება. ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით მკვლელობათა, სხეულის

<sup>1</sup> იხ. Ситковская О.Д. Конишева Л.П. Коченов М.М. Новые направления судебно-психологической экспертизы. М., 2000, с. 46-48.

<sup>2</sup> იხ. Ситковская О.Д. Судебно-психологическая экспертиза аффекта. М., 1983, с. 15-16.

დაზიანებათა დაახლოებით 17% ხდება აფექტურ მდგომარეობაში, რაც ამ მდგომარეობის მაღალი კრიმინოგენულობის დასტურია.<sup>1</sup> ფსიქოლოგები აფექტური მდგომარეობის ასესიისას მიუთითებენ აფექტის ხასიათსა და ხარისხს. აფექტის ხასიათი უკავშირდება მის გამომწვევ იმპულსს, რაც შეეხება აფექტის ხარისხს, ის უკავშირდება პიროვნების ინტელექტს, ემოციურ მდგომარეობას, ე.ი. ფსიქოლოგიურ და ბიოლოგიურ თავისებურებებს. თუმცა, როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ, აფექტის ხარისხის საკითხი პრაქტიკულად შეუსწავლელია<sup>2</sup>.

რაც შეეხება ისეთ მდგომარეობებს, როგორიცაა ორსულობა, მშობიარობა, ემოციური სტრესები და ა.შ., ეს მდგომარეობები ნაკლები კრიმინოგენულობით ხასიათდებიან და ასეთ მდგომარეობაში მყოფ პირთა მიერ დანაშაულის ჩადენა შედარებით იშვიათად ხდება. ფსიქოლოგები მიუთითებენ, რომ ადამიანის მოქმედებაზე სტრესული სიტუაციის ზემოქმედება ორი ფორმით გამოიხატება: ნერვულ-ფსიქიკური დაძაბვის შედეგად ხდება ადამიანის მოქმედების ეფექტურობის ზრდა, ან პირიქით ხდება მისი ნორმალური ფუნქციონირების სრული რდგევა. ხშირად სტრესის დროს, ირდვევა რთული ინტელექტუალური და მოძრაობითი აქტების შესრულების თანმიმდევრობა, ადგილი აქვს შეცდომებს გარე სინამდვილის აღმისას, მცირდება ყურადღება და ა.შ. ერთი და იგივე სტრესულმა სიტუაციამ, სხვადასხვა ადამიანში შეიძლება დიამეტრალურად საწინააღმდეგო შედეგები გამოიწვიოს. ეს დამოკიდებულია როგორც თავად გამდიზიანებლის ხარისხზე, ასევე ადამიანის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე.<sup>3</sup>

### 3.2.2 სოციალურ და ბიოლოგიურ ფაქტორთა თანაფარდობის საკითხი შეზღუდულ შერაცხადთა დანაშაულებრივ ქცევაში

ახლა, გვინდა გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულ შეხედულებაზე, რომ ფსიქიკური ანომალიები წარმოადგენენ დანაშაულის ჩადენის პირობებს და არა მიზეზებს, რომ ფსიქიკური ანომალია თავისთავად არ წარმოშობს დანაშაულებრივ ქცევას და მხოლოდ ნეგატიურ-სოციალურ ფაქტორებს შეუძლიათ განაპირობონ იგი.

აქაც მართებული იქნება, ადამიანის მთლიანობის ფილოსოფიური საკითხი მოვიმარჯვოთ. როგორც ო. ტაბიძე აღნიშნავს, ფსიქოფიზიკური ერთიანობის სწორი გაგება გულისხმობს ცნობიერისა და ფიზიკურის ისეთ გამთლიანებას, სადაც ორივე მათგანის სპეციფიკა იქნება გათვალისწინებული და გაერთიანებული ერთ სტრუქტურაში. ამ უკანასკნელისთვის აუცილებელია ფიზიკურის და ფსიქიკურის ისეთი კავშირი, სადაც შენარჩუნებული

<sup>1</sup> იხ. Назаренко Г.В. დასახ. ნაშრ. გვ. 65-67.

<sup>2</sup> იხ. Кудрявцев И. А. Судебная психолого-психиатрическая экспертиза. М., 1988, с. 106.

<sup>3</sup> იხ. Ситковская О.Д. Конишева Л.П. Коченов М.М. Новые направления судебно-психологической экспертизы. М., 2000, с. 58.

იქნება თითოეული მათგანის საკუთარი ნიშნებიც.<sup>1</sup> სუბიექტის ფსიქოფიზიკური მთლიანობა ფიზიკურისა და ფსიქიკურის ისეთ მიმართულებას გულისხმობს, სადაც ისინი ერთ მთელში არიან გაერთიანებული როგორც მთელს ახალი თვისობრიობა და შემადგენელი მხარე. ფიზიკური და ფსიქიკური (რომლის ახალ თვისობრიობას ცნობიერება შეაღებს) ლოგიკური წინააღმდეგობის გარეშე ერთიანდებიან ადამიანის მთელში.<sup>2</sup> ამავე დროს, მართებულად აღნიშნავს ო. ტაბიძე, რომ აუცილებელია მითითება სოციალურ ფუნქციაზე და როცა სოციალურზე ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ცნობიერი ცხოვრების დონის ახალი თვისობრიობა (შემოქმედება, თავისუფლება და ა.შ.)<sup>3</sup>

როგორც ვხედავთ, ადამიანის მთლიანობა გულისხმობს მისი გამაერთიანებული სხვადასხვა ფაქტორების ისეთ კავშირს, სადაც თვითოეულ მათგანს თავისი როლი და ფუნქცია აქვს. რა თქმა უნდა, დამნაშავეობა ბიოლოგიური, ფსიქიკური ფაქტორებით ვერ აიხსნება, თუ სათანადოთ არ იქნა შეფასებული უფრო მაღალი ფენა – სოციალური. მაგრამ, მხოლოდ სოციალურზე აპელირება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დამნაშავეობაზე სრული და ამომწურავი სურათი ვიქონიოთ. ადამიანი, არც მხოლოდ სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორების ნაზავი არ არის, რადგანაც მას შეუძლია არ დაემორჩილოს, არ გახდეს როგორც ბიოლოგიური ფაქტორების ბრძანიანი, ასევე სოციალური გარემო პირობების მსხვერპლი, ადამიანის თავისუფლება, შემოქმედება აძლევს მას იმის შესაძლებლობას, რომ მან თვითონ გააკეთოს არჩევანი, შეიტანოს ცვლილება და თვითონ დაიმორჩილოს ეს ფაქტორები. ცნობილი ფაქტია, როდესაც ალექსანდრე მაკედონელს უდაბნოში მუზარადით წყალი მიართვეს, მან ლაშქრის წინაშე დაღვარა წყალი და არ დალია, რადგან მისი ლაშქარი მწყურვალე იყო. ამით, მან არა მხოლოდ მტკიცე ნებისყოფა გამოავლინა და წყურვილის ბიოლოგიურ ინსტინქტს არ დაემორჩილა, არამედ თავის სოციალურ სტატუსზე (მთავარსარდალი, მეფე) მაღლა დადგა, რადგან ის არ იყო რიგითი ჯარისკაცი და შეეძლო პრივილეგიით ესარგებლა.

როდესაც ჩვენ კონკრეტულ დანაშაულებრივ ფაქტს ვეხებით და მის გამომწვევ ფაქტორებზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ზოგადად საუბარი დამნაშავეობაზე, როგორც სოციალურ მოვლენაზე, რაც უდაოა, არამედ იმ კონკრეტულ ფაქტორებზეც, რომლებიც გავლენას ახდენენ დანაშაულის ჩადენაზე. განსაკუტრებით მნიშვნელოვანია ამის გათვალისწინება, როცა ფსიქიკური გადახრების მქონე პირთა დამნაშავეობაზე ვსაუბრობთ. ამ დროს მნიშვნელოვანია სწორედ ცალკეული ფაქტორების, კონკრეტული დეტალების გათვალისწინება, რომ ზოგადად ფაქტზე (დანაშაულზე) სწორი და სრული წარმოდგენა შეგვექმნას. დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმის სპეციფიკა ის არის, რომ ხშირად ზოგადად მოვლენაზე საუბარი, მისი განზოგადება შედეგს არ გვაძლევს, მაშინ, როცა ცალკეულ დეტალში, ფაქტორში

<sup>1</sup> იხ. ტაბიძე ო. ქცევათმეცნიერების ფილოსოფიური საფუძვლები. თბ., 1974, გვ. 127.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 127

<sup>3</sup> იქვე, გვ. 126

გარკვევამ შეიძლება სასურველი შედეგი მოგვცეს. მაგალითად, ფსიქიკური ანომალიის მქონე პირმა (ფსიქოპათმა) წვეულებაზე მეუღლის ბავშვობის მეგობარს მიაყენა ჯანმრთელობის დაზიანება, მას შემდეგ, რაც იმ პიროვნებამ მის მეუღლეს კომპლიმენტით მიმართა და ხელზე ეამბორა, მისი მხრიდან ეჭვიანობის მიზეზი გახდა აბსოლუტურად წვეულებრივი თავაზიანობის ფაქტი, რაც მის მიერ არაადექატურად იქნა აღქმული, ხოლო მიზეზი ასეთი ქცევისა იყო პირის ფსიქიკური გადახრა, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მისი ქცევის განხორციელებაში.

ამდენად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა ქცევაში სოციალური ფაქტორები, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა არ ასრულებდენ გადამწყვეტ როლს, რადგან ზოგადად დადებით სოციალურ ფაქტორს შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს კონკრეტულ ფსიქიკურ ანომალიაზე და პირიქით, არც თუ ისე ხელსაყრელმა სოციალურმა პირობებმა შეიძლება არ გამოიწვიოს ფსიქიკური ანომალიის მქონე პირში ნეგატიური რეაქცია. ჩვენი აზრით, ფსიქიკური ანომალიის მქონე პირთა ქცევაში ბიოლოგიურ (ფსიქოფიზიოლოგიურ) ფაქტორს შესაძლოა ზოგჯერ უპირატესი როლი ენიჭებოდეს დანაშაულებრივი განზრახვის ჩამოყალიბებასა და რეალიზაციის დროს. მოქმედების არჩევის შეზღუდული უნარი, ზედმეტი შთაგონება, ხასიათის მერყეობა, იმპულსურობა და ა.შ. სწორედ ის ფაქტორებია, რომლებიც ანომალიის მქონე პირთა ქცევის ძირითადი დეტერმინანტები არიან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზოგადად დავა იმაზე, თუ რა თამაშობს უპირატეს როლს დანაშაულებრივი ქცევის დეტერმინირებაში ბიოლოგიური, თუ სოციალური ფაქტორები უსარგებლო და არაფრისმომცემია. აქ, ჩვენ ვგულისხმობთ ინდივიდუალური პრევენციის საკითხს. რაც შეეხება ზოგადად დანაშაულის თავიდან აცილებას, ამ შემთხვევაში საკითხის ასე დასმა არ იქნება მართებული, რადგანაც დამნაშავეობა სოციალური მოვლენაა და ზოგადად ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზების დადგენაა მნიშვნელოვანი და არა ცალკეული ფაქტების გამომწვევი ფაქტორების. მაგრამ, რადგან ჩვენ ინდივიდუალურ პრევენციას ვეხებით, უფრო უპრიანად მიგვაჩნია, კონკრეტული დანაშაულის ფაქტიდან გამოდინარე საუბარი იმაზე, თუ რამ ითამაშა გადამწყვეტი როლი ამ დანაშაულებრივი აქტის რეალიზაციაში – სოციალურმა, თუ ფსიქოფიზიოლოგიურმა ფაქტორებმა. როგორც ვიცით, ზოგადად ადამიანზე ორივე ფაქტორები მოქმედებს და მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, შეიძლება თითოეულის როლის უფრო ზუსტად დადგენა. ასეთი მიღომა, ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი და პენიტენციალური მიზნებისათვის, რადგან უკეთ გვეცოდინება, თუ რა ზომებს მივმართოთ კონკრეტული პიროვნების რესოციალიზაციისათვის, ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებისათვის, მსგავსი დანაშაულების აცილებისათვის და ა.შ.

### **3.2.3 შეზღუდული შერაცხადობის კრიტერიუმები**

რაც შეეხება შეზღუდული შერაცხადობის კრიტერიუმებს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისევე როგორც შეურაცხაობის შემთხვევაში აქაც შეიძლება გამოვყოთ სამედიცინო (ფსიქოფიზიოლოგიური) და ფსიქოლოგიური კრიტერიუმები. სამედიცინო კრიტერიუმის შინაარსში იგულისხმება ფსიქიკური ანომალიები, პათოფსიქოლოგიური მდგომარეობები, სხვა ფსიქოლოგიური მდგომარეობები, (აფექტი, სტრესი), ფიზიოლოგიური მდგომარეობები (მშობიარობა, სომატური დაავადებები, ორსულობა) და ა.შ. ფსიქოლოგიურ კრიტერიუმში შეიძლება გამოვყოთ ინტელექტუალური და ნებელობითი ნიშანი. ინტელექტუალური ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ პირს არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა. ნებელობითი ნიშანი ახასიათებს პირის უუნარობას სრულად უხელმძღვანელოს საკუთარ მოქმედებებს, ე.ი. უუნარობას ნების სრული თავისუფლებით აირჩიოს თავისი მოქმედება. ამრიგად, როგორც ვხედავთ, შეზღუდული შერაცხადობის შემთხვევაშიც გამოვყოფთ იგივე კრიტერიუმებს, რასაც შეურაცხაობის ან შერაცხადობისას. განსხვავება მათ შორის, მათ მოცულობასა და შინაარსშია.

### 3.3 შეზღუდული შერაცხადობა და ბრალეულობა

#### 3.3.1 ბრალის ძირითადი თეორიების მოქლე მიმოხილვა

შეზღუდული შერაცხადობის და ბრალეულობის საკითხის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ ბრალის პრობლემა სისხლის სამართალში ურთულეს პრობლემას წარმოადგენს, რომლის თაობაზე ერთიანი ჩამოყალიბებული აზრი არ არის. სისხლის სამართალში არსებობს სხვადასხვა თეორიები ბრალის შესახებ, რომლებიც განსხვავებულად ხსნიან ბრალს. სისხლის სამართალში ბრალის რამდენიმე ძირითადი თეორიაა: ბრალის ფსიქოლოგიური თეორია, ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორია, საშიში მდგომარეობის თეორია, ბრალის ნორმატიული თეორია, ბრალი, როგორც მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება.

ბრალის ფსიქოლოგიური თეორია, ბრალს თვლის პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებად მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგისადმი, განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით. ბრალის ფსიქოლოგიური თეორია გაბატონებული იყო საბჭოთა პერიოდში და რუსეთში დღემდე ასეთად რჩება. პ. დაგელი და დ. კოტოვი აღნიშნავენ, რომ ბრალი წარმოადგენს დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, მის ფსიქოლოგიურ შინაარსს. ბრალი და დანაშაულის სუბიექტური მხარის ცნებები იგივეობრივია.<sup>1</sup>

ა. რაროგი თავის მონოგრაფიაში აყალიბებს ბრალის საკმაოდ ეკლექტიკურ ცნებას. ის ასკვნის, რომ ბრალი არის მრავალმხრივი ცნება და მას აქვს სხვადასხვა მხარეები: ფსიქოლოგიური, იურიდიული, სოციალურ-პოლიტიკური. ის ბრალს განმარტავს, როგორც სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედებისადმი, რომელიც გამოიხატება განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით და განპირობებულია მოცემული პირის ლირებულებითი ორიენტაციის დამახინჯებით, რომელშიც ობიექტივირებულია პირის ანტისოციალური, არასოციალური და არასაკმარისად გამოხატული სოციალური განწყობა საბჭოთა საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ღირებულებებთან მიმართებაში.<sup>2</sup>

ბოლო პერიოდის რუსულ ლიტერატურაშიც ბრალი განიმარტება, როგორც პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო ქმედებისადმი და ამ ქმედების შედეგისადმი.<sup>3</sup> ანალოგიური შეხედულებებია გატარებული სისხლის სამართლის რუსულ სახელმძღვანელოებშიც. ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემულ ერთ-ერთ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „ბრალი – ესაა პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედებისადმი და ამ ქმედების შედეგისადმი“.<sup>4</sup> ბრალის ფსიქოლოგიური თეორია რუსეთში

<sup>1</sup> იხ. დაგელ პ.С., კოტოვ დ.პ. დასახ. ნაშრ. გვ. 38-43.

<sup>2</sup> იხ. რაფ ა.И. Вина в советском уголовном праве. Саратов, 1987, с. 107.

<sup>3</sup> იხ. Лунаев В.В. Субъективное вменение. М., 2000, с.12.

<sup>4</sup> Уголовное право России. Общая часть. Под ред. А. И. Рапога. М., 1998, с.100.

საკანონმდებლო დონეზეა აყვანილი. რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლით: „დანაშაულში ბრალეულად მიიჩნევა პირი, რომელმაც ქმედება ჩაიდინა განზრას ან გაუფრთხილებლად.“ როგორც ვხედავთ, ბრალი დაყვანილია ფსიქიკურ დამოკიდებულებაზე განზრას ან გაუფრთხილებლობის ფორმით. ეს კი, უამრავ სირთულეებს იწვევს. მართებულად მიუთითებს პროფ. გ. ნაჭელია, რომ ამ ლოგიკით ბრალი ფსიქოლოგიური ცნებაა.<sup>1</sup> რა თქმა უნდა, ადამიანის მოქმედება ფსიქიკური დამოკიდებულების გარეშე არ არსებობს, მაგრამ ეს სრულებით არაა საკმარისი ბრალისათვის, ის ბრალზე არაფრის მოქმედია.

ამ თეორიის კრიზისი უკავშირდება იმას, რომ ის ვერ ასაბუთებს ბრალეულობას დაუდევრობის დროს, როცა პირს არა აქვს ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგისადმი, ან იმ შემთხვევებში, როცა ასეთი ფსიქიკური დამოკიდებულება არსებობს, მაგრამ ბრალი არ არის. მაგალითად, ტრაგიული კოლიზის შემთხვევაში, აუცილებელი მოგერიების დროს და სხვ. ბრალის ფსიქოლოგიური თეორია გაკრიტიკებული იქნა გერმანელი მეცნიერის რ. ფრანკის მიერ. მან პირველთაგანმა დაასაბუთა, რომ ბრალს ფსიქოლოგიურის გარდა ნორმატიული ელემენტიც უნდა მივაკუთვნოთ. 1907 წელს მის მიერ გამოიცა ნაშრომი, რომელშიც მკაცრად გააკრიტიკა ბრალის ფსიქოლოგიური თეორია და ბრალის ცნებაში გაკიცხვის ელემენტი შეიტანა, რითაც დაიწყო ბრალის ფსიქოლოგიურ-ნორმატიული თეორიის გავრცელება. ამ თეორიამ ფართო გავრცელება პპოვა, მას ჰყავდა მომხრეები საბჭოურ სისხლის სამართალშიც, მათ შორის ქართველ კრიმინალისტებშიც. ბრალის ფსიქოლოგიურ-ნორმატიული თეორია ბრალს განმარტავს, როგორც პირის გასაკიცს ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმედებისადმი და მისი შედეგისადმი. ბრალის, როგორც მხოლოდ ქმედებისადმი და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების წინააღმდეგი იყო თ. წერეთელი. ის ბრალს განიხილავდა ფსიქოლოგიურ და ნორმატიულ ცნებათა ერთობლიობით. მისი აზრით, ბრალი ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულებაა ქმედებასთან და შედგოთან, რომელიც იმსახურებს ზნეობრივ გაკიცხვას საზოგადოების მხრივ.<sup>2</sup> თ. წერეთელი აღნიშნავს, რომ ზნეობრივი გასაკიცხაობის სინონიმად შეიძლება ვიხმაროთ ზნეობრივ-პოლიტიკური გასაკიცხაობა, რადგან ყოველი ზნეობრივი გასაკიცხი ქმედება, ამავე დროს სამართლებრივ-პოლიტიკურ გაკიცხვასაც იმსახურებს. ჩვენი აზრით, ასეთი შეხედულება არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს, მაგალითად, უცენზურო სიტყვების ხმარება ან სხვა უსაქციელობა ზნეობრივ გაკიცხვას იმსახურებს, მაგრამ სამართლებრივად გასაკიცხი შეიძლება სულაც არ იყოს. ამ მხრივ, მართებულად მიგვაჩნია ლ-გ. კუტალიას შეხედულება, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა პრინციპებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა ეს დებულება და თუ რომელი კომპონენტია მასში უპირატესად გამოყოფილი, ფსიქიკური დამოკიდებულების ზნეობრივ-პოლიტიკური გასაკიცხაობა ნიშნავს,

<sup>1</sup> იხ. ნაჭელია გ. ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია. თბ., 2001, გვ. 201.

<sup>2</sup> იხ. წერეთელი თ. ტყეშელიაძე გ. მოძღვრება დანაშაულზე თბ., 1969, გვ. 60.

რომ ბრალის ფსიქოლოგიურ ცნებაში შეტანილი იქნა ნორმატიულობა, შეფასების აუცილებლობა. სწორედ ამიტომ, შეიძლება ეწოდოს მას ბრალის ნორმატიული-ფსიქოლოგიური თეორია.<sup>1</sup> ეს თეორია ბრალის წმინდა ფსიქოლოგიურ თეორიასთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ბრალის ფსიქოლოგიური არსი ამით არ იცვლება. გარდა ამისა, როგორც მართებულადაა აღნიშნული შეუძლებელია ორგანულ ერთიანობაში მოვიაზროთ რაიმე მოვლენა და მისი შეფასება.<sup>2</sup> აქედან ჩანს, რომ ფსიქიკური დამოკიდებულება და მისი გასაკიცხაობა არ შეიძლება ერთ ცნებაში იყოს გაერთიანებული.

საშიში მდგომარეობის თეორია გამოიხატება იმაში, რომ პირის ბრალეულობის საკითხს მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის ენაცვლება პიროვნების საშიშროება, ხოლო ქმედება აღიქმება როგორც საშიში მდგომარეობის გამოვლენის სიმპტომი. ეს თეორია გავრცელებულია საერთო სამართლის ქვეყნებში. ამ თეორიის მიხედვით, ბრალი ივარაუდება იმ პირის მხარეს, რომელიც გარკვეული სოციალური საშიშროებით ხასიათდება. ჩვენი აზრით, ამ თეორიას შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა პქონდეს კრიმინოლოგიისათვის დანაშაულის პრევენციის, პროფილაქტიკის თვალსაზრისით, თუმცა სისხლის სამართალში ის აბსოლუტურად მიუღებელია.

ბრალის ნორმატივისტული თეორია ბრალს განმარტავს, როგორც პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივ გასაკიცხაობას. ნორმატივისტები თვლიან, რომ ბრალი მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა პირი ჩადენილი ქმედებისათვის შეიძლება გაიკიცხოს. ნორმატივიზმის შიგნითაც არსებობს სხვადასხვა მიმდინარეობები (კაუზალური, სიმპტომატური, ფინალური, სოციალური, პერსონალური), რომლებიც განსხვავებულად ხსნიან ბრალს შინაარსს და მის ცნებას.<sup>3</sup> ბრალის ნორმატივისტულ თეორიაში ბრალის ცნება რაიმე ერთიანი ფორმით ჩამოყალიბებული არ არის. ამ თეორიებისთვის საერთო ისაა, რომ ისინი ბრალს სუბიექტის ინდივიდუალურ გასაკუცხაობად თვლიან. გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მიდგომები ბრალის ნორმატიული გაგებისადმი. კ. როქსინი თვლის, რომ არსებობს ხუთი პოზიცია, რომლებიც განსაზღვრავენ ბრალის ცნებას: 1) ბრალი, როგორც სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა, რომელსაც იზიარებს გერმანიის უზენაესი სასამართლო; 2) ბრალი, როგორც სამართლებრივად გასაკიცხი აზრთა წყობა, განწყობები; 3) ბრალი, როგორც პასუხისმგება საკუთარი ხასიათისათვის; 4) ბრალი, როგორც ზოგად პრევენციაზე ორიენტაცია – ბრალის ფუნქციონალური ცნება; 5) ბრალის, როგორც უმართლობის განსხვარციელება მართლზომიერი მოქმედებას შესაძლებლობის მიუხედავად.<sup>4</sup>

<sup>1</sup> იხ. კუტალია ლაშა-გიორგი. ბრალი სისხლის სამართალში. ბრალის გენეზისი. ტ. I თბ., 2000, გვ. 314-315.

<sup>2</sup> იხ. პატაშური ზ. ბრალი და მისი ხარისხის განმსაზღვრული ფაქტორები სისხლის სამართალში. // ცხოვრება და სამართალი, 1998, №3. გვ.52.

<sup>3</sup> იხ. კუტალია ლაშა-გიორგი. ბრალის ნორმატივისტული მოდელი. თბ., 1999, გვ. 71.

<sup>4</sup> Жалинский А. Э. Современное немецкое уголовное право. М., 2004, с.218.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ნორმატივიზმი ბრალის ცნებას ჩამოყალიბებული ფორმით არ გვთავაზობს, მიუხედავად იმისა, რომ ნორმატივიზმის თვითულ მიმდინარეობას აქვს ბრალის თავისებური განმარტება, რომელთათვისაც საერთოა გასაკიცხაობა. მ. ტურავა აღნიშნავს, რომ ახალი სისხლის სამართლის კოდექსით ბრალი არის შეფასებითი, ნორმატიული კატეგორია, ის არის მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა, მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის.<sup>1</sup> ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ბრალი არ არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგისადმი, მაგრამ ვერ დავეთანხმებით მ. ტურავას იმაში, რომ ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა ბრალი ნორმატიულ, შეფასებით კატეგორიად გამოაცხადა. ჩემი აზრით, ეს შეიძლება ითქვას ქართულ სისხლის სამართლის თეორიაზე და იურიდიულ აზროვნებაზე, სადაც სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს ბრალის შეფასებითი თეორია, თუმცა კანონმდებლობაში ეს ჯერჯერობით არ ჩანს.

პროფ. გ. ნაჭყებიამ თავის საინტერესო ნაშრომში „ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია“ ბრალის სრულიად ახლებური და საგულისხმო ცნება ჩამოყალიბა. იგი აღნიშნავს, რომ ბრალი პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტისაგან გაწყვეტით შეუძლებელია, რადგან ბრალი სხვა არაფერია, თუ არა პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტის უარყოფა ე.ი. უპასუხისმგებლობის აქტი. მაშასადამე, ბრალი არის პასუხისმგებლობის ასპექტების კავშირის ფორმა და მათი ერთიანობის საფუძველი. მართებულად აღნიშნავს პროფ. გ. ნაჭყებია, რომ პასუხისმგებლობა არის სუბიექტის მიერ თავისი ქმედების გამო ინსტანციის წინაშე ანგარიშგებისა და მისადმი დამოკიდებულების შედეგების თავის თავზე აღების გარდუვალობა.

როგორც ავტორი აღნიშნავს, პასუხისმგებლობის ეს ცნება მის ორივე ასპექტს აერთიანებს, რადგან ხსენებული ცნების ყველა ძირითადი ნიშანი ორივე მათგანისათვის საერთოა. აქედან, იგი მიდის დასკვნამდე, რომ ბრალი არის პოზიტიური პასუხისმგებლობის უარყოფა, როდესაც მოვალეობისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება, მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით იცვლება. აქედან გამომდინარე, უპასუხისმგებლობა არის ბრალის სინონიმი. ბრალი მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაა, რომელიც ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში გამოიხატება, ასკვნის პროფ. გ. ნაჭყებია. ეს განსაზღვრება მას ბრალის უზოგადეს განსაზღვრებად მიაჩნია.<sup>2</sup>

ჩემი აზრით, პროფ. გ. ნაჭყებიას მიერ ჩამოყალიბებული ბრალის ცნება უთუოდ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ამ ურთულესი პრობლემის კიდევ უფრო ღრმად და სერიოზულად გაანალიზებისათვის. ბრალეულობა უპასუხისმგებლობის გარეშე წარმოუდგენელია, უპასუხისმგებლობა არის ბრალეულობის

<sup>1</sup> იხ. ტურავა მ. სისხლის სამართლი. ზოგადი ნაწილის მმოხილვა. თბ., 2002, გვ. 85.

<sup>2</sup> იხ. ნაჭყებია გ. ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია. თბ., 2001, გვ. 182, 306-309.

აუცილებელი წინაპირობა. მართებულია მისი მოსაზრება, რომ მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, იმთავითვე უარყოფითობის ბეჭდითაა დადღასმული და მაშასადამე, გასაკიცხაობა ბრალის იმანენტური თვისებაა.<sup>1</sup>

მას შემდეგ, რაც მოკლედ მიმოვინილეთ ბრალზე არსებული ძირითადი თეორიები, მოკლედ ჩამოვაყალიბებთ ჩვენს მოსაზრებას ამ თეორიებთან მიმართებაში. ბრალის ფსიქოლოგიური თეორია ბრალს ვერ ასაბუთებს, იმდენად, რამდენადაც ბრალი შეიძლება გვქონდეს მაშინაც, როცა პირს არა აქვს ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებისადმი და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგისადმი (დაუდევრობა), და პირიქით, არ გვქონდეს მაშინ, როცა ეს ფსიქიკური დამოკიდებულება არსებობს (ტრაგიკული კოლიზია). ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორიის ნაკლი ისაა, რომ არ შეიძლება ფსიქიკური დამოკიდებულება და მისი გასაკიცხაობა ერთ ცნებაში მოვიაზროთ. საშიში მდგრმარეობის თეორია სისხლის სამართალში მიუღებელია, რადგანაც სისხლის სამართალი პასუხისმგებლობას აწესებს ქმედებისათვის და არა პირის პირადი საშიშროებისათვის. ბრალის ნორმატივისტული თეორია ბრალის ცნებას საერთოდ არ იძლევა. ამ თეორიის მიხედვით, ბრალი არის მოსამართლეს მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ბრალის მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ცნებას ნორმატივიზმში ვერ ვხვდებით ეს თეორია ზემოთმოხსენიებულ თეორიებთან შედარებით უფრო საფუძვლიანად მიგვაჩნია, რადგანაც გასაკიცხაობა არის ის ძირითადი თვისება, რომლის გარეშე ბრალეულობა შეუძლებელია. რაც შეეხება მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, ის ჩვენი აზრით, შეიძლება ყოველთვის არც იყოს გასაკიცხი. მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ბრალისათვის აუცილებელია მაგრამ, ვფიქრობ, არასაკმარისია. მაგალითად, საბრძოლო შეტაკების დროს მძიმედ დაჭრილ მებრძოლს მეგობარი მისივე თხოვნით მოუსპობს სიცოცხლეს, რათა ის გაათავისუფლოს აუტანელი ტკივილისაგან. მიუხედავად იმისა, რომ პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ანუ იმოქმედა უპასუხისმგებლოდ, ეს ქმედება მას სასამართლომ ამ ფაქტის შეფასებისას შეიძლება ბრალად არ შერაცხოს. ანდა კიდევ, არასრულწლოვანი, რომელსაც აქვს ფსიქიკის ანომალია ჩაიდენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ავლენს უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას მოვალეობისადმი, მაგრამ სასამართლომ კონკრეტული ფაქტის შეფასებისას შეიძლება არ გაკიცხოს იგი მაშინ, როცა იგივე ქმედების ჩადენისათვის ფსიქიკურად ჯანმრთელ პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება. ამ შემთხვევაში, ფსიქიკური ანომალიის მქონე პირის უპასუხისმგებლობის ხარისხი ნაკლებია, ვიდრე ჯანმრთელი პირისა, რაც შეიძლება მისი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი გახდეს, მაგრამ ესეც ხომ შეფასებით დგინდება, შეფასებით წყდება ჩაითვლება კონკრეტული ქმედება ბრალეულად

<sup>1</sup> ოქა გვ. 310

თუ არა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბრალისათვის გადამწყვეტია სწორედ შეფასებითობა, გასაკიცხაობა. ჩემი აზრით, უმართლობა ბრალეულად მხოლოდ მაშინ შეიძლება მოვიაზროთ, თუ ის იკიცხება, ანუ სასამართლო (მოსამართლე) აფასებს მას, როგორც გასაკიცხს. მიმაჩნია, რომ სწორედ ესაა ბრალის უზოგადესი განსაზღვრება, სწორედ შეფასება, გაკიცხვაა ის საერთო ნიშანი, რაც გადამწყვეტია ქმედების ბრალეულად მიჩნევის თუ არმიჩნევისათვის. ამიტომ, ვფიქრობ, მხოლოდ შეფასებით, გაკიცხვით შეიძლება გადაწყდეს ამა თუ იმ უმართლობის ბრალეულობა.

### 3.3.2 შეზღუდული შერაცხადობის და ბრალის ურთიერთკავშირის საკითხი

ახლა ვფიქრობ, საინტერესოა იმ საკითხის განხილვა თუ რა დამოკიდებულებაა ბრალსა და შეზღუდულ შერაცხადობას შორის. რაცომ ითვლება შეზღუდული შერაცხადობა ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად? საკითხი იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაა შერაცხადობასა და ბრალს შორის სისხლისსამარტლებრივ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ა. ჟიჟილენკო აღნიშნავს, რომ შეზღუდულ შერაცხადობას აქვს პირდაპირი კავშირი ბრალთან, რადგან ის წარმოადგენს ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებას.<sup>1</sup> ბ. ოშეროვიჩი წერს, რომ შეზღუდული შერაცხადობის პრობლემა უნდა გადაწყდეს შემსუბუქებული ბრალეულობის ჭრილში. ბრალი განაპირობებს პასუხისმგებლობას და პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ბრალის ხარისხე. ამ ინსტიტუტის მეშვეობით, სასამართლოს ეძლევა შესაძლებლობა დაადგინოს ბრალის ხარისხი და ამის შესაბამისად განსაზღვროს სასჯელის სახე და ზომა. ბრალის ხარისხიან დაკავშირებით ლიტერატურაში გამოთქმულა სხვადასხვა მოსაზრებები. ბ. ოშეროვიჩი აღნიშნავს, რომ ბრალის ხარისხი განისაზღვრება ბრალის ფორმით და შერაცხადობის ხარისხით.<sup>2</sup> ბ. უტევსკი თვლის, რომ ბრალს ხარისხის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება საქმის ყველა გარემოება, როგორც ობიექტური ისე სუბიექტური.<sup>3</sup> პ. დაგელი და ლ. კოტოვი თვლიან, რომ ბრალის ხარისხე გავლენას ახდენს ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება. ბრალის ხარისხი ასევე განისაზღვრება პირის ფსიქიკურ დამოკიდებულების თავისებურებებით, ბრალის ფორმით, განზრახვის ან გაუფრთხილებლის ხასიათით. ბრალის ხარისხე გავლენას ახდენს დანაშაულის მოტივი და მიზანი, ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელი ნიშნები. აგრეთვე ბრალის ხარისხე გავლენას ახდენს დანაშაულის ჩადენის მიზეზები და პირობები, მაგალითად მძიმე ოჯახური პირობები, იძულება ან მუქარა, დაზარალებულის

<sup>1</sup> იხ. Иванов Н.Г. დასახ. ნაშრ. გვ. 177.

<sup>2</sup> იხ. Ошерович Б. К вопросу о степенях виновности. Ученые записки. Вып 1. ВИЮН НКЮ СССР М., 1940, с. 62-63.

<sup>3</sup> იხ. Утевский Б. Вина в советском уголовном праве. М., 1950, с.74, 94 – 102.

არამართლზომიერი მოქმედება, მატერიალური, თანამდებობრივი ან  
სხვაგვარი დამოკიდებულება და ა. შ.<sup>1</sup>

ა. რაოგი აღნიშვნავს, რომ ბრალის ხარისხზე ბრალის ფორმების და სახეების გარდა, გავლენას ახდენენ ინტელექტუალური და ნებელობითი პროცესების შინაარსის თავისებურებები. აგრეთვე, დანაშაულის მოტივი და მიზანი, ობიექტის და ობიექტური მარის თავისებურებანი, აგრეთვე ხელყოფის საგნის თავისებურება გავლენას ახდენს ბრალის ხარისხზე განზრახვის ან გაუფრთხილებლობის შინაარსის მეშვეობით – აღნიშვნავს ა. რაოგი.<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, ბრალის ხარისხის განსაზღვრისათვის  
მხედველობაში მიიღება სხვადასხვა გარემოებები. ბრალის ხარისხი  
განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორაა ჩადენილი ქმედება,  
განზრახ თუ გაუფრთხილებლად, როგორი შედეგი მოჰყვა ქმედებას,  
რა მოტივით იყო ჩადენილი, რამდენად შეეძლო პირს  
გაეცნობიერებია თავისი ქმედება, უმართლობის ხარისხი და  
მრავალი სხვა ფაქტორი. ბრალის ხარისხს პირდაპირი კავშირი აქვს  
შერაცხადობის ხარისხთან, რადგანაც შერაცხადობას, ისევე  
როგორც ბრალს აქვს ხარისხები. ამიტომ, თუ მცირდება  
შერაცხადობის ხარისხი შესაბამისად მცირდება ბრალის ხარისხიც.  
განსხვავებული პოზიცია აქვთ ი. ანტონიანს და ს. ბოროდინს. ისინი  
მიუთითებენ, რომ შერაცხადობა არ ეხება ბრალის საკითხებს, ისევე  
როგორც ბრალი შერაცხადობის საკითხებს. ასევე ბრალის  
ხარისხისა და შეზღუდული შერაცხადობის საკითხი, შეზღუდულ  
შერაცხადობას არა აქვს კავშირი ბრალის ხარისხთან. ისინი წერენ,  
რომ ბრალის ხარისხი განისაზღვრება სუბიექტური მხარის  
ელემენტებით და დამოკიდებულია ბრალის ფორმებზე, განზრახვასა  
და გაუფრთხილებლობაზე, განზრახვის სახეებზე,  
გაუფრთხილებლობის სახეებზე, მათ შინაარსზე. აქვე უნდა ითქვას,  
რომ ბრალი მათ ესმით განზრახვად ან გაუფრთხილებლობად,  
რომელიც გამოხატულია დანაშაულის ჩადენაში. შეზღუდული  
შერაცხადობა არ უკავშირდება ბრალს, ის უკავშირდება სისხლის  
სამართლებრივ პასუხისმგებლობას – ასკვნიან ი. ანტონიანი და ს.  
ბოროდინი.<sup>3</sup> ეს მცდარი პოზიცია განპირობებულია იმით, რომ ი.  
ანტონიანს და ს. ბოროდინს ბრალი სუბიექტური მხარის ნიშნად  
მიაჩნიათ, შერაცხადობა კი სუბიექტის და თვლიან, რომ მათ შორის  
უშეალო კავშირი არ არსებობს. ჩვენ, ვერ გავიზიარებთ იმ აზრს,  
რომ შერაცხადობა არ უკავშირდება ბრალს, ისევე როგორც იმას,  
რომ შეზღუდული შერაცხადობა არ უკავშირდება შემცირებულ  
ბრალს. შერაცხადობა წარმოადგენს პირის მდგომარეობას, როცა  
მის მიერ ჩადენილი ქმედება მას შეიძლება შეერაცხოს ბრალად,  
ანუ მხოლოდ შერაცხადი პირი არის ბრალისუნარიანი. ამდენად,  
შერაცხადობა პირდაპირ უკავშირდება ბრალს და მისი  
აუცილებელი წინაპირობაა. ასევე, შეზღუდული შერაცხადობა  
პირდაპირ კავშირშია შემცირებულ ბრალთან. იგი ბრალის

<sup>1</sup> об. Дагель П.С., Котов Д.П. დახმ. ნაშრ. გვ. 72-74.

<sup>2</sup> օ. Պարոց Ա.Ի. քանչակ. նամակ. ձեռագիր. էջ. 102.

<sup>3</sup> օ. Անտոնյան Յ.Մ., Բօրում Ս.Վ. Հայաստան. Եղիշ. 1921. թ. 154-155.

შემამსუბუქებელი გარემოებაა, რასაც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაც აღიარებს.

### 3.3.3 შეზღუდული შერაცხადობის და სისხლისსამართლებრივი უმართლობის დამოკიდებულების საკითხი

ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის საკითხი, თუ როგორი ურთიერთდამოკიდებულებაა შეზღუდულ შერაცხადობასა და სისხლისსამართლებრივ უმართლობას შორის. კერძოდ, შეზღუდული შერაცხადობა მარტო ბრალის ხარისხს ამცირებს, თუ უმართლობის ხარისხსაც, შეზღუდული შერაცხადობის მდგრადი ჩადენილი უმართლობა თუ განსხვავდება სიმძიმის ხარისხით სრული შერაცხადობის მდგრადი ჩადენილი უმართლობისაგან?

როგორც ვიციო, ბრალის ხარისხის განსაზღვრა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული უმართლობის ხარისხზე და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამდიმებელ სხვა გარემოებებზე. პროფ. ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი უმართლობა არის ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კანონით. უმართლობის ცნება უნდა განვასხვავოთ მართლწინააღმდეგობის ცნებისაგან. მართლწინააღმდეგობა ნიშნავს წინააღმდეგობას ქმედებასა და სამართალს შორის. ეს არის ურთიერთობა ამ არ მოვლენას შორის, რომელიც მათი დაპირისპირებით, მათი ურთიერთწინააღმდეგობით გამოიხატება. უმართლობა თვითონ არის მართლსაწინააღმდეგო ქმედება.<sup>1</sup> უმართლობა ობიექტური კატეგორიაა იმიტომ, რომ მას ყველა ადამიანისათვის ერთნაირი მნიშვნელობა აქვს, სამართალი ყველასათვის ქცევის ერთნაირ საზომს აწესებს, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ინდივიდის პერსონალური შესაძლებლობანი. სისხლისსამართლებრივი უმართლობა მოიცავს ორ ნიშანს, ესაა: დანაშაულის შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა (საზოგადოებრივი საშიშროება<sup>2</sup>). უმართლობას ისევე, როგორც ბრალს აქვს ხარისხები. მაგალითად, ორი ან სამი ადამიანის მკვლელობა უფრო მაღალი ხარისხის უმართლობაა, ვიდრე ერთი ადამიანის მკვლელობა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ბრალის ხარისხიც უფრო მეტი იქნება, რაზედაც უმართლობის ხარისხი ახდენს გავლენას. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ იგივე მდგრადი ჩადენილ უმართლობასა და სრული შერაცხადობის მდგრადი ჩადენილ უმართლობას შორის. მაგალითად, აფექტში ჩადენილი მკვლელობა და შურისძიებით, ან ანგარებით ჩადენილი მკვლელობები ერთი და იგივე ხარისხის უმართლობაა, მაგრამ სულ სხვადასხვა სანქციებია მათთვის გათვალისწინებული კანონში. ეს განპირობებულია ბრალის ხარისხით, რადგანაც აფექტში ჩადენილი მკვლელობის ბრალის ხარისხი სხვაა, ხოლო შურისძიებით ჩადენილი მკვლელობის კი სხვა. ამდენად, ჩვენს მიერ ზემოთ დასმულ შეკითხვებს უარყოფითი

<sup>1</sup> იხ. გამყრელიძე ო. უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძვლები. თბ., 1989, გვ. 124.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 137.

პასუხი უნდა გაეცეს, რადგან ჩვენი აზრით, შეზღუდული შერაცხადობა ბრალის ხარისხზე ახდენს გავლენას და არა უმართლობის ხარისხზე. ერთი და ოგივე ხარისხის უმართლობაში შეიძლება განსხვავებული იყოს ბრალის ხარისხი, რაც ზემოთ მოტანილი მაგალითებითაც დასტურდება. როგორც მართებულად აღნიშნავს პროფ. ო. გამყრელიძე, უმართლობა ობიექტური კატეგორიაა, ხოლო ბრალი პერსონალურ კატეგორიას წარმოადგენს. ბრალის დროს უნდა გაირკვეს სამართალდამრღვევს თავისი პერსონალური შესაძლებლობის მიხედვით შეუძლია თუ არა, ან რა ზომით შეუძლია პასუხი აგოს.<sup>1</sup>

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შეზღუდული შერაცხადობა გავლენას ახდენს ბრალის ხარისხზე და ამიტომ წარმოადგენს ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებას. როგორც ცნობილია, შეზღუდული შერაცხადობა არის მდგომარეობა, როცა პირს არ შეუძლია სრულად გააცნობიეროს თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ან სრულად უხელმძღვანელოს მას. აქ ხაზი გაესმევა ორ მომენტს ცნობიერებას და ნებელობას. შეზღუდული შერაცხადობის შემთხვევაში კი გაცნობიერების უნარი დაქვეითებულია, შესუსტებულია, ასევე შესუსტებულია მოქმედების ხელმძღვანელობის უნარი, რაც თავის მხრივ დაბლა სწევს ბრალის ხარისხს და განაპირობებს მოქმედების უფრო მსუბუქ გაკიცხვას. ამასგვე აღნიშნავენ გერმანელი კრიმინალისტები მაურახი და ზიპფი. ისინი მიუთითებენ, რომ შეზღუდული შერაცხადობა გულისხმობს შემცირებულ ბრალს. უმართლობის ჩამდენის სასარგებლოდ ითვლება ის გარემოება, რომ ის თავისი ინტელექტუალურ-ზენობრივი ძალების დაძაბვით ცდილობდა კომპენსირება გაეკეთებინა თავისი ცნობიერების დაქვეითებული უნარისათვის. თუ ის დაემორჩილა დანაშაულებრივ იმპულსს, ეს ნიშნავს, რომ მისი უნარი წინ აღუდგეს ფატალურ მოთხოვნილებას დაქვეითებულა ნორმალურ ადამიანთან შედარებით. უნარის ასეთი დაქვეითება ასაბუთებს მის უფრო მსუბუქად გაკიცხვას და ამის შესაბამისად ბრალის ხარისხის შემცირებას.<sup>2</sup> ავსტრიელი მეცნიერები სოლიდარულნი არიან გერმანელ მეცნიერებთან ბრალის საკითხებში. ისინი ასხვავებენ დანაშაულის ბრალს და დამნაშავის ბრალს. დანაშაულის ბრალი გამოიხატება ობიექტურად განხორციელებულ ქმედებაში, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ წესრიგს. ის არ ითვალისწინებს დელიკენტის ფსიქოფიზიკურ თავისებურებებს, დამნაშავის ბრალისაგან განსხვავებით, როცა მხედველობაში მიიღება ყველა ის იმპულსები, რომლებმაც აიძულებ პირი დაერვია დაწესებული აკრძალვები. დამნაშავის ბრალის ფარგლებში ბრალს აქვს ხარისხები, როელიც დამოკიდებულია პირის უნარზე დაიმორჩილოს დანაშაულებრივი ზრახვები.<sup>3</sup>

როგორც აღნიშნეთ, ბრალის ხარისხის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მრავალი გარემოება (დანაშაულის

<sup>1</sup> იქვე, გვ. 137.

<sup>2</sup> იხ. Иванов Н.Г. Аномальный субъект преступления. М., 1998, с. 184.

<sup>3</sup> იხ. Семенцова И. А. Уголовная ответственность лиц с психическим расстройством не исключающим вменяемости. Диссертация канд. юр.наук. М., 1999, с. 109.

ობიექტური, სუბიექტური შემადგენლობა, თვით დამნაშავის პიროვნება, დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და მრავალი სხვა).

ამ მხრივ, საინტერესოა შემდეგი მაგალითები: ა-მ შეისწრო თავისი ცოლი საყვარელოან, რა დროსაც მან ცოლის საყვარელს მიაყენა ნაჯახით სხეულის მრავლობითი დაზიანებები, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. თუ ჩავთვლით, რომ ა-მ ჩაიდინა მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით, მაშინ მისი ბრალის ხარისხი საკმაოდ მაღალი იქნება, მაგრამ ამავე დროს თუ გავითვალისწინებთ, რომ ის იმყოფებოდა აფექტის მდგომარეობაში, მაშინ მისი ბრალის ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს. აფექტი, როგორც ვიცით, იწყვევს აღგზნებისა და შეკავების პროცესთა დისტალანსს და ადამიანი ექვემდებარება იმპულსს, თუმცა ბოლომდე არ კარგავს თავშეკავების უნარს, მაგრამ ეს შესაძლებლობა შემცირებულია, შესუსტებულია. ანდა კიდევ, ფსიქოპათიით დაავადებულმა პირმა ჩაიდინა მკვლელობა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, რაც ამ დანაშაულის საშიშოების მაღალ ხარისხზე მიუთითებს და მკაცრ გაკიცხვას იწვევს, მაგრამ როდესაც მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ეს ქმედება ჩადენილია ფსიქიკური დაავადების მქონე პირის მიერ, იგი გაცილებით უფრო მსუბუქად უნდა გაიკიცხოს, რაც ბრალის ხარისხის ხარჯზე ხდება. ამ მაგალითებიდან დასტურდება, რომ შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობა გავლენას ახდენს ბრალის ხარისხზე, ამცირებს მას და იწვევს უფრო მსუბუქ გაკიცხვას. როგორც ვხედავთ, ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებანი გავლენას ახდენენ ინტელექტუალურ-ნებელობით პროცესებზე და ასუსტებენ მათ ანალიტიკურ ფუნქციას, რაც კონკრეტული ქმედების ჩადენაზეც აისახება. ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობა წარმოადგენს ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებას, ის გავლენას ახდენს ბრალის ხარისხზე, დაბლა სწევს მას და იწვევს უფრო მსუბუქ გაკიცხვას, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს სასჯელის სახეს და ზომას.

### 3.4 შეზღუდულ შერაცხადთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ცალკეული პრობლემები

შეზღუდულ შერაცხადთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ფსიქიკურ ანომალიასთან და ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმესთან. მაგალითად, როგორ უნდა გადაწყვდეს პასუხისმგებლობის საკითხი 109-ე მუხლის III ნაწილის „ბ” პუნქტით, 117-ე მუხლის VII ნაწილის „ბ” პუნქტით, 137-ე მუხლის IV ნაწილის „ა” პუნქტით და სხვა მზგავსი შემადგენლობებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, როცა მისი ჩადენი შეზღუდული შერაცხადია ფსიქიკური დაკავდების გამო? იმ შემთხვევაში, როცა არსებობს განსაკუთრებული სისასტიკით დანაშაულის ჩადენის ნიშნები, უნდა მოხდეს თუ არა ქმედების განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილად დაკავლიფიცირება და უნდა შეუმსუბუქდეს თუ არა პირს პასუხისმგებლობა და შეუმცირდეს სასჯელი? ჩვენ, ქვემოთ შევეცდებით განვიხილოთ ეს საკითხები და ჩამოვაყალიბოთ ჩვენი პოზიცია მათთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, ფსიქიკური ანომალიები ხელს უწყობენ ადამიანში აგრესიულობის და სისასტიკის გრძნობის გადვივებას. ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა მიერ ჩადენილი ძალადობითი დანაშაულის გამოირჩევა სისასტიკით, მათ უჭირთ თავის შეკავება, არიან კონფლიქტურები, ადგილად ებმებიან ანტისოციალურ მოქმედებებში. ისინი ნებისმიერი კონფლიქტური, თუ სხვა პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტას ცდილობენ ძალისმიერი მეთოდებით. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ სასამართლო პრაქტიკიდან მასალები, როცა შეზღუდულ შერაცხადს პქონდა ჩადენილი მკვლელობა ან სხვა დანაშაული განსაკუთრებული სისასტიკით. ამიტომ, კონკრეტული სასამართლო მაგალითებით ვერ ვიმსჯელებთ, მაგრამ შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ ჩვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. როგორც ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, სისასტიკე, როგორც პიროვნული თვისება მდგომარეობს ტანჯვის მიენებაში სხვისთვის. პიროვნული თვისებები, რომლებიც ხელს უწყობენ სისასტიკის გამოვლენას შემდეგია: ეგოცენტრიზმი, ღრმა დეპრესია, თანაგრძნობის უნარის არქონა, ემოციური სიცივე, ფანატიზმი, შთაგონების გაძლიერებული უნარი, ინტელექტუალური განუვითარებლობა, აფექტურობა. ფსიქოლოგები მიუთითებენ, რომ ფსიქიკური ანომალიების მქონე პირები მკვლელობებს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადიან მარტო და ეს დანაშაული, როგორც წესი, ატარებს სიტუაციურ ხასიათს. როგორც გამოკვლევებშია აღნიშნული, ფსიქოპათი პირები მკვლელობებს შემთხვევების ორმოცდათხუთმეტ პროცენტში ჩადიან იმის გამო, რომ სხვაგვარად არ შეუძლიათ აღიდგინონ თვითშეფასების გრძნობა.<sup>1</sup>

მკვლელობის ან სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში

<sup>1</sup> იხ. Балабанова Л.М. Судебная патопсихология. Глава 9. Криминологические аспекты основных психологических свойств личности.  
[www.promoestate.com.ua/yurpsy/help/bib/balab/](http://www.promoestate.com.ua/yurpsy/help/bib/balab/)

განსაკუთრებული სისასტიკა გვევლინება დანაშაულის ჩადენის ხერხად. განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობის კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ სახეზე გვქონდეს ობიექტრად განსაკუთრებული სისასტიკის ნიშნები და სუბიექტურად დამნაშავეს გაცნობიერებული პქონდეს მკვლელობის პროცესში თავისი ქმედების განსაკუთრებული სისასტიკა. განსაკუთრებული სისასტიკით დანაშაულის კვალიფიკაციისათვის არაა აუცილებელი, რომ დამნაშავეს სურდეს დაზარალებულისთვის ან სხვა პირისთვის ტანჯვის მიენება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფსიქიკური ანომალიის მქონე პირთა მიერ ჩადენილი დანაშაული, მხოლოდ მაშინ შეიძლება შეფასდეს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილად, თუ დამნაშავეს დანაშაულის ჩადენის დროს გაცნობიერებული პქონდა, რომ დაზარალებულს ან სხვა პირს ტანჯვას აყენება მის მიერ არჩეული დანაშაულის ხერხი. მაგალითად, ოლიგოფრენიით დაავადებულმა პირმა მუავის შესხმით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა დაზარალებულს. მას არ ქონდა წარმოდგენა მუავის თვისებებზე და ვერ აცნობიერებდა, რომ მისი გამოყენება განსაკუთრებულ ფიზიკურ ტანჯვას გამოიწვევდა. ასეთ შემთხვევაში, პირს პასუხი არ უნდა ვაგებინოთ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულისათვის, მაშინ როცა იგივე ქმედება, რომელიც ფსიქიკურად ჯანმრთელი, ან თუნდაც ფსიქიკურად დაავადებული პირის მიერ გაცნობიერებულადაა ჩადენილი განსაკუთრებულ სისასტიკედ უნდა შეფასდეს. სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებმა უნდა გამოიკვლიონ, შეეძლო თუ არა ფსიქიკური ანომალიის მქონე პირს გაეცნობიერებია მკვლელობის განსაკუთრებული სისასტიკა, რადგან ფსიქიკური ანომალიის მქონე პირთა დანაშაული შესაძლოა ხასიათდებოდეს სისასტიკით გამომდინარე დაავადების ხასიათიდან და სიმძიმიდან. ფსიქიკური ანომალიები იწვევენ ადამიანში პიროვნულ აშლილობებს, მათ უჭირთ თავის შეკავება, ასეთი პირები ჩვეულებრივ სიტუაციებშიც კი განსაკუთრებული სიმწვავით რეაგირებენ, მცირედი გამდიზიანებული ფაქტორიც შეიძლება ზღვარგადასული სისასტიკის და აგრესიის გამომწვევი გახდეს. ამიტომ, სასამართლომ ყოველი კონკრეტული ფაქტიდან გამომდინარე უნდა იმსჯელოს, თუ რამდენად აცნობიერებდა დანაშაულის ჩამდენი პირი, რომ დაზარალებულს სიცოცხლეს განსაკუთრებული სისასტიკით უსპობდა, თუ მისი ასეთი ქცევა დაავადების შედეგი იყო. ამის დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო ფსიქიატრების დასკვნებს. მათ დახმარება უნდა გაუწიონ მართლმსაჯულებას აღნიშნული საკითხების გადაწყვეტაში, რადგანაც ფსიქიატრებს შეუძლიათ დაადგინონ კონკრეტული დანაშაულებრივი ქცევა რამდენად იყო გამოწვეული ფსიქიკური დაავადებით და რა როლი შეასრულა დაავადებამ მის დეტერმინაციაში. ზემოთაღნიშნული ეხება არა მხოლოდ 109-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობას, არამედ ჯანმრთელობის დაზიანების, გაუპატიურების და სხვა დანაშაულებსაც, სადაც საუბარია განსაკუთრებულ სისასტიკეზე, როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხზე.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეზღუდულ

შერაცხადს უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი მიუხედავად მის მიერ ჩადენილი დანაშაულის განსაკუთრებული სისასტიკისა. უნდა ითქვას, რომ ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა მიერ ჩადენილი ძალადობითი დანაშაულის უმრავლესობა სწორედ სისასტიკით ხასიათდება, საკმაოდ ხშირად კი განსაკუთრებული სისასტიკით, რაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნავთ მათი დაავადების შედეგს წარმოადგენს. მაგალითად, ფსიქოპათიით დაავადებულმა პირმა მის მიმართ გამოთქმულ კრიტიკაზე მოახდინა მძაფრი რეაქცია და მის გამკრიტიკებულს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება განსაკუთრებული სისასტიკით. მისი ასეთი ქცევა გამოწვეული იყო მისი დაავადებით, რამაც სისასტიკა, აგრესიულობა შეუბრალებლობა გამოიწვია. იგივე ვითარება, როცა ფსიქიკურად ჯანმრთელმა პირმა ჩაიდინა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაგანსაკუთრებული სისასტიკით, რაც გამოიწვია მისმა ამპარტავნებამ და ეგოიზმმა. ეს ორი ობიექტურად მზგავსი შემთხვევა აბსოლუტურად სხვადასხვაგვარ შეფასებას საჭიროებს. პირველ შემთხვევაში პირს სასჯელი უნდა შეუმსუბუქდეს, ხოლო მეორე შემთხვევაში სასჯელის შემსუბუქება დაუშვებელია.

სხვაგვარად უნდა გადაწყვდეს საკითხი იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე წინასწარ მოემზადება აღნიშნული ხერხით მკვლელობის ან სხვა დანაშაულის ჩასადენად, მოიმარჯვებს სხვადასხვა საგნებს, რომელთა გამოყენებით მსხვერპლს განსაკუთრებულ ტანჯვას მიაყენებს. აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ სახეზეა დამნაშავის მხრიდან რამოდენიმე დანაშაულის ჩადენა, რომლებიც ასევე წინასწარ იყო მომზადებული. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ სერიულ დანაშაულზე, რომელიც დამოუკიდებელი კვლევის საგანია. ამიტომ, ჩვენ აქ მას არ შევეხებით და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ასეთ შემთხვევაშიც პირის ქმედება განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილად უნდა დაკვალიფიცირდეს (თუ სახეზე არა შეურაცხაობა). ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევებში სასჯელის შემსუბუქებაზე საუბარი არ უნდა იყოს.

განსაკუთრებული სისასტიკით დანაშაულის ჩადენისას შეზღუდულ შერაცხადს უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი, როცა მოხდა მისი პროცესირება, როცა მის მიმართ გამოყენებული იქნა სხვადასხვა სახის ზემოქმედება, რამაც ის მიიყვანა დანაშაულის ჩადენამდე. მაგალითად, ფსიქიკური დაავადების მქონე პირს თანატოლებმა მოსთხოვეს მათთვის სასმელის მოტანა, რაზედაც მან უყრი განაცხადა. ამის შემდეგ მას დამამცირებელი სიტყვებით მიმართეს და უთხრეს, რომ გასცლოდა იქაურობას სანამ არ უცემიათ, რის შემდეგაც ფსიქიკური ანომალიის მქონე პირმა ერთ-ერთ მათგანს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება განსაკუთრებული სისასტიკით. ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით უნდა შეუმსუბუქოს სასჯელი დანაშაულის ჩამდენ პირს. თუმცა, ყველა ასეთი შემთხვევა ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს და სასამართლომ თითეულ შემთხვევაზე საქმის გარემოებებიდან გამომდინარე უნდა იმსჯელოს, რადგან თავისთავად ფსიქიკური დაავადება ან სხვა გარემოება, არ შეიძლება პასუხისმგებლობის შემსუბუქების უპირობო საფუძველი გახდეს.

**თავი IV**  
**შეზღუდულ შერაცხადთა პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებული პრობლემების სისხლისსამართლებრივი და  
კრიმინოლოგიური ანალიზი**

**4.1 სასჯელის დანიშვნა შეზღუდულ შერაცხადთათვის**

**4.1.1 ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთათვის სასჯელის დანიშვნასთან და მოხდასთან დაკავშირებული პრობლემები**

შეზღუდულ შერაცხადთათვის სასჯელის დანიშვნის საკითხზე მეცნიერთა შორის ერთიანი პოზიცია არ არსებობს. მეცხრამეტე საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა დაიწყო დისკუსია შეზღუდული შერაცხადობის საკითხის ირგვლივ, მის მოწინააღმდეგეთა მიერ სწორედ სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებულ სირთულეებზე კეთდებოდა აქცენტი. დისკუსიას იწვევდა ისეთი საკითხები, როგორებიცაა სასჯელის შემსუბუქების უპირობო აუცილებლობა შეზღუდულ შერაცხადთათვის, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების აუცილებლობა სასჯელთან ერთად, შეზღუდულ შერაცხადთა სხვა დამნაშავეებთან ერთად, თუ ცალკე განთავსების საკითხი და ა.შ. ამ საკითხების ირგვლივ უნდა ითქვას, რომ არც დღეს არსებობს ერთიანი პოზიცია. ა. უიუილენკო, რომელიც შეზღუდული შერაცხადობის შემოდების მომხრეთა რიცხვს მიეკუთვნება, შეზღუდულ შერაცხადთათვის სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამდა: 1) სასჯელი უმსუბუქდებათ, მაგრამ მისი მოხდა ხდება სასჯელადსრულების ჩვეულებრივ დაწესებულებებში; 2) პირი თავსდება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის წინ, ან მის შემდეგ, ან ის გადის მკურნალობის კურსს სპეციალურ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის დროს. ამ შემთხვევაშიც სასჯელი შემსუბუქებული უნდა ჰქონდეს; 3) პირი თავსდება სპეციალურ სახელმწიფო დაწესებულებაში შეზღუდულ შერაცხადთათვის სასჯელის მოსახლეებიდან, ან მის სანაცვლოდ<sup>1</sup>. შეზღუდულ შერაცხადთათვის სასჯელის შემსუბუქებას მხოლოდ ფსიქიკური ანომალიების არსებობის საფუძვლზე ემხრობოდა გ. ჩეჩელი. ის აღნიშნავს, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაციიდან გამომდინარე ნათელია ის, რომ ფსიქიკური დაავადების მქონე პირი სასჯელის დანიშვნის დროს არ შეიძლება თანაბარ პირობებში იყოს ჩაყენებული ჯანმრთელ ადამიანთან და მითუმებებს უფრო უარეს პირობებში.<sup>2</sup> ამ პიზიციას იზიარებდა ვ. ტრახეროვი, რომელიც თვლიდა, რომ შეზღუდულ შერაცხადებს შეიძლება დაენიშნოთ სასჯელად თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ შემცირებული

<sup>1</sup> იხ. Сирожидинов Д.В. დასახ. ნაშრ. გვ. 159.

<sup>2</sup> იხ. Чечель Г.И. Об учёте психических аномалий виновного в совершении преступления при определении ответственности //Ученые записки Саратовского юридического института, 1970, Выпуск 19, часть 2, с. 178.

ვადებით.<sup>1</sup> ი. ხეიფიცი მიიჩნევდა, რომ თუ პირმა დანაშაული ჩაიდინა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, მის მიმართ სასჯელის ზომა უნდა იქნას შემცირებული. ი. ხეიფიცი აგრეთვე თვლიდა, რომ თუ სასჯელის მოხდის პერიოდისათვის პირს უნარჩუნდება შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობა, ის უნდა მოათავსონ ასეთ პირთათვის სპეციალურად მოწყობილ დაწესებულებაში. ამ დაწესებულებაში უნდა იყოს ერომანეთთან შეთავსებული სასჯელი და სამედიცინო დონისძიებები. ამავე დროს უნდა იყოს მაქსიმალურად გათვალისწინებული მსჯავრდებულთა ინდივიდუალური თავისებურებანი.<sup>2</sup>

სასჯელადსრულების სპეციალური დაწესებულებების შექმნას შეზღუდულ შერაცხადთათვის მხარს უჭერენ ვ. გმელიანოვი, ნ. ფელინსკაია. ვ. ემელიანოვი წერს, რომ სპეციალური დაწესებულების შექმნა ფსიქიკური ანომალიების მქონე დამნაშავეთათვის წარმოადგენს კომპლექსური გამოკვლევების ჩატარების სტიმულს, რათა უკეთ გამოვლინდეს ასეთ პირთა დანაშაულებრივი ქცევის განმაპირობებელი ფაქტორები, გაიზარდოს პროფილაქტიკურ დონისძიებათა ეფექტურობა, შესწავლილი იქნას მათი ქცევის მოტივაცია, მიზნები, მოთხოვნილებები, შემუშავდეს ქცევის სტერეოტიპები, რომელიც გამორიცხავს მათ მიერ ანგისაზოგადოებრივი საშუალებების გამოყენებას მიზნის მიღწევისათვის.<sup>3</sup>

მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს ნ. ფელინსკაია. მისი აზრით, სპეციალიზირებული ტიპის დაწესებულებების შექმნა ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთათვის ხელს შეუწყობს მათვის რეჟიმის სწორ ორგანიზებას, მათ ფსიქოთერაპიის, მედიკამენტოზურ მკურნალობას და ა.შ. ასეთ დაწესებულებებში უნდა მუშაობდნენ ფსიქოლოგები, ფსიქიატრები. აქვე უნდა ითქვას, რომ საზღვარგარეთ საკმაოდ წარმატებულად ფუნქციონირებენ, სპეციალიზირებული ტიპის დაწესებულებები, სადაც ფსიქიკური ანომალიების მქონე პირები ერთდროულად იხდიან სასჯელსაც და გადიან მკურნალობასაც. მაგალითად, გერმანიაში, ინგლისში, პოლანდიაში და სხვ.<sup>4</sup>

ი. კალაშნიკი მიიჩნევს, რომ ფსიქიკური ანომალიების მქონე პირები სასჯელს უნდა იხდიდნენ სხვა ჯანმრთელ პირებთან ერთად ზოგად საწყისებზე, ისინი უნდა იყვნენ განაწილებული სხვა პირებთან ერთად და არა განცალკევებით ფსიქიკურად ჯანმრთელი დამნაშავეებისაგან. ფსიქიკური ანომალიების მქონე დამნაშავეთა სამედიცინო მომსახურება არ უნდა განსხვავდებოდეს სხვა პირთა სამედიცინო მომსახურების ფორმებისაგან, რომლებიც სასჯელს იხდიან სასჯელადსრულების დაწესებულებებში.<sup>5</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ გამოკვლევებში

<sup>1</sup> იხ. Трахтеров В.С. Уменьшенная вменяемость в советском уголовном праве// Право и жизнь, 1925, книга 9-10, с. 78.

<sup>2</sup> იხ. Хейфиц Ю.Я. О неполной или так называемой уменьшенной вменяемости. //Журнал министерства юстиции. 1905, №2 с. 78.

<sup>3</sup> იხ. Сирожидинов Д.В. დასახ. ნაშრ. გვ. 162-163.

<sup>4</sup> იხ. Сирожидинов Д.В. დასახ. ნაშრ. გვ. 163.

<sup>5</sup> იხ. Сирожидинов Д.В. დასახ. ნაშრ. გვ. 164.

მოტანილი მონაცემებით, სასჯელადსრულების დაწესებულებებში ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია – 30-50%. მათ შორის არიან ისეთი პირებიც, რომლებსაც ერთდროულად რამდენიმე ფსიქიკური ანომალია აქვთ. ყველაზე ხშირი ფსიქიკური ანომალიები, რომლებიც გვხვდება დამნაშავეთა შორის არის ფსიქოპათიები, რეაქტიული ფსიქოზები, ნევროტული მდგომარეობები, ოლიგოფრენია. შედარებით იშვიათად, თავის ტვინის დაზიანების ნარჩენი მოვლენები, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი და სხვ.

ვ. სერბსკის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის მონაცემებით იმ პირთა შორის, ვინც გაიარა სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა დაახლოებით 40%-ს აღენიშნებათ მოსაზღვრე ფსიქიკური პათოლოგიები, პიროვნული აშლილობები, გონებრივი ჩამორჩენილობა (ოლიგოფრენია) თავის ტვინის დაზიანების ნარჩენი მოვლენები, თავის ტვინის სისხლძარღვთა დაავადებები, ცერებრალური ათეროსკლეროზის საწყისი სტადიები და ა.შ.<sup>1</sup> ი. არგუნოვას მიერ ჩატარებული გამოკვლევებით, შეიმჩნევა გარკვეული კორელაცია დანაშაულსა და ფსიქიკურ ანომალიას შორის: ორგანულ დაავადების მქონე პირები ჩადიან პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ მძიმე დანაშაულებს, ოლიგოფრენები – საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, ფსიქოპათები – თანაბარი წილით, როგორც პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ, ასევე ანგარებითი ხასიათის ძალადობით დანაშაულს<sup>2</sup>. ეს კორელაცია უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა გამოკვლევებით ჩატარებული მონაცემებით პრაქტიკულად ემთხვევა ერთმანეთს.

როგორც ვხედავათ, და ამას სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებენ, დანაშაულის ჩამდენ პირთა შორის ფსიქიკური ანომალიების მქონეთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია. აქედან გამომდინარე, აქტუალურია საკითხი ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა განთავსებასთან დაკავშირებით, ანუ სად და როგორ უნდა განთავსდნენ ეს პირები – ფსიქიკურად ჯანმრთელებთან ერთად საერთო პირობებში, თუ მათგან განცალკევებით. ეს როგორი პრობლემაა, რომელიც ცხარე დისკუსიას იწვევს, როგორც იურისტთა, ასევე ფსიქიატრთა შორის. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ასეთი პირები უნდა იმყოფებოდნენ განცალკევებით, სპეციალურ დაწესებულებებში, სადაც იქნება სპეციალურად მათთვის განკუთვნილი რეჟიმი, სათანადო პირობები, რომლებიც ეფექტური იქნება ამ კატეგორიის მსჯავრდებულებისათვის.<sup>3</sup> მეორე ნაწილი თვლის, რომ კოლონიების ბაზაზე შეიძლება განთავსდეს სპეციალური ცალკე ნაგებობები, სადაც მოხდება ფსიქიკური ანომალიების მქონე პირის მოთავსება. გამოკვლევებით დადგინდა, რომ იმ მსჯავრდებულებთან, ვინც უარყოფითად ხასიათდებოდა ადმინისტრაციის მიერ გაცილებით უფრო აქტიურად

<sup>1</sup> იხ. Судебная психиатрия. Под ред. Б.В. Шостаковича. М., 1997, с. 91.

<sup>2</sup> Аргунова Ю.Н. Преступность ограниченно вменяемых лиц//Независимый психиатрический журнал. 1998, №1 с. 56-60. მოუვანილია კუვაновია იუ. საკანდიდატო დისერტაციიდან გვ. 165-166.

<sup>3</sup> იხ. Ной И.С. Вопросы теории наказания в советском уголовном праве. Саратов, 1961, с. 137-139.

ურთიერთობდნენ ფსიქიკური ანომალიების მქონე პირები, ვიდრე იმათთან, ვისაც ადმინისტრაცია დადებითად ახასიათებდა. ასეთმა ურთიერთობამ ფსიქიკური ანომალიების მქონე პირებზე, შეიძლება მკვეთრად უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს. როგორც ვიცით, ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა უმრავლესობა პიროვნების, საკუთრების წინააღმდეგ არის მიმართული და ძალადობით ხასიათს ატარებს. ფსიქიკური ანომალიები ხელს უშლიან ადამიანის ნორმალური ჩამოყალიბების პროცესს. ისინი განაპირობებენ მის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენას, ამიტომ დიდია ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა მიერ თავისუფლების ადგვეთის ადგილებშიც მსგავსი ქმედებების ჩადენის ალბათობა, რადგანაც ეს პირები ადგილად ებმებიან კონფლიქტებში გარშემომყოფებთან, უჭირთ ახალ გარემოსთან, სხვა პირობებთან შეგუება, ადეკვატურად არ რეაგირებენ რეაქტის და ადმინისტრაციის მოთხოვნებზე და ა.შ. ამიტომ, ფსიქიკური ანომალიების მქონე მსჯავრდებულთა მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული მკაცრად ინდივიდუალური მიდგომა, თითოეულის ფსიქიკური ანომალიის ხასიათისა და სიმძიმის გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით ფსიქიატრები აღნიშნავენ, რომ ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება თავისუფლების ადგვეთის ადგილას ფსიქიკური ანომალიის მქონე მსჯავრდებული – კომპენსაციის, თუ დეკომპენსაციის. დეკომპენსაციაში გაიგება ადამიანის ფსიქიკის უუნარობა, დაძლიოს გარემოს უარყოფითი ფაქტორების გავლენა და არ დაემორჩილოს მათ, ხოლო კომპენსაციის მდგომარეობა კი საპირისპირო უნარს გულისხმობს. დეკომპენსაციის მდგომარეობაში მყოფი პირები გამოირჩევიან აგრესიულობით, სისასტიკით, აფექტებისადმი მიდრეკილებით, ისინი ხშირად არღვევენ კოლონიის შინაგანაწესს, თავს არიდებენ სხვადასხვა სამუშაოების შესრულებას, ურჩობენ, ადვილად ებმებიან ანტისოციალურ დაჯგუფებებში. კომპენსაციის მდგომარეობაში მყოფი პირები ხასიათდებიან შედარებითი სიმშევით, ასრულებენ ადმინისტრაციის მოთხოვნებს, თავს არიდებენ კონფლიქტურ სიტუაციებს, მშვიდი ურთიერთობა აქვთ სხვა მსჯავრდებულებთან. ისინი აქტიურად არიან ჩაბმული შრომით პროცესებში და პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათ შესრულებას.<sup>1</sup>

საინტერესო მონაცემები მოჰყავთ ვ. კოზულიას და ე. პობრიზგაევას. მათი მონაცემებით, ფსიქიკური ანომალიების მქონე მსჯავრდებულთა უმრავლესობა 38% მიეკუთვნება „შრომისმოყვარე მსჯავრდებულებს და შედიან შესაბამის სოციალურ დაჯგუფებებში, 28% არ მიეკუთვნება რაიმე დაჯგუფებას, და ეწევიან განმარტოებულ ცხოვრებას, 11% მიეკუთვნებიან ეწ. აქტივისტებს და ხელს უწყობენ ადმინისტრაციას მუშაობაში, 11,9% შედიან ანტისაზოგადოებრივ, მაგრამ არა დანაშაულებრივ დაჯგუფებებში, 4,3% გაერთიანებაში, რომლებიც ჩადიან დანაშაულს. ფსიქიკური ანომალიების მქონე მსჯავრდებულთა უმრავლესობა ხასიათდებიან იმით, რომ ისინი ადგილად ურთიერთობენ, შედიან კონტაქტებში

<sup>1</sup> იხ. Сирожидинов Д.В. დასახ. ნაშრ. გვ. 151-153.

სხვა დამნაშავეებთან, მაგრამ, ამავე დროს, იჩენენ უნდობლობას, სიფრთხილეს, ასევე აღსანიშნავია, რომ ფსიქიკური ანომალიების მქონე მსჯავრდებულთა უმრავლესობა არ სარგებლობს ავტორიტეტით კოლონიებში.<sup>1</sup> აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ფსიქიკური ანომალიების მქონე მსჯავრდებულთა საპატიმრო რეჟიმი სპეციფიკურ დამოკიდებულებას საჭიროებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფსიქიკური ანომალიების მქონე მსჯავრდებულები შესაძლებელია იმყოფებოდნენ ჯანმრთელ დამნაშავეებთან ერთად, ერთ კოლონიაში, მაგრამ მათ მიმართ აუცილებელია შეირჩეს ფსიქიკური ანომალიის ხასიათის, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის და სხვა გარემოებების გათვალისწინებით სპეციფიკური რეჟიმი, რომელიც არ მოახდენს ფსიქიკური ანომალიის უფრო გართულებას, ანომალიური მდგომარეობის პროცესის. უმჯობესია, ეს პირები არ მოთავსდნენ სხვა მსჯავრდებულებთან ერთად ერთ საკანში, არამედ იმყოფებოდნენ მათგან განცალკავებით. აქ, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ფსიქიკური ანომალიის ხასიათი, თვით მსჯავრდებულის პიროვნება და სხვა ფაქტორები. როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ, იზოლაციის მდგომარეობა იწვევს ადამიანში ფსიქიკურ დარღვევებს, ძირითადად ემოციურ სფეროში, რაც კიდევ უფრო უარყოფითად მოქმედებს ფსიქიკური ანომალიის მქონე პირებზე. შიში, შფოთვა, აპათია, მოწყენილობა, როგორც წესი თან სდევს ფიზიკურ იზოლაციას.<sup>2</sup>

ამიტომ, უნდა შეირჩეს მათი ყოფა-ცხოვრების, შრომის ისეთი პირობები, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ფსიქიკური ანომალიის ხასიათი და სიმძიმე. არ შეიძლება მათ დაეკისროს ისეთი სამუშაოს შესრულება, რომელიც მოითხოვს ნებისყოფის კონცენტრაციას, ყურადღებას, სიფრთხილეს. ამ კატეგორიის პირებისთვის აუცილებელია ექიმ-ფსიქიატრის კონსულტაციები, რომელიც გარკვეული პერიოდულობით უნდა ტარდებოდეს და მიზნად ისახავდეს ფსიქიკური ანომალიების პროფილაქტიკას. აგრეთვე, აუცილებლად მიგვაჩნია, პროფილაქტიკის მიზნით მათ მიმართ მედიკამენტების გამოყენება, მიუხედავად იმისა, დაენიშნათ თუ არა მათ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება. ეს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ფსიქიკური ანომალიის გართულების თავიდან ასაცილებლად. სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ასეთ პირებთან ურთიერთობისათვის განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ფსიქიატრებს, ფსიქოლოგებს, პათოფსიქოლოგებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ მართლმსაჯულების მიზნების მაქსიმალურად ეფექტურ განხორციელებას, რეციდივების თავიდან აცილებას, ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ფსიქიატრების, ფსიქოლოგების მონაწილეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებების მუშაობაში აუცილებლად მიგვაჩნია, რათა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ღორული და ზუსტი ღონისძიებები იქნას გატარებული გართულებების თავიდან ასაცილებად. სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ ცვლილებებამდე,

<sup>1</sup> იხ. Сирожидинов Д.В. დასახ. ნაშრ. გვ. 157.

<sup>2</sup> იხ. Шмаров И.В. Предупреждение преступлений среди освобождённых от наказания М., 1974, с. 11.

გათვალისწინებული იყო სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენება „შეზღუდულ შერაცხადთა მიმართ. როგორც პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, 75-დან მხოლოდ 9 შემთხვევაში მიუთითებდნენ ექსპერტები სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენების საჭიროებაზე. ეს, როგორც ფსიქიატრები აღნიშნავდნენ, დამოკიდებულია ფსიქიკური ანომალიის ხასიათზე, მისი სიმძიმის ხარისხზე, დამნაშავის პიროვნებაზე, დაავადების ხანგრძლივობაზე, კომპენსაციის, თუ დეკომპენსაციის მდგომარეობაზე ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე და სხვა ფაქტორებზე.

ცვლილებების შეტანამდე, სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლის II ნაწილი ჩამოყალიბებული იყო შემდეგი რედაქციით: „შეზღუდულ შერაცხადობას სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის დროს და იგი შეიძლება გახდეს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების საფუძველი“. ამასთანავე, სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებებს ეთმობოდა მთელი თავი, რომელიც დღესდღეობით ამოღებულია. ამ თავში მოცემული ნორმები, რომლებიც შეზღუდულ შერაცხადთა მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას ეხებოდა, მთელ რიგ ხარვეზებს შეიცავდა, რასაც ქვემოთ შევხებით, რათა უფრო ნათელი გახდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა მკურნალობასთან დაკავშირებული სირთულეები და მათი დაძლევის გზები. სისხლის სამართლის კოდექსის 101-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების დანიშვნის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში დანაშულის ჩადენა. ამავე მუხლის II ნაწილით, აღნიშნულ პირს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება ენიშნებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ფსიქიკური მდგომარეობა საფრთხეს უქმნიდა თვითონ მას ან სხვას, ანდა შეიცავდა სხვაგვარი არსებითი ზიანის საშიშროებას. რაც შეეხება შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობის გამომწვევ ფსიქიკურ ანომალიებს (ფსიქოპათიები, გონებრივი ჩამორჩენილობა, თავის ტვინის დაზიანების ნარჩენი მოვლენები და ა.შ.), როგორც ფსიქიატრები აღნიშნავენ, ისინი საკმაოდ იშვიათად მიმდინარეობენ ისეთი აუტო და პეტეროვაგრესით, რომ მიაღწიონ იმ კლინიკურ სიმძიმეს, რომელიც აღწერილი იყო 101-ე მუხლის II ნაწილში, როცა აუცილებელი ხდება იძულებითი ხასიათის სამედიცინო ღონისძიებების გამოყენება. ალბათ, ამითაც აიხსნება ის, რომ პრაქტიკაში ასეთ პირთა მიმართ იშვიათად იყენებდნენ სასჯელთან ერთად იძულებითი ხასიათის სამედიცინო ღონისძიებებს. ეს, ვფიქრობთ, სწორი პოზიციაა, ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა მიმართ სამედიცინო ღონისძიების გამოყენების თვალსაზრისით, კანონმდებლობა ხარვეზებსა და წინააღმდეგობებს შეიცავდა. გაუგებარი იყო, თუ რა სახის იძულებითი ხასიათის ღონისძიება უნდა დანიშნოდა შეზღუდული შერაცხადობის მქონე პირს. სისხლის სამართლის კოდექსის 107-ე მუხლის I ნაწილიდან ჩანდა, რომ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულების მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება აღსრულდება თავისუფლების

აღკვეთის მოხდის ადგილას, ხოლო სხვა სასჯელით მსჯავრდებულის მიმართ ფსიქიატრიული დახმარების გამწევ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებაში. როგორც ჩანს, თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდების შემთხვევაში, საუბარი იყო სტაციონარულ ფსიქიატრიულ მკურნალობაზე, რადგან საქართველოში დღესდღეობით არ არსებობს სათანადო პირობები იმისათვის, რომ თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილებში უზრუნველყოფილ იქნეს დისპანსერული ფსიქიატრიული მკურნალობა. მაგრამ, როგორც ვიცით, სტაციონარული მეთვალყურეობა ენიშნებათ იმ პირებს, ვისი ფსიქიკური მდგომარეობა ხასიათდება მძიმე ფსიქიკური მოშლილობით, რომლებიც ატარებენ ფსიქოტურ ხასიათს. ამასთან უცნაურია, როგორ შეიძლება სტაციონარულ პირობებში მკურნალობასთან ერთად სასჯელის მოხდა. იძულებითი სტაციონარული მკურნალობა ენიშნებათ შეურაცხებს, ვისაც არა აქვთ უნარი გააცნობიერონ თავიანთი ქმედების მართლწინააღმდეგობა ან უხელმძღვანელონ მას. საინტერესოა, რითი განსხვავდება ჯანმრთელობის დაცვის სტაციონარულ დაწესებულებაში მყოფთა პირობები, სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებაში მყოფთა პირობებისაგან, მაშინ როცა მათი ფსიქიკური დაავადების სიმძიმე განსხვავდებულია. პირველ შემთხვევაში, საქმე გვაქვს შეურაცხადასთან, მეორე შემთხვევაში შეზღუდულ შერაცხადობასთან, როცა მსჯავრდებული არასრულად, მაგრამ მაინც აცნობიერებს თავისი ქმედების ფაქტობრივ ხასიათს ან მართლწინააღმდეგობას და ხელმძღვანელობს მას. სამწუხაროდ, ის საკითხი, თუ რა წესით, როგორ უნდა მოხდეს სამედიცინო ხასიათის იძულებითი დონისძიების აღსრულება შეზღუდულ შერაცხადთა მიმართ, არაა მოწესრიგებული არც პატიმრობის კანონით, არც სასჯელაღსრულების კოდექსით, ვერც ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონში ვხვდებით რაიმე მითითებას ამ საკითხზე. ვფიქრობთ, ამ მხრივ, კანონმდებლობაში აუცილებლად უნდა იქნას შეტანილი სათანადო ცვლილებები და დამატებები, რათა ამ პრობლემაში მეტი სიცხადე შევიტანოთ. რაც შეეხება არა თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდების შემთხვევებს, სისხლის სამართლის კოდექსის 107-ე მუხლის I ნაწ. მიუთითებდა, რომ მსჯავრდებულის მიმართ იძულებითი ხასიათის დონისძიება აღსრულდება ფსიქიატრიული დახმარების გამწევ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებაში, ანუ როგორც ვხვდებით, აქ საუბარია დისპანსერულ მკურნალობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის ზოგიერთი სახე არ გამორიცხავს სტაციონარული მკურნალობის შესაძლებლობას (მაგ. ჯარიმა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა), ეს საბოლოოდ საქმის არსე არ ცვლის. აქ, ყურადღება უნდა მიექცეს სულ სხვა გარემოებებს. უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 101-ე მუხლის II ნაწილით, პირს სამედიცინო ხასიათის იძულებითი დონისძიება ენიშნებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ფსიქიკური მდგომარეობა საფრთხეს უქმნიდა თვითონ მას ან სხვას, ანდა შეიცავდა სხვაგვარი არსებითი ზიანის საშიშროებას. აქედან გამომდინარე, ბოლომდე არ იყო გასაგები, თუ

როგორ შეიძლება დანიშნოდა პირს იძულებითი ხასიათის დისპანსერული მკურნალობა, თუ ის საფრთხეს უქმნიდა თავის თავს ან სხვას, ან შეიცავდა სხვაგვარი ზიანის საშიშროებას. ჩვენ ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში უპრიანი იქნებოდა სტაციონარული ფსიქიატრიული მკურნალობის გამოყენება. ამასვე მოწმობს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“. ამ კანონის მე-18 მუხლი განმარტავს სწორედ გადაუდებელი სტაციონარული მდგომარეობის კრიტრიუმებს, რომლებიც ქვემოთ გვაქვს მოტანილი. ამ კანონის მე-18 მუხლი სწორედ იძულებით სტაციონარულ მკურნალობაზე აკეთებს აქცენტს, როდესაც სახეზეა გადაუდებელი მდგომარეობის კრიტერიუმები, რომელთა არსებობის შემთხვევაში პირს სწორედ სტაციონარული იძულებითი მკურნალობა უნდა დაენიშნოს. ეს კრიტერიუმებია: 1. როცა პირი საფრთხეს უქმნის თავის ან სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; 2. როცა საკუთარი მოქმედებით შეიძლება მიიღოს ან სხვას მიაუენოს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი. როგორც ვხედავთ, თითოეული ამ კრიტერიუმის არსებობა საკმარისია, რომ პირს იძულებითი ფსიქიატრიული დახმარება დაენიშნოს. შეზღუდული შერაცხადობის გამომნევევი ფსიქიკური დაავადების დროს სახეზე არ გვაქვს აღნიშნული კრიტერიუმები, ანუ ადამიანის ფსიქიკური დაავადება არ აღწევს იმ დონეს, რომ გადაუდებელი მდგომარეობის კრიტერიუმებს აკმაყოფილებდეს. შესაბამისად, თუ პირის ფსიქიკური მდგომარეობა არ უქმნის საფრთხეს თვითონ მას ან სხვას, ან არ შეიცავს სხვაგვარი ზიანის საშიშროებას, ამ შემთხვევაში იძულებითი ხასიათის სამედიცინო ღონისძიებების გამოყენება ეწინააღმდეგება 1991 წლის 17 დეკემბრის გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ „ფსიქიკური დაავადებების მქონე პირთა დაცვისა და ფსიქიატრიის სფეროში ჯანდაცვის გაუმჯობესების რეზოლუციის“ პრინციპებს, რადგანაც სამედიცინო ღონისძიებები, ამ შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ ფსიქიკური ანომალიის მქონე პირის თანხმობით, ანუ იგულისხმება ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარება. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი გვაქვს ადამიანის უფლებების დარღვევასთან. ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონის მე-14 და მე-17 მუხლები, ასეთ შემთხვევაში ნებაყოფლობით ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას გულისხმობენ, რომელიც მხოლოდ პირის თხოვნით, ან თანხმობით ტარდება.

დღევანდები მდგომარეობით, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები, მთლიანად ამოღებულია სისხლის სამართლის კოდექსიდან. არც შეზღუდული შერაცხადობის შემთხვევაში არ არის საუბარი სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებებზე. ჩვენი აზრით, ამ ცვლილებას აქვს დადებითი მხარე, რადგან შეზღუდული შერაცხადების მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე, ჩვენ ზემოთ ვსაუბრობდით. როგორც დღევანდები კანონმდებლობის ანალიზიდან ჩანს, შეზღუდულ შერაცხადთა მიმართ მკურნალობა ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს. ეს მისასალმებელია, მაგრამ არა ნათელი, როგორ, რა პირობებში უნდა მოიხადონ სასჯელი შეზღუდულმა შერაცხადებმა ( საუბარია ფსიქიკური დაავადებით გამოწვეულ შეზღუდულ შერაცხადობაზე).

მიუხედავად იმისა, რომ არანებაყოფლობითი მკურნალობის ჩატარება მათ მიმართ არ ხდება, ისინი თავისი ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შეიძლება გათანაბრებულ მდგომარეობაში იყოფებობდენ ფსიქიკურად ჯანმრთელ მსჯავრდებულებთან. ამან, შეიძლება უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს, რადგან შესაძლოა გამწვავდეს ფსიქიკური ანომალია, გართულდეს რეაბილითაციის პროცესი. ფსიქიკური ანომალიის მქონე პირები ადვილად ექცევიან სხვათა გავლენის ქვეშ, ადვილია მათი დაყოლიება სხვადასხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენაზე, პროვოცირება რეჟიმის დარღვევაზე და ა. შ. ამიტომ, ვფიქრობთ, სასჯელადსრულების კოდექსში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ეს საკითხი, რადგან დღევანდელი მდგომარეობით ეს პრობლემა მოუწესრიგებელია.

ჩვენ ვემხრობით მოსაზრებას, რომლის მიხედვით ფსიქიკური ანომალიის მქონე მსჯავრდებულებისათვის სასჯელადსრულებით დაწესებულებაში უნდა შეიქმნას სპეციფიკური რეჟიმი, სადაც მოხდება ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა მიმართ სამკურნალო და ფსიქოკორექციული დონისძიებების გატარება. მათ არ უნდა ჰქონდეთ კონტაქტი იმ მსჯავრდებულებთან, ვისაც უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია. აუცილებელია მათთან ფსიქიატრების, ფსიქოლოგების, ფსიქოთერაპევტების მუშაობა, რადგან ამაზე დიდწილადად დამოკიდებული, თუ რამდენად მოვახერხებთ ჩვენ ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა დამნასავეობასთან ბრძოლას, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას, თუ მივიღებთ უფრო სასტიკ და გამოუსწორებელ დამნასავეებს. ჩემი აზრით, ამ კატეგორიის პირთა მიმართ სასჯელადსრულების დაწესებულებაში უნდა მოეწყოს სპეციალური ტიპის საკნები, რომლებშიც უფრო ასატანი და გაუმჯობესებული იქნება ყოფა-ცხოვრების პირობები. გარდა ფსიქიატრების და პსიქოლოგების, რომლებიც აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ ამ პირთა გამოსწორების და რესოციალიზაციის საქმეში, აუცილებლად მიმაჩნია, სასჯელადსრულების დაწესებულების იმ მოსამსახურეთა სპეციალური მომზადება ფსიქიატრიასა და ფსიქოლოგიაში, რომლებსაც უშუალო კონტაქტი ექნებათ ამ კატეგორიის მსჯავრდებულებთან.

როცა სასჯელი არაა დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, უნდა შეიქმნას სპეციალური ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის, ფსიქოკორექციული ცენტრები, რომლებიც განახორციელებენ სპეციალურ პროექტებს და დახმარებას გაუწევენ ფსიქიკური ანომლიების მქონე პირებს მკურნალობის და რეაბილიტაციის თვალსაზრისით. ამ ცენტრებში მკურნალობა ექიმის რეკომენდაციის საფუძველზე უნდა ხდებოდეს. იმ შემთხვევებში, თუ პირი არიდებს თავს მკურნალობას და მისი ფსიქიკური მდგომარეობა გაუარესდა, მის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარება. აგრეთვე, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, როცა პირი კეთილსინდისიერად ასრულებს ექიმის მითოვებებს, არ არღვევს დადგენილ წესებს, მის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს წამახალისებელი ზომები, მაგალითად,

ვადამდე ადრე გათავისუფლება სასჯელისაგან, ან სასჯელის ვადის შემცირება და სხვა, რაც კიდევ უფრო მეტი სტიმული იქნება ფსიქიკური ანომალიის მქონე პირის მხრიდან მომავალში დანაშაულის ჩადენის პრევენციისათვის და მკურნალობისათვის. ამ კუთხით, ვფიქრობთ, მთავარია დამოკიდებულების შეცვლა ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა მიმართ, როცა ისინიც იქნებიან დაინტერესებული საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებაში. კარგი იქნება, თუ ამაზე მოხდება სათანადო უურადღების მიქცევა. ამას, დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მათი რესოციალიზაციისათვის და დანასაულის პრევენციისათვის.

#### **4.12 სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის საკითხი**

შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევ გარემოებათაგან, აგრეთვე უურადღებას შევაჩერებო პასუხისმგებლობის საკითხზე სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის. ეს ეხება, როგორც ალკოჰოლურ, ასევე ნარკოტიკულ და ტოქსიკურ სიმთვრალეს. საბჭოთა პერიოდში გაბატონებული პოზიციის მიხედვით, სიმთვრალე (მხედველობაში ჰქონდათ ალკოჰოლური) ითვლებოდა პასიხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ვერ ვხვდებით ნორმას, რომლითაც მოწესრიგებული იქნებოდა სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის პასუხისმგებლობის საკითხი. ჩვენი აზრით, კანონმდებელს უნდა გაეკეთებინა მითითება იმაზე, წარმოადგენს თუ არა სიმთვრალე ბრალის შემამსუბუქებელ, დამამძიმებელ, თუ ნეიტრალურ გარემოებას. საბოლოდ, ეს სასამართლოს მსჯელობის საქმეა კონკრეტული ფაქტიდან გამომდინარე, მაგრამ ვფიქრობთ, შეიძლებოდა ზოგადი მითითება იმაზე, რომ სიმთვრალის ხარისხიდან, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმიდან, სიმთვრალის გამომწვევი მიზეზებიდან გამომდინარე, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, თუ რა როლს შეასრულებს სიმთვრალის ფაქტი ბრალისა და პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას.

როგორც აღვნიშნეთ, სიმთვრალე სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს. ალკოჰოლს მიეკუთვნება ისეთი ნივთიერებები, რომლებიც ახდენენ ადამიანზე გამაბრუუბელ და მათრობელ ზემოქმედებას. ეს არის სპირტის შემცველი სხვადასხვა ნივთიერებები. მაგალითად, ეთილის სპირტი, ეთანოლი, თვითნაკეთი ალკოჰოლური სასმელები და ა.შ. ნარკოტიკულ საშუალებებს მიეკუთვნება ფსიქოაქტიური ნივთიერებები, რომლებიც შეესაბამებიან სამ ძირითად კრიტერიუმს: სამედიცინო (სპეციფიკურ ზემოქმედებას ახდენენ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე), სოციალურს (წარმოადგენენ საფრთხეს მოსახლეობისათვის არასამედიცინო დანიშნულებით გამოყენების შემთხვევაში), იურიუდიულს (შეტანილი არიან ნარკოტიკულ ნივთიერებათა ნუსხაში). ფსიქოტროპულ საშუალებებს წარმოადგენენ სამკურნალო პრეპარატები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ფსიქიკაზე. მაგალითად, ტრანკილიზატორები, ნეიროლეფანტიკური საშუალებები, ანტიდეპრესანტები (სამედიცინო კრიტერიუმები), წარმოადგენენ

საფრთხეს ტოქსიკური თვისებების გამო (სოციალური კრიტერიუმი), შეტანილი არიან ფსიქოტროპულ ნივთიერებათა ნუსხაში (იურიდიული კრიტერიუმი).<sup>1</sup>

ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ სიმთვრალე რეალურ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე და მის ქცევაზე. ამის ფიზიოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ორგანიზმის, მათ შორის ცენტრალური ნერვული სისტემის ინტრაცია. ალკოჰოლი ართულებს აღქმის სიზუსტეს, ამცირებს გადამუშავებული ინფორმაციის მოცულობას, ამახინჯებს ემოციურ პროცესებს და სხვ.<sup>2</sup> ალკოჰოლის მომატებისას ხდება ინფორმაციის გადამუშავების, გარე სამყაროში ორიენტაციის, გაცნობიერების ფუნქციის დაქვეითება. ქვეითდება სენსორული პროცესები. ალკოჰოლური სიმთვრალე იწვევს აღგზნებისა და შეკავების პროცესთა დისბალანსს. ხდება საკუთარ მოქმედებათა მიმართ კრიტიკის დაქვეითება, აგრეთვე წინა პლანზე წამოიწევს ინსტინქტები და განცდები, რომლებიც ავლენს იმ ფარულ თვისებებს, რასაც ადამიანი აკონტროლებს ფხიზელ მდგომარეობაში (წყენა, ეჭვიანობა და სხვა). ადამიანს უქვეითდება საკუთარი მოქმედების შედეგის განჭვრების უნარი. უკელაფერმა ამან, არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტაზე, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის საკითხისადმი არ შეიძლება ცალმხრივი მიდგომა. თუ გავითვალისწინებთ უცხოეთის ქვეყნების კანონმდებლობის დამოკიდებულებას სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისადმი, შეიძლება ითქვას, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ამ პრობლემას საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა, მიდგომა იქაც არა ცალმხრივი. მაგალითად, ინგლისის სისხლის სამართლი განასხვავებს სიმთვრალის ორ სახეს – ნებაყოფლობით და არანებაყოფლობით სიმთვრალეს. ნებაყოფლობითად ითვლება სიმთვრალე, როცა დამნაშავე ნებაყოფლობით იღებს სიმთვრალის გამომწვევ ნივთიერებებს, მიუხედავად იმისა იცის თუ არა მან ამ ნივთიერებების ზემოქმედების ძალა. ნებაყოფლობითი სიმთვრალე, რა თქმა უნდა, არ ათავისუფლებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რადგან ფსიქიკური დაავადებისაგან განსხვავებით, ის უკავშირდება ნებისყოფის თავისუფალ გამოვლინებას. ამასთან, ნებაყოფლობითი სიმთვრალე შეიძლება გახდეს სასჯელის შემსუბუქების საფუძველი, თუ დანაშაულის ჩადენას სჭირდება სპეციალური განზრახვა და სიმთვრალის მდგომარეობა მოწმობს, რომ პირს ასეთი განზრახვა არ ჰქონდა დანაშაულის ჩადენის დროს. მაგალითად, მკვლელობის დროს თუ პირს არ ჰქონდა მკვლელობის სურვილი და შედეგი დადგა შეცდომის, ან სხვა რაიმე მიზეზის გამო. ასეთი მკვლელობა შეიძლება უფრო მსუბუქად დაკვალიფიცირდეს და სასჯელის შემსუბუქება გამოიწვიოს.

არანებაყოფლობითი სიმთვრალე შეიძლება გახდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების

<sup>1</sup> იხ. Назаренко Г.В. დასახ. ნაშრ. გვ. 153-154.

<sup>2</sup> იხ. Братусь Б.С. Аномалии личности. М., 1988, с. 229-230.

საფუძველი იმ შემთხვევაში, თუ პირი ჩავარდა ისეთ მდგომარეობაში, როცა გამოიყენება მ'ნეითენის წესი, ანუ როცა მას არ შეეძლო თავის მოქმედების გაცნობიერება, ან კონტროლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუმცა ის უნდა იყოს შემსუბუქებული.<sup>1</sup>

იგალის სისხლის სამართლის კანონმდებლობით სიმთვრალე შეიძლება გახდეს შეურაცხაობის მიზეზი, თუ პირს არ შეეძლო გაცნობიერებინა თავისი ქმედება და ეხელმდგანელა მისთვის. თუ სიმთვრალის მდგომარეობა არ გამორიცხავდა, მაგრამ მნიშვნელოვნად ამცირებდა მოქმედების გაცნობიერების და კონტროლის უნარს, პირს ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, მაგრამ სასჯელი აუცილებლად უნდა შეუმცირდეს. აქ იგულისხმება სიმთვრალის მდგომარეობა, თუ ის გამოწვეულია დაუძლეველი ძალით ან სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევებით. თუ პირმა ნებაყოფლობით მიიყვანა თავისი თავი სიმთვრალემდე, მაშინ მას სასჯელი არ უმსუბუქდება, ხოლო თუ მან ეს გააკეთა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, მაშინ მისი სასჯელი დამდიმდება<sup>2</sup>.

გერმანიის სისხლის სამართალი სიმთვრალეში დანაშაულის ჩადენას უკავშირებს კონკრეტულ ფაქტორებს. ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნება ის, მიიყვანა თუ არა პირმა თავისი თავი მიზანმიმართულ მთვრალ მდგომარეობაში. ამასთან იგი უნდა უშვებდეს სიმთვრალეში დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას. თუ ის ასეთ შესაძლებლობას უშვებს, ან პირიქით მან იცის საკუთარი მოქმედების აგრესიულობის შესახებ სიმთვრალეში, მაშინ ასეთ შემთხვევაში მას ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელი არ შეუმსუბუქდება. სხვა შემთხვევაში, სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის, შეიძლება გამოყენებული იქნას ნორმა შეზღუდული შერაცხადობის შესახებ.<sup>3</sup> როგორც ვხედავთ, სიმთვრალის მდგომარეობისადმი განსხვავებული მიღგომა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის გამოწვეული ეს მდგომარეობა, ნებაყოფლობით თუ არა, ხომ არ არის იგი ჩადენილი დანაშაულის გაადვილებისათვის, შეცდომის გამო, ძალდატანებით და ა.შ. მართებულად მიგვაჩნია პროფ. ა. გაბიანის მოსაზრება. მისი აზრით, ალკოჰოლური სიმთვრალე რომ ჩაითვალოს, ან არ ჩაითვალოს პასუხისმგებლობის დამამდიმებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებად, ყურადღება უნდა მიეკცეს ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს და დამნაშავის პიროვნებას.<sup>4</sup> ჩვენი აზრით, სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას თითოეული ფაქტიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს, თუ როგორ იქნა გამოწვეული

<sup>1</sup> იხ. Уголовное право зарубежных государств. Общая часть. Под ред. И.Д. Козочкина М., 2001, с. 41-44.

<sup>2</sup> იხ. Уголовное право зарубежных государств. Общая часть. Под ред. И.Д. Козочкина М., 2001, с. 527-528.

<sup>3</sup> იხ. Иванов Н.Г. დასახ. ნაშრ. გვ. 201.

<sup>4</sup> იხ. Габиани А. Уголовная ответственность за преступления совершенные в состоянии опьянения. Тбилиси, 1968, с. 126-127.

სიმთვრალე, რა ზეგავლენა მოახდინა მან დანაშაულის ჩადენაზე, რა ხარისხის იყო ეს სიმთვრალე, რა კატეგორიის დანაშაული იქნა ჩადენილი, დამნაშავის პიროვნება და სხვა გარემოება. მხოლოდ ამის შემდეგ, თუ არ არსებობს ისეთი გარემოებები, რომლებმაც შეიძლება დაამდიმოს პასუხისმგებლობა, დამნაშავეს შეიძლება შეუმსუბუქდეს სასჯელი. ამდენად, სიმთვრალე შეიძლება ჩაითვალოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად, მაგრამ ეს ყოველი კონკრეტული დანაშაულებრივი ფაქტის შეფასებისას უნდა გადაწყდეს. რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, რომლებიც ცნობილია *actiones libera in causa*-ს სახელწოდებით, ანუ როცა პირმა თვითონ ჩაიყენა თავისი თავი სიმთვრალის მდგომარეობაში, რის შემდეგაც ჩაიდინა დანაშაული, ან გაიადვილა დანაშაულის ჩადენა, მის მიმართ შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს. მაგალითად, პირი, რომელიც იცავს სტრატეგიულ ობიექტს, მიიღებს ნარკოტიკულ ან ალკოჰოლურ ნივთიერებას და გამოიწვევს ნებაყოფლობით სიმთვრალეს, რა დროსაც მოხდება ამ ობიექტზე შეღწევა და მისი დაზიანება. ასეთ შემთხვევაში მას სრულად უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა და მის შემსუბუქებაზე საუბარი არ შეიძლება, რადგან მისი მოქმედება (სიმთვრალე) წარმოადგენდა მის ცნობიერ და ნებელობით აქტს. ასეთ ვითარებაზე მართებულად მიუთითებს თავის ნაშრომში რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტი 6. ტაგანცევი.<sup>1</sup> ფსიქიკური ანომალიისაგან განსხვავებით, რომელიც, როგორც წესი, იწვევს პასუხისმგებლობის შემსუბუქებას და იგი არ შეიძლება დამამდიმებელ გარემოებად იქცეს, სიმთვრალემ შეიძლება გამოიწვიოს პასუხისმგებლობის დამდიმება, თუ იგი დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით მოხდა, აგრეთვე ისეთ შემთხვევებში, როცა დამნაშავეს განსაკუთრებული საფრთხის წყაროებთან აქვს საქმე და სხვა. მართებულად მიგვაჩნია 6. თოდუას მოსაზრება, რომ სიმთვრალის ხარისხის მიხედვით არ შეიძლება გაიზარდოს სასჯელი. სიმთვრალის ხარისხმა მხოლოდ მაშინ შეიძლება მოახდინოს ზეგავლენა სასჯელზე, თუ პირი დათვრა დანაშაულის ჩადენის მიზნით ანდა მაშინ, როცა კავშირი ჰქონდა მომეტებული საფრთხის წყაროსთან. სიმთვრალის ხარისხს უნდა მიენიჭოს მნიშვნელობა მაშინ, როცა სიმთვრალე ჩაითვლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად. მაგალითად, როცა დანაშაულის ჩამდენი პირის სიმთვრალე დადგა მისი ნებისაგან დამოუკიდებლად. სასჯელის შემსუბუქების მეტი საფუძველი არსებობს მაშინ, როცა დანაშაულის ჩამდენი იყო საშუალო ხარისხის სიმთვრალეში ან ძლიერ სიმთვრალეში, ვიდრე მაშინ, როცა პირი მსუბუქად იყო მთვრალი<sup>2</sup>. ყოველივე ზემოთქმული ეხება სიმთვრალის ყველა სახეს. უნდა აღინიშნოს, რომ აქ საუბარი იყო ჩვეულებრივ სიმთვრალეზე, რადგან როგორც ვიცით პათოლოგიური სიმთვრალე შეურაცხაობას იწვევს, აგრეთვე არ არის საუბარი ქრონიკულ ფორმებზე,

<sup>1</sup> იხ. Таганцев Н. С. Русское уголовное право. Лекции. Часть общая. Т.1, М., 1994, с. 176-177.

<sup>2</sup> იხ. თოდუა 6. სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის სისხლის-სამართლებრივი საკითხები. თბ., 1997, გვ. 67-68.

ფსიქიკური ანომალიებით დამძიმებულ შემთხვევებზე და ა.შ., რადგან ეს შემთხვევები სხვაგვარ მიღებული საჭიროებენ.

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ შევეცადეთ გაგვეხილა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობის გამომწვევი გარემოებებისას სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებული საკითხები. ჩვენ შევეხეთ იმ გარემოებებს (ფსიქიკური ანომალიები, აფექტი, სიმთვრალე), რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება პრაქტიკაში და ვფიქრობთ, რომ ეს გარემოებები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მათი როლის შესწავლისა და შეფასების შემდეგ, თუ ისინი ზღუდავენ პირის მიერ საკუთარი მოქმედების გაცნობიერებისა და ხელმძღვანელობს უნარს, უნდა იწვევდნენ ბრალისა და სასჯელის შემსუბუქებას.

#### 4.1.3 არასრულწლოვნის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესაძლებლობის საკითხი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილით: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება განთავისუფლდეს არასრულწლოვნი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში“.

ჩვენი აზრით, კანონმდებელს ამ შემთხვევაში სწორი პოზიცია უკავია, რადგან როგორც ჩვენ გვაქვს აღნიშნული, არასრულწლოვნება ისედაც წარმოადგენს შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევ მდგომარეობას. ამასვე მოწმობს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 კარი. გარდა ამისა, არასრულწლოვნი თუ კიდევ დაავადებულია ფსიქიკურად, ან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზღუდავს მის ცნობიერებას და ნებელობას დანაშაულის ჩადენის დროს, ის შეიძლება საერთოდ განთავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რადგანაც ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შერაცხადობის ორმაგ შეზღდვასთან. ამავე დროს, მართებულია კანონმდებლის მითითება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესაძლებლობაზე და არა სავალდებულობაზე. სასამართლომ, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას უნდა გაითვალისწინოს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ფაქტორები: ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მიყენებული ზიანი, დაავადების სიმძიმე და ხასიათი, არასრულწლოვნის სოციალური, ოჯახური მდგომარეობა, მისი პირადი დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან და ა. შ. ამასთან ერთად, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისებით და ზემოთაღნიშნულ გარემოებებთან ერთად მხედველობაში მიიღოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რომლებიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ახასიათებენ. მეორე მხრივ კი პიროვნების მახასიათებელი ნიშნები – წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ, მისწრაფება აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. მაგალითად, თუ

არასრულწლოვანმა ფსიქოპათმა ჩაიდინა მკვლელობა, ყაჩაღობა, გაუპატიურება ან სხვა მძიმე დანაშაული, მას ახასიათებს მიღრეკილება აგრესიისაკენ, კრიმინალური ქცევისაკენ, სასამართლომ ის არ უნდა გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რადგანაც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მისი პიროვნული მახასიათებლები ამის საშუალებას არ იძლევიან. ხოლო თუ ჩადენილია ქურდობა ოლიგოფრენის მიერ, კოქვათ, მაღაზიაში შესულ ოლიგოფრენის მოუნდა ტკბილეული და დახლიდან ფარულად აიღო რამოდენიმე კოლოფი ნამცხვარი. ჩემი აზრით, პირი ამ შემთხვევაში შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რადგანაც მის მიერ ჩადენილი ქმედება, მისი დაავადების ხასიათი და სხვა გარემოებები იძლევა ამის შესაძლებლობას. ანდა კიდევ, თუ ოლიგოფრენით დაავადებულ პირს აჯავრებენ თანატოლები და მან მათი მოგერიების მიზნით ერთ-ერთ მათგანს მიაუენა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, ამ შემთხვევაშიც, ვფიქრობ, სასამართლომ იგი შეიძლება გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. აქედან გამომდინარე, სასამართლომ ყოველი კონკრეტული ფაქტის გათვალისწინებით უნდა იმსჯელოს ამ საკითხებზე და თუ მივა დასკვნამდე, რომ პირს არა აქვს მიდრეკილება კრიმინალური აქტივობისაკენ, არა აქვს ისეთი ფსიქიკური დაავადება, რომელსაც ახასიათებს მაღალი კრიმინოგენულობა, არ ჩაუდენია მძიმე დანაშაული და სხვა, იგი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

#### **4.1.4 შუალედური დასკვნა**

ჩვენი აზრით, სასამრთლომ შეზღუდული შერაცხადობის შემთხვევაში განსასჯელს უნდა შეუმსუბუქოს სასჯელი, რადგან შეზღუდული შერაცხადობა გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირს არ შეუძლია სრულად გააცნობიეროს თავისი ქმედება და უხელმძღვანელოს მას. ამასთან ერთად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეზღუდულ შერაცხადად პირი უნდა ცნოს სასამართლო. ეს იმას ნიშნავს, რომ შეზღუდული შერაცხადობა არის არა ფსიქიატრიული, არამედ სამართლებრივი „დიაგნოზი“. გარდა ამისა, ჩვენი აზრით, შეზღუდული შერაცხადობა არ უკავშირდება მხოლოდ ფსიქიკურ ანომალიას. ფსიქიკური ანომალიის არსებობა თავისთავად არ არის საკმარისი პირის შეზღუდულ შერაცხადად ცნობისათვის, რადგანაც შესაძლებელია პირს ჰქონდეს ფსიქიკური ანომალია, მაგრამ სრულად აცნობიერებდეს თავის ქმედებას და აკონტროლებდეს მას. აქედან გამომდინარე, თუ სასამართლოზე დადგინდება, რომ განსასჯელს უმართლობის ჩადენის დროს არ შეეძლო სრულად გაუცნობიერებინა თავისი ქმედება და ეხელმძღვანელა მისთვის (მიუხედავად გამომწვევი გარემოებებისა), მხოლოდ ამის შემდეგ ის შეიძლება ვცნოთ შეზღუდულ შერაცხადად და შემსუბუქებულად შევრაცხოთ მას ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

## **4.2 ინფორმაციის შეფასება კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენებით**

### **4.2.1 კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდების დახასიათება**

სიტყვის ფართო გაგებით, მეთოდი ნიშნავს ცოდნის სისტემის ჩამოყალიბებისა და დასაბუთების მიზნით, ბუნების მოვლენებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შემეცნების ხერხს. ვიწრო გაგებით, მეთოდის ქვეშ იგულისხმება თეორიული, პრაქტიკული, შემეცნებითი, მართვის ან ცხოვრებისეული ამოცანის გადაწყვეტის განსაზღვრული საშუალება. კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდები კრიმინოლოგიური ცოდნის ჩამოყალიბებისა და დასაბუთების ხერხებს წარმოადგენენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი დანაშაულზე, მისი ფუნქციონირების კანონზომიერებებზე, დამნაშავის პიროვნულ თვისებებზე და დანაშაულთან ბრძოლის გზებზე ინფორმაციის შეგროვების, მისი დამუშავებისა და ანალიზის საშუალებების ერთობლიობა. კრიმინოლოგიაში კონკრეტულ-კრიმინოლოგიური მეთოდების გამოყენება მიზნად ისახავს დანაშაულობაზე რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სურათის შექმნასა და კრიმინოგენურ ფაქტორთა შემეცნების პრობლემის გადაწყვეტას<sup>1</sup>.

კრიმინოლოგიური კვლევის დროს მეთოდების გამოყენებას ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან კრიმინოლოგია გამოცდილებაზე დამყარებული მეცნიერებაა და სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი ხდება საჭირო მონაცემების, თუ ინფორმაციის მიღება და მისი სწორი ანალიზი და შეფასება. ჩვენ სადისერტაციო თემაზე მუშაობის დროს შევისწავლეთ ფსიქიატრიული ექსპერტიზის და სასამართლო პრაქტიკა, რომელმაც დაგვანახა გარკვეული პრობლემები, რომელთა ანალიზს ჩვენ ქვემოთ შევეცდებით. ამ პრობლემების გაანალიზებისას ჩვენ გამოვიყენებთ სტატისტიკურ, დოკუმენტების ანალიზის და გამოკითხვის მეთოდებს.

### **4.2.2 სტატისტიკური მეთოდი**

სტატისტიკურ მეთოდს კრიმინოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მის ქვეშ იგულისხმება დანაშაულის შესახებ მონაცემების სისტემატური შეგროვება და მათი განლაგება შესაბამის კატეგორიებში. ამ მეთოდის მეშვეობით წარმოებს შემდგომში დანაშაულობის ანალიზი და განისაზღვრება მისი მდგომარეობა, სტრუქტურა და დინამიკა<sup>2</sup>. სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით, ჩვენ შევეცადეთ იმის გარკვევა, თუ რა სახის დანაშაულს ჩადიან ფსიქიკური ანომალიების პირები, რა სახის ფსიქიკური ანომალიებია ყველაზე გავრცელებული და რა რაოდენობის ადამიანი იქნა ცნობილი შეზღუდულ შერაცხადად. ჩვენს მიერ აღებული იქნა დროის გარკვეული მონაცემთი – 2000-2003 წლები და სწორედ დროის ამ მონაცემთი იქნა შესწავლილი ეს ინფორმაცია. სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის მონაცემთა შესწავლამ სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით დაგვანახა შემდეგი სურათი. შეზღუდულ

<sup>1</sup> იხ. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში. რედ. გ. დლონტი. თინათინ წერეთლის სახელმწიფოს და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2008, გვ. 59.

<sup>2</sup> იხ. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში, გვ. 68.

შერაცხადებათ ცნობილ ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა შორის, უმრავლესობას წარმოადგენენ ოლიგოფრენები და ფსიქოპათები დაახლოებით 80 პროცენტი. დანარჩენები იყვნენ ეპილეფსიით, შიზოფრენიით დაავადებულები, თავის ტვინის დაზიანების ნარჩენი მოვლენებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობები, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია. ა. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის 2000-2003 წლის საექსპერტო პრაქტიკის შესწავლამ დაგვანახა, რომ შეზღუდულ შერაცხადებად ცნობილ პირთა რაოდენობამ შეადგინა 75 კაცი. აქედან 37 იყო ოლიგოფრენი, 27 ფსიქოპათი, 5 ეპილეფსიით დაავადებული, 4 შიზოფრენიით დაავადებული (რემისიის მდგომარეობა), 4 თავის ტვინის დაზიანებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობებით, 1 ქრონიკული ალკოჰოლიკი. მათ შორის იყვნენ ისეთი პირები, რომლებსაც ერთდროულად პქონდათ რამდენიმე ფსიქიკური ანომალია. მაგალითად, პიროვნული აშლილობა გართულებული ქრონიკული ალკოჰოლიზმით, ორგანული პიროვნული აშლილობა გართულებული ნარკომანიით, ფსიქოპათია, ალკოჰოლიზმი, თავის ტვინის დაზიანების ნარჩენი მოვლენები და სხვა. ერთ-ერთ დასკვნაში საექსპერტო კომისია აღნიშნავდა, რომ ბრალდებულს აღენიშნება პერსონოლოგიური ფსიქოპათიური აშლილობა გართულებული ალკოჰოლიზმით, რაც გამოიხატება იმპულსურობაში, ცვლილებებში ემოციურ სფეროში, მიღრეკილებებში ავტოტრავმებისა და ასოციალური ქცევებისადმი, ოპოზიციურობაში, კონფლიქტურობაში, სოციალურ დეზადაპტაციაში, გუნება-განწყობის სწრაფ ცვალებადობაში, შინაგან შფოთვაში, ეგოცენტრიზმში, ყურადღების კონცენტრაციის და გადანაცვლების გაძნელებაში, რის გამოც კომისიამ მიიჩნია ის შეზღუდულ შერაცხადად. ამ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა უმრავლესობა მიმართულია ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ, აგრეთვე დიდია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რიცხვი, განსაკუთრებით ოლიგოფრენთა შორის. ხშირია საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შემთხვევები, ნარკოტიკული დანაშაული. აგრეთვე გვხვდება დანაშაულთა ერთობლიობა, განსაკუთრებით ფსიქოპათთა შორის. თუ აღნიშნულ მონაცემებს პროცენტებში გადავიყვანთ, შემდეგ სურათს მივიღებთ. პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული - 35 პროცენტი, საკუთრების წინააღმდეგ - 30 პროცენტი, საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ - 20 პროცენტი, ნარკოტიკული დანაშაული - 10 პროცენტი, სხვა დანაშაული - 5 პროცენტი. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ოჯახისა და არასრულწლოვანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და სხვა.

ამ საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა რაოდენობა, რომლებმაც სხვადასხვა დანაშაული ჩაიდინეს არც თუ ისე მცირეა. როგორც ჩვენთან საუბრისას სასამართლო ფსიქიატრებმა აღნიშნეს, იმ პირებს შორის, რომლებმაც სასამართლო ფსიქიატრიული შემოწმება გაიარეს დაახლოებით 30-40 პროცენტი შეადგენს შეზღუდულ შერაცხადებს, ანუ იმ პირებს ვისაც

აქვს ისეთი ფსიქიკური დაავადება, რომელიც სრულად არ უსპობს საკუთარი მოქმედების გაცნობიერების და ხელმძღვანელობის უნარს.

#### 4.2.3 სასამართლო პრაქტიკა და მისი ანალიზი

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა შეზღუდულ შერაცხადთა სისხლის სამართლის საქმეები. მათი შესწავლისას ჩვენ გამოვიყენეთ დოკუმენტების ანალიზის მეთოდი. დოკუმენტების ანალიზში პირველ რიგში იგულისხმება მათში მითითებული, დაფიქსირებული ინფორმაციის მეცნიერულად გამოყენება. დოკუმენტებში იგულისხმება ადამიანის მიერ შედგენილი დოკუმენტები, რომელთა ანალიზით და განმარტებით შესაძლებელი ხდება ადამიანის ქცევის, დამოკიდებულების და სხვა სოციალური მდგრამარეობის მეცნიერული კუთხით გაანალიზება. დოკუმენტებს განეკუთვნება წერილობითი, გრაფიკული, ხმოვანი და სხვა ინფორმაცია, რომლის წყაროს რაიმე საბუთო წარმოადგენს<sup>1</sup>. ქვემოთ ჩვენ მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს პრაქტიკიდან და შევაცდებით მათ გაანალიზებას.

ბ-ს ბრალი ედებოდა 187-ე მუხლის I ნაწილით. სასამართლო-ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დაუდგინა იმპულსურობა, არამდგრადობა, სოციალური და პროფესიული ადაპტაციის დაბალი დონე, კონფლიქტურობა, მიდრეკილება ავტოტრამვებისა და ასოციალური ქცევისადმი, ნეგატივიზმი, საშუალო ინტელექტი. მას აქვს პერსონოლოგიური ფსიქოპათიური აშლილობა, დეკომპენსაციებისადმი მიდრეკილებით. დანაშაულის ჩადენის დროს მას არ შეეძლო სრულად გააცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისოვების. ბ. საჭიროებს იძულებით მკურნალობას. სასამართლომ განაჩენში პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია ის, რომ ბ. აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს. სასამართლომ მას სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე 64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალა პირობით, თუ იგი ორი წლის განმავლობაში არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს. სასამართლოს განაჩენში საერთოდ არ არის მოხსენიებული შეზღუდული შერაცხადობა, როგორც ბრალის შემამსუბუქებელი გარემოება და არც იძულებით მკურნალობაზეა ნათქვამი არაფერი.<sup>2</sup>

ი-ს ბრალი ედებოდა 177-ე მუხლის I, II ნაწ. „ა“ და „გ“ პუნქტებით. სასამართლო-ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ი-ს აღენიშნება არაფსიქოზური დონის შიზოტიპიური აშლილობა, არის ნერვიული, კონფლიქტური, იმპულსური, სოციალურად გარიყული, ავლენს აღქმის გაუკუდმართებას, ელემენტარული ჰალუცინაციები ბოდვისმაგვარი იდეებით, გუნებ-განწყობის მერყეობა, ძილის დარღვევა. სასამარტლო-

<sup>1</sup> იხ. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში, გვ. 63.

<sup>2</sup> თბილისის საქალაქო სასამართლო. საქმე №08051416

ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ ის ცნო შეზღუდულ შერაცხადად და საჭიროდ მიიჩნია მისი იძულებითი მკურნალობა (107-ე მუხლი).

სასამართლო განაჩენში ი-ს საქმეზე აღნიშნულია, რომ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს ის, რომ ი. წარსულში არ არის ნასამართლევი, ხასიათდება დადებითად, აღიარებს და ინანიებს დანაშაულს. მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების ადგენა, საიდანაც 1 წელი პირობითად ჩაეთვალა იმავე ვადით. სასამართლო განაჩენში არაფერია ნათქვამი შეზღუდულ შერაცხადობაზე და არც იძულებით მკურნალობაზე.<sup>1</sup>

ნ-ს ბრალი ედებოდა 260-ე მუხლის II ნაწ. „ა“ პუნქტით. სასამართლო ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მას აღენიშნება არაფსიქოზური რეგისტრის ორგანულ-პიროვნული აშლილობა. აქვს ცვლილებები ემოციურ სფეროში, მიღრეკილია ავტოტრავმებისა და ასოციალური ქცევისადმი. აფლენს აფექტურ დაძაბულობას, იმპულსურობას, ადვილ გაღიზიანებას, აქვს ერთეული სმენითი ჰალუცინაციები, აქტიური ყურადღების კონცენტრაციის დაქვეითება. საექსპერტო კომისიამ დაადგინა, რომ მას არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის. (შეზღუდული შერაცხადობა). ნ. საჭიროებს იძულებით მკურნალობას. სასამართლომ გაითვალისწინა ნ-ს შეზღუდული შერაცხადობა და მას სასჯელის სახედ დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. აგრეთვე დაუნიშნა იძულებითი მკურნალობა ნარკომანიის ხაზით.<sup>2</sup>

მ-ს ბრალი ედებოდა საქართველოს სისხლის სამარტლის კოდექსის 178-ე მუხლის I ნაწილით და 260-ე მუხლის II ნაწილით. მის მიმართ ჩატარებულმა სასამართლო-ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მას აღენიშნება თავის ტვინის დაზიანებით გამოწვეული პიროვნული და ქცევითი აშლილობა, რაც კლინდება გაღიზიანებადობაში, აღგზნებადობაში, სოციალურ დეზადაპტაციაში, მიღრეკილებაში თვითდაზიანებისა და ასოციალურ ქცევებისადმი, იმპულსურობაში, ემოციურ ლაბილობაში, ნებელობის სისუსტეში, ყურადღების, მეხსიერების დაქვეითებაში. დანაშაულის ჩადენის მომენტში არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის (შეზღუდული შერაცხადობა). მ-ს საქმეზე საექსპერტო კომისიამ მიუთითა, რომ ის საჭიროებს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებას. (107-ე მუხლი).

სასამართლომ მიუთითა, რომ მ-ს საქმეზე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა, რომ განსასჯელი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს. დამამიმებელი გარემოებები მას არ გააჩნია, და მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე დროს დაუნიშნა სამედიცინო

<sup>1</sup> თბილისის საქალაქო სასამართლო. საქმე №07050738

<sup>2</sup> თბილისის საქალაქო სასამართლო. საქმე №0205016

ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური მკურნალობა თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილას.<sup>1</sup>

ა-ს ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 19,109 მუხლების „ა“ „გ“ „ზ“ და „ო“ პუნქტებით, 236-ე მუხლის I და II ნაწილით, 353-ე მუხლის I ნაწილით და 379-ე მუხლის I ნაწილით. მის მიმართ ჩატარებულმა ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ა-ს აღნიშნება ორგანული პერსონოლოგიური აშლილობა, გართულებული ნარკოტიზაციით. ხასიათდება კონფლიქტურობით, აფექტურობით, მიღრეკილია ავტოტრავებისა და ასოციალური ქცევებისადმი. ავლენს ეგოცენტრიზმს, ოპზიციურობას. ინტელექტი საშუალო. მიხვედრის, მახვილგონიერების, აზრის გადატანის მნიშვნელობის წვდომა-გაგება და განზოგადების პროცესი გაძნელებულია. საექსპერტო კომისიამ დაადგინა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ა-ს ფსიქიკური მდგომარეობის გამო არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართალწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის. (შეზღუდული შერაცხადობა).

სასამართლომ ა-ს საქმეზე განაჩენში მიუთითა, რომ გაითვალისწინა საქმეზე შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, აღნიშნა, რომ შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს ა-ს შეზღუდული შერაცხადობა, დამამძიმებელ გარემოებას, რომ მას წინათ აქვს ჩადენილი დანაშაული, რომლის გამო ის იხდიდა სასჯელს. სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის I და II ნაწილით, 19,109 მუხლის „ა“ „გ“ „ზ“ „ო“ პუნქტებით, 353-ე მუხლის I ნაწილით და 379-ე მუხლის I ნაწილით სასჯელად განუსაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რა დროსაც უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი სასჯელი. სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 მუხლის თანახმად მას ასევე დაემატა წინა სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ განისაზღვრა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა.<sup>2</sup>

დ-ს მიმართ ჩატარდა ფსიქიატრიული ექსპერტიზა. მას ბრალი ედებოდა 177-ე მუხლის II ნაწილით. ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ დ. დაავადებულია თანდაყოლილი ჰერასუსტობით. მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობის სახით, ემოციურ-ნებელობითი სფეროს აშლილობით. ამას მოწმობს ანამნეზური მონაცემები: დედის მძიმე მშობიარობა, განვითარებაში ჩამორჩენილობა, სასკოლო პროგრამის ათვისების გაძნელება. შემდგომში ხასიათდებოდა ცვლილებით ფსიქიკურ სფეროში ადვილად აღგზნებადობა, აუტოაგრესია. გამოკვლევით გამოვლენილი იქნა ფორმალურობა, ნაწილობრივი ორიენტაცია, ნაკლებპროდუქტიულობა, გუნება-განწყობის სწრაფი ცვალებადობა, ზედაპირულობა, ყურადღების რიგიდულობა, მეხსიერების და სააზროვნო პროცესების გაძნელება, დაბალი ინტელექტი, იმპულსურობა, ოპზიციურობა. დანაშაულის ჩადენის დროს, მას არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი

<sup>1</sup> თბილისის საქალაქო სასამართლო. საქმე №090050095

<sup>2</sup> თბილისის საქალაქო სასამართლო. საქმე №02053185

ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ეხელმდღვანლა მისთვის. მას არ ესაჭიროება სამედიცინო ხასიათის იძულებითი მკურნალობა. იძულებითი მკურნალობის გამოყენების, ან არგამოყენების შესახებ საექსპერტო კომისია მსჯელობს ზოგადად არსებული დაავადებებიდან გამომდინარე მისი ხასიათიდან, სიმძიმიდან და ა. შ. და ცალკე საგანგებო დასაბუთებას არ ახდენს, რაც, ჩემი აზრით, მართებულია.

სასამართლომ გაითვალისწინა, ის, რომ დ.-ს აქვს თანდაყოლილი ჭკუასუსტობა, დანაშაულის ორგანიზატორად გვევლინება სხვა პირი, მან კი დანაშაულის ჩადენაში შეასრულა მეორეხარისხოვანი როლი, დანაშაული ჩადენილი აქვს პირველად, აღიარებს, ინანიებს ჩადენილს და ითხოვს პატიებას და სასჯელად შეეფარდა ჯარიმის – 500 ლარის გადახდა.<sup>1</sup>

ვ.-ს მიმართ ჩატარდა ფსიქიატრიული ექსპერტიზა, მას ბრალი ედებოდა 260-ე, 273-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ექსპერტიზისას ავლენდა შფოთიან, ეჭვიან ხასიათს, მოვლენების მცდარ ინტერპრეტაციას, ვერ იტანდა ხმაურს, ხალხმრავლობას, ადვილად დიზინანდებოდა, პქონდა შინაგანი ემოციური დაძაბულობა, იმპულსურობა. აღენიშნებოდა ყურადღების კონცენტრაციისა და გადანაცვლების გაძნელება. სააზროვნო ამოცანებს წყვეტდა კონკრეტულ-სიტუაციური მიმართულებით. აფექტურ სფეროში პქონდა ემოციური ლაბილობის ნიშნები. კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ მას აღენიშნება ღრმა პერსონოლოგიური ფსიქიათიური აშლილობა, დეკომპენსაციებისადმი მიღრეკილებით, გართულებული ნარკომანით. ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენის დროს ჩაითვალა შეზღუდულ შერაცხადად. ვ.-ს თავისი ფსიქიკური მდგომარეობით ესაჭიროება სტაცონალურ-სპეციალიზირებულ დაწესებულებაში მკურნალობა. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს სასჯელადსრულების სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში, თუმცა იზოლაციასა და ფსიქოტრამპულ სიტუაციებში შესაძლებელია ვ.-ს ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესება.

სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ის ინანიებს დანაშაულს, და ფსიქიოტრავმულ სიტუაციაში შეიძლება გაურთულდეს ფსიქიკური მდგომარეობა. მიესაჭა 3 წლით პირობითი სასჯელი და დაენიშნა მკურნალობა ამბულატორიული წესით საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.<sup>2</sup>

ბ.-ს მიმართ ჩატარდა ფსიქიატრიული ექსპერტიზა, მან ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხ. II ნაწ. გათვალისწინებული დანაშაული. მას აღენიშნება ორგანულ-პიროვნული აშლილობა. გადატანილი აქვს თავის ტვინის ტრავმა, ავლენს ნაკლებპროდუქტიულ კონტაქტს, აქვს ზედაპირული გაფანტულობა, ყურადღების რიგიდულობა, აქტიური ყურადღების კონცენტრაციის და გადანაცვლების გაძნელება. მესეიერების დაჭვებით, დეტალიზაცია, ფორმალური მსჯელობა, უგოცენტრიზმი, შინაგანი შფოთვა, ემოციური ლაბილობა, იმპულსურობა, ადვილი

<sup>1</sup> ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს არქივი. საქმე №0702238

<sup>2</sup> ვაკე-საბურთალოს რაიონული სასაქმართლოს არქივი. საქმე №0701375

გამდიზიანებლობა, აგრესიულობა და აუტოაგრესიის ნიშნები. ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენის დროს არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის. სასამართლომ გაითვალისწინა შემამსუბუქებელი გარემოებები და ბ.-ს სასჯელის სახედ შეუფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. (უმდაბლესი ზღვარი) საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში.<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო ითვალისწინებს შეზღუდულ შერაცხადობას ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად და უმსუბუქებს სასჯელს ასეთ მდგომარეობაში დანაშაულის ჩამდენ პირს. თუმცა, სამწუხაროდ არის შემთხვევები, როცა სასამართლო არასათანადო ყურადღებას აქცევს დანაშაულის ჩამდენი პირის ფსიქიკურ ანომალიებს და არ ითვალისწინებს მათ სასჯელის შეფარდების დროს. სასამართლო განაჩენში არ ასაბუთებს, თუ რატომ გაითვალისწინა, ან რატომ არ გაითვალისწინა შეზღუდული შერაცხადობა. არის შემთხვევები, როცა ფსიქიატრიული ექსპერტიზა ადგენს ფსიქიკურ ანომალიას და პირს შეზღუდულ შერაცხადად აცხადებს, იძლევა რეკომენდაციას, რომ პირს დაენიშნოს იძულებითი მკურნალობა. სასამართლო კი საერთოდ არ ითვალისწინებს განაჩენში ამ გარემოებას და არც ასაბუთებს, თუ რატომ არ გაითვალისწინა. საბოლოოდ, ეს დამოკიდებულია ჩადენილი დანაშაულის სიმბიმეზე, დამნაშავის პიროვნებაზე, დანაშაულით მიყენებულ ზიანზე და ა.შ. მაგალითად, თუ ჩადენილია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, სასამართლომ შესაძლოა არ მიიღოს მხედველობაში დამნაშავის ფსიქიკური ანომალია და არ შეუმსუბუქოს სასჯელი, რაც ჩვენი აზრით, არ არის მართებული. თუ ჩადენილი დანაშაული არ არის მძიმე, არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი ზიანი სასამართლომ შეიძლება უმდაბლეს ზღვარზე უფრო ნაკლები სასჯელი შეუფარდოს, ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი.

#### 4.2.4 გამოკითხვის მეთოდი

გამოკითხვა კრიმინოლოგიაში მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების მეთოდს წარმოადგენს. ის განსაკუთრებით ღირებულია მაშინ, როცა გამოსაკვლევი ობიექტის შესახებ არ არის საკმარისი დოკუმენტური ინფორმაცია, ან როდესაც გამოსაკვლევი მოვლენა არ ექვემდებარება უშუალო დაკვირვებას. ამ სიტუაციაში გამოკითხვა შეიძლება გახდეს ინფორმაციის მოძიების მთავარი მეთოდი<sup>2</sup>.

ჩვენი გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა მოსამართლეთა დამოკიდებულების გარკვევა შეზღუდულ შერაცხადთაოვის სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ჩვენს მიერ ზეპირი გამოკითხვის, ინტერვიუს მეშვეობით გამოკითხული იქნა 6 მოსამართლე. ჩვენს მიერ დასმული იქნა კითხვა: უნდა შეუმსუბუქდეს თუ არა ბრალი და სასჯელი ფსიქიკური ანომალიის მქონე პირს, რაზეა დამოკიდებული მათოვის სასჯელის შემსუბუქება? ამ

<sup>1</sup> ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს არქივი საქმე № 0402304

<sup>2</sup> იხ. კრიმინოლოგია და სამართლდამცავი სისტემა საქართველოში, გვ. 61.

კითხვაზე მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (ხუთმა მოსამართლემ) გვიპასუხა, რომ ეს დამოკიდებულია ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე, მიუწებულ ზიანზე, დამნაშავის პიროვნებაზე და ა.შ. მხოლოდ ერთმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, ფსიქიკური ანომალიის მქონე პირს უნდა შეუმსუბუქდეს ბრალი და სასჯელი, მიუხედავად იმისა, რა სიმძიმის დანაშაული ჩაიდინა მან, რა ზიანი გამოიწვია, თუ ფსიქიკურმა ანომალიამ დანაშაულის ჩადენის დროს გავლენა მოახდინა მის ცნობიერებაზე და ნებელობაზე. მოსამართლეთა გამოკითხვამ დაგვანახა, რომ მათი უმრავლესობა სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებს ფსიქიკურ ანომალიას, არ ითვალისწინებს მის გავლენას დამნაშავის ქცევაზე, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ექსპერთა დასკვნებს. ეს, ჩვენი აზრით, განპირობებულია მოსამართლეთა არასათანადო მომზადებით ფსიქიატრიისა და ფსიქოლოგიის საკითხებში, რაც პრაქტიკაში ხშირად უხეში შეცდომების მიზეზი ხდება.

#### **4.2.5 შუალედური დასკვნა**

სისხლის სამართლის საქმეების შესწავლამ დაგვანახა შემდეგი პროცედურები. უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ წინასწარი გამოძიების დროს ცალკეული საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას, არ ხდება ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა მდგომარეობის გათვალისწინება. სამწუხაროდ, ეს განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული საკითხი არ არის მოწესრიგებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით. მაგალითად, არ არის განსაზღვრული რა დროის განმავლობაში (რამდენი საათი) შეიძლება ფსიქიკური ანომალიის მქონე პირთა დაკითხვა, ვინ უნდა ესწრებოდეს მათ დაკითხვას (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემულია სპეციალური თავი, რომელიც ეხება წარმოებას არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეებზე, სადაც მოწესრიგებულია არასრულწლოვანთა საქმეების წარმოების საკითხები, თუმცა საპროცესო კოდექსში არაფერია ნათქვამი ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეების წარმოებაზე, რაც, ვფიქრობ, უნდა გამოსწორდეს. ეს მნიშვნელოვანია არა მარტო ფსიქიკური ანომალიის მქონე პირთა უფლებების დაცვისათვის, არამედ მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებისათვის და უფრო სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფისათვის.

სასამართლო განაჩენების შესწავლამ დაგვანახა, რომ სასამართლოს მიერ ხშირად არ ხდება ფსიქიკური ანომალიების გათვალისწინება სასჯელის დანიშნის დროს. სასამართლო არ ასაბუთებს, თუ რატომ არ გაითვალისწინა ექსპერტთა დასკვნა, რომ პირს დანაშაულის ჩადენის დროს ფსიქიკური დაბავადების გამო არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებია თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმდგვანელა მისოვის (შეზღუდული შერაცხადობა).

ჩვენს მიერ შესწავლიდი სასამართლო პრაქტიკიდან ჩანს, რომ ზოგიერთ განაჩენში სასამართლო საერთოდ არ მიუთითებს

ექსპერტთა დასკვნაზე და ფსიქიკურ დაავადებაზე, როგორც ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებაზე, რაც ვფიქრობ, დაუშვებელია. ჩვენთვის სრულებით გაუგებარია სასამართლოს ასეთი პოზიცია, რადგან დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლი სასამართლოს ავალებს გაითვალისწინოს სასჯელის დანიშვნის დროს პირის შეზღუდული შერაცხადობის მდგრმარეობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ მართლმსაჯულების უფრო ეფექტურად და სამართლიანად წარმართვისათვის აუცილებელია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სათანადო დამატებების და ცვლილებების შეტანა, რითაც დარეგულირდება ფსიქიკური დაავადების მქონე პირთა მიერ (შეზღუდული შერაცხადობა) ჩადენილი დანაშაულის საქმეებზე წარმოება. როგორც საექსპერტო პრაქტიკის შესწავლამ დაგვანახა, დანაშაულის ჩამდენთა შორის ფსიქიკური ანომალიების მქონე პირები არც თუ მცირე რაოდენობას შეადგენენ, რაც სათანადო რეაგირებას საჭიროებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 654-ე მუხლში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმის წარმოებას ახორციელებენ მხოლოდ ის მოსამართლები, პროკურორები და გამომძიებლები, რომლებმაც სპეციალური მომზადება გაიარეს პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში, რაც სავსებით სამართლიანია.

ამდენად, აუცილებლად მიმაჩნია ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა საქმეებზე მომუშავეთა სპეციალური მომზადება ფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიაში. ეს ენება როგორც წინასწარი გამომძიების მწარმოებელ პირებს, ასევე მოსამართლეებს. მათ უნდა გაიარონ გადამზადების სპეციალური კურსები და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მიეცეთ უფლება იმუშაონ აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე. ეს არ შეეხება მოსამართლეთა, გამომძიებელთა, პროკურორთა მთელ კორპუსს. ვფიქრობ, საქართველოს მასშტაბით შეიძლება შეირჩეს მათი გარკვეული რაოდენობა რეგიონალური პრინციპის მიხედვით, რის შემდეგაც მოხდება მათი მომზადება. ამით გაუმჯობესდება მართლმსაჯულების ხარისხი აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე და შეიცვლება ის დამოკიდებულება, რაც ჩვენ ვნახეთ სასამართლო პრაქტიკის შესწავლისას, როცა მოსამართლე საერთოდ არ ითვალისწინებს ფსიქიკურ დაავადებას სასჯელის შეფარდების დროს, არ აქცევს კურადღებას ექსპერტთა დასკვნას და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიუთითებს მხოლოდ იმას, რომ განსასჯელმა აღიარა ჩადენილი დანაშაული და ინანიებს მას. ამიტომაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ იმ მოსამართლეებს, პროკურორებს, გამომძიებლებს მიეცეთ უფლება იმუშაონ ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა დანაშაულის საქმეებზე, ვისაც ნათლად ექნება წარმოდგენილი თუ რა არის ფსიქიკური ანომალია, რა გავლენას ახდენს ის ადამიანის ქცევაზე მის ცნობიერებაზე და ნებელობაზე, მის უნარზე სწორად აღიქვას რეალობა და გააკეთოს სწორი არჩევანი ქცევის განხორციელებისას. სწორედ ეს არის იმის წინაპირობა, რომ მართლმსაჯულება სამართლიანად და ობიექტურად წარიმართება და დაცული იქნება ყველა მხარის უფლებები და ინტერესები.

## 4.3 შეზღუდულ შერაცხადთა დანაშაულებრივი ქცევის პროფილაქტიკის საკითხი

### 4.3.1 ფსიქოთერაპიული ხასიათის პროფილაქტიკური ლონისძიებები

შეზღუდულ შერაცხადთა დანაშაულებრივი ქცევის პროფილაქტიკის საკითხში განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ ფსიქიკური ანომალიების პროფილაქტიკის საკითხს, რადგან მიგვაჩნია, რომ შეზღუდული შერაცხადობის გამომწვევე გარემოებათაგან სწორედ ფსიქიკური ანომალიები გამოირჩევიან განსაკუთრებული კრიმინოგენულობით. ხოლო სხვა გარემოებების მიმართაც, ვფიქრობთ, მსგავსი პროფილაქტიკური ლონისძიებები იქონიებენ ეფექტს. როგორც საეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, პროფილაქტიკურმა ლონისძიებებმა შედეგი რომ გამოიღონ, საჭიროა მთელი რიგი ლონისძიებების კომპლექსური გატარება. ამ მხრივ, მართებულად მიგვაჩნია ო. ნოის მოსაზრება. მისი აზრით, ფსიქოპათიურ პირთა პროფილაქტიკის საკითხში რომ ძალზედ მცირე რამაა გაკეთებული, იმის მიზეზია, რომ არ არის დაძლეული ცრუმეცნიერული თეორიები, რომლებიც უარყოფენ ბიოლოგიურ დეტერმინაციებთა მნიშვნელობას დანაშაულებრივ ქცევაში. ამის გამო საზოგადოება იწვნევს თავის თავზე იმ ძალადობითი ხასიათის დანაშაულებს, რომლებსაც ჩადიან ფსიქოპათები.<sup>1</sup> საბჭოთა კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში დანაშაულის პროფილაქტიკის კუთხით, აქცენტი კეთდებოდა სოციალურ ფაქტორებზე, რაც თავის მხრივ სწორია, მაგრამ ეს პრობლემის ერთი მხარეა, და ამიტომ ასეთ მიღომას საბოლოო პრობლემის გადაწყვეტამდე ვერ მიჰყავდა. ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა დანაშაულებრივი ქცევის თავისებურებანი, აუცილებელს ხდიან ასეთ დანაშაულთა პროფილაქტიკისათვის სხვადასხვა მეცნიერებათა მონაცემების გამოყენებას. ეს პროფილაქტიკა უნდა ეფუძნებოდეს კრიმინოლოგიის, ფსიქიატრიის, ფსიქოლოგიის, პათოფსიქოლოგიის, გენეტიკის, ფიზიოლოგიის და სხვა მეცნიერებათა უახლეს მიღწევებს. ამავე დროს, აუცილებელია სამართლებრივი ბაზის სრულყოფა და მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების მოგვარება, რათა მიღწეული იქნას რეალური შედეგები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ კატეგორიის პირთათვის პროფილაქტიკურ ლონისძიებათა დაწყება სამედიცინო-ფსიქოპორექციული ლონისძიებების გატარებით. ეს საშუალებას მოგვცემს, არ მოხდეს ფსიქიკური ანომალიის უფრო დამძიმება, რამაც შესაძლოა უფრო მძიმე და შეუძლებადი შედეგი გამოიწვიოს. პროფილაქტიკურ ლონისძიებათა გატარებისას აუცილებელია ფსიქიკური ანომალიის მიმდინარეობის ფორმის, მისი ეტაპის, სინდრომალური სტრუქტურის და სხვა ელემენტების გათვალისწინება.<sup>2</sup> მედიკამენტოზური და ფსიქოთერაპიული

<sup>1</sup> იხ. Ной И.С. Методологические проблемы советской криминологии. Саратов, 1975, с. 94.

<sup>2</sup> იხ. Гомонов Н.Д. დასახ. ნაშრ. გვ. 165.

ზემოქმედება ხელს შეუწყობს სუბიექტის მიერ აკრძალვებისადმი დაქვემდებარების აუცილებლობის განწყობის ჩამოყალიბებას, რაც მოახდენს მისი მხრიდან მართლსაწინააღმდეგო მოქმედებათა კორექციას. დ. ამენიცკი აღნიშნავს, რომ ფსიქოთერაპიული ზემოქმედების მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მოახდინოს პირში ნებისყოფის კონცენტრაციის უნარის გამომუშავება და დამუხრუჭების უნარის გაძლიერება.<sup>1</sup> ფსიქოთერაპია, რომელიც ახდენს კრიმინალური განწყობის ბლოკირებას და პოზიტიური ქცევის სტიმულირებას, უფრო მეტი ეფექტურობისათვის შესაძლოა შეთავსებული იქნას ბიოლოგიურ თერაპიასთან, რომელიც ზემოქმედებას მოახდენს ფსიქიკურ ანომალიათა პათოგენეტიკურ მექანიზმებს. ამ მხრივ საყურადღებოა ნ. ივანოვის პოზიცია. ის მიუთითებს რომ, როცა არსებობს მშობლების ან მშობლის უარყოფითი გენეტიკური, ან სოციალურ-გენეტიკური მახასიათებლები საეციალისტებმა უნდა მისცენ რეკომენდაცია ასეთ პირებს თავი შეიკავონ მშობიარობისაგან. აქ იგულისხმება ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, სხვა ფსიქიკური ანომალიები, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ნაყოფზე და მის განვითარებაზე. რაც შეეხება ადამიანის გენეტიკურ აპარატში ჩარევის საკითხებს, რათა შეიცვალოს მისი მოქმედებები პოზიტიური მიმართულებით ეს ძალზედ საყურადღებო და სათუთი საკითხია. ევროპის საბჭოს 1989წ რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ გამოკვლევები და ჩარევები, რომლებიც უკავშირდება გენურ ინჟინერიას, უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ ცენტრებში და დაწესებულებებში, რომლებსაც აქვთ უფლება ასეთი გამოკვლევების ჩატარებისათვის, აღჭურვილნი არიან სათანადო ტექნიკური საშუალებებით და პყავთ სათანადო პერსონალი. ამავე დროს დაცული უნდა იქნას სათანადო პირობები, რათა არ მოხდეს ამ ინფორმაციის გამოყენება სამეცნიერო, ან პოლიტიკური თვალსაზრისით საეჭვო მიზნებისათვის. ეს ინფორმაცია უნდა იყოს კონფიდენციალური, გამოკვლევები უნდა ეფუძნებოდეს ნებაყოფლობითობის პრინციპს.<sup>2</sup> ფსიქიკურ ანომალიათა პროფილაქტიკისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფსიქოფარმაკოთერაპიულ და ფსიქოთერაპიულ ზემოქმედებას. სამკურნალო პრეპარატების გამოყენება ხელს უწყობს ფსიქიკური ანომალიების პროგრესირების შეჩერებას, რაც თავის მხრივ ამცირებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ალბათობას. მედიკამენტოზური პრეპარატების გამოყენებისას, როგორც ფსიქიატრები აღნიშნავენ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა სოციალურ და კლინიკურ ფაქტორებს: სოციალური ადაპტაციის დონე დაავადებამდე, ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ხასიათი, პიროვნული თავისებურებანი, სქესი და ასაკი, დაავადების მიმდინარეობა, მისი სინდრომი და სიმპტომატიკის

<sup>1</sup> Аменицкий Д.А. К вопросу о принудительном лечении и о социально опасных душевнобольных и психопатах. В сборнике: Душевнобольные правонарушители и принудительное лечение М., 1929, с. 35. მოუვანილია Семенцова И.А. საკანდიდატო დისერტაციიდან გვ. 146.

<sup>2</sup> იხ. Иванов Н.Г. Аномальный субъект преступления. М., 1998, с. 219-220.

თავისებურებანი.<sup>1</sup> ფსიქოთერაპია წარმოადგენს ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდს ფსიქიკური ანომალიის მქონე პირზე და ის უნდა იქნას აგებული პიროვნული თვისებებისა და ფსიქოლოგიური თავისებურებების მაქსიმალური გათვალისწინებით. ის ეფუძნება ექიმისა და პაციენტის ურთიერთობას და მიმართულია ავადმყოფობით დარღვეულ ქცევაზე და ამ ქცევის კორექციაზე. ამასთან დაკავშირებით, მ. კაბანოვი მიუთითებს: „ყოველ ავადმყოფში, ძალიან მძიმე მდგომარეობაში მყოფშიდაც კი, უნდა ვიპოვოთ ჯანსაღი ძალები და შესაძლებლობები. მათთან ურთიერთობა, მათი სტიმულირება, თანმიმდევრულად ბრძოლა ასოციალურ ქცევასთან, ეს არის ექიმის ძირითადი ამოცანა“. ლ. ცვეტკოვა წერს, რომ მთელ რიგ ფსიქიკურ გადახრათა დროს, რომლებიც საზოგადოებრივად საშიშ ქმედებათა სტიმულირებას ახდენენ, ფსიქოთერაპია წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს სამკურნალო-რეაბილიტაციური პროგრამისათვის, ხელს უწყობს მათი ეფექტურობის ამაღლებას და ამცირებს ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა საზოგადოებრივ საშიშოებას.<sup>2</sup>

#### **4.3.2 სოციალური ხასიათის პროფილაქტიკური დონისძიებები**

ფსიქიკური ანომალიების პროფილაქტიკის საკითხში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური რიგის დონისძიებებს. უარყოფითი სოციალური პირობებისას ფსიქიკური გადახრების მქონე პირში ხდება ანტისოციალური განწყობის დაჩქარებული ჩამოყალიბება, რაც ხშირად მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის მიზეზი ხდება. ფსიქოანომალურ პირთა ქცევაზე ზემოქმედების მქონე სოციალურ ფაქტორთა შორის, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შრომითი მოწყობის საკითხს, ურთიერთობას ოჯახში და ახლო გარემოცვასთან. შრომითი მოუწყობლობა იწვევს მატერიალურ სიძნელეებს, რომლის გადაწყვეტასაც ხშირად ფსიქიკური ანომალიის მქონე პირი კრიმინალური გზით ცდილობს. ასევე, შრომითი მოუწყობლობა ახდენს დეკომპენსაციურ ზემოქმედებას ფსიქოანომალის მდგომარეობაზე და იწვევს ნორმალური სოციალური კონტაქტების რღვევას. ამიტომ, ფსიქიკური ანომალიის მქონე პირის ჩაბმა შრომით საქმიანობაში მიიჩნევა მისი დანაშაულებრივი ქცევის პროფილაქტიკის ერთ-ერთ საშუალებად. კრიმინოლოგები და ფსიქიატრები მიუთითებენ, რომ ანომალიების მქონე უმუშევართა შორის გაცილებით უფრო ხშირია მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის შემთხვევები, ვიდრე იმ ფსიქოანომალთა შორის, ვინც რაიმე შრომით საქმიანობას ეწევა. აგრეთვა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახისა და გარემოცვის საკითხს. დადგენილია, რომ ის პირები, ვისაც არა ჰყავთ ოჯახი, აქვთ მოუწყობელი საცხოვრებელი პირობები, გაცილებით უფრო ადგილად ებმებიან მართლსაწინააღმდეგო ქმედებებში, ასოციალურ დაჯგუფებებში.

<sup>1</sup> იხ. Гомонов Н.Д. დასახ. ნაშრ. გვ. 203-204.

<sup>2</sup> იხ. Гомонов Н.Д. დასახ. ნაშრ. გვ. 205-207.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ ფსიქიკური ანომალიების მქონე მსჯავრდებულთა დაახლოებით 70%-ს არასოდეს არ ჰყოლია ოჯახი, ან არიან განქორწინებულები.<sup>1</sup> ეს ფაქტორი, აგრეთვე მნიშნელოვნად ართულებს რესოციალიზაციის პროცესს სასჯელადსრულების დაწესებულებებიდან განთავისუფლების შემდეგ. ფსიქიკური ანომალიების მქონე პირებში ეს ფაქტორები ართულებენ მათ სოციალურ ადაპტაციას, იწვევენ ფსიქიკურ ანომალიათა დამძიმებას, ხდებიან მათი ალკოჰოლიზაციას, ნარკოტიზაციის საბაბი, რასაც, როგორც წესი, მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენამდე მივყავართ. კრიმინალოგები გამოყოფენ ფსიქოანომალთა დანაშაულობის აცილებისათვის პროფილაქტიკურ დონისძიებათა რამდენიმე ეტაპს. ვ. ბურლაკოვი და ვ. ორეხოვი მათ მიაკუთვნებენ: 1) იმ პირთა გამოკლენა, რომელთა მიმართ უნდა გატარდეს გამაფრთხილებელი ზემოქმედება; 2) პიროვნებისა და მისი სოციალური გარემოს შესწავლა; 3) ანგისაზოგადოებრივი ქცევის პროგნოზირება და გამაფრთხილებელ დონისძიებათა დაგეგმვა; 4) ამ დონისძიებათა რეალიზაცია და მიღებულ შედეგთა კონტროლი; 5) ინდივიდუალური პროფილაქტიკის შედეგების ფიქსაცია და პირის მოხსნა პროფილაქტიკური აღრიცხვიდან.<sup>2</sup> მსგავს ეტაპებს გამოყოფენ ი. ანტონიანი და ს. ბოროდინი. ესენია: 1) ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა გამოკლენა და აღრიცხვა 2) მათი ინდივიდუალური თავისებურებების, ცხოვრების წესის, კავშირების, საქმიანობის შესწავლა; 3) მათი ქცევის პროგნოზირება, ინდივიდუალური დაგეგმვა და პროფილაქტიკურ დონისძიებათა გატარება, მათ შორის სამკურნალოსიც; 4) სხვადასხვა ორგანოების და დაწესებულებების ურთიერთქმედება ამ საქმეში.<sup>3</sup>

ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა გამოვლენის და აღრიცხვის საქმეში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ ფსიქიატრიულ სამსახურებს. მათ შეუძლიათ დაადგინონ ფსიქიკური ანომალიის სახე, მისი სიმძიმე, განსაზღვრონ თუ რამდენად არის ასეთი პირი მიღრეკილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენისაკენ. ეს ინფორმაცია უნდა გადაეცეს სამართალდამცავ ორგანოებს, რათა მათი მხრიდანაც გატარდეს პროფილაქტიკური დონისძიებები მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა თავიდან ასაცილებლად. თუმცა, მხოლოდ ფსიქიკური ანომალიის არსებობა არ შეიძლება გახდეს ასეთ პირთა აღრიცხვაზე აყვანისა და მათზე გარკვეული კონტროლის დაწესების საფუძველი. ამისათვის უნდა გააითვალისწინონ პირის მახასიათებელი სხვა მონაცემებიც – სოციალური კავშირები, ქცევა, მიღრეკილებები, მავნე ჩვევები და ა.შ.<sup>4</sup> პირის ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლა საშუალებას გვაძლევს უფრო სრულყოფილად ავსხსნათ თითოეული დანაშაულის მოტივაცია, მისი მიზეზი და შესაბამისად მივიღოთ ეფექტური ზომები ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე. ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა

<sup>1</sup> იხ. გомонов Н.Д. დასახ. ნაშრ. გვ. 183-184.

<sup>2</sup> იხ. გомонов Н.Д. დასახ. ნაშრ. გვ. 180-181.

<sup>3</sup> იხ. Аntonян Ю.М. Бородин С.В. Преступное поведение и психические аномалии М., 1998, с. 175-176.

<sup>4</sup> იხ. გомонов Н.Д. დასახ. ნაშრ. გვ. 181-182.

დანაშაულებრივი ქცევის პროგნოზირებისას უნდა დავეყრდნოთ მის პიროვნულ თავისებურებებს, სოციალურ გარემოს, ფსიქიკური ანომალიის ხასიათსა და სიმძიმეს, ქცევის მოტივაციას. აღსანიშნავია, რომ პროგნოზი უფრო სარწმუნო იქნება იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ რაც შეიძლება უფრო მეტ სხვადასხვა ფაქტორებს. ამ ღონისძიებათა განხორციელება, უპირველესად ევალებათ სამართალდამცავ ორგანოებს, პოლიციას, პროკურატურას, სასამართლოს. აგრეთვე ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით ჯანმრთელობის დაცვის შესაბამის ორგანოებს. დიდი სარგებლის მოტანა შეუძლიათ საქველმოქმედო, არასამთავრობო, საზოგადოებრივ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს. მათი კოორდინირებული ურთიერთობებით შესაძლოა გარკვეული წარმატების მიღწევა დანაშაულობათა პროფილაქტიკის საქმეში.

პროფილაქტიკურ ღონისძიებათა რიგში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკლესიას. ეკლესიური კანონების შესრულება, ეკლესიასთან დაახლოება უდიდეს ზეგავლენას ახდენს ადამიანის ქცევის ჩამოყალიბებასა და მის რეალიზაციაზე. რელიგიური კანონები ახდენენ მნიშვნელოვან პრევენციულ ზემოქმედებას ადამიანზე, რადგან მათ ძალუბო იმ ზნეობრივი მუხტის გაღვივება, რომელიც შეაკავებს დანაშაულის ჩადენას. კრიმინოლოგები აღნიშნავენ, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონის ამაღლება პროფილაქტიკურ ღონისძიებათა რიცხვს მიეკუთვნება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ასეთ პირთაოვის თეატრალური, საესტრადო და სხვა სახის ღონისძიებების მოწყობა. დანაშაულის პროფილაქტიკისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას მიეკუთვნება სპორტი.

სპორტი წარმოადგენს კარგ საშუალებას აგრესიის მოხსნისათვის, ენერგიის განმუხტვისათვის, მისი გადატანისათვის დადებითი მიმართულებით. ცნობილია, რომ სპორტი ხსნის სტრესს, დეპრესიას, ამაღლებს ტონუსს და გუნება-განწყობილებას. აუცილებლად მიგვაჩინა ანომალიების მქონე პირთაოვის სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა, რადგან ის ფსიქიკური ანომალიების განეიტრალების და განმუხტვის ეფექტური საშუალებად.<sup>1</sup>

პროფილაქტიკურ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს მათი ნებაყოფლობითი ხასიათი. არ შეიძლება ფსიქიკური ანომალიის მქონე პირის იძულება შეასრულოს ესა თუ ის პროფილაქტიკური ღონისძიება. ამ მხრივ აუცილებელია ინდივიდულური მიღომა, რათა სათანადო სპეციალისტების მიერ იქნას განმარტებული ასეთ ღონისძიებათა აუცილებლობა, მათი სასარგებლო ხასიათი კონკრეტული ფსიქოანომალური პირისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსგავსი პროფილაქტიკური ღონისძიებები მხოლოდ ნეგატიური შედეგის მომტანი იქნებიან. რაც შეეხება იძულებითი ხასიათის სამედიცინო ღონისძიებებს, ისინი რა თქმა უნდა, შეიძლება გამოყენებული იქნას პროფილაქტიკური თვალსაზრისით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირის ანომალიის კლინიკური სურათი გვკარნახობს ამის აუცილებლობას.

<sup>1</sup> იხ. Иванов Н.Г. დასახ. ნაშრ. გვ. 211-213.

ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა დანაშაულებრივი ქცევის პროფილაქტიკის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოების თანამშრომელთა სპეციალური მომზადება ფსიქიატრიასა და ფსიქოპათოლოგიაში. ასე მაგალითად, აშშ-ში შემუშავებულია სპეციალური სტანდარტები ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით სისხლისსამართლებრივი იუსტიციისათვის, ორმელიც ითვალისწინებს პოლიციისა და სასჯელადსრულების დაწესებულების თანამშრომელთა მომზადებას გადაუდებელი ფსიქიატრიის საკითხებში.<sup>1</sup>

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, პოსტპენიტენციალური პროფილაქტიკური ღონისძიებები, რათა არ მოხდეს რეციდივის შემთხვევები. ამ მხრივ საყურადღებოა, როგორც სასჯელმოხდილი ფსიქოანომალის ფსიქიკური მდგომარეობა, აგრეთვე ის სოციალური გარემო და პირობები, სადაც ასეთი პირები ხვდებიან. ამისათვის, აუცილებელია შეიქმნას სპეციალური სარეაბილიტაციო ცენტრები, შემუშავდეს სათანადო პროგრამები იმ მიზნით, რომ ამ კატეგორიის პირების მიმართ განხორციელდეს როგორც ფსიქოლოგიური, ასევე სოციალური მხარდაჭერა. მნიშვნელოვანია მათვის საპენსიო, ან სამსახურებრივი მოწყობის პრობლემების მოგვარებაში დახმარება, აგრეთვე ფსიქოლოგიური, ფსიქოთერაპიული კონსულტაციები, რათა ფსიქიატრების, ფსიქოლოგების მხრიდან მოხდეს ამ პირთა მეთვალყურეობა, მათთან უშუალო კონტაქტის დაყყარება. მნიშვნელოვანია ამ პირებს ჩამოუყალიბდეთ ისეთი ცხოვრებისეული სტერეოტიპი, რომელიც მინიმუმადე დაიყვანს მათ მიერ ანტისოციალური ქმედებების ჩადენას. უკათესი ეფექტისათვის სასარგებლო იქნება მათი ოჯახის წევრთა ინფორმირება და აქტიური ჩაბმა ამ საკითხებში. საჭიროა სხვადასხვა ორგანოების, დაწესებულებების თანამშრომლობა და ძალისხმევა, რათა ამ კატეგორიის ადამიანებმა არ იგრძნონ თავი გარიყელებად, მიტოვებულებად, მოხდეს მათი ჩაბმა (მათი შესაძლებლობის გათვალისწინებით) საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში. მართებულად მიგვაჩნია ი. ანტონიანის შეხედულება. მისი აზრით, ინდივიდუალური პროფილაქტიკის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს გაუცხოებისა და დეზადაპტაციის დაძლევა, რომელიც წარმოადგენს საფუძველს მართლსაწინააღმდეგო ქცევის ჩამოყალიბებისათვის.<sup>2</sup>

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ პროფილაქტიკური ღონისძიებები პირობითად იქნა დაყოფილი ორ ნაწილად: სოციალურ და ფსიქოთერაპიულ ნაწილებად. ეს მიზანშეწონილია მხოლოდ თეორიული თვალსაზრისით, რათა გაადვილდეს ცალკეულის მნიშვნელობისა და როლის უფრო საფუძვლიანი და ღრმა გაანალიზება. პრაქტიკული თვალსაზრისით კი, თუ გვინდა რეალური შედეგის მიღება, აუცილებელია ამ ღონისძიებათა ერთობლივი გამოყენება, რადგან მხოლოდ სოციალური ან მხოლოდ ფსიქოთერაპიული ღონისძიებები ვერ

<sup>1</sup> იხ. გомонов Н.Д. დასახ. ნაშრ. გვ. 194.

<sup>2</sup> იხ. გомонов Н.Д. დასახ. ნაშრ. გვ. 202.

მოიცავენ პრობლემას მთლიანობაში, ისინი წარმოადგენენ პრობლემის ცალკეულ ნაწილებს, მხარეებს და მხოლოდ ერთობლივმა შეთანხმებულმა გამოყენებამ ამ ღონისძიებებისა, ჩვენი აზრით, შესაძლოა მოგვცეს დადებითი ეფექტი. მუშაობა ამ მხრივ, ვფიქრობთ, ეტაპობრივად და მიზანმიმართულად უნდა განხორციელდეს, რადგან ეს მოითხოვს მატერიალურ, საკადრო და სხვა რესურსებს. ამიტომ, ნების არსებობის, სათანადო სახსრების მოძიების, თეორიული რეკომენდაციების სრულყოფისა და დამუშავების პირობებში, ამ ღონისძიებათა რეალიზაცია სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია, რამეთუ როგორც გამოკვლევებითაა დადგენილი, თითოეული დანაშაულის აცილებისათვის დახარჯული სახსრები სახელმწიფოს და საზოგადოებას საბოლოოდ ბევრად უფრო ნაკლები უჯდება იმ ზიანთან შედარებით, რაც კონკრეტული დანაშაულის ჩადენას შეუძლია მოიტანოს.

## დ ა ს კ ვ ნ ა

შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობის შესწავლა დიდი ხნის წინ დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ მას მრავალი მოწინააღმდეგე პყავდა, მათ შორის ბევრი გამოჩენილი და სახელოვანი მეცნიერი იყო, ამ ინსტიტუტმა მაინც დაიმკვიდრა თავისი ადგილი საკანონმდებლო სიკრცეში. საქართველოს სისხლის სამართლისათვის და კრიმინოლოგიისათვის ეს ახალი პრობლემაა და ამიტომ მის შესახებ ქართულენოვან ნაშრომებში გერაფერს გვხდებით. ტრადიციულად, შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობას ფსიქიკურ ანომალიებს (გადახრებს) უკავშირებენ, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის, ასევე ჩვენს კანონმდებლობაშიც. ჩვენს მიერ ჩატარებულ გამოკვლევაში, ჩვენ შევეცადეთ გადმოგვეცა ჩვენი შეხედულება ამ მდგომარეობის შესახებ. შეზღუდული შერაცხადობა, ჩვენი აზრით, მოიცავს ყველა იმ მდგომარეობას, რომლებიც ზღუდავენ პირის უნარს სრულად გააცნობიეროს თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, ანდა უხელმძღვანელოს მას. მიზეზი კი ამისა შეიძლება მრავალი იყოს (ფსიქიკური ანომალიები, აფექტი, ხასიათის აქცენტუაციები, ფიზიოლოგიური ნაკლი და ა.შ.), ანუ ყველა ის მდგომარეობა, როცა ადამიანს არ შესწევს უნარი უმართლობის ჩადენის დროს სრულად გააცნობიეროს თავისი ქმედება ანდა უხელმძღვანელოს მას. ამასთან ფსიქიკური ანომალიები, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ამ მდგომარეობის წარმოშობაში, აგრეთვე მათი არსებობა დანაშაულის ჩადენის დროს გარკვეულ სამართლებრივ შედეგებსაც უკავშირდება (სამედიცინო დონისძიებები). თუმცა, შეზღუდული შერაცხადობის დაყვანა მხოლოდ ფსიქიკურ ანომალიებზე, ჩვენი აზრით, არაა მართებული, რადგან ქმედების გაცნობიერების, ან მისი ხელმძღვანელობის უნარის შეზღუდვა შესაძლებელია სხვა მდგომარეობების დროსაც (აფექტი, მშობიარობა, მძიმე ემოციური განცდა და ა.შ.) აქედან გამომდინარე, ჩვენ ვთავაზობთ სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლის I ნაწილის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბებას: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება სრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, ესე იგი ფსიქიკური დაგვადების, არაავადმყოფური ფსიქიკური, ფიზიოლოგიური ან სხვა მდგომარეობის გამო არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, ან სრულად ეხელმძღვანელა მისთვის“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ანალოგიურად უნდა იქნას გაგებული შეურაცხაობის მდგომარეობაც. შეურაცხაობაც ასევე ფართოდ უნდა გავიგოთ, ანუ შეურაცხაობას გარდა ასაკისა და ფსიქიკური დაავადებისა შეიძლება ბევრი სხვა მიზეზიც იწვევდეს, როცა უმართლობის ჩამდენთათვის არ ხდება ჩადენილი უმართლობის ბრალად შერაცხვა. შერაცხადობა-შეურაცხაობის კრიტერიუმებთან დაკავშირებით, ტრადიციულად ჩამოყალიბებულია სამედიცინო (ფსიქიატრიული) და (იურიდიული) ფსიქოლოგიური. ჩვენი აზრით, უპრიანი იქნება სამედიცინო კრიტერიუმს ვუწოდოთ

ფსიქოფიზიოლოგიური.

ფსიქოფიზიოლოგიური კრიტერიუმი (ფსიქიატრიულისაგან განსხვავებით), არ ამოიწურება მხოლოდ ფსიქიკური დაავადებით. ამ კრიტერიუმის შინაარსი გაცილებით უფრო ფართოა და ის მოიცავს არა მარტო ფსიქიკურ დაავადებებს, არამედ ყველა იმ მდგომარეობას, რომელიც უსპობს ადამიანს შერაცხვაუნარიანობას (მაგალითად, უსინათლობა, ფიზიკური ნაკლი, სომატური დაავადებები და სხვ.) ფსიქოლოგიური კრიტერიუმი ორი ნიშნისაგან შედგება და ის მიუთითებს ადამიანის უუნარობაზე გააცნობიეროს თავისი ქმედება, ან აკონტროლოს ის. ნიშანი „ან“ აქ გადამწყვეტ როლს ასრულებს, რადგან ნებელობით ნიშანს აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და ის მოწმობს ფსიქოლოგიური კრიტერიუმის არსებობაზე, ინტელექტუალური ნიშნის მიუხედავად. იურიდიულ აზროვნებაში არსებული აზრთა სხვადასხვაობისა და შეურაცხაობის ბუნების სწორი გაგებისათვის სასარგებლო იქნება, თუ 36-ე, 37-ე და 38-ე მუხლებს ეწოდება შეურაცხაობა მისატევებელი შეცდომის გამო, შეურაცხაობა ბრძანების ან განკარგულების შესრულების გამო, შეურაცხაობა სხვა არაბრალეული ქმედების გამო, რადგან შეურაცხაობა გულისხმობს ნებისმიერ შემთხვევას, როცა პირს ჩადენილ უმართლობას ბრალად ვერ ვრაცხავთ.

შეზღუდული შერაცხადობის გამომწყვევ მდგომარეობათა კრიმინოგენულობასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ მათ შორის განსაკუთრებული კრიმინოგენულობით გამოირჩევიან ფსიქიკური ანომალიები. ფსიქიკური ანომალიები, თავისთავად არ წარმოადგენენ მართლსაწინააღმდეგო ქცევის განმაპირობებელ ფაქტორს, თუმცა სოციალურ ფაქტორებთან ერთად შესაძლოა გადამწყვეტი როლი შეასრულონ მართლსაწინააღმდეგო ქცევის განხორციელებაში. აგრეთვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სოციალურ და ბიოლოგიურ დეტერმინანტებზე საუბრისას არ შეიძლება ცალმხრივად სოციალური ფაქტორებისათვის უპირატესობის მინიჭება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბჭოთა პერიოდის ლიტერატურაში. სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორები, ერთობლივად მოქმედებენ ადამიანზე და თითოეულის როლის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული ფაქტიდან გამომდინარე. მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, თუ რამ განაპირობა ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენა, სოციალურმა, თუ ბიოლოგიურმა ფაქტორებმა, რამ ითამაშა გადამწყვეტი როლი კრიმინალური აქტის რეალიზაციაში.

შეზღუდული შერაცხადობისა და ბრალეულების საკითხზე მითითებულია, რომ შეზღუდული შერაცხადობა იწვევს ბრალის შემსუბუქებას და მის შემამსუბუქებელ გარემობას წარმოადგენს. ის გავლენას ახენს ბრალის ხარისხზე და ამცირებს მას. ბრალის შემამსუბუქებელი ყველა გარემოება შეზღუდულ შერაცხადობას უნდა მივაკუთვნოთ, რადგან შეზღუდული შერაცხადობა წარმოადგენს პირის მდგომარეობას და ის დანაშაულის ჩადენის დროს უკავშირდება. ნებისმიერი გარემოება, რომელიც ზღუდავს ადამიანის ცნობიერებას და ნებელობას და ამცირებს მისი ბრალის

ხარისხს შეზღუდულ შერაცხადობას უნდა მივაკუთვნოთ.

შეზღუდულ შერაცხადთათვის სასჯელის დანიშვნა უნდა ხდებოდეს ზოგადი საწყისების მიხედვით, მაგრამ სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შეზღუდული შერაცხადობა სასჯელის დანიშვნისას და იგი უნდა იწვევდეს სასჯელის შემსუბუქებას. შეზღუდულ შერაცხადთათვის სასჯელის დანიშვნისას მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული მათი მდგომარეობა, ფსიქიკური ანომალიების სახე, ხასიათი და სხვ. აუცილებელია ამ კატეგორიის მსჯავრდებულების მიმართ შეირჩეს ისეთი რეჟიმი, რომელიც არ მოახდენს მათი მდგომარეობის გაუარესებას, სადაც მოხდება ფსიქიკური გადახრების მქონე პირთა მიმართ სამკურნალო და ფსიქოკორექციული ღონისძიებების გატარება. ამ მიზნით, სასჯელაღსრულების დაწესებულებების ტერიტორიაზე შეიძლება შეიქმნას სპეციალური პუნქტები, რომლებიც განახორციელებენ ამ ამოცანებს. ამ კატეგორიის მსჯავრდებულებთან აუცილებელია ფსიქიატრების, ფსიქოლოგების მუშაობა, მათზე მეთვალყურეობა, რათა არ მოხდეს ამ პირთა მდგომარეობის გაუარესება და უფრო გაადგილდეს მათი შემდგომი რეაბილიტაცია. არათავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთა მიმართ, უპრიანი იქნება შეიქმნას ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის, ფსიქოკორექციული ცენტრები, რომლებიც განახორციელებენ სპეციალურ პროექტებს და დახმარებას გაუწევენ ფსიქიკური ანომალიების მქონე პირებს, რადგან მხოლოდ დისპანსერული მეთვალყურეობის დაწესება ვერ უზრუნველყოფს ამ კატეგორიის პირების ნორმალური რეაბილიტაციის პროცესს და მათი მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედებების რეციდივების აცილებას.

სისხლის სამართლის საქმეების და საექსპერტო პრაქტიკის შესწავლამ და მათმა კრიმინოლოგიურმა ანალიზმა დაგვანახა, რომ აუცილებელია მთელი რიგი სპეციალური ღონისძიებების გატარება. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შესატანია სათანადო ცვლილებები და დამატებები, რომლებიც დაარეგულირებენ შეზღუდულ შერაცხადთა საქმეებზე სამართალწარმოების საკითხებს. ასევე აუცილებელია გარკვეული კონტინგენტის გამომძიებელთა, მოსამართლეთა, პროკურორთა სპეციალური მომზადება ფსიქიატრიასა და ფსიქოლოგიაში, რის შემდეგაც მათ შეიძლება მიეცეთ ამ კატეგორიის საქმეებზე სამართალწარმოების უფლება.

შეზღუდულ შერაცხადთა მართლსაწინააღმდეგო ქცევის პროფილაქტიკის საკითხი კომპლექსურ პრობლემას წარმოადგენს. პროფილაქტიკურ ღონისძიებებში უნდა მონაწილეობდნენ სამართალდამცავი ორგანოები, ჯანდაცვის დაწესებულებები, არასამთავრობო, საზოგადოებრივი დაწესებულებები. აღნიშნული ღონისძიებები უნდა დაიწყოს ფსიქიკური გადახრების მქონე პირთა გამოვლენით და აღრიცხვით. ეს ღონისძიებები შედგება სოციალურ და ფსიქოთერაპიულ ღონისძიებათა სიმბიოზისაგან. სოციალური ღონისძიებები მოიცავენ საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებას, შრომით მოწყობას, სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებსა და მთელ რიგ სხვა ღონისძიებებსაც, (სპორტულ, კულტურულ) და ა.შ. ფსიქოთერაპიული და მედიკამენტოზური ღონისძიებები,

აგრეთვე, ძალიან მნიშვნელოვან პროფილაქტიკურ როლს ასრულებენ ფსიქიკური გადახრების მქონეთა ქცევაში კორექციისა და რეადაპტაციის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ ღონისძიებათა ეფექტურობისათვის საჭიროა მათი ხანგრძლივი და მიზანმიმართული ზემოქმედება ადამიანის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაზე. ფსიქოკორექციული ღონისძიებები უნდა იქნას გამოყენებული პირის მდგომარეობის დაწვრილებით გამოკვლევის შემდეგ და ისინი მკაცრად ინდივიდუალურ ხასიათს უნდა ატარებდნენ.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევა მიზნად ისახავდა საქართველოს სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიისთვის ახალი პრობლემის „შეზღუდული შერაცხადობის“ ახსნას. მეცნიერების უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით, ამ მდგომარეობის არსის და მნიშვნელობის დადგენას ბრალეულობისა და პასუხისმგებლობის საკითხების გადაწყვეტაში. აგრეთვე, შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში დანაშაულის ჩამდენთა პასუხისმგებლობის თავისებურებათა განხილვას, ჩვენი ხედვის გადმოცემას ამ მდგომარეობის შესახებ, წინადადებათა შემუშავებას კანონმდებლობის სრულყოფის თვალსაზრისით. შეზღუდული შერაცხადობის შემოღებაში უფრო მეტი კითხვები დასვა, ვიდრე პასუხი გასცა არსებულ პრობლემებს, ამიტომ სასარგებლოდ მიგვაჩნია, რომ მომავალშიც ამ მიმართულებით კვლევები გაგრძელდეს.

## შემოკლებები

1. ქ.წ. – ქართველი წოდებული;
2. ქ.ი. – ქსე იგი;
3. ი.ხ. – იხილეთ;
4. დასახ. ნაშრ. – დასახელებული ნაშრომი;
5. გვ. – გვერდი;
6. სხვ. – სხვა;
7. ა.შ. – ასე შემდეგ;
8. თბ. – თბილისი;
9. თსუ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
10. ს. – საუკუნე;
11. რედ. – რედაქტორი;
12. ნაწ. – ნაწილი;
13. Тб. – Тбилиси;
14. Изд. – Издательство;
15. М. – Москва;
16. Л. – Ленинград;
17. СПб. – Санкт-Петербург;
18. Т. – Том;
19. Ч. – Часть;
20. Вып. – Выпуск;
21. МГУ. – Московский Государственный Университет;
22. С. – Страница;
23. Кн. – Книга;
24. Им. – Имени;
25. Гос. – Государство;
26. р. – page.

## პიგლიობრაზოა

### ნორმატიული მასალა და სასამართლო პრაქტიკა

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 2007 წ.  
გამომცემლობა „ბონა კაუზა“;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.  
2007 წ. გამომცემლობა „ბონა კაუზა“;
3. საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ. 2006 წელი;
4. საქართველოს კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ.  
2006 წელი;
5. თბილისის საქალაქო სასამართლო. საქმე №08051416
6. თბილისის საქალაქო სასამართლო. საქმე №07050738
7. თბილისის საქალაქო სასამართლო. საქმე №0205016
8. თბილისის საქალაქო სასამართლო. საქმე №090050095
9. თბილისის საქალაქო სასამართლო. საქმე №02053185
10. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო არქივი. საქმე №0702238.
11. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს არქივი. საქმე 0701375.
12. ისანი-სამგორის რაონული სასამართლოს არქივი. საქმე №0402304.

### ქართულენოვანი ლიტერატურა

13. ა. აბულაშვილი. მასალები ფსიქიატრიული დახმარებების ორგანიზაციის შესახებ საქართველოში. დისერტაცია  
მედიცინის მეცნიერებთა კანდიდატის ხარისხის  
მოსაპოვებლად. თბ., 1958;
14. ბეგიაშვილი გ. გაბიანი ა. ნანეიშვილი ბ. ნარკომანია.  
გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1984;
15. გამყრელიძე ო. შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში  
და ბრლის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა //  
ადამიანი და კონსტიტუცია. 2002, №3-4;
16. გამყრელიძე ო. სისხლისსამართლებრივი უმართლობის  
პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძვლები.  
გამომცემლობა „მეცნიერება“ თბ., 1989.
17. დოლიძე ი. სამართალი ვახტანგ მეექვსისა. გამომცემლობა  
„საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981;
18. ვაჩეიშვილი ალ. ნარკვევები ქართული სამართლის  
ისტორიიდან. წიგნი I. თხუ გამომცემლობა. თბ., 1946;
19. კაკაბაძე ზ. ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა.  
გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1987;
20. კანტი ი. წმინდა გონების კრიტიკა. თბილისის  
უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1979;
21. კიკნაძე დ. ადამიანის მოქმედების საკითხისათვის. გამომ-  
ცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბ., 1971;

22. კვარაცხელია ნ. ადამიანის ოოგორც შემმეცნებელი სუბიექტის პრობლემა. თსუ გამომცემლობა, თბ., 1985;
23. კუტალია ლაშა-გიორგი. ბრალი სისხლის სამართალში. ბრალის გენეზისი. ტომი I. თსუ გამომცემლობა, თბ., 2000;
24. კუტალია ლაშა-გიორგი. ბრალის ნორმატივისტული მოდელი. თბ., 1999;
25. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში. რედაქტორი გ. დლონტი. თინათინ წერეთლის სახელმწიფოს და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2008;
26. ნათაძე რ. ზოგადი ფსიქოლოგია. თსუ გამომცემლობა, თბ., 1986;
27. ნანეიშვილი გ. აფექტური აშლილობანი შიზოფრენიის დროს, კლინიკური, ექსპერიმენტალურ-ფსიქოლოგიური და პემისფერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მონაცემები. დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს მოსაპოვებლად. თბ., 1994;
28. ნაჭყებია გ. ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა სისხლის სამართალში. დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდტის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1975;
29. ნაჭყებია გ. ბრალი, ოოგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია. საგამომცემლო სახლი „ბიზნეს კურიერი“ თბ., 2001;
30. ნაჭყებია გ. სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი. გამომცემლობა პოლიგრაფიული ცენტრი „ბარტონი“, თბ., 2006;
31. პატაშური ზ. ბრალი და მისი ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები სისხლის სამართალში//ცხოვრება და სამართალი. 1998, №3;
32. თოდუა ნ. სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი ასპექტები. თბ., 1997;
33. სვანი გ. ნაკაშიძე ე. ფსიქიატრიის განმარტებითი ლექსიკონი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1977;
34. სურგულაძე ს. შარაშიძე მ. ჩეჩელაშვილი ა. ფსიქოპათია. აკვიატებული მდგომარეობათა ნევროზი და აკვიატებული შიშები. დეპრესია. ისტერია. გამომცემლობა „რუბიკონი“, თბ., 1993;
35. სურგულაძე ლ. სისხლის სამართალი. დანაშაული. თბ., 1997;
36. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. რედ. გ. ტყეშელიაძე, გ. ნაჭყებია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2004;
37. ტაბიძე ო. ქცევათმეცნიერების ფილოსოფიური საფუძვლები. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1974;
38. ტაბიძე ო. ადამიანი, თავისუფლება, შემოქმედება. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1991;
39. ტაბიძე ო. ბიპევიორისტული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1968;

40. ტურავა მ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბ., 2002;
41. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. თსუ გამომცემლობა, თბ., 1990;
42. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. შრომები. ტომი 3-4. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1964;
43. უზნაძე დ. ბავშვის ფსიქოლოგია. სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია. თბ., 2003;
44. ქვაჩახია ვ. ნადირაშვილი შ. ბეჭვაია დ. ჭელიძე ვ. ლირებულება და განწყობა. კრებულში სოციოლოგიური ნარკევები. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბ., 1969;
45. შუშანაშვილი გ. ზეობრივი ღირებულების სპეციფიკა. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1980;
46. შუშანაშვილი გ. ღირებულება და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1990;
47. ჩხარგიშვილი შ. ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა. გამომცემლობა „ცოდნა“, თბ., 1958;
48. ჩხარგიშვილი შ. ნებისყოფა და მისი ადზრდა. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1964;
49. წერეთელი თ. ტყეშელიაძე გ. მოძღვრება დანაშაულზე. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1969;
50. წერეთელი თ. აუცილებლობისა და თავისუფლების დიალექტიკა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება //„მნათობი“ 1955, №10;
51. წოწორია გ. მასალები ფსიქიატრიის ისტორიისათვის საქართველოში. დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1951;
52. ჯავახიშვილი ივ. ქართული სამართლის ისტორია. ტფილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემლობა, ტფილისი, 1929, ნაკვ. II;

### **ინგლისურენოვანი ლიტერატურა**

53. Heaton R. Criminal law textbook. Oxford, University Press, 2004 ;
54. John Smith, Brian Hogan. Criminal law. London, Edinburg, Dublin. Butterworths eighth edition 1996;
55. Janet Dine, James Gobert. Cases and materials on criminal law. Oxford, University Press. Fourth Edition, 2003;
56. Andrew Ashworth. Principles of criminal law. Oxford, University Press. Fourth Edition. 2003;
57. C.M.V. Clarkson, H.M. Keating. Criminal law. Text and materials. Fourth Edition. Sweet & maxwell. London. 1998;
58. Phillip E. Jonson. Criminal law. Cases, materials and text. Fourth Edition. St. Paul Minn. 1990;
59. Richard G. Singer, John Q. La Fond Criminal law. Gaithersburg, New York, Aspen Law & Business, 2001;

## ԹԱՐԱԾՈՒՅԹԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ

60. Антонян Ю.М. Бородин С.В. Преступное поведение и психические аномалии. Изд. "Спарк", М., 1998;
61. Антонян Ю. М. Бородин С.В. Преступность и психические аномалии. Изд. "Наука". М., 1987;
62. Астемиров З.А. Уголовная ответственность и наказание несовершеннолетних. Изд. Высшая школа МВД СССР. М., 1970;
63. Блейхер В.М. Крук И. В. Толковый словарь психиатрических терминов. НПО „МОДЭК“, Воронеж, 1995;
64. Бабаев М.М. Индивидуализация наказания несовершеннолетних. Изд. „Юридическая литература“. М., 1968;
65. Бородин С.В. Полубинская С.В. Уголовное право и психиатрия: некоторые области и проблемы взаимодействия // В кн. Уголовное право. новые идеи. М., 1994;
66. Богомягков Ю.С. Уголовно-правовая невменяемость: критерии и признаки// Советское государство и право. Изд. „Наука“, 1989, №4 ;
67. Бернер А.Ф. Учебник уголовного права. Часть общая и особенная. Перевод и издание Н.Неклюдова, СПб., 1865;
68. Братусь Б.С. Аномалии личности. Изд. „Мысль“, М., 1988;
69. Власов И. С. Гуценко К. Ф. Решетников Ф. М. Штромас А. Ю. Уголовное право зарубежных государств. Институт дружбы народов Им. П. Лумумбы.. Вып. 2. М., 1972;
70. Владимиров Л. Е. Психологические исследования в уголовном суде. Изд. скоропечати А.А. Левенсон, М., 1901;
71. Волков Б.С. Психологические особенности подростка. Учебное пособие. Возрастная и педагогическая психология. Изд. Типография ТАСС, М., 1975;
72. Габиани А.А. Уголовная ответственность за преступления совершенные в состоянии опьянения. Изд. „Мецниереба“, Тб., 1968;
73. Гомонов Н. Д. Криминологические аспекты противоправного поведения лиц с психическими аномалиями. Канд. диссертация. Санкт-Петербург. 1999;
74. Гуськов В.С. Терминологический словарь психиатра. Изд. „Медицина“, М., 1965;
75. Герцензон А.А. Против биологических теорий причин преступности //Вопросы борьбы с преступностью. (очерк II) выпуск 5. Изд. юридическая литература, М., 1967;
76. Дагель П. С. Котов Д.П. Субъективная сторона преступления и её установление. Изд. Воронежского у-та, Воронеж, 1974;
77. Дубинин Н.П. Карпец И.И. Кудрявцев В.Н. Генетика, поведение ответственность. О природе антиобщественных поступков и путях их предупреждения. Изд. "Политиздат". М., 1982;
78. Емельянов В.П.. Преступность несовершеннолетних с психическими аномалиями. Изд. Саратов ун-та. Саратов, 1980;
79. Жалинский А. Э. Современное немецкое уголовное право. Изд. «Проспект». М., 2004;
80. Ильин Е. П. Психология воли. Изд. «Питер», СПб., 2002;

81. Иванов Н.Г. Аномальный субъект преступления. Изд. ЮНИТИ. М., 1998;
82. Имададзе И. Категория поведения в теории установки. Изд. «Мецниереба», Тб., 1991;
83. В.А. Иванников. Психологические механизмы волевой регуляции. Изд. МГУ, М., 1991;
84. Зеигарник Б.В. Патология мышления. Изд. Московского ун-та. М., 1962;
85. Кон И.С. Психология юношеского возраста. Изд. „Просвещение“, М., 1979;
86. Кон И.С. Психология старшеклассника. Изд. „Просвещение“, М., 1989;
87. Кудрявцев В.Н. Правовое поведение: Норма и патология. Изд. Наука, М., 1982;
88. Кроник А.А. Головаха Е.И. Психологический возраст личности// Психологический журнал// Изд. "Наука", 1983 ,Т.4, №5 ;
89. Карпец И.И. Уголовное право и этика. Юридическая литература, М., 1985;
90. Кузнецова Н.Ф. Вельцель. Л. Уголовное право ФРГ. Изд. Московского университета, М., 1980;
91. Кант И. Сачинения в 6-ти томах. Т. 4, ч.1. Изд. „Мысль“, М., 1965;
92. Каннабих Ю. История психиатрии. Государственное медицинское издательство. 1929;
93. Колоколов Г. Е. Уголовное право. Общая Часть. М., Типолитография Келлер Изд. 1889-1890;
94. Кудрявцев И. А. Судебная психолого-психиатрическая экспертиза. Изд. Юрид. литература. М., 1998;
95. Карпец И.И. Преступность иллюзии и реальность. Изд. Российское право. М., 1992;
96. Кузнецова Н.Ф. Проблемы криминологической детерминации. Изд. МГУ. М., 1984;
97. Куванова Ю.А. Психическое расстройство, не исключающее вменяемости: История, теория и практика. Диссертация канд. юрид. наук. М., 2001.
98. Козаченко И.Я. Сухарев Е.А. Гусев Е.А. Проблема уменьшенной вменяемости. Изд. Уральской государств. юридической академии. Екатеринбург, 1993;
99. Лунеев В.В. Субъективное вменение. Изд. «Спарк», М., 2000.
100. Личко А.Е. Психопатии и акцентуации характера у подростков. Изд. „Медицина“, Л., 1983;
101. Морозов Г. В. Лунц. Д.Т. Фелинская Н.И. Основные этапы развития отечествен. судебн. психиатрии. Изд. „Медицина“. М., 1976;
102. Меграбян А.А. Личность и сознание (в норме и патологии). Изд. „Медицина“. М., 1978;
103. Макашвили В. Г. Уголовная ответственность за неосторожность.. Госуд. изд. юридической литературы. М., 1957;
104. Михеев Р.И. Проблемы вменяемости и невменяемости в советском уголовном праве. Изд. Дальневосточного ун-та. Владивосток, 1983;

105. Михеев Р.И. Проблемы вменяемости, вины и уголовной ответственности. Диссертация доктора юрид. наук в форме научного доклада. М., 1995;
106. Михеев Р. И. Уголовная ответственность лиц с психофизиологическими особенностями и психогенетическими аномалиями. Изд. Хабаровс. высшей школы МВД СССР, Хабаровск, 1989;
107. Мендельсон Г.А. Ткачевский Ю.М. Алкоголизм и преступность. Гос. изд. «Политлитература». М., 1959;
108. Номоконов В.А. Преступное поведение, детерминизм и ответственность. Изд. Дальневосточного ун-та. Владивосток, 1989;
109. Назаренко Г. В. Невменяемость. Изд. «Юридический центр Пресс», СПб., 2002;
110. Назаренко Г. В. Эволюция понятия невменяемости. // Государство и право, 1993, №3 ;
111. Ной И.С. Методологические проблемы советской криминологии. Изд. Саратовского ун-та. Саратов, 1975;
112. Ной И.С. Организационные основы изучения личности преступника в условиях лишения свободы. Биологическое и социальное в личности преступника и проблемы её ресоциализации. Материалы межвузовской конференции. Уфа: УВШ МВД РФ 1994 ;
113. Неплох Я. М. Человек познай себя. Записки психиатра. Изд. Наука, СПб. 1991;
114. Николаева В. В. Влияние хронической болезни на психику. Изд. МГУ, М., 1987;
115. Ной И.С. Вопросы теории наказания в советском уголовном праве. Изд. Саратовского ун-та. Саратов, 1962;
116. Ошерович Б.К вопросу о степенях виновности. Ученые записки. Вып 1. Юрид. изд. НКЮ СССР М., 1940;
117. Орлов В.С. Субъект преступления. Госуд. изд. юрид. литер. М., 1958;
118. Пионтковский А.А. Учение Гегеля о праве и государстве и его уголовно-правовая теория. Госуд. изд. юрид. литературы. М., 1963;
119. Перетерский И. С. Всеобщая история государства и права. Юридическое издательство НКЮ СССР, М., 1945;
120. Протченко Б.А. Принудительные меры медицинского характера по советскому уголовному праву. Автореферат дис. канд. юрид. наук М., 1979;
121. Павлов В.Г. Субъект преступления и уголовная ответственность. Изд. `Лань, СП-Б., 2000;
122. Павлов В. Г. Субъект преступления в уголовном праве (историко-правовое исследование). Издательский дом «Герда», М-СПб., 1999;
123. Парог А.И. Вина в советском уголовном праве. Изд. Сарат. Ун-та. Саратов, 1987;
124. Рубинштейн С.Л. Основы общей психологии. Изд. Учпедгиз. М., 1946;
125. Самощенко И.С. Свобода воли и её значение для правового регулирования общественных отношений //Сов. госуд. и право, 1963, №12;

126. Современное зарубежное уголовное право. Под редакции А.А. Пионтковского. Изд. Иностранной литературы, М., 1958;
127. Спасович В. Д. Учебник уголовного права Т. 1,. Типография Иосифа Огризко, Санкт-петербург, 1863;
128. Семенов С.Ф. К вопросу об ограниченной (уменьшенной) вменяемости // Журнал невропатологии и психиатрии имени С.С. Корсакова Вып. 8, 1966;
129. Ситковская О.Д. Судебно-психологическая экспертиза афекта. Изд. Всесоюзный институт по изучению причин и разработке мер предупреждения преступности. М., 1983;
130. Ситковская О.Д. Конышева Л.П. Коченов М.М. Новые направления судебно-психологической экспертизы. Изд. "Юрлитинформ". М., 2000;
131. Сирожидинов Д.В. Ограниченнaя вменяемость:Проблемы теории и практики. Диссертация канд. юрид. наук. Екатеринбург, 1998;
132. Семенцова И. А. Уголовная ответственность лиц с психическими расстройством не исключающим вменяемости. Диссертация канд. юр.наук. М., 1999;
133. Ситковская О.Д. Психология уголовной ответственности. Изд. НОРМА. М., 1998;
134. Скробанский К.К. Учебник акушерства. Изд. "Медгиз". Л., 1946;
135. Сидоров Б.В. Аффект. Его уголовноправовая и криминологическая значение. Изд. Казанского университета, Казань, 1978;
136. Судебная психиатрия. Под редакции Б. В. Шостаковича. Изд. Зерцало, М., 1997;
137. Тихонов К.Ф. Субъективная сторона преступления. Приволжское книжное издательство. Саратов, 1967;
138. Трахтеров В. С. Вменяемость и невменяемость в уголовном праве. (Исторический очерк), Изд. Украинская юридическая академия. Харьков, 1992;
139. Таганцев Н.С. Русское уголовное право. часть общая. Т. 1. Изд. «Автограф», Тула., 2001;
140. Таганцев Н.С. Русское уголовное право. часть общая. Лекции. Т 1. Изд. "Наука", М., 1994;
141. Трахтеров В.С. Уменьшенная вменяемость в советском уголовном праве. // Право и жизнь// 1925. кн.9-10;
142. Трахтеров В.С. Вменяемость по советскому уголовному праву. (конспект лекции) Изд. Харьков юр. ин-та. Харьков, 1966;
143. Угрехелидзе М. Г. Проблема неосторожной вины в уголовном праве. Тб., 1976;
144. Утевский Б. С. Вина в уголовном праве. Госуд. изд. юридич. литературы. М., 1950;
145. Уголовное право зарубежных государств. Общая часть. Под. редакцией проф И.Д. Козочкина. Изд. ИМПЭ им. А.С. Грибоедова, М., 2001;
146. Ушаков Г.К. Пограничные нервно-психические расстройства. Изд. «Медицина». М., 1978;
147. Уголовный кодекс : Опыт теоретического моделирования. Под. ред Келиной С.Т. Кудрявцева В.Н. Изд. "Наука", М., 1987;

148. Уголовное право России. Общая часть. Под. редакцией А. И. Рарога. Изд. ИМПЭ, М., 1998;
149. Ушаков Г.К. Пограничные нервно-психические расстройства. Изд. «Медицина», М., 1987;
150. Файнберг Ц. М. Судебно-психиатрическая экспертиза и опыт работы института судебной психиатрии им. Сербского за 25 лет. Центральный НИИ Судебной психиатрии им. Сербского. М., 1947;
151. Фрейеров О.Е. „Мотивация“ общественно опасных действий психически неполноценных лиц. //Советское государство и право. 1969, №4;
152. Файнберг Ц. М. Учение о вменяемости в различных школах уголовного права и судебной психиатрии. Ответ ред. А.М. Хомецкий. Центр НИИ судебн. психиатрии им. проф. Сербского. М., 1946;
153. Харазишвили Б. В. Вопросы мотива поведения преступника в советском праве. Изд. «Цодна», Тб., 1963;
154. Хорнабуджели Б.В. Психологическая сторона вины. Тб., 1981;
155. Хомовский А.А. Некоторые пути научного сотрудничества юристов и психиатров // Журнал невропатологии и психиатрии С.С. Карскова 1965, Т. 65, вып.10 ;
156. Хейфец Ю.Я. О неполной или так называемой уменьшенной вменяемости. //Журнал министерства юстиции. 1905, №2 ;
157. Церетели Т.В. Причинная связь в уголовном праве. Изд. Тбилисский Государственный университет. Тб., 1957;
158. Чечель Г.И. Об учёте психических аномалий виновного в совершении преступления при определении ответственности //Ученые записки Сарат. юрид. ин-та. Вып. 19. ч 2. 1970;
159. Шопенгауэр А. Свобода воли и нравственность. Изд. „Республика“, М., 1992;
160. Шахримян И.К. Невменяемость по советскому уголовному праву. Автореферат кандидатской диссертации. Л., 1962;
161. Шавгуладзе Т. Г. Аффект и уголовная ответственность. Изд. «Мецниереба». Тб., 1973;
162. Шмаров И.В. Предупреждение преступлении среди освобождённых от наказания. Изд. юридическая литература, М., 1974;
163. Эдельгауз Е.М. К вопросу о понятии свободы воли в уголовном праве //Правоведение 1962, №4;
164. Яковлев А.М. Социальная психология о преступности. Общество «Знание», М., 1975;

### ინტერნეტ საიტები

165. [www.myweb.wnet.edu/jelkins/criminal/diminished](http://www.myweb.wnet.edu/jelkins/criminal/diminished);
166. [www.diminishedcapacity.com/RubinJohn\\_The\\_diminished\\_capacity\\_defense.September,1992](http://www.diminishedcapacity.com/RubinJohn_The_diminished_capacity_defense.September,1992);

167. [www.comlib.ru](http://www.comlib.ru) Психология/Сапогова Е.Е. Психология развития человека. Аспект пресс, М., 2001;
168. [www.gruni.edu.ge](http://www.gruni.edu.ge) ერიმინისტოლოგი, 1(2), 2008, კვაჭაძე გ., მანჯავიძე ი. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკთან დაკავშირებული სამართლებრივი და სამედიცინო ასპექტები;
169. [www.gruni.edu.ge](http://www.gruni.edu.ge) ერიმინისტოლოგი, 1(2), 2008, გამყრელიძე თ. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის გამო;
170. [www.promoestate.com.ua/yurpsy/help/bib/balab/](http://www.promoestate.com.ua/yurpsy/help/bib/balab/) Балабанова Л.М. Судебная патопсихология. Глава 9. Криминологические аспекты основных психологических свойств личности.